

# საადვოკატო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის ქომახისათვის

ნაწილი I

შალვა ქურდაძე გიორგი ქურდაძე  
ნინო ხუნაშვილი ზურაბ ქყონია

2018



ს ბ ა ს კ

შალვა ქურდაძე  
გიორგი ქურდაძე  
ნინო ხუნაშვილი  
ზურაბ ჭყონია

„საალსრულებო წარმოებათა შესახებ“  
საქართველოს კანონის  
კომენტარი

ნაწილი I  
(1-48 მუხლები)



სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტი

თბილისი 2018

**მთავარი რედაქტორი:** იურიდიული მეცნიერე-  
ბათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის თსუ ემერიტუსი **რომან შენგელია**

**რედაქტორი:** სამართლის დოქტორი,  
პროფესორი **დავით სუხიტაშვილი**

**რეცენზენტები:**

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
**ვალერი ხრუსტალი;**  
სამართლის დოქტორი, პროფესორი  
**ზურაბ ძლიერიშვილი**

**ქართული ტექსტის კორექტორი:** ვერა ფურცხვანიძე  
**ინგლისური ტექსტის კორექტორი:** ლელა აბდუშელიშვილი  
**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** თამარ ქავჭავაძე

© გამომცემლობა შპს „დანი“, 2018

© ავტორთა კოლექტივი

წინამდებარე ნაშრომში განმარტებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების საერთო პირობებს, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა სამართლებრივ მდგომარეობას, იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა გამოყენების საფუძვლებს და თავისებურებებს. გაანალიზებულია აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მოიცავს როგორც საქართველოს საერთო სასამართლოთა, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებს აღსრულების საკვანძო საკითხებზე. სასამართლო პრაქტიკასთან ერთად, ნაშრომს ამდიდრებს მასში გამოყენებული სააღსრულებო ორგანოების პრაქტიკა.

წიგნი განკუთვნილია აღმასრულებლების, მოსამართლეების, ადვოკატების, იურიდიული (სამართლის) ფაკულტეტის სტუდენტების, უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების მასწავლებლებთან, აგრეთვე, სააღსრულებო წარმოების საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

## **კანონის კომენტარის ნაწილი | მოამზადეს:**

*ზურაბ ჭყონიამ – მუხლები: 3-5, 14<sup>1</sup>-14<sup>19</sup>, 15, 15<sup>2</sup>, 18<sup>2</sup>, 19, 19<sup>1</sup>-19<sup>4</sup>, 25<sup>1</sup>.*

*გიორგი ქურდაძემ – მუხლები: 18, 18<sup>1</sup>, 18<sup>3</sup>, 18<sup>4</sup>, 20, 21, 22.*

*ნინო ხუნაშვილმა – მუხლები: 27, 28<sup>1</sup>, 28<sup>2</sup>, 29, 30, 32, 39<sup>1</sup>, 40, 40<sup>1</sup>, 42.*

*შალვა ქურდაძემ – წინასიტყვაობა და კომენტარის ნაწილი I-ის დანართენი მუხლები.*

# სარჩევი

<b>ინანსიტყვაობა</b> .....	7
მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო .....	14
მუხლი 2. აღსრულების ქვემდებარე აქტები .....	29
მუხლი 3. სააღსრულებო დანესებულებები .....	73
მუხლი 4. აღსრულების ეროვნული ბიურო .....	73
მუხლი 5. სააღსრულებო ბიურო .....	73
მუხლი 6. (ამოღებულია).....	82
მუხლი 7. (ამოღებულია).....	82
მუხლი 8. (ამოღებულია).....	82
მუხლი 9. (ამოღებულია).....	82
მუხლი 10. (ამოღებულია).....	82
მუხლი 11. (ამოღებულია).....	82
მუხლი 12. (ამოღებულია).....	82
მუხლი 13. (ამოღებულია).....	82
მუხლი 14. (ამოღებულია).....	82
მუხლი 14 <sup>1</sup> . აღსრულების პოლიციის სამმართველო .....	82
მუხლი 14 <sup>2</sup> . აღსრულების პოლიციელი .....	82
მუხლი 14 <sup>3</sup> . (ამოღებულია).....	82
მუხლი 14 <sup>4</sup> . ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება .....	82
მუხლი 14 <sup>5</sup> . აღსრულების პოლიციელის სოციალური დაცვა .....	82
მუხლი 14 <sup>6</sup> . კერძო აღმასრულებელი .....	85
მუხლი 14 <sup>7</sup> . კერძო აღმასრულებლის კომპეტენცია .....	85
მუხლი 14 <sup>8</sup> . სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემა .....	85
მუხლი 14 <sup>9</sup> . სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები .....	85
მუხლი 14 <sup>10</sup> . განცხადება სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად .....	85
მუხლი 14 <sup>11</sup> . კერძო აღმასრულებლის რეგისტრაცია კერძო აღმასრულებელთა რეესტრში და მის მიერ სააღსრულებო საქმიანობის დაწყება .....	85
მუხლი 14 <sup>12</sup> . სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა .....	85
მუხლი 14 <sup>13</sup> . სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერება .....	85
მუხლი 14 <sup>14</sup> . სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება .....	85
მუხლი 14 <sup>15</sup> . სააღსრულებო საქმიანობის უფლების შეჩერების ან სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში შეჩერებული საქმეების აღსრულების წესი .....	85

მუხლი 14<sup>16</sup>. კერძო აღმასრულებლის პასუხისმგებლობა ..... 85

მუხლი 14<sup>17</sup>. საზღაური ..... 85

მუხლი 14<sup>18</sup>. აღსრულების პოლიციის მონაწილეობა კერძო აღმასრულებლის  
სააღსრულებო საქმიანობაში ..... 85

მუხლი 14<sup>19</sup>. კერძო აღმასრულებლის აცილების საფუძველები, აცილების წესი და  
თვითაცილება..... 85

მუხლი 15. სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები ..... 90

მუხლი 15<sup>1</sup>. სააღსრულებო წარმოების მხარეები.....102

მუხლი 15<sup>2</sup>. აღმასრულებლის აცილების საფუძველი, აცილების წესი და თვითაცი-  
ლება.....112

მუხლი 16. (ამოღებულია).....116

მუხლი 17. აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი.....116

მუხლი 17<sup>1</sup>. (ამოღებულია).....173

მუხლი 18. კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებანი.....173

მუხლი 18<sup>1</sup>. მხარეთა წარმომადგენლობა სააღსრულებო წარმოების პროცესში.....182

მუხლი 18<sup>2</sup>. დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული  
დოკუმენტაციის შენახვა .....192

მუხლი 18<sup>3</sup>. აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრება აღსრულების ეროვნულ  
ბიუროში.....193

მუხლი 18<sup>4</sup>. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადება .....209

მუხლი 19. სააღსრულებო საქმის მასალების გაცნობა და მათი ასლების გადაცემა ..... 210

მუხლი 19<sup>1</sup>. მოვალეთა რეესტრის წარმოება .....210

მუხლი 19<sup>2</sup>. რეესტრიდან გამომდინარე სახელმწიფო, საბანკო და სხვა  
დანესებულებების ვალდებულებები .....213

მუხლი 19<sup>3</sup>. რეესტრში რეგისტრირებული პირის უფლების შეზღუდვა .....214

მუხლი 19<sup>4</sup>. რეესტრში რეგისტრირებული პირის მიმართ დანესებული შეზღუდვების  
მოხსნა და რეესტრიდან ამორიცხვა .....215

მუხლი 20. სააღსრულებო ფურცელი.....216

მუხლი 21. სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტები.....225

მუხლი 22. ერთ გადანყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემა ..233

მუხლი 23. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა .....238

მუხლი 24. სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლება-მონაცვლე პირთა სასარგე-  
ბლოდ ან საწინააღმდეგოდ.....244

მუხლი 25. აღსრულების დაწყება.....253

მუხლი 25<sup>1</sup>. სააღსრულებო წარმოების ეტაპები .....279

# სარჩევი

მუსლი 26. (ამოღებულია).....	280
მუსლი 27. აღსასრულებელი გადანყვეტილების განმარტება .....	280
მუსლი 28. (ამოღებულია).....	286
მუსლი 28 <sup>1</sup> . აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში განაჩენით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების წესი .....	286
მუსლი 28 <sup>2</sup> . სისხლის სამართლის საქმეზე გირაოს სახით შეტანილ უძრავ ქონებაზე აღსრულების მიქცევა.....	288
მუსლი 29. ოქმი .....	290
მუსლი 30. მოვალის მოძებნა .....	292
მუსლი 31. მოვალის ინტერესების დაცვა იძულებითი აღსრულებისას.....	294
მუსლი 32. მესამე პირის სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ .....	304
მუსლი 33. (ამოღებულია).....	314
მუსლი 34. აღსრულების შეწყვეტა.....	314
მუსლი 35. სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადანყვეტილების დაბრუ- ნება.....	327
მუსლი 36. აღსრულების შეჩერება და მისი ვადები.....	333
მუსლი 37. (ამოღებულია) .....	356
მუსლი 38. აღსრულების საფასური.....	356
მუსლი 39. აღსრულების ხარჯები.....	366
მუსლი 39 <sup>1</sup> . თანხის დაბრუნება .....	368
მუსლი 40. მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება .....	369
მუსლი 40 <sup>1</sup> . მოვალის მოძრავი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება .....	376
მუსლი 41. (ამოღებულია).....	378
მუსლი 42. მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა.....	378
მუსლი 43. (ამოღებულია).....	382
მუსლი 44. ყადაღის საგანი .....	382
მუსლი 45. ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება .....	384
მუსლი 46. (ამოღებულია).....	389
მუსლი 47. ყადაღადადებული ქონების შეფასება .....	389
მუსლი 48. ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტი .....	392
<b>ავტორთა შესახებ .....</b>	<b>399</b>

## წინასიტყვაობა

კანონიერებისა და დარღვეული უფლების აღდგენა მრავალ შემთხვევაში სააღსრულებო წარმოების მექანიზმის გამოყენებას მოითხოვს. აღსრულების გარეშე, სასამართლო აქტი, თუ აღსრულების ქვემდებარე სხვა აქტი, აზრს კარგავს, რამეთუ ამგვარი აქტებით დადასტურებული უფლება, თავისუფლება და კანონიერი ინტერესი, განუხორციელებელი რჩება. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და თუნდაც სასურველი გადანყვეტილების მიღება არასაკმარისია აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გადანყვეტილების დროული და სრულყოფილი აღსრულების გარეშე (საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტება საქმეზე №ბს-476-464-(კ-13) 24 აპრილი 2014 წ.).

**გადანყვეტილების აღსრულების გონივრული ვადების დარღვევა გადანყვეტილების აღსრულებლობას უთანაბრდება**, არადა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების მნიშვნელობა მხოლოდ მის აღსრულებაშია.

როგორც სასამართლო, ისე არასასამართლო აქტებს აღასრულებენ აღმასრულებლები. სწორედ მათი საქმიანობაა მოწესრიგებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით. მართალია აღსასრულებელ საქმეთა სპეციფიკიდან გამომდინარე კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სააღსრულებო პროცედურების განხორციელების კონკრეტულ ვადებს, მაგრამ თავად აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, აღსრულება უნდა იყოს ეფექტური და გონივრულ დროში განხორციელებული, რა დროსაც აღსრულების კონკრეტული ვადების განუსაზღვრელობამ აღსრულების ორგანოებს არაკეთილსინდისიერებისა და საქმის გაჭიანურებისკენ არ უნდა უბიძგოს. აღსრულების ორგანოები მათი საქმიანობიდან გამომ-



დინარე არ უნდა უგულებელყოფდნენ მათი შექმნის მიზნებს, რაც აღსრულებას დაქვემდებარებული გადანყვეტილების სისრულეში მოყვანასა და კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაში გამოიხატება.

ამასთან, აღსრულების პროცესში, გარკვეულწილად, სასამართლო თუ სხვა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირიც აღმოჩნდება ხოლმე ჩართული, რომლებიც, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობენ სააღსრულებო წარმოებაში. თითოეული მათგანის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული სააღსრულებო წარმოების ეფექტიანობა.

სააღსრულებო წარმოება სამართლის კომპლექსური ინსტიტუტია, რომელიც აერთიენებს სამოქალაქო, სამოქალაქო საპროცესო, საგადასახადო, საბიუჯეტო, ადმინისტრაციული სამართლის და სამართლის სხვა დარგების ნორმებს. შესაბამისად, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონმდებლობა არ ამოიწურება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით.

დასახელებულ კანონში, დღიდან მისი ამოქმედებისა, მრავალი ცვლილება და დამატება აისახა. ცხადია, იდეალური კანონები არ არსებობენ და ამ მხრივ, გამოწვევის არც ეს კანონია, მაგრამ ერთი კი უდაოა. სააღსრულებო წარმოება ნებისმიერმა სიახლემ ეფექტიანი უნდა გახადოს, ხოლო სააღსრულებო პროცედურები – მაქსიმალურად „გამჭვირვალე“ და არაორაზროვანი: სხვა შემთხვევაში, ყოველთვის სადაო იქნება წინააღმდეგობრივი ნორმების გამოყენება. დახვეწილი კანონმდებლობა კი მაქსიმალურად ზღუდავს სამართალშემფარდებლის მიხედულების (დისკრეციის) არეალს.

იძულებითი აღსრულების არსი მოვალის მიმართ იძულების ღონისძიებების გამოყენებაში მდგომარეობს. ამრიგად, იძუ-

ლებითი აღსრულების ღონისძიებები იძულებითი აღსრულების ბირთვს შეადგენენ, თუმცა სამწუხაროდ, კანონმდებელმა აღნიშნული ინსტიტუტი სრულყოფილად არ მოაწესრიგა (კანონის მე-17 მუხლში ერთმანეთშია აღრეული სააღსრულებო მოქმედებები და იძულებითი აღსრულების ღონისძიებები). კანონმა არ შეცვალა სასამართლო და არასასამართლო აქტების იძულებითი აღსრულების სისტემის არსი. აღმასრულებელს ძირითადად ფულის გადახდევინების საქმეთა აღსრულება უწევს. ამგვარ საქმეებზე სახელმწიფო იძულების აქცენტი კვლავინდებურად იძულებითი აღსრულების ისეთ კლასიკურ ღონისძიებაზე მახვილდება, როგორც არის მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა. არადა, საზღვარგარეთ საკმაოდ წარმატებით გამოიყენება იძულებითი აღსრულების „არაპირდაპირი“ ღონისძიებები.<sup>1</sup>

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის ამოქმედებით, სამწუხაროდ, სახეზე გვაქვს მარტოოდენ ახალი სააღსრულებო ფორმა, მაგრამ არა ვალებთან და მოვალეებთან მუშაობის ახალი მეთოდები. კანონის რიგი დებულება ფორ-

1 იძულებითი აღსრულების „არაპირდაპირ“, „ირიბ“ ღონისძიებებში იგულისხმება ღონისძიებები, რომელთა გამოყენების მიზანი სასამართლო და არასასამართლო აქტების უშუალოდ აღსრულება როდია (მაგალითად, მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა), არამედ მისი მიზანია მოვალის პიროვნებაზე ზემოქმედება. ე.ი. იძულების ირიბი ღონისძიებების გამოყენების მიზანია აიძულოს მოვალე შეასრულოს აღსრულების ქვემდებარე აქტი (მაგალითად, ქართული სააღსრულებო კანონმდებლობა ითვალისწინებს იძულებითი აღსრულების ისეთ ირიბ ღონისძიებებს, როგორიცაა: მოვალის შეყვანა მოვალეთა რეესტრში, იძულებითი იპოთეკა. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში გვხვდება იძულებითი აღსრულების ისეთი ირიბი ღონისძიებები, როგორც არის: ცალკეული სახის საქმიანობის განხორციელების უფლებაზე გაცემული ლიცენზიის მოქმედების შეჩერება, საზღვარგარეთ მოვალის გასვლის დროებითი შეზღუდვა, ავტოტრანსპორტის მართვის უფლების დროებითი ჩამორთმევა და სხვა). სააღსრულებო წარმოებაში იძულებითი აღსრულების ირიბი ანუ არაპირდაპირი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ნაშრომებში: Е. В. Учебник гражданского процесса. М., 1917, гв. 462; Решетникова И.В. Исполнительное производство за рубежом. Право и экономика. 2001, N3, гв. 38-43.

მალურ ხასიათს ატარებს. კანონი არ ითვალისწინებს მოვალის ინტრესების დაცვის ეფექტიან მექანიზმებს. კანონიდან გამოკვეთილად ჩანს, რომ იგი კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალებებიდან უპირატესობას ანიჭებს მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევას, ქონების რეალიზაციის გზით, მაშინ როცა, არსებობს ალტერნატიული საშუალებებიც.

„სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი<sup>2</sup>, 1999 წლის 15 მაისს ამოქმედდა. იგი აწესრიგებს სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების წესს. აღნიშნული კანონის მიღებით მნიშვნელოვნად განმტკიცდა სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა უფლებათა დაცვის გარანტიები.

კანონი სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს აღმასრულებლის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებსაც, მოთხოვნებს, რომლებიც წაეყენება მას ამ თანამდებობაზე დანიშვნის დროს, ადგენს სააღსრულებო ორგანოების სისტემასა და საქმიანობის ორგანიზაციას, თანამდებობაზე აღმასრულებლის დანიშვნისა და გათავისუფლების წესს, იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებებს სააღსრულებო ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციის საკითხში, აღმასრულებლის უფლებებსა და მოვალეობებს, მისი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, სააღსრულებო ორგანოების დაფინანსებასა და მატერიალურ უზრუნველყოფას. კანონის აღნიშნული დებულებები საშუალებას იძლევა, უზრუნველყოფილი იქნეს კანონის პრაქტიკაში განხორციელება.

---

2 შემდგომში შემოკლების მიზნით ტექსტში გამოყენებულია სიტყვა „კანონი“. ამგვარად, ყველგან, სადაც ნახსენები გვაქვს სიტყვა კანონი, იგულისხმება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი.

კანონის საფუძველზე შექმნილია იძულებითი აღსრულების ორგანოები, გაფართოვდა მათი უფლებამოსილებანი, შემოღებულ იქნა წესები, რომლებიც აწესრიგებს სააღსრულებო წარმოების დაწყებასა და დამთავრებას, აგრეთვე ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს სააღსრულებო დოკუმენტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და ამ მოთხოვნათა დაუცველობით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებს. კანონით განმტკიცდა სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ვადების შესახებ საერთო წესი, აგრეთვე სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შედეგების შესახებ წესები, შემოღებულ იქნა სპეციალური თავი, რომელიც განსაზღვრავს სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირებს და მათ სამართლებრივ მდგომარეობას, განისაზღვრა იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა გამოყენების საფუძველები, შემოტანილ იქნა მრავალი სხვა სამართლებრივი ინსტიტუტი და შემოღებულ იქნა მრავალი სამართლებრივი ნორმაც, რომლებიც სააღსრულებო წარმოებაში მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიებს ქმნის.

ამასთან, კანონის ყველა ნორმა და ინსტიტუტი როდი არის სათანადოდ შესაბამისობაში ერთმანეთთან და სხვა სამართლებრივ ნორმებთან, მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული ზოგიერთი მათგანის შინაარსი, რაც გარკვეულწილად ართულებს, როგორც აღმასრულებლების, ისე, სასამართლოს მიერ პრაქტიკაში მათ გამოყენებას. ამასთან, ძალზედ საყურადღებოა ის კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც დაკავშირებულია კანონის განხორციელებასთან, ასევე, კანონში შესული ცვლილებები. კანონქვემდებარე აქტებში ასახული ნორმები ყურადღებასა და შესწავლას მოითხოვს, კანონთან მათი შესაბამისობის თვალსაზრისით.

დაბოლოს, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ კანონის ამოქმედებიდან დღემდე დაგროვდა განზოგადებისა და ანალიზისათვის საკმარისი პრაქტიკული მასალა (როგორც სააღსრულებო ორგანოების, ისე სასამართლო პრაქტიკა). პრაქტიკის შესწავლის შედეგად შემუშავებული წინადადებები, გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები სასარგებლო იქნება მოსამართლეების, აღმასრულებლების, ადვოკატების და იმ სხვა პირთათვის, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებით აღსრულებასთან.

ნაშრომის მიზანია დახმარება გაუწიოს პრაქტიკოსებს კანონის სწორ გამოყენებაში. წიგნი სასარგებლო იქნება მეცნიერთათვისაც, აგრეთვე სტუდენტებისათვის.

ნაშრომის რედაქტირებისათვის ავტორები მადლიერებას გამოვხატავთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ემერიტუსის, ბატონ **რომან შენგელიას** და სამართლის დოქტორის, პროფესორ **დავით სუხიტაშვილის** მიმართ. მადლობას ვუხდით ნაშრომის რეცენზენტებს, სამართლის დოქტორს, პროფესორს, ბატონ **ვალერი ხრუსტალს**, სამართლის დოქტორს, პროფესორს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, ბატონ **ზურაბ ძლიერიშვილს**, ასევე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილეს, ქალბატონ **მაგდა ყვირალაშვილს** და აღსრულების ეროვნული ბიუროს იურისტს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტს, ქალბატონ **ეკატერინე ახალკაცს**, რომელთა რჩევებიც დაგვეხმარა მთელი რიგი საკითხების დაზუსტებაში ნაშრომზე მუშაობისას. მადლიერებით აღვნიშნავთ იურისტ **ნათია გოგოხიას** და ქა-

ლბატონ **ნანა ზარიძის** შრომას, რომლებმაც უზრუნველყვეს ნაშრომის ელექტრონული ვერსიის მომზადება.

ქართულ სინამდვილეში, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლობრივ კომენტარს. ამასთან, ეს არის არა ოდენ კანონის, არამედ როგორც აღმასრულებლების, ისე სასამართლოს მიერ კანონის გამოყენების პრაქტიკის კომენტარი. ქართულ ენაზე აღსრულების სფეროში არსებული ლიტერატურის სიმწირის გამო, ამგვარი კვლევის ჩატარება არცთუ იოლი საქმეა. ამ და სხვა მრავალ ფაქტორთა (მათ შორის ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების, კანონმდებლობის არასტაბილურობის) გამო, ნაშრომი ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან. ამიტომ, მაღლიერებით მივიღებთ ნებისმიერ საქმიან შენიშვნას.

**სამართლის დოქტორი, პროფესორი შალვა ქურდაძე**  
**თბილისი, 2018 წლის ივლისი**

## მუხლი 1. კანონის გამოყენების სფერო

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს არა მხოლოდ სამოქალაქო და სხვა საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის წესს, არამედ სასამართლო აქტების, აგრეთვე სათანადო იურისდიქციის მქონე სხვა ორგანოთა მიერ მიღებული აქტების აღსრულების პროცესსაც. არასასამართლო ორგანოთა აქტებზე იმავე წესით უნდა აღსრულდეს, რა წესითაც სასამართლო აქტები აღსრულდება.

სააღსრულებო წარმოება სამოქალაქო უფლების დაცვის მექანიზმის შემადგენელი ნაწილი და საბოლოო ეტაპია (სტადია). მას აქვს თავისი მიზანი, ობიექტი, შინაარსი, დაწყებისა და დამთავრების საფუძვლები, ჰყავს მონაწილე სუბიექტები.

სააღსრულებო წარმოება წარმოადგენს ნორმათა სისტემას, რომლებიც აწესრიგებენ სასამართლო აქტების და სათანადო იურისდიქციის მქონე სხვა ორგანოთა აქტების (სააღსრულებო დოკუმენტების) იძულებითი განხორციელების კანონით დადგენილ წესს. თუ სამოქალაქო პროცესის მიზანია დარღვეული ან სადავო მატერიალური უფლების და კანონიერი ინტერესის დაცვა, აღსრულების მიზანია დადასტურებული, უდავოდ ქცეული უფლების რეალურად აღდგენა. დადასტურებული მატერიალური უფლება ან კანონით დაცული ინტერესი, სააღსრულებო წარმოებაში ხორციელდება კანონით დადგენილი სახელმწიფო იძულების მექანიზმის (პროცედურების) გამოყენების მეშვეობით.

იძულებითი აღსრულების უშუალო ობიექტია სააღსრულებო დოკუმენტები, რომლებიც, როგორც წესი, სასამართლო აქტების ან სხვა ორგანოთა აქტების საფუძველზე გაიცემა. ამასთან, იძულებით აღსრულებას ყველა სასამართლო აქტი და სხვა ორგანოთა აქტი როდი ექვემდებარება, ყველა მათგანზე

როდი შეიძლება გაიცეს სააღსრულებო დოკუმენტი. მაგალითად, თუ საუბარია სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, მაშინ, იძულებით აღსრულებას, სააღსრულებო წარმოებათა კანონმდებლობით დადგენილი წესებით, ექვემდებარება მხოლოდ **მიკუთვნებით სარჩელზე** გამოტანილი გადაწყვეტილებები. ასეთია: მოპასუხისათვის თანხის დაკისრების, გამოსახლების, გირავნობისა და იპოთეკის საგანზე გადახდევინების მიქცევის შესახებ და ა.შ. გადაწყვეტილებები. ასეთ გადაწყვეტილებებზე მოსარჩელეს ეძლევა სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც ის წარადგენს იძულებითი აღსრულების მიზნით.

**აღიარებით სარჩელებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები (უფლებადამდგენი გადაწყვეტილებები) იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება.** ამგვარი გადაწყვეტილებით დადგენილია სამართალურთიერთობის არსებობა ან არარსებობა და იგი ხორციელდება დაინტერესებული პირის ნების გამოვლენისდა მიხედვით სახელმწიფო და სხვა ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ. აღიარებითი სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ იგი არ ითვალისწინებს გარკვეული მოქმედების განხორციელებას, ანუ აღნიშნული გადაწყვეტილება არ ავალდებულებს აღიარებითი სარჩელის მოპასუხეებს სახელმწიფო იძულების აპარატის მეშვეობით კონკრეტული მოქმედებების შესრულებას, რომელიც თავისთავად ითვალისწინებს სააღსრულებო ინსტიტუტის ამოქმედებას. აღიარებითი სარჩელით მოსარჩელე არ მოითხოვს მოპასუხისაგან რაიმე მოქმედების შესრულებას. სასამართლო ასეთ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას მოკლებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას. უფლებადამდგენი (ანუ აღიარებით სარჩელზე მიღებული) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ



დაინტერესებულ პირს ჩაბარდება მისი დამოწმებული ასლი, რომელიც შესაბამისი ფაქტისა თუ სამართალურთიერთობის რეგისტრაციის ან გაფორმების საფუძველია. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც აღიარებით სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება იძულებით აღსრულდება პროცესის ხარვეზის წაგებული მხარისთვის დაკისრების ნაწილში.

გარდა ამისა, იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება უდავო წარმოების საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, მაგალითად, შვილად აყვანის გადაწყვეტილება, აგრეთვე რიგი სხვა კატეგორიის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება ისეთ სასამართლო აქტს, როგორც არის განჩინება, საერთო იურისდიქციის სასამართლოს ზოგიერთი განჩინება ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებათა კანონმდებლობით დადგენილი წესებით აღსრულებას. მაგალითად, სსსკ-ის 195-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება დაუყოვნებლივ აღსრულდება სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

სასამართლო აქტის აღსრულება გულისხმობს მოვალის იძულებას შეასრულოს სასამართლო აქტით გათვალისწინებული მოქმედება (გადასცეს კრედიტორს ქონება, გადაიხადოს ფული და ა.შ.). მაგრამ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კანონი განსაზღვრავს და აწესრიგებს არა მხოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლოების აქტების, არამედ, აგრეთვე სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების საკითხებსაც.

სააღსრულებო წარმოების მომწესრიგებელი დებულებები კომპლექსური ხასიათისაა (სააღსრულებო წარმოება კომპლექსური სამართლებრივი მოწესრიგების ობიექტია, რაც აისახება სააღსრულებო სამართლის წყაროების დახასიათებაში). სააღსრულებო სამართლის წყაროები უზრუნველყოფენ მატერია-

ლური უფლების ან ინტერესის იძულებით განხორციელებას იმ შემთხვევებშიც, როცა მათი დაცვის საკითხი არასასამართლო ორგანოთა საქმიანობის საგანს წარმოადგენდა. ამრიგად, სააღსრულებო წარმოება ემსახურება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოებას (პროცესს), არამედ, აგრეთვე არასასამართლო ორგანოთა (ნოტარიატის, არბიტრაჟის და ა.შ.) საქმიანობასაც.

სააღსრულებო წარმოება სპეციფიკურ ურთიერთობებს აწესრიგებს და თავისი სუბიექტები ჰყავს – ესენია: აღმასრულებელი, კრედიტორი, მოვალე, სპეციალისტი, დამსწრე და სხვა.

2. კანონის პირველი მუხლი ადგენს კანონის მოქმედების სფეროს. კანონის მიხედვით, იძულებითი აღსრულების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც სასამართლო აქტები, ისე სხვა ორგანოთა აქტებიც, ამასთან, არა ყველა ორგანოს აქტი, არამედ მხოლოდ იმ ორგანოების აქტები, რომელთაც კანონით დადგენილი უფლებამოსილებების განხორციელების დროს მინიჭებული აქვთ უფლება, ფიზიკურ პირებს, ორგანიზაციებსა და ყველა დონის ბიუჯეტს სხვა ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების მიმართ ან შესაბამის ბიუჯეტში გადასახდელად დააკისრონ ფულადი თანხების გადახდის, ან სხვა ქონების გადაცემის ან მათ სასარგებლოდ გარკვეული მოქმედებების შესრულების ან გარკვეული მოქმედებების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ კანონი აწესრიგებს მხოლოდ მიკუთვნების შესახებ აქტების იძულებით აღსრულებას. ეს აქტები, რომლებიც სააღსრულებო დოკუმენტებია, ან რომელთა საფუძველზეც გაიცემა სააღსრულებო დოკუმენტები, დაწვრილებით არის ჩამოთვლილი კანონის მე-2 მუხლში.

3. მართალია, პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ კანონი აწესრიგებს სხვადასხვა აქტის აღსრულების წესსა და პირობებს, მაგრამ არა მხოლოდ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონისაგან შედგება სააღსრულებო წარმოებათა კანონმდებლობა, არამედ სხვა ნორმატიული აქტებიც აწესრიგებს სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების პირობებსა და წესს.

ვიდრე აღნიშნულზე ვისაუბრებდეთ, უნინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, თუ ვის გამგებლობაში იმყოფება სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლით დადგენილია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა აღსრულდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო აქტების შეუსრულებლობა კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას იწვევს.

საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფო ხელისუფლება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად ხელისუფლებათა დანაწილების საფუძველზე ხორციელდება. კანონით, სააღსრულებო წარმოება ორგანიზაციულად გამოსულია სასამართლო ხელისუფლების სფეროდან და გადაცემული აქვს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა გამგებლობას. სასამართლოს ამოცანაა სამართლებრივი კონფლიქტის გადაწყვეტა და სასამართლო აქტის გამოტანა, აგრეთვე გარკვეულწილად კონტროლის განევა სააღსრულებო წარმოების პროცესზე მისი ერთ-ერთი მონაწილის მიერ სარჩელის შეტანის დროს. ამასთან, სასამართლოს მოეხსნა უშუალო ვალდებულება მის მიერ მიღებული სასამართლო აქტების და სხვა სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულების ორგანიზაციული უზრუნველყოფის საკითხში.

როგორც უკვე აღინიშნა, სააღსრულებო წარმოებაში, სასამართლო ორგანოთა აქტების გარდა, იძულებით აღსრულებდა აგრეთვე სამოქალაქო იურისდიქციის მქონე მთელი რიგი სხვა ორგანოების – არბიტრაჟების, ნოტარიუსების აქტები. ამით აიხსნება სააღსრულებო წარმოების ფუნქცია საქართველოს სამართლებრივ სისტემაში. კერძოდ, სააღსრულებო წარმოება ასრულებს იძულებითი აღსრულების რეგულატორის როლს, ძირითადად, სამოქალაქო საქმეებზე მიღებული აქტების მიმართ. ამის გამო, სააღსრულებო სამართალს შეიძლება ვუწოდოთ „**სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი**“.

სააღსრულებო წარმოება, ძირითადად, საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა. მისი მონაწილეების ქცევის მოწესრიგება, უპირატესად, იმპერატიული ნორმებით ხორციელდება. ნებადართვითი საწყისები სააღსრულებო წარმოებაში უკიდურესად მცირეა. სააღსრულებო წარმოების მხარეებს უფრო მეტად მოვალეობები აკისრიათ, ვიდრე უფლებებით სარგებლობენ. ამასთან, კრედიტორს, მოვალესთან შედარებით, უფრო მეტი უფლებები აქვს (მაგალითად, მოვალეს უფლება აქვს მიუთითოს ქონებისა და საგნების იმ სახეობებზე, რომლებზეც უნდა მიექცეს გადახდევინება პირველ რიგში). კრედიტორი კი, თავად წყვეტს სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად (გადასახდევინებლად) წარდგენის, აღსრულებაზე უარის თქმის და ა.შ. საკითხებს.

საინტერესოა, საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა აღსრულების სფეროში კომპეტენცია მივაკუთვნოთ საქართველოს სუბიექტებს (ავტორესპუბლიკებს). ეს კითხვა ჩნდება იმიტომ, რომ საქართველოს კონსტიტუცია სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულებას პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არ მი-

აკუთვნებს არც საქართველოს გამგებლობას, არც საქართველოსა და მისი სუბიექტების ერთობლივ გამგებლობას. თავად კონსტიტუციის შინაარსიდან გამომდინარე კი, საქართველოს გამგებლობისა და უფლებამოსილებების ფარგლებს გარეთ, საქართველოსა და მისი სუბიექტების ერთობლივი გამგებლობის საგანზე (იმ საკითხებზე, რომლებიც ერთობლივ გამგებლობას მიეკუთვნება), საქართველოს სუბიექტებს სრული სახელმწიფო ხელისუფლება გააჩნიათ, მაგრამ ასეთი დასკვნა ფორმალურია. რეალურად კი, უნდა გავითვალისწინოთ მოქმედი კონსტიტუციის მიღების შემდეგ ქართულ სამართალში მიმდინარე რთული პროცესები და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებები.

როგორც ცნობილია, დასახელებული კანონის მიღებამდე, სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების უმრავლესობა განმტკიცებული იყო საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (1964 წლის რედაქცია) და შეადგენდა სამოქალაქო საპროცესო სამართლის მოწესრიგების განუყოფელ ნაწილს, ხოლო საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V კარი – სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილს.

ამასთან, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კონსტიტუციის მიღებამდე ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტები, მიიღებოდა სრულიად სხვა სამართლებრივ ეპოქაში და ეს აქტები არ ითვალისწინებდა და ვერც გაითვალისწინებდა ახალ სოციალურ-სამართლებრივ რეალიებს, საკუთრებით ურთიერთობათა და მთლიანობაში, მთელი სამოქალაქო ბრუნვის შეცვლას. კერძო

სამართლის რეფორმამ, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას, განსაკუთრებით სამეწარმეო საქმიანობის სფეროში, აშკარა გახდა, რომ მატერიალური სამართლის მრავალი ახალი პროგრესული დებულება ვერ იწერებოდა პრაქტიკაში, უფლების იძულებითი განხორციელების ადეკვატური და ეფექტიანი მექანიზმების არარსებობის გამო. ამრიგად, აღსრულების ქმედითობა განაპირობებს სამართლებრივი რეგულირების მთელი მექანიზმის ეფექტიანობას და სამართლის უნარს (შესაძლებლობას) ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის ქცევაზე. სწორედ ამით აიხსნება სააღსრულებო წარმოებაში განხორციელებული რეფორმა, მისი ორგანიზაციული და შინაარსობრივი ხასიათის შეცვლა, რამაც კომპლექსურად, სხვა ღონისძიებებთან ერთად, უნდა გააუმჯობესოს არსებული სიტუაცია მოცემულ სფეროში.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს გამგებლობას მიეკუთვნება.

კანონის მიღებით, შეიცვალა „სააღსრულებო წარმოების“ ადგილი ქართული სამართლის სისტემაში. დღეს უკვე მისი სამართლებრივი ნორმები და ინსტიტუტები სამოქალაქო საპროცესო სამართლის მონესრიგების სფეროდან, მისი შემადგენლობიდან გავიდა.

მაგრამ თავისთავად, ეს არის ფორმალური გარემოება, რომელიც, ჩვენის აზრით, არ უნდა შეეხოს კონსტიტუციით დადგენილ საქართველოსა და მისი სუბიექტების უფლებამოსილებების შინაარსს და არ უნდა გამოიწვიოს სააღსრულებო წარმოების ამოღება საქართველოს გამგებლობის სფეროდან და ამის ხარჯზე საქართველოს სუბიექტების გამგებლობის სფე-

როს გაფართოება. კონსტიტუციის მე-3 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული გამგებლობაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. მართალია ამ მუხლში სააღსრულებო კანონმდებლობა ცალკე გამოყოფილი არ არის, მაგრამ უდაოა, რომ სააღსრულებო კანონმდებლობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ამრიგად, სააღსრულებო წარმოება – საქართველოს განსაკუთრებული გამგებლობის სფეროა.

სააღსრულებო წარმოების მოწესრიგება ხორციელდება სხვადასხვა სამართლებრივი აქტით, მათ შორის, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმატიული აქტებით, რაც აიხსნება აღსრულების პროცედურის კომპლექსური ხასიათით.

კანონი ძირითადი ნორმატიული აქტია, რომელიც დეტალურად აწესრიგებს სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების დროს წარმოშობილ ურთიერთობებს. კანონი განსაზღვრავს იძულებითი აღსრულების ორგანოებს, სხვა ორგანოებსა და ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა შეასრულონ სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების მოთხოვნები, ადგენს სააღსრულებო დოკუმენტების ჩამონათვალს, სააღსრულებო დოკუმენტების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და ამ მოთხოვნათა დარღვევის სამართლებრივ შედეგებს, აწესრიგებს სააღსრულებო წარმოების დაწყების, შეჩერების, შეწყვეტისა და დამთავრების წესს, სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ადგილს, დროს და ვადებს და სხვა. რაც შეეხება აღსასრულებლად სააღსრულებო დოკუმენტების წარდგენის ვადებს, მათ აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი, ხოლო ამ ვადების აღდგენის წესს – სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (რადგან ეს ვადები საპროცესო ვადებად ითვლება).

სააღსრულებო წარმოებაში წარმოშობილი ურთიერთობები არა მხოლოდ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით წესრიგდება, არამედ სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების პირობებისა და წესის მომწესრიგებელი სხვა კანონებითაც.

სააღსრულებო წარმოების განხორციელების წესისა და პირობების და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების მომწესრიგებელ ასეთ სამართლებრივ აქტებს, კანონის გარდა, სახელდობრ, მიეკუთვნება კანონში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შემტანი კანონები, სამოქალაქო პროცესის ფარგლებში კი – სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც გარკვეულწილად აწესრიგებს აღსრულების საკითხებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული კანონით. მაგალითად, სსსკ-ში დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევები (მუხლი 268-ე), გადაწყვეტილია აღსრულების შებრუნების საკითხები (268-ე მუხლის მე-2 ნაწილი), აღმასრულებლის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის საპროცესო წესი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრება და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დებულებებს, რომლებიც დაკარგული სასამართლო (ან სააღსრულებო) წარმოების აღდგენას განსაზღვრავს.

სააღსრულებო წარმოებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ნორმებს და სამოქალაქო კოდექსის სხვა დებულებებს, რომლებიც გარკვეულწილად, დაკავშირებულია კონკრეტულ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებასთან, სააღსრულებო წარმოების სტადიაზე ფაქტობრივ გარემოებათა შეფასებასთან. მაგალითად, სამოქალაქო



კოდექსის იმ ნორმებს, რომლებიც ანესრიგებენ ალიმენტების გადახდევინების წესს და სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც გარკვეულწილად დაკავშირებულია სააღსრულებო მოქმედებათა განხორციელებასთან. უდიდესი მნიშვნელობა აქვთ იმ ნორმებს, რომლებიც აუქციონის ჩატარების წესს და დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის წესს განსაზღვრავს. შრომის კოდექსში ასახულია სააღსრულებო სამართლისათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი წესი.

სააღსრულებო სამართლის წყაროა საგადასახადო კოდექსი, ბიუჯეტის კანონი, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა.

სააღსრულებო წარმოების წყაროა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

სასჯელი ჯარიმის სახით აღსრულდება აღმასრულებლის მიერ მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის (სამუშაო ადგილის) ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით (სააღსრულებლო წარმოებათა კანონის 25-ე მუხლი).

2010 წლის 1-ლ ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჯარიმის გადახდა, თუ დაუყოვნებლივ გადახდა შეუძლებელი იყო, შეიძლება გადავადებულიყო ან განაწილებულიყო 6 თვემდე ვადით. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს არ ჰქონდა ჯარიმის ერთდროულად გადახდის შესაძლებლობა, სასამართლოს მისი შუამდგომლობითა და აღმასრულებლის დასკვნის საფუძველზე შეეძლო ჯარიმის გადახდის განაწილვა ვადება 6 თვემდე ვადით. დღეს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამგვარი წესი აღარ არის გათვალისწინებული. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის

და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი გადასახდელის ნაწილში განაჩენის აღსრულების დანებების წესი. მასში მითითებულია, რომ დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი გადასახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად ინერება სააღსრულებო ფურცელი. ამის შემდეგ აღსრულება ხდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი საერთო წესით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას (დასახელებული ნორმის მიხედვით იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში ჯარიმა ძირითადი სასჯელის სახით არის დანიშნული), ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ჯარიმა შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით, ან თავისუფლების აღკვეთით. მაგრამ სააღსრულებო წარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ კონკრეტულად ვისი ინიციატივით უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჯარიმის, როგორც ძირითადი სასჯელის შეცვლა სხვა სასჯელით და რა ვადაში. იქიდან გამომდინარე, რომ ჯარიმის გადახდევინების შესახებ განაჩენს აღასრულებს აღმასრულებელი, მიგვაჩნია, რომ სწორედ აღმასრულებელმა, არაუადრეს 5 დღისა (იხ. სააღსრულებო წარმოებათა კანონის 25-ე მუხლი) უნდა გააგზავნოს სასამართლოში წარდგინება სხვა სახის სასჯელით ჯარიმის შეცვლის შესახ-

ებ სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად.

იმ მსჯავრდებულის მიმართ კი, რომელიც თავს არიდებს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის გადახდას, აღმასრულებელი ანარმოებს ჯარიმის გადახდევინებას იძულებითი წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 282<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ, აგრეთვე „არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აღსრულების ეროვნული ბიუროს ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, გადანყვეტილების მიმღები 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნის და მოყვანის შესახებ.

კანონის 30-ე მუხლი მოვალის ძებნის გამოცხადებას უკავშირებს ისეთ ფაქტებს, როგორიცაა: მოვალის ადგილსამყოფელის დაუდგენლობა და შესაბამის მოვალეობათა შესრულებისაგან სპეციალურად თავის არიდება.

სააღსრულებო წარმოების წყაროა სააღსრულებო წარმოების საკითხებზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა ინსტრუქცია, დებულება სააღსრულებო წარმოების შესახებ და სხვა. ეს ნორმატიული აქტები უწყებრივი ხასიათისაა, რადგან მიღებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ.

სააღსრულებო კანონმდებლობის წყაროთა წრის შეზღუდვა უკიდურესად ნეგატიურ როლს ითამაშებდა, რამდენადაც

კანონი, მართალია, თავისი ხასიათით პროცედურულია, მიუხედავად ამისა, დაწვრილებით არ ადგენს ცალკეული სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების პროცედურებს. ამიტომ, თანამედროვე პერიოდში, სააღსრულებო წარმოების მთელი რიგი პროცედურული საკითხების გადაწყვეტის დროს, ვერაფრით ვისარგებლებთ, გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტებისა.

სააღსრულებო წარმოების საკითხებზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უნდა შეესაბამებოდეს კანონს და გამოცემული უნდა იყოს მისი რომელიმე მუხლის საფუძველზე და შესასრულებლად, რაც პირდაპირ უნდა იყოს გათვალისწინებული კანონით.

მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სხვა კანონებიც შეიძლება შეიცავდეს აღსრულების წესისა და პირობის განმსაზღვრელ ნორმებს. მაგალითად, კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი იმ ორგანოთა და პირების ნაწილში შეიცავს ასეთ ნორმებს, რომელთაც უფლება აქვთ გამოითხოვონ ინფორმაცია ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების ანგარიშების შესახებ, როცა ეს აუცილებელია სააღსრულებო მოქმედებათა შესასრულებლად. სააღსრულებო სამართლის წყაროა ასევე, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი და სხვა.

იურიდიული პირების ანგარიშებიდან ფულადი თანხის ჩამონერის წესი ასახულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააღსრულებო წარმოებაში გასათვალისწინებელია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი წესების იმ „შიდა“ კანონმდებლობის მიმართ პრიორიტეტულობის პრინციპი, რომლებიც

ანესრიგებენ სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების წესსა და პირობებს. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია საქართველოს კანონებისაგან განსხვავებული წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები (იხ. კონსტიტუციის მე-6 მუხლი). სამართლებრივი დახმარების შესახებ კონვენციები, სახლმწიფოთა ორმხრივი ხელშეკრულებები, არცთუ იშვიათად, სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა და თანამდებობის პირების აქტების აღსრულების საკითხებსაც განსაზღვრავენ. ასეთია მაგალითად, დსთ-ს ქვეყნებს შორის 1993 წლის 22 იანვარს დადებული კონვენცია სამართლებრივი ურთიერთობებისა და სამართლებრივი დახმარების შესახებ სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელიც საქართველოსთვის ძალაში იმავე წლის 22 ივნისს შევიდა და დსთ-დან საქართველოს გასვლის მიუხედავად, დღესაც ძალაშია; გაეროს 1958 წლის 10 ივნისის კონვენცია უცხო სახელმწიფოთა არბიტრაჟების გადანყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ და სხვა.

სააღსრულებო წარმოების სპეციფიკური წყაროა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებაც.

დაბოლოს, სააღსრულებო წარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის შეფარდების პროცესში წარმოქმნილი ნებისმიერი ეჭვი, წინააღმდეგობრივი ნორმები, ბუნდოვანი ნორმები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ კანონის გამოყენების შედეგად სააღსრულებო დოკუმენტი გონივრულ ვადაში აღსრულდეს, მაგრამ ამასთან, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები არ უნდა დაირღვეს.

## მუხლი 2. აღსრულების ქვემდებარე აქტები

1. სააღსრულებო წარმოების მეშვეობით ხდება სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოთა დადგენილებების (გადაწყვეტილების, განჩინების, განაჩენის) იძულებითი განხორციელება. ამ დადგენილებებით ხდება სამოქალაქო უფლებათა აღდგენა ან დაცვა. ამიტომ, აღსრულება კრედიტორის სასარგებლოდ მოვალის მიერ აღსრულების ქვემდებარე აქტით დაკისრებული ამა თუ იმ კონკრეტული მოქმედების შესრულებას ნიშნავს. თავის მხრივ, აღსრულების პროცესი მოქნილობით უნდა ხასიათდებოდეს და უსაფუძვლო დაბრკოლებებს არ უნდა ქმნიდეს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში. თავად სააღსრულებო სისტემის არსებობის მიზანი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული აღსრულებას დაქვემდებარებული აქტების სისრულეში მოყვანაა. სააღსრულებო სამართლის უმთავრეს პრინციპებს კი სწრაფი, ეფექტური და რაც უმთავრესია, კანონშესაბამისი აღსრულების განხორციელება წარმოადგენს. სააღსრულებო სისტემას წაეყენება ეფექტიანი აღსრულების მოთხოვნა იმდენად, რამდენადაც სხვა შემთხვევაში შესაძლოა კრედიტორმა დიდი დრო დაკარგოს უფლების აღსადგენად და მოთხოვნის აღსასრულებლად.

სახელმწიფო სააღსრულებო ორგანოებს ანიჭებს უფლებამოსილებას აღსრულონ აღსრულებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილებები, რის საფუძველზეც სააღსრულებო წარმოება უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს მიერ იძულებითი აღსრულების განხორციელებას. იძულებითი სააღსრულებო სამართალი უნდა წარმოადგენდეს უფლებადაცვის მოქნილ სისტემას, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესში შედის. აღსრულების პროცესი კი იმგვარად უნდა იქნეს წარ-

მართული, რომ აზრი არ დაეკარგოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

როგორც აღინიშნა, სააღსრულებო წარმოების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები აწესრიგებენ როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოთა აქტების აღსრულების წესსა და პირობებს, ისე არასასამართლო ორგანოთა და სათანადო იურისდიქციის მქონე სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. სააღსრულებო დოკუმენტი იძულებითი აღსრულების ობიექტია. იგი შეიძლება გაიცეს სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოს აქტის საფუძველზე. სააღსრულებო დოკუმენტის არსებობა ვალდებული პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების (იძულების ზომების) გამოყენებას ამართლებს და ლეგიტიმურს, მართლზომიერს ხდის. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ასეთი აქტი თვითონ, თავისთავად არის სააღსრულებო დოკუმენტი.

მაგალითად, ასეთია სანოტარო ორგანოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დამოუკიდებლად წარმოადგენს აღსრულების დაწყების საფუძველს და შესაბამისად, მის საფუძველზე დამატებითი დოკუმენტის გაცემა არ ხდება. მაგრამ საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილება თავისთავად ვერ აღსრულდება. აღნიშნული აქტის საფუძველზე გაცემა – სააღსრულებო ფურცელი.

მე-2 მუხლში მითითებული აქტები ექვემდებარება იძულებით აღსრულებას სააღსრულებო წარმოებათა წესებით. მე-2 მუხლში მოცემულია აღსრულების საფუძველების (სააღსრულებო დოკუმენტების) ჩამონათვალი. მოცემული ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ამასთან, აღსრულების საფუძველთა (სააღსრულებო დოკუმენტების) ჩამონათვალი, რომელიც მე-2 მუხლშია მოცემული, არ შეიძლება მივიჩნიოთ ამომწურავ

(დახურულ) ჩამონათვალად, ანუ სააღსრულებო წარმოების დანყებისა და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების საფუძველი არ არის მარტო ის აქტები, რომლებიც ამ მუხლშია ჩამოთვლილი. ეს სწორიცაა, რამდენადაც თანამედროვე პერიოდში, როცა ხდება კანონმდებლობის სწრაფი განახლება, არ შეიძლება კანონმდებლობა იძლეოდეს სააღსრულებო დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს, მითუმეტეს, ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. სააღსრულებო წარმოებათა წესებით, მაგრამ მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იძულებით აღსრულებას ექვემდებარება ნებისმიერი იმ ორგანოს აქტი (რომლებიც, აქედან გამომდინარე, სააღსრულებო დოკუმენტებია), რომელთაც კანონით დადგენილ უფლებამოსილებათა განხორციელების დროს მინიჭებული აქვთ უფლება ფიზიკურ პირებს, ორგანიზაციებს ან ყველა დონის ბიუჯეტს სხვა ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების მიმართ ან შესაბამის ბიუჯეტში გადასახდელად დააკისრონ ფულადი თანხის გადახდის ან სხვა სახის ქონების გადაცემის ან მათ სასარგებლოდ განსაზღვრულ მოქმედებათა შესრულების ან მათი შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს სასამართლო სისტემის ერთიანობა უზრუნველყოფილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილებების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღსრულების გზით. საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის 2009 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-412-728-09 აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს მართლმსაჯულების აქტს, რომელიც გამოიტანება საქმის განხილვის შედეგად და მისი სამართლებრივი შედეგები კონსტიტუციითაა რეგლამენტირებული. საქართვე-



ლოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, აღსრულებადობის თვისება და იძულებითი აღსრულების შესაძლებლობა დამახასიათებელია საქართველოს ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი აქტისათვის. ყველა აღნიშნული სასამართლო შეადგენს საქართველოს ერთიან სასამართლო სისტემას. იმდენად, რამდენადაც სააღსრულებო დოკუმენტების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, კონსტიტუციითა და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი აქტი შეიძლება იძულებით აღსრულდეს სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, მათ შორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება.

2. აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო წარმოების დაწყების, იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების უშუალო საფუძველია სააღსრულებო დოკუმენტების გადასახდევინებლად წარდგენა. **სააღსრულებო დოკუმენტი სათანადო იურისდიქციის მქონე სუბიექტის მიერ გაცემული ოფიციალური აქტი-დოკუმენტია, რომელიც ფულის გადახდის, ქონების გადაცემის, განსაზღვრული მოქმედების შესრულების, ან განსაზღვრული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების შესახებ მოვალისადამი კრედიტორის მოთხოვნის უფლებას ადასტურებს და შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო იძულების ღონისძიებების გამოყენების გზით.** როგორც განსახილველი მუხლი ცხადყოფს, სააღსრულებო დოკუმენტის გამოცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი მარტოოდენ სასამართლო როდია. კანონი სააღსრულებო დოკუმენტად მიიჩნევს სხვა (ქვაზისასამართლო) ორგანოებისა და თანამდებობის

პირების მიერ სასამართლო პროცედურების გარეშე გაცემულ დოკუმენტსაც, რომლითაც მოვალეს შესაძლოა ეკისრებოდეს რაიმეს გადახდა კრედიტორის სასარგებლოდ. ქვაზისასამართლო ორგანოსა და თანამდებობის პირის მიერ გაცემული დოკუმენტის სააღსრულებო დოკუმენტად მიჩნევა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლს, ასევე კონსტიტუციის 21-ე მუხლს. კონსტიტუციის დასახელებული დებულებების სიტყვა -სიტყვითი განმარტება დაუშვებელია, ე.ი. დაუშვებელია იმის თქმა, რომ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა მარტოოდენ სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. **„სასამართლო გადანყვეტილების“ კონსტიტუციურ-კონტექსტუალური ცნების (საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-18, მე-20, 21-ე მუხლები) და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კონტექსტში გამოყენებული „სასამართლო გადანყვეტილების ცნების“ ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია.** სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლო გადანყვეტილებაში გულისხმობს სასამართლო დადგენილებას (სასამართლო აქტს), რომლითაც სასამართლო საქმეს არსებითად წყვეტს.

კონსტიტუციის 21-ე მუხლში სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე ქონების ჩამორთმევის დაუშვებლობის შესახებ დებულებაში დასმული აქცენტი გულისხმობს დაინტერესებული პირისათვის სასამართლო კონტროლის უზრუნველყოფას. თავის მხრივ, არსებობს არა მარტო წინასწარი სასამართლო კონტროლი (რაც გამოიხატება იმაში, რომ ზოგადი წესით, მოვალისათვის რაიმეს დაკისრების გადანყვეტილებას სასამართლო იღებს), არამედ არსებობს შემდგომი სასამართლო კონტროლიც (სასამართლო აკონტროლებს მოვალისათვის რაიმეს დაკისრების შესახებ სასამართლო პროცედურის გარეშე მიღებული გადანყვეტილების კანონიერებას).

კანონის მე-2 მუხლში საუბარია სააღსრულებო დოკუმენტების მნიშვნელოვან ჯგუფზე. ამასთან, როგორც აღნიშნული მუხლიდან ირკვევა, სააღსრულებო წარმოების ფარგლებში უზრუნველყოფილია სრულიად სხვადასხვა სააღსრულებო დოკუმენტის, მათ შორის, სასამართლოების მიერ გაცემული სააღსრულებო დოკუმენტების, იძულებითი განხორციელება.

ყველაზე უფრო გავრცელებული აქტები, რომლებიც კანონის პირდაპირი მითითების თანახმად, იძულებით აღსრულდება სააღსრულებო წარმოებათა წესებით, არის:

ა) **კერძო სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება.** აქ იგულისხმება, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება და განჩინება, ისე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება, საკასაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც მიიღება ახალი გადაწყვეტილება. კანონში მითითებულია სასამართლოს ისეთ აქტზეც, როგორც არის კერძო სამართლის საქმეზე გამოტანილი დადგენილება, თუმცა, კანონის ეს მითითება სრულიად ზედმეტია, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, სასამართლოს ყველა დადგენილება კერძო სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების, სასამართლო ბრძანების ან განჩინების ფორმით მიიღება. მართალია, დადგენილებას, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი სახის საპროცესო აქტს, კერძო სამართლის საქმეზე სასამართლო იღებს, მაგრამ ეს ხდება უდაო წარმოების საქმეზე, ხოლო როგორც აღინიშნა, უდაო წარმოების საქმეზე მიღებული აქტი არ აღსრულდება და შესაბამისად, მას აღსრულებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამასთან, აღსრულების საფუძველია საერთო იურისდიქციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტები, გარდა მათი დაუყოვნებლივ

აღსრულების შემთხვევებისა (იხ. სსსკ-ის 268-ე მუხლი და კანონის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტი). სააღსრულებო წარმოების წესებით აღსრულება არა მხოლოდ ისეთი სასამართლო აქტები, რომლებითაც, უშუალოდ, არსებითად წყდება საქმე, არამედ, აგრეთვე, სასამართლოს სხვადასხვა განჩინება პროცესის მონაწილეთა მიერ თავიანთი საპროცესო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (არაჯეროვნად) შესრულებისათვის დაჯარიმების (ჯარიმის დაკისრების) შესახებ. ასევე იძულებით აღსრულება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება.

**ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება და დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში.** სისხლის სამართლის საქმეზე ქონებრივი გადახდევინების ნაწილში კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენში, განჩინებასა და დადგენილებაში იგულისხმება შესაბამისი სასამართლო აქტები დანაშაულით მიყენებული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების, სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახით ჯარიმის გადახდევინების (დაკისრების), სასამართლო ხარჯების გადახდევინების, აგრეთვე მსჯავრდებულისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენისათვის მომსახურების ანაზღაურების (გადახდევინების) შესახებ ნაწილში. განაჩენში ასახული სასამართლოს მითითება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედის შესახებ სააღსრულებო წარმოების დანყების საფუძველს არ წარმოადგენს. ამ მტკიცებულების შემდგომი ბედი განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააღსრულებო წარმოების წესებით აღსრულება სასამართლო განაჩენები და სხვა სასამართლო აქტები საპროცესო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ჯარიმის გადახდევინების (დაკისრების) ნაწილში;

გ) **აღსრულების დამოუკიდებელი საფუძველია სასამართლოს მიერ სსსკ-ის და სკ-ის ნორმების (წესების) დაცვით დამტკიცებული მორიგება.** კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული მორიგება თავისი მნიშვნელობით და სამართლებრივი ანუ იურიდიული შედეგებით, სასამართლო გადაწყვეტილებას უთანაბრდება, მისი ტოლფასია. იგი იურიდიულად ბოჭავს მხარეებს და რომელიმე მხარის მიერ შეთანხმებით (მორიგებით) ნაკისრი ვალდებულების (მორიგების პირობების) ნებაყოფლობით შესრულებისაგან თავის არიდება გამოიწვევს იძულების შესაბამისი ღონისძიებების მექანიზმების ამოქმედებას (მორიგება ასეთ შემთხვევაში იძულებით აღსრულდება).

ზემოთქმული ვრცელდება აღსრულების სტადიაზე კრედიტორისა და მოვალის მორიგების შემთხვევებზეც. აღსრულების სტადიაზე მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის უფლება აქვთ კრედიტორსა და მოვალეს. მათ უფლება აქვთ სასამართლოში შეიტანონ ერთობლივი განცხადება მორიგების დამტკიცების შესახებ. განცხადებას თან უნდა დაერთოს სააღსრულებო დოკუმენტის ასლი და აღმასრულებლის ცნობა, რომლითაც დადასტურდება, რომ სააღსრულებო ფურცელი წარდგენილია აღსასრულებლად და იმყოფება აღმასრულებლის წარმოებაში.

განცხადებას განიხილავს სასამართლო კრედიტორისა და მოვალის მონაწილეობით, ანუ იბარებს მათ სხდომაზე. სასამართლომ მორიგების დამტკიცებასთან ერთად, უნდა შეწყვიტოს სააღსრულებო წარმოება კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

დ) **მე-2 მუხლი ცალკე გამოყოფს და აღსრულების საფუძველად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძა-**

**ლაში შესულ განაჩენს პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ.** სასჯელის ჯარიმის სახით დაკისრების შემთხვევაში განაჩენი აღსრულდება სააღსრულებო წარმოებათა წესებით.

აღნიშნული შემთხვევის (საფუძვლის) ცალკე გამოყოფის საჭიროება არ არსებობს, ვინაიდან, როგორც ზემოთ დავინახეთ, მოცემულ შემთხვევას, სხვა შემთხვევებთან ერთად, ისედაც აერთიანებს და გულისხმობს მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად იძულებით აღსრულდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ქონებრივი გადახდევინების ნაწილში.

**ე) საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ კრედიტორის განცხადების საფუძველზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, გამარტივებული წარმოების წესებით გამოტანილი მოვალისაგან ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ გადახდის ბრძანება და ამავე წესებით მოვალისაგან ქონების (ლიზინგის საგნის) გამოთხოვის შესახებ სასამართლო ბრძანება.** ორივე სახის ბრძანებას კანონი აღსრულების საფუძველებს მიაკუთვნებს. მათ საფუძველზე იწერება სააღსრულებო ფურცელი. გადახდევინება წარმოებს სასამართლო დადგენილებათა აღსრულებისათვის დადგენილი წესით.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ფულადი დავალიანების გამარტივებულად გადახდევინება აღარ ხდება. ფულადი დავალიანების გამარტივებულად გადახდევინება შესაძლებელია მარტოოდენ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით დადგენილი წესით, ხოლო ცვლილებებამდე გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადახდის ბრძანება აღსრულდება საერთო წესით.

ვ) არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ ქონებრივ დავაზე. მე-2 მუხლი ისეა ჩამოყალიბებული, რომ იგი სასამართლო აქტების ჩამონათვალს შორის ასახელებს არბიტრაჟის გადაწყვეტილებასაც, მაგრამ, როგორც ცნობილია, არბიტრაჟი არასასამართლო ორგანოა და მის მიერ მიღებული აქტი სასამართლო აქტს არ წარმოადგენს, თუმცა, აღსრულების საფუძველია და აღსრულება იძულებით სააღსრულებო წარმოებათა წესებით. არბიტრაჟის კანონის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხარეთათვის სავალდებულოა შესასრულებლად. არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში იგულისხმება, როგორც მუდმივმოქმედი, ისე მხარეთა შეთანხმებით კონკრეტული დავის განსახილველად და გადასაწყვეტად შექმნილი არბიტრაჟი.

არბიტრაჟის აქტის იძულებითი აღსრულება წარმოებს სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. სააღსრულებო ფურცელი ჩაბარდება კრედიტორს არბიტრაჟის აქტის სააპელაციო სასამართლოს მიერ ცნობისა და აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

აღსრულება, როგორც „შიდა“ არბიტრაჟების, ისე საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის, კერძოდ, საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის მიერ მიღებული აქტი.

არბიტრაჟის კანონის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობით არ იქნა აღსრულებული, იძულებით აღსრულება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. სააღსრულებო ფურცელი არბიტრაჟის მხარეთა, უფრო სწორად, სა-

არბიტრაჟო განხილვის იმ მხარის განცხადების საფუძველზე გაიცემა, რომლის სასარგებლოდაც მიღებულია არბიტრაჟის გადანყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობით გართულებულია არბიტრაჟის გადანყვეტილების აღსრულების პროცედურა. არბიტრაჟის გადანყვეტილების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელს გასცემს სასამართლო და არა თავად არბიტრაჟი.

რაც შეეხება საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის გადანყვეტილებებს, მათ საფუძველზე და მათ იძულებით აღსასრულებლად, რომელთაც საერთაშორისო კომიერციული არბიტრაჟი იღებს სამენარმეო და სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების დროს სამოქალაქო სამართალურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებზე, სააღსრულებო ფურცელს გასცემს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

უზენაეს სასამართლოს შეუძლია უარი თქვას საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის გადანყვეტილების იძულებითი აღსრულებისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით (დანვრილებით იხ. 91-ე მუხლის კომენტარი).

ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადანყვეტილება. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის გადანყვეტილებები, რომლებიც ჩამოთვლილია სსსკ-ის 268-ე მუხლში, არამედ ნებისმიერი ის გადანყვეტილება, რომლის დაუყოვნებლივ აღსრულებაც დაადგინა სასამართლომ. ამასთან, სასამართლოს სხვა გადანყვეტილებებისაგან განსხვავებით, რომელთა იძულებითი აღს-



რულებაც მხოლოდ მათი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დაიშვება, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები მათ კანონიერ ძალაში შესვლამდე აღსრულებს იძულებითი წესით. ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას უკავშირებს მის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტს, თუმცა კანონმდებლობა გამონაკლისს უშვებს, რა დროსაც შესაძლებელია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. ასეთ დროს გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცევა მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, რაც დასაშვებია კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში ან ისეთი გარემოებების სარწმუნოდ დადასტურებისას, რომელთა დადგომა მ.ომავალში გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს გახდის ან გადამხდევინებელს სერიოზულ ზიანს მიაყენებს.

თ) **იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.** მაგალითად, ასეთია საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც მუდმივმოქმედი ორგანოა. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ასეთია: დსთ-ს სახელმწიფოებს შორის დადებული კონვენცია „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“, რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევიდა 1993 წლის 22 ივნისს (სხვა მონაწილეთა მიერ კონვენცია ხელმოწერილ იქნა 1993 წლის 22 იანვარს), ასეთივე ხელშეკრულება საქართველოს დადებული აქვს თურქეთთან, ბულგარეთთან, საბერძნეთთან და სხვ.

ი) **სხვა სახელმწიფოს სასამართლოს (აქ იგულისხმება სხვა სახელმწიფოს საერთო იურისდიქციის სასამართლო, საარბიტ-**

რაჟო, კომერციული და სხვა სასამართლოები), აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომელთა აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

სხვა სახელმწიფოს სასამართლოთა და არბიტრაჟების გადაწყვეტილებები თავისთავად როდი ექვემდებარება იძულებით აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე.

სხვა სახელმწიფოს სასამართლოთა (საერთო სასამართლოთა, საარბიტრაჟო, კომერციული და სხვა სასამართლოების) გადაწყვეტილებები საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით აღსრულებას ექვემდებარება მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ცნობისა და აღსრულების პროცედურას. **სხვა სახელმწიფოს სასამართლოთა გადაწყვეტილების ცნობა ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებას ენიჭება ისეთივე იურიდიული ძალა, რაც გააჩნიათ საქართველოს სასამართლოთა გადაწყვეტილებებს.**

ზოგადი წესის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიული ძალა შემოიფარგლება (ვრცელდება) იმ სახელმწიფოს საზღვრებით, რომელმაც ის გამოიტანა. სხვა სახელმწიფოებში ის იძენს იურიდიულ ძალას მისი ცნობისა და აღსრულების პროცედურების გამოყენების გზით. სხვა სახელმწიფოს სასამართლოთა გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება მონესრიგებულია სამართლებრივი დახმარების შესახებ ხელშეკრულებებში. სხვა სახელმწიფოს სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა არ მოითხოვს რაიმე ცალკე წარმოებას, უბრალოდ, ეს პროცედურა საზღვარგარეთის გადაწყვეტილებას ათანაბრებს საქართველოს სასამართლოთა და არბიტრაჟთა გადაწყვეტილებებთან.

აღსრულების, ხოლო შესაბამისად, სხვა სახელმწიფოს სასამართლოთა გადაწყვეტილებების ცნობა, როგორც წესი, აუ-

ცილებელია, თუ მოვალე ან ქონება, რომელზეც უნდა მიექცეს გადახდევინება, იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ზოგადი წესის მიხედვით, სხვა სახელმწიფოს სასამართლოთა გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების წესი, წესრიგდება საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

დღესდღეობით საქართველოს დადებული აქვს უამრავი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება და ის არის უამრავი მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციის, ხელშეკრულების მონაწილე.

როგორც წესი, ამ საერთაშორისო ხელშეკრულებებით მონესრიგებულია სახელმწიფოების მიერ სხვა სახელმწიფოს სასამართლოთა გადაწყვეტილებების ურთიერთცნობის შესახებ საკითხები, ყველა ან გარკვეული კატეგორიის საქმეზე. ჩვენს მიერ უკვე ნახსენები მინსკის კონვენციის თანახმად, დსთ-ს ყველა ქვეყნის ტერიტორიაზე ხდება ყველა კატეგორიის საქმეზე სასამართლოთა ყველა გადაწყვეტილების, აგრეთვე სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგებების ცნობა და აღსრულება, მაგრამ სხვა სახელმწიფოს სასამართლოთა გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, საჭიროა რიგი პირობების დაცვა: გადაწყვეტილების შესვლა კანონიერ ძალაში, საპროცესო სამართლის ნორმების დაცვა მისი გამოტანის დროს და ა.შ.

სხვა სახელმწიფოს სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით აღსრულების შესაძლებლობის საკითხი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, წყდება საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმათა გათვალისწინებით და იმის გათვალისწინებით, შეესაბამება თუ არა გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებს მოცემულ შემთხვევაში გამოსაყენებელი საერთაშორისო

ხელშეკრულება. სხვა სახელმწიფოს სასამართლო ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების (იძულებით აღსასრულებლად მიქცევის) საკითხი განიხილება დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. საკითხი განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, რომელზეც სავალდებულოა მოვალის მონაწილეობა (მისი ინფორმირება ამ სხდომის თაობაზე). ამ საკითხის განხილვის შედეგების მიხედვით, სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც, აღსასრულებელ გადაწყვეტილებასთან ერთად, აღსრულების საფუძველია. თუ ამ განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდება, სასამართლო გასცემს სააღსრულებლო ფურცელს. მოცემული განჩინება საბოლოოა. სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება მიექცეს აღსასრულებლად, ხოლო მათ საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლები – წარდგენილი იქნეს აღსასრულებლად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ხანდაზმულობის 10 წლიან ვადაში (იხ. სკ-ის 142-ე მუხლი).

ისეთი იურიდიული დოკუმენტის თანახმად, როგორც არის მინსკის კონვენცია, თითოეული ხელშემკვრელი (ხელშეკრულების მონაწილე) მხარე ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე გამოტანილ შემდეგ გადაწყვეტილებებს:

1) იუსტიციის დაწესებულებათა გადაწყვეტილებებს სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე, მათ შორის, ასეთ საქმეებზე სასამართლოს მიერ დამტკიცებულ მორიგებებსა და სანოტარო აქტებს ფულადი ვალდებულებების შესახებ (შემდგომში გადაწყვეტილებები);

2) სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოთა გადაწყვეტილებებს ზიანის ანაზღაურების შესახებ. თითოეული ხელშე-

მკვრელი მხარის იუსტიციის დანესებულებების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული იმ გადაწყვეტილებების, რომელთაც თავიანთი ხასიათით არ ესაჭიროებათ აღსრულება, სხვა ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე ცნობა ხდება სპეციალური წარმოების გარეშე იმ პირობით, თუ:

1) ხელშემკვრელი დახმარების აღმომჩენი მხარის იუსტიციის დანესებულებებს ამ საქმეზე ადრე (მანამდე) არ გამოუტანიათ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

2) საქმე ამ კონვენციის თანახმად, ხოლო ამ კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა, არ მიეკუთვნება ამ ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დანესებულებების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ შუამდგომილობა შეიტანება იმ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოში, სადაც უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილება. შეიძლება შუამდგომლობის შეტანა საქმეზე გადაწყვეტილების პირველი ინსტანციით გამომტან სასამართლოშიც. ეს სასამართლო აგზავნის შუამდგომლობას იმ სასამართლოში, რომელიც კომპეტენტურია გამოიტანოს გადაწყვეტილება შუამდგომლობაზე. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით, ჩვენში ასეთი კომპეტენტური სასამართლო არის საქართველოს უზენაესი სასამართლო.

შუამდგომლობას თან ერთვის:

1) გადაწყვეტილება, ან მისი დამოწმებული ასლი, აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას ან იმის შესახებ, რომ ის ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ

ძალაში შესვლამდე, თუ ეს არ გამომდინარეობს თავად გადანყვეტილებიდან;

2) დოკუმენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს (ირკვევა), რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც იყო გამოტანილი გადანყვეტილება და რომელსაც არ მიუღია პროცესში მონაწილეობა, სათანადო წესით და დროულად იყო მონვეული სასამართლოში, ხოლო მისი საპროცესო ქმედუნარობის შემთხვევაში, სათანადო წესით იყო წარმოდგენილი;

3) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გადანყვეტილების ნაწილობრივ აღსრულებას მისი გადაგზავნის მომენტისათვის.

4) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის საქმეებზე.

გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების საკითხის განხილვის (გადანყვეტის) შუამდგომლობასა და მასზე თანდართულ დოკუმენტებს თან ერთვის დამონმებული თარგმანი დახმარების აღმომჩენი (ხელშემკვერელი მხარის) ენაზე ან ქართულ ენაზე (51-53 მუხლები).

**დასახელებული კონვენციის 54-ე მუხლში განსაზღვრულია გადანყვეტილებათა ცნობისა და იძულებითი აღსრულების წესი:**

1) 51-ე მუხლში გათვალისწინებული გადანყვეტილებების ცნობისა და იძულებითი აღსრულების საკითხის განხილვის (გადანყვეტის) შესახებ შუამდგომლობები, განიხილება იმ ხელშემკვერელი მხარის სასამართლოების მიერ, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება;

2) სასამართლო, რომელიც განიხილავს გადანყვეტილებათა ცნობისა და იძულებითი აღსრულების საკითხის გადანყვეტის შესახებ შუამდგომლობას, იფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლო გამოი-

ტანს იძულებითი აღსრულების შესახებ გადაწყვეტილებას;

3) იძულებითი აღსრულების წესი განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს იძულებითი აღსრულება.

გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ კონვენციის 55-ე მუხლში მოცემული საფუძვლებით.

**ამ მუხლის თანახმად, 52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ცნობასა და იძულებით აღსრულებაზე ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევებში, თუ:**

1) იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, ის არ შევიდა კანონიერ ძალაში და არ ექვემდებარება აღსრულებას, იმ შემთხვევების გარდა, როცა გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ ძალაში შესვლამდე;

2) მოპასუხემ პროცესში მონაწილეობა არ მიიღო იმის შედეგად, რომ მას ან მის მიერ უფლებამოსილ პირს დროულად და სათანადოდ არ ჩაბარდა სასამართლოში მონვევის შესახებ შეტყობინება;

3) საქმეზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით იმ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, მანამდე უკვე იქნა გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან არსებობს მესამე სახელმწიფოს სასამართლოს აღიარებული გადაწყვეტილება, ანდა თუ ამ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულების მიერ მანამდე აღძრული იყო მოცემულ საქმეზე წარმოება;

4) ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო ამ კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, იმ ხელშემკვრელი

მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე მიეკუთვნება მისი დანესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას;

5) არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის საქმეზე;

6) ამოიწურა იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გათვალისწინებულია იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის სასამართლოც ასრულებს დავალებას;

ამ კონვენციის გარდა, სხვა (უცხო) სახელმწიფოთა სასამართლოების და არბიტრაჟების გადანყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების წესი განსაზღვრულია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონით.

კ) საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, ყველას აქვს უფლება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად მიმართოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოთაშორის ორგანოებს, თუ ამოწურულია სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება. ასეთ ორგანოს მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო. კანონის მე-2 მუხლის თანახმად, იძულებით აღსრულდება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადანყვეტილებები, რომლებიც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის თანახმად სავალდებულოა საქართველოსათვის.

კანონის მე-20 მუხლის შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთი სახელმწიფოთაშორისი ორგანოს გადანყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.



რაც შეეხება ასეთი ორგანოს გადანყვეტილების საფუძველზე სააღსრულებო დოკუმენტების გაცემის წესს, იგი მოწესრიგებულია დასახელებული მე-20 მუხლით. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადანყვეტილებებზე და უცხოელთა საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სააღსრულებო წარმოების დაწყება დასაშვებია სააღსრულებო ფურცლის გარეშე.

ლ) **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში და ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან სხვა საკანონმდებლო აქტებით (ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე-293-ე და 311-ე და 312-ე მუხლები).**

ქონებრივ გადასახდელებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე წარმოადგენს ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე დაკისრებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურება. ბრალეული პირის მიერ ჯარიმის ნებაცყოფლობით გადახდისაგან თავის არიდების შემთხვევაში, ჯარიმის გადახდევინება შესაძლებელია სააღსრულებო წარმოების დაწყებით.

**მე-2 მუხლის ანბანურ ჩამონათვალში მოცემული აქტების ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც გაიცემა სააღსრულებო ფურცლები (სააღსრულებო დოკუმენტები), ამომწურავი არ არის.** კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აღსრულებას ექვემდებარება სხვა აქტებიც. მაგალითად, აღსრულების საფუძველია თავად აღმასრულებლის მიერ შედგენილი გაანგარიშება, რომლითაც განისაზღვრება სასამართლო გადანყვეტილებათა აღსრულების ხარჯების ოდენობა. აღსრულების ხარჯის შეს-

ახებ აღმასრულებლის მიერ შედგენილი გაანგარიშება წარმოადგენს აღმასრულებლის მიერ თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებულ აქტს. იძულებით აღსრულებას, კანონიდან გამომდინარე, აგრეთვე ექვემდებარება აღმასრულებლის მიერ აღსრულების საფასურის გადახდევინების შესახებ შედგენილი გაანგარიშება და ა.შ. აღმასრულებლის აღნიშნული აქტი უშუალოდ არის სააღსრულებო დოკუმენტი და იძულებით აღსრულდება დამატებითი სასამართლო თუ სხვა წესით დამტკიცების გარეშე. კანონის თანახმად, აღსრულების საფასურის გადახდა ეკისრება მოვალეს და ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. სააღსრულებო წარმოების მხარეს შეუძლია მხოლოდ სადავოდ გახადოს დაკისრებული საფასურის ოდენობა (არასწორად დაკისრებული საფასური) სასამართლო წესით.

**მ) რაც შეეხება მე-2 მუხლის შესავალ ნაწილში მოხსენიებულ აქტებს, ეს აქტები რაიმე სპეციალურ დამატებით პროცედურას, კერძოდ, სააღსრულებო ფურცლის გაცემას არ საჭიროებს და განსხვავებით არბიტრაჟის გადანყვეტილებებისა და სასამართლო ორგანოთა აქტებისა, რომლებიც აღსრულების საფუძველია (ანუ მათ საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი იწერება), ისინი თავად წარმოადგენენ სააღსრულებო დოკუმენტებს.**

სააღსრულებო დოკუმენტებს, რომლებიც კანონით დადგენილი წესით იძულებით აღსრულდება, კანონი მიაკუთვნებს კონტროლის ფუნქციის განმახორციელებელი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების გადანყვეტილებებს მოვალისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ. კანონით ამ სახელმწიფო ორგანოებს მინიჭებული აქვთ მოქალაქეებისაგან და ორგანიზაციებისაგან ფულადი თანხების უდავოდ გადახდევინების უფლება. კონტროლის ფუნქციის განმახორციელებ-

ელ ორგანოებს, რომელთა აქტებიც აღსრულდება სააღსრულებო წარმოებათა წესით, კანონის მე-2 მუხლის მიხედვით მიეკუთვნება დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები. იძულებით აღსრულდება ამ ორგანოების მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ. იძულებით აღსრულდება აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადანაცვლები უცხოელთა საქართველოდან გაძევების შესახებ.

**ნ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ გამოტანილ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (დადგენილებას) კანონი ასევე მიაკუთვნებს სააღსრულებო დოკუმენტებს. ამგვარი აქტი რომ აღსრულებას დაექვემდებაროს, შესაბამის ორგანოს უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციული საქმის განხილვის უფლება.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება აღსრულებას კანონიერ ძალაში მისი შესვლის მომენტიდან ექვემდებარება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება კანონიერ ძალაში შედის: 1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ აღნიშნული დადგენილება არ იყო გასაჩივრებული ან გაპროტესტებული; 2) საჩივარზე, პროტესტზე გამოტანილი გადანაცვლების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, თუ აღნიშნული გადანაცვლება არ იყო გასაჩივრებული ან გაპროტესტებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადანაცვლებით გაუქმდა ადმინისტრაციული სამართალ-

დარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება; 3) დაუყოვნებლივ, საჩივარზე, პროტესტზე მიღებული იმ გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას, იმ შემთხვევების გარდა, როცა გადანყვეტილებით უქმდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, თანამდებობის პირის, ფიზიკური პირების და მათი გაერთიანებების, იურიდიული პირებისათვის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 282-ე მუხლი).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსასრულებლად მიქცევა ევალება დადგენილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება – აღსრულებდა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს, (თანამდებობის პირის) მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა (შემდგომში ტექსტში – ასკ) და საქართველოს სხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით (ასკ-ის 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ჯარიმა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულმა პირმა (დამრღვევმა) უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ხოლო ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში. ჯარიმის დაკისრების (დადების) შესახებ დადგენილება გამოიტანება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და ადმინისტრაციული

კანონმდებლობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ასკ-ის 285-ე მუხლის თანახმად, იმ გარემოებათა არსებობისას, რომელთა გამო ჯარიმის სახით (გარდა ჯარიმის გადახდევინებისა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ადგილზე) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების დაუყოვნებლივ აღსრულება შეუძლებელია, დადგენილების გამომტან ორგანოს ან/და თანამდებობის პირს შეუძლია დადგენილების აღსრულების გადადება ერთ თვემდე ვადით. ასეთ შემთხვევაში დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს გადადების ვადის ამონაწერის დღიდან.

თუ არასრულწლოვანს დამოუკიდებელი შემოსავალი (ხელფასი) არ აქვს, მაშინ ასკ-ის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ჯარიმა გადახდებათ მშობლებს ან მათ (მშობლების) შემცვლელ პირებს (ასეთ შემცვლელ პირებში, მშობლების გარდა, სხვა კანონიერი წარმომადგენლებიც იგულისხმება).

ადმინისტრაციული ჯარიმის თანხა დამრღვევის მიერ შეიტანება ან ირიცხება ბანკში ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად.

ასკ-ის 290-ე მუხლით დადგენილ ვადაში დამრღვევის მიერ ადმინისტრაციული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ დადგენილების იძულებითი აღსრულება ხდება დამრღვევის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან, ჰონორარიდან და სხვა შემოსავლებიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით<sup>3</sup> გათვალისწინებული წესების შესაბამისად (291-ე მუხლი).

<sup>3</sup> იგულისხმება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან დასახელებული ნორმის მიღების პერიოდში აღსრულების მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში იყო ასახული.

აქ იგულისხმება ფიზიკური პირი, რომელიც მუშაობს, სწავლობს ან იღებს პენსიას. ადმინისტრაციული ჯარიმის თანხის დაკავება ხდება მისი ხელფასიდან, ჰონორარიდან, სტიპენდიიდან, პენსიიდან ან სხვა შემოსავლიდან.

თუ დაჯარიმებული ფიზიკური პირი გათავისუფლდა, ან შეუძლებელია ადმინისტრაციული ჯარიმის თანხის გადახდევინება მისი ხელფასიდან ან სხვა შემოსავლებიდან, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ აღნიშნული პირის გათავისუფლების ან იმ მოვლენის დადგომის შემდეგ, რომელმაც გამოიწვია ჯარიმის თანხის გადახდევინების შეუძლებლობა, ადმინისტრაციული ჯარიმის დადების შესახებ დადგენილების ასლი უნდა დაუბრუნოს დადგენილების გამომტან ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს), ფიზიკური პირის ახალი სამუშაო ადგილის (თუ ის ცნობილია), ადმინისტრაციული გადახდევინების შეუძლებლობის მიზეზების მითითებით, აგრეთვე დაკავებების შესახებ აღნიშვნით იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დაკავებები წარმოებდა.

თუ დაჯარიმებული ფიზიკური პირი არ მუშაობს ან დამრღვევის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელია სხვა მიზეზებით, დაჯარიმების შესახებ ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილების საფუძველზე გადახდევინების მიქცევა აღმასრულებლის მიერ დამრღვევის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ან საერთო საკუთრებაში მის წილზე გადახდევინების მიქცევის გზით ხდება.

ამასთან, ჯარიმის თანხის ამოღების მიზნით გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია ისეთ ქონებაზე, რომელზეც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება გადახდევინება.

იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდევინება ხდება ფიზიკური პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, დამრღვევს მიეცემა დადგენილი ნიმუშის დადგენილება-ქვითარი (ასკ-ის 292-ე მუხლი).

დადგენილება-ქვითარში მიეთითება მისი გაცემის თარიღი, ადმინისტრაციული სახდელის დამნიშნავი თანამდებობის პირის თანამდებობა, სახელი, გვარი, ცნობები დამრღვევის შესახებ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მოცემული სამართალდარღვევისათვის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დრო და ადგილი, გადახდევინებული ადმინისტრაციული ჯარიმის თანხა.

დადგენილება-ქვითარი დგება ორ ეგზემპლარად და მას ხელს აწერს ადმინისტრაციული სახდელის დამნიშნავი თანამდებობის პირი და დამრღვევი.

ასკ-ის 294-ე მუხლი ითვალისწინებს საგნების სასყიდლით ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულების წარმოებას. ამასთან, აღნიშნული დადგენილება გამოაქვს არა სასამართლოს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს), ხოლო ამ დადგენილების საფუძველზე ჩამორთმეული საგნების სარეალიზაციოდ მიქცევა ხდება არა აღმასრულებლის მიერ, არამედ მისი გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ. რაც შეეხება დადგენილებას ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალების სასყიდლით ჩამორთმევის შესახებ, ეს დადგენილება აღსრულდება შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს საგნის სასყიდლით ჩამორთმევის შესახებ დადგენილებათა აღსრულების სხვა წესი.

ასკ-ის 311-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დანიშვნის შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს ერთდროულად წყდება ქონებრივი ზარალის ანაზღაურების საკითხი, მაშინ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებაში უნდა მიეთითოს ასანაზღაურებელი ზარალის მოცულობა (ოდენობა), მისი ანაზღაურების ვადები და წესი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში აღსრულებდა ასკ-ით, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში სააღსრულებო დოკუმენტს წარმოადგენს და უნდა შეასრულოს დამრღვევმა არა უგვიანეს 30 დღისა (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 110-ე მუხლი), ხოლო ამ დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს თხუთმეტი დღისა.

ამ ვადებში ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ეს დოკუმენტი (დადგენილება) წარმოადგენს ზარალის იძულებითი აღსრულების (უფრო მართებული იქნება კანონში ეწეროს – გადახდევინების) საფუძველს. დადგენილებაში მითითებული აღნიშნული ზარალის გადახდევინება წარმოებს სააღსრულებო წარმოებათა წესებით.

ასკ-ით განსაზღვრულია, თუ ვის ევალება ადმინისტრაცი-



ული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული სხვადასხვა დადგენილების აღსრულება. ამიტომ ვამბობთ, რომ სააღსრულებო დოკუმენტს არ წარმოადგენს და შესაბამისად, აღმასრულებლის მიერ აღსრულებას არ ექვემდებარება:

1) გაფრთხილების შესახებ დადგენილება (ასკ-ის 289-ე მუხლი);

2) ისეთი ჯარიმის გადახდევინების (დაკისრების) შესახებ დადგენილება, რომელიც გადახდევინებელი უნდა იქნეს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას (ასკ-ის 292-ე მუხლი);

3) ასკ-ის 295-ე მუხლით გათვალისწინებული კონფისკაციის შესახებ მთელი რიგი დადგენილებებისა;

4) სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება (ასკ-ის 299-ე მუხლი);

ო) მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაინტერესებული პირი ჩვეულებრივ, სარჩელით მიმართავს სასამართლოს ან მიმართავს არბიტრაჟს იმის მიხედვით, თუ რომელ ორგანოს აქვს უფლება განიხილოს მოცემული მოთხოვნა. ამასთან, კანონის მე-2 მუხლში სააღსრულებო დოკუმენტების ჩამონათვალში, მითითებულია აღსრულების ისეთ საფუძველზე, როგორც არის სანოტარო აქტი. სანოტარო აქტში იგულისხმება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი. იმდენად, რამდენადაც სააღსრულებო ფურცლის დაუსაბუთებელმა გაცემამ შეიძლება გამოიწვიოს მოვალის უფლებათა დარღვევა, აღსრულების სხვა საფუძველებისაგან განსხვავებით, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება მოვალემ სადაო გახადოს სასარჩელო წესით და გაუქმების შემთხვევაში ის კარგავს აღსასრულებელი აქტის მნიშვნელობას. ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი, რომელიც უნდა შესრულდეს ნოტარიატის კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო დო-

კუმენცია, რომელიც იძულებით აღსრულებას ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისად. ამრიგად, ნოტარიატის კანონმდებლობით გათვალისწინებულია სანოტარო ორგანოების მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესრულება (ნოტარიატის კანონის 42-ე მუხლი). ამავე კანონმდებლობის თანახმად, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გადახდევინება წარმოებს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც სააღსრულებო წარწერასაც უწოდებენ ხოლმე, წარმოადგენს კრედიტორის კუთვნილი ფულის მოვალისგან იძულებითი გადახდევინების შესახებ ნოტარიუსის განკარგულებას, რომელიც გაიცემა კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, რათა გამოირიცხოს მოვალის უფლებათა დარღვევა სააღსრულებო ფურცლის დაუსაბუთებელი გაცემით. სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლება მხოლოდ ნოტარიუსს ან მის შემცვლელს აქვს. სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით.

სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გადახდევინება შეიძლება განხორციელდეს, აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის შესაბამისად (იპოთეკარის მიერ გადახდევინება იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევით).

სააღსრულებო ფურცელს ნოტარიუსი გასცემს მხოლოდ იმ რიგი პირობების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც უნდა შეამოწმოს ნოტარიუსმა ფურცლის გაცემამდე: კრედიტორის მიერ ნოტარიუსთან წარმოდგენილი დოკუმენტი, უნდა ადასტურებდეს დავალიანების ან კრედიტორის წინაშე მოვალის სხვა პასუხისმგებლობის უდაოდ არსებობას.

მოვალის პასუხისმგებლობა უდაოდ უნდა გამომდინარეობდეს წარმოდგენილი დოკუმენტიდან, ხოლო თავად დოკუმენტი არ უნდა იწვევდეს ეჭვს მისი უტყუარობის თვალსაზრისით. საღსრულებო ფურცლის გაცემის სავალდებულო პირობაა მისი გაცემის გზით დავალიანების გადახდევინებაზე კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმების არსებობა.

საღსრულებო ფურცელი იძულებით აღსასრულებლად შეიძლება წარდგენილ იქნეს გაცემიდან ხანდაზმულობის იმ ვადებში, რომლებიც დადგენილია სამოქალაქო კოდექსით. საღსრულებო ფურცელი სანოტარო აქტია.

თუ სახეზე არ იქნება საღსრულებო ფურცლის გაცემის კანონით დადგენილი თუნდაც ერთი პირობა, ნოტარიუსი უარს იტყვის საღსრულებო ფურცლის გაცემაზე. ნოტარიუსმა უარი უნდა თქვას საღსრულებო ფურცლის გაცემაზე, თუ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებობს ამოფხეკის, ამოშლის, შესწორების კვალი, დოკუმენტები გაფორმებულია არასათანადო წესით. ნოტარიუსის საღსრულებო ფურცელი არ უნდ გაიცეს, ხოლო თუ გაიცა, აღსრულება არ უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილი ვალდებულების არსებობის დროს გასხვისდება უზრუნველყოფის საგანი, რამეთუ მართალია ასეთ შემთხვევაში შეთანხმება არსებობდა თავდაპირველ მხარეებს – კრედიტორსა და მოვალეს შორის, მაგრამ შეთანხმება არ არსებობს კრედიტორსა და უზრუნველყოფის საგნის ახალ მესაკუთრეს შორის, ხოლო შეთანხმების არარსებობა საღსრულებო ფურცლის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია.

საღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს როგორც უზრუნველყოფილი, ისე არაუზრუნველყოფილი დავალიანების სასამართლოს გარეშე გადახდევინების მიზნით.

სააღსრულებო ფურცელი მონმდება ნოტარიუსის ბეჭდით. სააღსრულებო ფურცლის შინაარსი, მისი აუცილებელი რეკვიზიტები მითითებულია ნოტარიატის კანონმდებლობაში. სააღსრულებო ფურცელი შეიკვრება დოკუმენტის დედანთან ერთად ან დაერთვის მას და მისგან დამოუკიდებლად (ცალკე) არ გაიცემა.

სააღსრულებო ფურცლის გაცემის დროს ნოტარიუსი ხელმძღვანელობს კონსტიტუციით, ნოტარიატის კანონით, სხვა კანონებითა და ნორმატიული სამართლებრივი აქტებით, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

ნოტარიატის კანონმდებლობის დებულებათა ერთმანეთთან სისტემური კავშირიდან გამომდინარეობს, რომ ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის სავალდებულო პირობაა მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უდავოდ არსებობა. თუ მოვალემ სადაო გახადა დავალიანება ან კრედიტორის წინაშე თავისი სხვა პასუხისმგებლობა, ნოტარიუსს, ნოტარიატის კანონის შინაარსის (აზრის) მიხედვით, არა აქვს უფლება გასცეს სააღსრულებო ფურცელი და უნდა განუმარტოს კრედიტორს, რომ მას აქვს დავის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. თუ ნოტარიუსი არ დაიცავს სააღსრულებო ფურცლის გაცემის კანონით დადგენილ წესს, დავის არსებობის შემთხვევაში განცხადებით სასამართლოსადმი მიმართვა ნოტარიატის კანონის თანახმად, შეუძლია მოვალეს.

დავის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სადაო სამართალურთიერთობის სუბიექტს (კრედიტორს და მოვალეს) აქვს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად კრედიტორის მიერ წარდგენის დროსაც. ამ შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვის ინიციატივა

შეიძლება მომდინარეობდეს, როგორც მოვალისაგან, რომელსაც შეუძლია სადაო გახადოს აღმასრულებლის მიერ გამოყენებული აღსრულების ღონისძიებები, ისე კრედიტორისაგან, რომელსაც შეუძლია სადაო გახადოს აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაზე უარის თქმა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი, როგორც სააღსრულებო დოკუმენტი წარმოადგენს ნოტარიუსის უფლებამოსილებების განხორციელების ფორმას, რომლითაც ხდება უდავოდ, უტყუარად არსებული ფულადი დავალიანების გადახდევინების სანქციონირება.

## **მუხლი 2<sup>1</sup>. იძულებითი აღსრულების ღონისძიებების განხორციელების შეზღუდვა**

ქონებრივი შეზღუდვა (ქონება, რომელზეც დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა), განსაზღვრულია კანონის მე-2<sup>1</sup> და 45-ე მუხლებით.

2<sup>1</sup>-ე მუხლში საუბარია ქონებრივი ხასიათის იძულებითი აღსრულების ძირითად ღონისძიებებზე, რომლებიც საერთოდ გამოიყენება მოვალის მიმართ სააღსრულებო წარმოებაში. ეს ღონისძიებებია: იძულებითი აღსრულება, იძულებითი აუქციონი, ყადაღის დადება, სეკვესტრი. ამასთან, გარკვეული სახის ქონების მიმართ ამ ღონისძიებათა გამოყენება დაუშვებელია (ქონებრივი შეზღუდვა). 2<sup>1</sup>-ე მუხლი მითითებითი ხასიათისაა. მასში მითითებული „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო ქონება, პრივატიზებას არ ექვემდებარება. ამასთან, პრივატიზებას არ ექვემდებარება სახელმწიფო ქონების მხოლოდ გარკვეული ჯგუფი. ამ ჯგუფში მოქცეული ქონება არც პრივატიზებას ექვემდებარება და არც კანონით დადგენილ აღსრულების რეჟიმს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, პრივატიზებას, ხოლო შესაბამისად, კანონის 2<sup>1</sup> მუხლის თანახმად – იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვესტრს არ ექვემდებარებოდა აგრეთვე გენერაციის ობიექტები, ელექტროგამანაწილებელი და რეგიონალური გაზის ქსელები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებას ან იმ საწარმოთა საკუთრებას წარმოადგენდნენ, სადაც სახელმწიფო ფლობს აქციათა ან სანესდებო კაპიტალში წილის

არანაკლებ 50%. ეს დებულება საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის შეუსაბამოდ ცნო (2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება N 1/4/184,228). დავის საგანს წარმოადგენდა მე-2<sup>1</sup> მუხლის ზემოაღნიშნული ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

ვიდრე უშუალოდ სასამართლო განმარტებას მოვიხმოდეთ, საინტერესოა აღნიშნული საქმის მონაწილეთა არგუმენტების გაცნობა. მოსარჩელეთა აზრით, სადაო ნორმით მოხდა მათი უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვა. დაირღვა კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული და გარანტირებული საკუთრების უფლება. მოსარჩელებს ხელშეკრულებები ჰქონდათ გაფორმებული ისეთ საწარმოებთან, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებას ან იმ საწარმოთა საკუთრებას წარმოადგენენ, სადაც სახელმწიფო ფლობს აქციათა ან სანესდებო კაპიტალში წილის არანაკლებ 50%-ს. ისინი ვერ ახერხებენ დავალიანებების ამოღებას. მიმართეს სასამართლოებს, რომლებმაც დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნები და გაიცა სააღსრულებო ფურცლები. მიუხედავად ამისა, სააღსრულებო ორგანო ვერ ახდენს რეაგირებას სადაო ნორმის გამო.

სადაო ნორმა, ასევე, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტს, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ხელს უწყობს თავისუფალ მენარმეობასა და კონკურენციას. მოცემულ შემთხვევაში კი, ის საწარმოები, რომლებიც სადაო აქტმა გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან, ჩადგნენ უკეთეს სამენარმეო პირობებში, ვიდრე კერძო სამართლის იურიდიული პირები. სადაო ნორმით სახელმწიფო განსაკუთრებულ უფლებებს იძენს კერძოსამართლებრივ

ურთიერთობებში, ირღვევა პირთა თანასწორობისა და ვალდებულების შესრულების ფუნდამენტური პრინციპები, რის გამოც სადაო ნორმა არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს და გაუქმდეს.

მოპასუხის აზრით, კანონის მე-2<sup>1</sup> მუხლით შესაძლებელი გახდა სახელმწიფოს საკუთრების ან/და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრების უფლების რეალური უზრუნველყოფა. დაყადალების პროცედურების გამოყენების გზით ადგილი ჰქონდა ამ საწარმოების ქონების რეალიზაციას გაცილებით ნაკლებ ფასებში, ვიდრე მათი რეალური ღირებულება იყო. ამავე დროს, აღსრულების შედეგად მიღებული თანხებით არა თუ საწარმოს ძირითადი ვალების დაფარვა, არამედ საბიუჯეტო გადასახადების გადახდაც კი ვერ ხერხდებოდა. აქედან გამომდინარე, სახეზე იყო მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ფაქტიურად ლიკვიდირებული საწარმოები, რომელთა პრივატიზება შეუძლებელი ხდებოდა. ამ პროცესებში სახელმწიფოს ინტერესების დაცვისა და კონტროლის მექანიზმის შემუშავებისათვის აუცილებელი გახდა აღნიშნული ნორმის მიღება, ვინაიდან აღსრულება, უმრავლეს შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით ხდებოდა. მოპასუხე თვლიდა, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება არანაირად არ ილახება აღნიშნულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების გაუფრცვლელბლობით. მას ნებისმიერ დროს შეუძლია უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა სხვა, უფრო მისაღები ფორმით, ოღონდ მხოლოდ სასამართლო პროცედურის მეშვეობით. კანონმა მხოლოდ გენერაციის ობიექტებზე, ელექტროგამანაწილებელ და რეგიონალურ გაზის ქსელებზე შეზღუდა იძულებითი აღსრულება, თორემ სხვა ქონებაზე



შეზღუდვები რომ არ ვრცელდება, ამას კანონიც ცხადყოფს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს სამართალგამოყენებით პრაქტიკაში (იგულისხმება აღსრულება) არსებულ დარღვევას, რისი განხილვაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში. სადაო ნორმა ემსახურება მართლმსაჯულების ისეთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის უზრუნველყოფას, როგორცაა სამართლიანობა.

სპეციალისტთა დასკვნით, სადაო ნორმა არა მარტო ენ-ინააღმდეგება კონსტიტუციის დებულებებს, არამედ მთლიანობაში, არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ფლობს თუ არა რომელიმე საწარმოში წილს, ბაზარზე იგი საქმიანობს როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი და შესაბამისად, თანაბარ მდგომარეობაში უნდა იქნეს ჩაყენებული სხვა საწარმოებთან, რომლებშიც სახელმწიფოს წილი არ არის წარმოდგენილი. მაშინ, როდესაც სახელმწიფო თავად უნდა იყოს კონკურენციის დამცველი, ასეთი ტიპის ნორმის შემოღებით შესაძლოა თავად შეუწყოს ხელი მონოპოლიური წარმონაქმნების გაჩენას, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის შესაბამის დებულებებს.

მონმემ აღნიშნა, რომ სააღსრულებო ორგანო ხელმძღვანელობს კანონის მე-2<sup>1</sup> მუხლით. აღსრულება შეიძლება განხორციელდეს ამოღებული თანხებიდანაც და შესაძლებელია, რომ აღიძრას გაკოტრების საქმე. შეიძლება, გარკვეულ მომენტში, აღსრულება შეჩერდეს, მაგრამ შემდგომ იგი უნდა განახლდეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადაო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო შემდეგი მოსაზრებებით:

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაო ნორმის არაკონსტიტუციურობაზე მიანიშნებს მისი მიღების ისტორია. კანონში თავდაპირველად მე-2<sup>1</sup> მუხლი არ არსებობდა და ამ მუხლის

სადაო ნაწილით გათვალისწინებულ ობიექტზე აღსრულების მიქცევა ხდებოდა საერთო წესით.

შემდგომში, სადაო ნორმის მიღების საფუძველად, განმარტებით ბარათში მიჩნეულია ის, რომ აღსრულება უმრავლეს შემთხვევაში მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით. დაყადაღების საფუძველი ხშირად გაურკვეველია და ემსახურება ცალკეული კლანებისა თუ ძლიერი ფინანსური დაჯგუფებების ინტერესებს. ქონების რეალიზაცია ხდება მის რეალურ ღირებულებაზე ნაკლებად და ამ პროცესში არ არის დაცული სახელმწიფოს ინტერესები.

სასამართლოს მიაჩნია, რომ განმარტებით ბარათში მითითებული გარემოებები არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთ ფაქტორად, რასაც უნდა მოჰყოლოდა სადაო ნორმის მიღება. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, არ შეიძლება სამართალგამოყენების პროცესში არსებულმა დარღვევებმა ეჭვის ქვეშ დააყენოს სამართლის ნორმის არსებობა. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ვალდებულია იყენებდეს მის ხელთ არსებულ ყველა კანონიერ და გონივრულ საშუალებას ნორმის განხორციელების მიზნით – თავად ნორმის „დადანაშაულების“ პოლიტიკა ზიანს აყენებს სამართლებრივ სტაბილურობასა და სამართლებრივ წესრიგს, რაც სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. სამართალგანვითარება მიიღწევა არაეფექტიან და გაუმართლებელ ნორმებზე უარის თქმით და არა პოზიტიური სამართლებრივი ფასეულობებისაგან გაუცხოებით. სადაო ნორმის შენარჩუნების მთავარ მოტივად მიჩნეულია ის, რომ კრედიტორების მიზანმიმართული და პერმანენტული მცდელობები ეხება იძულებითი აღსრულების განხორციელებას მოვალე ენერგეტიკული ორგანიზაციების ანგარიშებისა და ქონების მიმართ. აღსანიშნავია

ის გარემოებაც, რომ პარლამენტის კომიტეტები საერთოდ კი არ უარყოფენ სადაო ნორმის გაუქმებას, არამედ მხოლოდ ამ ეტაპზე („მოცემულ ეტაპზე“) მიაჩნიათ ეს ნაადრევად ენერგეტიკის ობიექტების მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემული სარჩელების არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოში შემოვიდა ფიზიკური პირების ორი ისეთი სარჩელი, რომლებიც კვლავ სადაო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს ეხება. მართალია, ყოველი სარჩელის არსებითი განხილვისათვის მიღების საკითხი სასამართლოს დამოუკიდებელი მსჯელობა-შეფასების საგანია, მაგრამ თავისთავად, მსგავსი სარჩელების არსებობის ფაქტი, სადაო ნორმის მიმართ ფიზიკური და იურიდიული პირების ნეგატიური დამოკიდებულების მანიშნებელია.

სადაო ნორმა ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის იმ დებულებას, რომ „საკუთრება... აღიარებული და უზრუნველყოფილია“. ირღვევა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისი დებულებაც, რომ „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით“. კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა, უნინარეს ყოვლისა, გულისხმობს საკუთრების უფლების ყველასათვის თანაბრად აღიარებასა და უზრუნველყოფას, იმის მიუხედავად, თუ რა სახით ვლინდება საკუთრების უფლება – ფიზიკურ ნივთებზე უშუალო საკუთრების უფლებით თუ მოთხოვნის უფლებაზე საკუთრებით. მოსარჩელებს გააჩნიათ კონკრეტული სუბიექტების მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული მოთხოვნები, რომელთა უზრუნველყოფასაც აბრკოლებს სადაო ნორმა. მოთხოვნის უფლებაზე საკუთრება

აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. ამ სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საკუთრების ცნებას ევროპის კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის პირველ ნაწილში აქვს ავტონომიური მნიშვნელობა. იგი არ გულისხმობს მარტოდენ ფიზიკურ ნივთებზე საკუთრების უფლებას და ზოგიერთი სხვა უფლებები და სარგებელი, რომლებიც ქმნიან ქონებას, მაგალითად, მოთხოვნის უფლება, ასევე მიიჩნევა საკუთრების უფლებად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციით აღიარებული და უზრუნველყოფილი საკუთრება გულისხმობს ყველასათვის ერთიანი და თანასწორი საკუთრების უფლების დამკვიდრებას. კონსტიტუციამ უარი თქვა საკუთრების ფორმებზე და, შესაბამისად, პრივილეგიური მესაკუთრის ინსტიტუტზე. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლში ჩადებული საკუთრების იდეა სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, უფლებრივად ათანაბრებს სხვა მესაკუთრეებთან. ამის შესაბამისად ჩამოყალიბდა ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილში მოცემულია უმნიშვნელოვანესი დებულება, რომ „სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი“. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში პირთა თანასწორობის დაკანონებულმა პრინციპმა სახელმწიფო გაათანაბრა ამ ურთიერთობის სხვა სუბიექტებთან.

ასეთი სამართალგანვითარების პირობებში სადაო ნორმა გამოიყურება ერთგვარ უკან გადადგმულ ნაბიჯად. იგი ფაქტობრივად ხელს უწყობს საკუთრების ფორმების რეანიმაციას და პრივილეგიური მესაკუთრის ინსტიტუტის შემოღებას. სად-

აო ნორმის წყალობით სახელმწიფოსთან ერთად ასეთ პრიორიტეტულ მდგომარეობაში ექცევიან ის კერძო სანარმოებიც, რომლებშიც სახელმწიფოს აქციათა ან სანესდებო კაპიტალში წილის 50%-ზე მეტი გააჩნია. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სანარმოები, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, თანაბარ პირობებში უნდა იქნენ ჩაყენებული სხვა სანარმოებთან, რომლებშიც სახელმწიფოს წილი არ გააჩნია.

სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესში ასეთი პრივილეგიური სუბიექტების წარმოშობა ეჭვის ქვეშ აყენებს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების უპირობობას და საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების განხორციელების ზოგად პრინციპებს. აღნიშნული სუბიექტებისათვის უსაფუძვლო პრივილეგიების მინიჭება არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს და ენინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმოებისა და კონკურენციის განვითარებას“. სახელმწიფოს არა აქვს უფლება საკანონმდებლო ხელისუფლება გამოიყენოს იმგვარად, რომ ამით ხდებოდეს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპების უარყოფა, ვინაიდან სახელმწიფოც შეზღუდულია სამართლით. თანაბარი განვითარების შესაძლებლობის მიცემა გულისხმობს სამართლებრივად გამართლებულ თანაბარ პირობებში ჩაყენებას და არა ისეთი მდგომარეობის ყველა შესაბამისი სუბიექტისათვის დაკანონებას, რაც სადაო ნორმაშია მოცემული. ამიტომაც, სასამართლო ვერ გაიზიარებს იმ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც გენერაციის ობიექტები, ელექტროგამანაწილებელი და რეგიონალური გაზის ქსელები შეიძლება დაცული იქნეს

იძულებითი აღსრულებისაგან იმ პირობით, თუ ამგვარი დაცვა თანაბრად გავრცელდება ყველა შესაბამის მესაკუთრეზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია საკუთრების ფორმების აღდგენის ნებისმიერი გამოვლინება აღკვეთოს.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის წარმომადგენელთა იმ აზრს, რომ სადაო ნორმის არსებობა აუცილებელ საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება – სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი და ფაქტობრივად ლიკვიდირებული, უმოქმედო და გაჩერებული საწარმოები ჩაერთვება სამეურნეო ბრუნვაში და სახელმწიფო ბიუჯეტსაც გაუჩნდება დამატებითი სახსრები. მოვალისადმი ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი ინტერესების გონივრულ გამოვლინებად, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს მიზნის მიღწევის საშუალებათა სამართლიანობას, უგულვებელყოფს კრედიტორის ინტერესებს.

სახელმწიფო ვალდებულია საზოგადოებრივი ინტერესებით საკუთრების შეზღუდვის ყველაზე სწორი და ეფექტიანი გზა გამოიხსოს, რაც მძიმე ტვირთად არ დაანევა სამეურნეო ბრუნვის მხოლოდ ერთ მონაწილეს. მიუღებელია ერთი ასეთი მონაწილის საკუთრების გარანტიაზე უარის თქმა ბრუნვის მეორე მონაწილის საკუთრების სასარგებლოდ. სადავო ნორმაში სწორედ ისეთი ვითარებაა, როცა არ დასტურდება ანგარიშგასანევი საზოგადოებრივი ინტერესი პრივილეგიის შესანარჩუნებლად. სასამართლო არ გამორიცხავს გარკვეული კატეგორიის ქონებისადმი სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებებს, ამასთან, აღნიშნავს, რომ საკუთრების საზოგადოებრივი საჭიროება და შესაბამისად, სოციალური ფუნქცია არ შეიძლება განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით, თუ ვინ არის მესაკუთრე

სუბიექტი. საკუთრება, როგორც ფასეულობა, ავალდებულებს ნებისმიერ სუბიექტს – იქნება ეს სახელმწიფო, თუ კერძო პირი. ეს ვალდებულება უშუალოდ, საკუთრებიდან გამომდინარეობს. ამიტომაც, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს სადაო ნორმით განსაზღვრული ობიექტები, სოციალური ტვირთისაგან ისინი ვერ გათავისუფლდებიან.

სადაო ნორმის მიღებით გამონვეული სინამდვილე აკნინებს სამოქალაქო ბრუნვის იმ ფუძემდებლურ პრინციპს, რომლის თანახმადაც ვალდებულება უნდა შესრულდეს. შესრულებას აზრი დაეკარგებოდა, თუკი არ იქნებოდა გარანტირებული მისი დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის იძულებითი განხორციელება. მიუღებელია ისეთი მდგომარობის შექმნა, როცა უფლება ფორმალურად აღიარებულია, მაგრამ გაუმართლებლადაა გართულებული მისი განხორციელება – მით უმეტეს, როცა საქმე ეხება სასამართლოს მიერ აღიარებულ უფლებას. დაუშვებელია, როცა უფლება აღიარებულიცაა და იმავდროულად, უარყოფილიც. ფუნდამენტური უფლებებისადმი ასეთი დამოკიდებულება აბრკოლებს სამოქალაქო ბრუნვას, რაშიც თავის სერიოზულ გამოვლინებას პოულობს საკუთრების კონსტიტუციით აღიარებული უფლება.

გარდა ამისა, 21-ე მუხლის დარღვევა პირდაპირ კავშირშია კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებასთან. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული პრეცედენტია, როცა სასამართლოსადმი მიმართვაში გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაც ივარაუდება. მართლაც, ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების, მით უფრო დარღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

საქმეზე – „ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა: სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ასევე მოიცავს კანონზომიერ ვარაუდსაც, რომ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებას პატივს სცემენ ხელისუფლების ეროვნული ორგანოები და შესაბამისად, აღასრულებენ კიდეც“ (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რჩეული გადაწყვეტილებები, ტ. II, თბ., 2003. გვ. 265). შეიძლება ითქვას, რომ უფლების განხორციელება – აღსრულებაშია ამ უფლების ნამდვილი შინაარსი. სხვანაირად, ნებისმიერი უფლება მართოდენ დეკლარაციულ ხასიათს შეიძენდა. უფლებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ბევრს ავალდებულებს სახელმწიფოს... სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ვალდებულება აღსრულების პროცესში ითვალისწინებდეს მოვალის ინტერესებსაც. ეს კი გულისხმობს კრედიტორის ინტერესების სრულად დაკმაყოფილების მიზნით პირველ რიგში მოვალის ისეთ ქონებაზე გადახდევინების მიქცევას, რაც ყველაზე ნაკლებად მტკივნეული იქნება მოვალისათვის და ვალის გასტუმრების შემდეგაც მისცემს მას ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობას. აღსრულების პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულება სააღსრულებო წარმოებათა კანონის გონივრული განმარტებიდან უნდა გამომდინარეობდეს. კანონმდებელმა აღსრულების ქონებრივი სივრცე ისე არ უნდა დაავიწროვოს, რომ ამით შეუძლებელი აღმოჩნდეს აღსრულება. ასეთ ვითარებაში ეფექტის მომტანი ვერ იქნება სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენება, რაზედაც მიუთითებს მოპასუხე მხარე.

თუკი აღსრულების ობიექტია წრიდან სადაო ნორმით გათვალისწინებული ქონების ამორიცხვა იმითაა ნაკარნახევი, რომ ხელი შეეწყოს საწარმოთა გამოცოცხლება-გაჯანსაღებას და



ამგვარად სამოქალაქო ბრუნვაში მათ ჩართვას, მაშინ გაუგებარია – ამ მიზნებისათვის სეკვესტრი რითია ხელის შემშლელი. მოქმედი კანონმდებლობა სეკვესტრს განიხილავს, როგორც აუქციონის უწყინარ ალტერნატივას, როცა ქონების რეალიზაცია კი არ ხდება, არამედ მისი სამართავად გადაცემა. საკითხავია, რატომ უნდა ლახავდეს ამ ობიექტების მეპატრონეთა ინტერესებს კარგი მმართველისათვის მათი გადაცემა.

სასამართლო არ დაეთანხმა მოპასუხეს ასევე იმაში, რომ სასამართლომ არ უნდა იმსჯელოს სამართალგამოყენებითი პრაქტიკის შესახებ. ეს პრაქტიკა სასამართლოს სჭირდება იმდენად, რამდენადაც მისი შესწავლა აუცილებელია სადაო ნორმის კონსტიტუციურობის შესაფასებლად. მოსარჩელები სწორედ რომ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების თვალსაზრისით ასაბუთებენ სადაო ნორმის არაკონსტიტუციურობას. სწორედ ამ მიზნით წარმოადგინეს მათ საერთო სასამართლოების მრავალი გადაწყვეტილება, რომლებშიც მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მაგრამ აღსრულება არ ხდება. სამართალგამოყენებითი პრაქტიკა სასამართლო კოლეგიას იმ მხრივაც აინტერესებს, რომ სადავო ნორმის მოქმედებამ დაძაბა და კალაპოტიდან ამოაგდო შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობები. მისი შედეგები განსაკუთრებით ნეგატიურად აისახა ვალდებულებათა შესრულებაზე.

**მუხლი 3. სააღსრულებო დანესებულებები**  
**მუხლი 4. აღსრულების ეროვნული ბიურო**  
**მუხლი 5. სააღსრულებო ბიურო**

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მიღებით მანამდე არსებული სააღსრულებო წარმოების სისტემა გარდაიქმნა.

კანონის მიღებამდე სააღსრულებო წარმოება სსსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით წესრიგდებოდა. იძულებითი აღსრულება ეკისრებოდა სასამართლო აღმასრულებელს, რომელიც შედიოდა სასამართლოთა სისტემაში და მოქმედებდა სასამართლოს კონტროლქვეშ. დროულად და სწორად აღსრულებაზე საერთო პასუხისმგებლობა სასამართლოს ევალებოდა. კანონით შეიქმნა სააღსრულებო დანესებულებები, რომელთაც აკისრიათ სასამართლოთა გადაწყვეტილებების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების ვალდებულება. სააღსრულებო ბიუროს ფუნქცია კანონით ზუსტადაა განსაზღვრული და მან უნდა უზრუნველყოს სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოქმედებების სააღსრულებო ფურცელთან ზუსტ შესაბამისობაში აღსრულება. აღსრულების პირველი უზრუნველმყოფი სწორედ სააღსრულებო ბიუროა. სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, მისი არსებობის მიზნების, ფუნქციების, სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოობისა და მხარის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღსრულება, რა დროსაც სააღსრულებო ბიურომ მისთვის კანონით მინიჭებული ყველანაირი შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს და აღსრულების საკითხს ფორმალურად არ უნდა მიუდგეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-412-728-09 განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება სააღსრულებო ბიუროს მიერ ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს ვალდებულებას. ამასთან, სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა უზრუნველყოფილია სათანადო კანონებით, არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებათა ნებაყოფლობით აღსრულების პრეზუმფცია, რაც ამავდროულად გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ სასამართლო ორიენტირებული იყოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების იძულებით (და არა ნებაყოფლობით) აღსრულებაზე.

სააღსრულებო დაწესებულებებია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ავტ. რესპუბლიკათა იუსტიციის სამინისტროების ტერიტორიული ორგანოები – სააღსრულებო ბიუროები. ცალკეულ შემთხვევაში აღსრულებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით (იხ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის XI კარი).

სააღსრულებო დაწესებულებათაგან სააღსრულებო ბიუროები შექმნილია (შედიან) იუსტიციის სამინისტროს ორგანოთა სისტემაში. სასამართლოები ისევ განაგრძობენ აღსრულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის განხილვას, მაგრამ აღსრულების ორგანოების (სააღსრულებო დაწესებულებების) საქმიანობაზე კონტროლი და დროულად და სწორად აღსრულებაზე საერთო პასუხისმგებლობა სასამართლოს მოეხსნა. აღმასრულებლების საქმიანობა წესრიგდება კანონით. სასამართლოსთან მიმართებაში მოქმედებს ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ აღსრულების საკითხებთან დაკავშირე-

ბულ სასამართლოს საქმიანობას (სააღსრულებო ფურცლისა და მისი დუბლიკატის გაცემას, აღსრულების ხანდაზმულობის ვადის აღდგენას, სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვის პროცედურას და სხვა).

მიმაჩნია, რომ კანონის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სააღსრულებო წარმოების ყველა სუბიექტი აღსრულების პროცესში მათი როლისა და საქმიანობის მიზნის მიხედვით ხუთ ჯგუფად იყოფა: 1) იძულებითი აღსრულების ორგანოები (სააღსრულებო დანესებულებები, კერძო აღმასრულებელი); 2) მხარეები (კრედიტორი და მოვალე); 3) პირები, რომლებიც უშუალოდ არიან ვალდებულები შეასრულონ (აღასრულონ) აღსრულებას ქვემდებარე აქტებში გათვალისწინებული მოთხოვნები; 4) დამხმარე პირები; 5) სასამართლო.<sup>4</sup>

იძულებითი აღსრულების ორგანოები (სააღსრულებო დანესებულებები) მოიცავს აღმასრულებლებს და მთლიანად სააღსრულებო დანესებულებებს იმ უფლებამოსილებათა გათვალისწინებით, რა უფლებამოსილებებიც მინიჭებული აქვთ ამ დანესებულებათა თანამდებობის პირებს სააღსრულებო წარმოების სტადიაზე საკითხების გადასაწყვეტად. ამ ორგანოთა მნიშვნელობაზე ხაზგასმულია როგორც ქართული სასამართლოების, ისე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავს, სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება

4 ქყონია ზ., სააღსრულებო წარმოების სუბიექტები. უზრუნველ მართლმსაჯულება და კანონი №1(32), 2012 წ.

აღსრულება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას<sup>5</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაში საქმეზე №ბს-206-205 (უს-16) 11 მაისი, 2016 წ. განმარტებულია, რომ სააღსრულებო ბიურო სააღსრულებო პროცესში არ გვევლინება დამოუკიდებელ მხარედ, მას არ აქვს დამოუკიდებელი, პირადი ინტერესი აღსრულების მიმდინარეობის (შეჩერების, შეწყვეტის და სხვ.) თუ დამდგარი შედეგის მიმართ, აღსრულების ეროვნული ბიურო, რომელიც აღსრულებას უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით, აღსასრულებელი გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულების პროცედურებს ახორციელებს. აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით აღსრულების ქვემდებარე აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგი ხორციელდება არსებულ რეალობაში.

საქმეში – შპს „იზა“ და მ-ძე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო საქართველოს წინააღმდეგ აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

5 Hornsby, cited above, §§ 40 and seq.

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2009 წლის 7 სექტემბრის განჩინებაში საქმეზე №ას-710-1011-09 7 განჩინებაში განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულოება დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს (საქმეში ერთვება სააღსრულებო ბიურო). თუ პირი, რომლის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის 2005 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ბს-174-135-კ-05 თვლის, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის ნორმების არასწორი ინტერპრეტაცია და სააღსრულებო მოქმედებათა სრულებით სხვა სამართალურთიერთობის ფორმის – ხელშეკრულებად კვალიფიცირება, უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით კატასტროფული შედეგი – მართლმსაჯულების აღუსრულებლობა, მაშინ როცა, ჯეროვანი და ეფექტური მართლმსაჯულება მიიღწევა არა ოდენ სასამართლოს მიერ კონკრეტული კონფლიქტების გადაწყვეტის, არამედ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონშესაბამისი, დროული აღსრულების უზრუნველყოფით, რაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 17.5. მუხლის მიხედვით, აღმასრულებლის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს. კანონის განსახილველი მუხლები იძლევა პასუხს კითხვაზე იმის შესახებ, თუ სახელმწი-

ფოს რომელმა ორგანოებმა უნდა აღასრულონ სასამართლო აქტები და სხვა ორგანოთა აქტები, ვინ ხელმძღვანელობს ამ ორგანოებს (დანესებულებებს), კონკრეტულად ვის აკისრია ეს ვალდებულებები და რა სამართლებრივი სტატუსი აქვს აღნიშნული აქტების აღსრულების ფუნქციის განმახორციელებელ თანამდებობის პირებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-412-728-09 განმარტავს, რომ სააღსრულებო ბიუროს ფუნქცია კანონით მკაცრადაა განსაზღვრული და მან უნდა უზრუნველყოს აღსასრულებლად გადაცემულ სასამართლო აქტში – სააღსრულებო ფურცელში განსაზღვრული მოქმედებების ზუსტ შესაბამისობაში აღსრულება. აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაუზუსტებლობა კი იწვევს აღმასრულებლის მხრიდან მისი განმარტების აუცილებლობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი).

კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სააღსრულებო დოკუმენტების (კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა) იძულებითი აღსრულება ეკისრება აღმასრულებლებს.

სააღსრულებო ბიუროები ორგანიზაციისა და თანადაქვემდებარების მიხედვით ვერტიკალური ხასიათისაა, რომლებსაც ხელმძღვანელობს უფროსი აღმასრულებელი – ბიუროს უფროსი. რეგიონალურ დონეზე (ავტ. რესპუბლიკებში) მოქმედებენ საქართველოს სუბიექტების იუსტიციის ორგანოების სააღსრულებო ბიუროები. უფროს აღმასრულებლებს თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ ავტ. რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები კანონით დადგენილი წესით. სწორედ სააღსრულებო ბიუროები უშუ-

ალოდ უზრუნველყოფენ სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულებას ადგილებზე. ამრიგად, იძულებითი აღსრულების ორგანოთა სისტემა გასულია ადგილებზე შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების ორგანიზაციული დაქვემდებარებიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ქმნის (განსაზღვრავს) სააღსრულებო ბიუროების სისტემას (მე-3 მუხლი), ხოლო ავტ. რესპუბლიკებში სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავენ ავტ. რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანოთა სისტემის შემადგენელი რგოლია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო (იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეული), რომლის ხელმძღვანელს – თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

უფროს აღმასრულებელს აღმასრულებელთა შემადგენლობიდან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის წარდგინებით.

თავის საქმიანობას სააღსრულებო ბიურო ახორციელებს კანონის, საქართველოს ნორმატიული აქტების და სააღსრულებო ბიუროს დებულების საფუძველზე.

უფროს აღმასრულებელს ევალება იმ ბიუროს მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და კონტროლი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს და მასვე ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა აღმასრულებელზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე. უფროსი აღმასრულებელი კოორდინაციას უწევს აღმასრულებლის



მოქმედებებს. სააღსრულებო ბიუროს უფროსი სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშის განმკარგველია.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, უფროსი აღმასრულებელი (ბიუროს უფროსი) ახორციელებს სააღსრულებო წარმოება-თა შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სპეციალურ უფლებამოსილებებს. ერთ-ერთი ასეთი უფლებამოსილება გათვალისწინებულია მე-15<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტით (აცილების/თვითააცილების საკითხის გადაწყვეტა). გარდა ამისა, უფროსი აღმასრულებელი აღმასრულებელს აძლევს არასამუშაო და ღამის საათებში სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაზე წერილობით ნებართვას და სხვ. უფროსმა აღმასრულებელმა უნდა უზრუნველყოს აღსასრულებელი აქტების სწრაფად და რეალურად აღსრულება.

### **აღმასრულებელი**

კანონი გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს აღმასრულებლის თანამდებობაზე დასანიშნ პირს. აღმასრულებელი საჯარო მოსამსახურეა. აქედან გამომდინარე აღმასრულებლის თანამდებობაზე დანიშვნისას „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“ კანონის გარდა, გათვალისწინებული უნდა იქნეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-17 მუხლების მოთხოვნები (შეზღუდვები).

აღმასრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის ზოგიერთ პირობაზე მითითებულია კანონის მე-6-9-ე მუხლებში.

აღმასრულებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს. იმისათვის, რომ პირი დაინიშნოს აღმასრულებლად, მას თავისი საქმიანი და პირადი თვისებებით, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება

უნდა შეეძლოს. აღმასრულებლად არ შეიძლება დაინიშნოს ნა-სამართლობის მქონე პირი.

კანონის შესაბამისად, აღმასრულებლის თანამდებობის დაკავება უნდა მოხდეს კონკურსის წესით. ამ თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია უმაღლესი იურიდიული განათლების ქონა. სხვადასხვა აქტების იძულებითი წესით აღსრულება, იურიდიული საქმიანობის ურთულესი სფეროა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. ამ აქტების აღსრულების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვალიფიციური იურიდიული საქმიანობა სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

აღმასრულებელი მუშაობას შეუდგება და უფლებამოსილებას (სააღსრულებო მოქმედებებს) ახორციელებს თავის სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელიც მას განესაზღვრება თანამდებობაზე დანიშვნისას (შესაბამისი ბრძანებით). ამასთან, კანონის მე-17 მუხლის მე-11 პუნქტი, აღმასრულებელს უფლებას აძლევს, თუ ეს აუცილებელია, მისი ქვემდებარე სააღსრულებო საქმის წარმოებისას სააღსრულებო მოქმედება სხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზეც განახორციელოს.

აღმასრულებლის საქმიანობა შეუთავსებელია საჯარო სამსახურში სხვა საშტატო თანამდებობასთან (აღმასრულებლის საქმიანობის სამსახურებრივი შეზღუდვები).

- მუსლი 6. (ამოღებულია)**
- მუსლი 7. (ამოღებულია)**
- მუსლი 8. (ამოღებულია)**
- მუსლი 9. (ამოღებულია)**
- მუსლი 10. (ამოღებულია)**
- მუსლი 11. (ამოღებულია)**
- მუსლი 12. (ამოღებულია)**
- მუსლი 13. (ამოღებულია)**
- მუსლი 14. (ამოღებულია)**
- მუსლი 14<sup>1</sup>. აღსრულების პოლიციის სამმართველო**
- მუსლი 14<sup>2</sup>. აღსრულების პოლიციელი**
- მუსლი 14<sup>3</sup>. (ამოღებულია)**
- მუსლი 14<sup>4</sup>. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება**
- მუსლი 14<sup>5</sup>. აღსრულების პოლიციელის სოციალური დაცვა**

კანონით მკაფიოდ განისაზღვრა აღმასრულებლის მიერ თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისას პოლიციის მუშაკთა როლი.

მაგალითად, თუ მოვალე წინააღმდეგობას გაუწევს აღმასრულებელს, რის გამოც იგი ვერ განახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, აღმასრულებელს შეუძლია მოიწვიოს სააღსრულებო პოლიციის მუშაკი. სააღსრულებო პოლიციის მუშაკი აღმასრულებელს ეხმარება იმ შემთხვევაში, როცა მას სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაში ხელს უშლიან (დაბრკოლებას უქმნიან), ან აღმასრულებლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება (იხ. მე-14<sup>3</sup> მუხლი).

სააღსრულებო წარმოების შესახებ ძველად მოქმედ ინსტრუქციაში, დაკონკრეტებული იყო აღმასრულებლისათვის წინააღმდეგობის განწევის და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაში ხელის შეშლის შემთხვევები, კერძოდ, მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დროს. ინსტრუქცია ითვალისწინებდა, რომ მოვალის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, დაუშვას აღმასრულებელი მოვალის მიერ დაკავებულ სათავსოში ან მისი ქონების ადგილსამყოფელში, ან გახსნას საცავი, აღმასრულებელი იწვევს შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებს, რომელთა თანდასწრებით ხსნის სათავსს და საცავს და აწარმოებს მათ დათვალიერებას.

ამრიგად, პოლიციის მუშაკი ვალდებულია, აღმასრულებელს დაეხმაროს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს წარმოშობილი დაბრკოლების თავიდან აცილებაში.

პოლიციის მუშაკების მიერ აღმასრულებლისათვის დახმარების აღმოჩენა მის მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულების დროს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის გარდა, ეფუძნება პოლიციის კანონით გათვალისწინებულ საერთო დებულებებს. პოლიციის ძირითადი ამოცანაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. პოლიცია ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს აღმასრულებელსაც ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა წარმოებაში. ამრიგად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებისას აღმასრულებლისთვის დახმარების განწევით, პოლიციის მუშაკები ხელს უწყობენ სააღსრულებო წარმოების ეფექტიანობისა და შედეგიანობის ამაღლებას.

სააღსრულებო წარმოებაში პოლიციის მუშაკების მონაწილეობა არ ამოიწურება მხოლოდ აღმასრულებლისათვის დახ-

მარების აღმოჩენით მის მიერ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს. მნიშვნელოვანი როლი აქვთ პოლიციის მუშაკებს მოვალის ძეგნის წარმოების დროს. კანონის 30-ე მუხლის თანახმად, შინაგან საქმეთა ორგანოები ახორციელებენ მოვალის ძეგნას მოვალის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, ან როცა იგი სპეციალურად თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას. მოვალის ძეგნა ხორციელდება მოსამართლის განჩინების საფუძველზე. გარდა ამისა, კანონით არ არის აკრძალული და შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს მიმართოს არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს, არამედ აგრეთვე პროფესიონალ კერძო დეტექტივსაც.

**მუხლი 14<sup>6</sup>.** კერძო აღმასრულებელი  
**მუხლი 14<sup>7</sup>.** კერძო აღმასრულებლის კომპეტენცია  
**მუხლი 14<sup>8</sup>.** სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის  
გაცემა  
**მუხლი 14<sup>9</sup>.** სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის  
გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები  
**მუხლი 14<sup>10</sup>.** განცხადება სააღსრულებო საქმიანობის  
ლიცენზიის მისაღებად  
**მუხლი 14<sup>11</sup>.** კერძო აღმასრულებლის რეგისტრაცია  
კერძო აღმასრულებელთა რეესტრში და მის მიერ  
სააღსრულებო საქმიანობის დაწყება  
**მუხლი 14<sup>12</sup>.** სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა  
**მუხლი 14<sup>13</sup>.** სააღსრულებო საქმიანობის უფლების  
შეჩერება  
**მუხლი 14<sup>14</sup>.** სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის  
გაუქმება  
**მუხლი 14<sup>15</sup>.** სააღსრულებო საქმიანობის უფლების  
შეჩერების ან სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის  
გაუქმების შემთხვევაში შეჩერებული საქმეების  
აღსრულების წესი  
**მუხლი 14<sup>16</sup>.** კერძო აღმასრულებლის პასუხისმგებლობა  
**მუხლი 14<sup>17</sup>.** საზღაური  
**მუხლი 14<sup>18</sup>.** აღსრულების პოლიციის მონაწილეობა  
კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო საქმიანობაში  
**მუხლი 14<sup>19</sup>.** კერძო აღმასრულებლის აცილების  
საფუძვლები, აცილების წესი და თვითააცილება

კანონში შეტანილი დამატებების შესაბამისად, განისაზღვრა კერძო აღმასრულებლის მიერ სასამართლო აქტების

აღსრულების შესაძლებლობა. სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების დროს წარმოშობილი ურთიერთობები, სახელისუფლებო, საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებია, ამიტომ კერძო (არასახელმწიფო) სუბიექტის მონაწილეობას ამ აქტების იძულებით აღსრულებაში, როგორც წესი, არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით დადგენილია გარკვეული შემთხვევები, როდესაც სასამართლო აქტები და სხვა ორგანოთა აქტები შეიძლება იმ კერძო აღმასრულებლებმა აღასრულონ, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი ამ საქმიანობის განსახორციელებლად და გააჩნიათ სათანადო ლიცენზია. იმდენად, რამდენადაც კერძო აღმასრულებლები მატერიალურად არიან დაინტერესებული თავიანთი საქმიანობის შედეგებით, ამდენად აღასრულებენ სასამართლო აქტებს და სხვა ორგანოთა აქტებს უფრო სწრაფად და უფრო ხარისხიანად, ვიდრე აღსრულების ეროვნული ბიუროს სისტემაში შემავალი აღმასრულებლები. ეს განამტკიცებს კრედიტორთა უფლებების დაცვის გარანტიებს სააღსრულებო წარმოებაში.

როდესაც საუბარია აღსრულების ქვემდებარე აქტის კერძო აღმასრულებლის მიერ აღსრულების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილების საკითხზე, აუცილებელია იმ საქმეთა კატეგორიების სათანადო ანალიზი, რომლებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც იძულებით აღსრულებას ექვემდებარება, იმ ურთიერთობათა ხასიათისა და სტრუქტურის სათანადო ანალიზი, რომლებიც წარმოიშობა სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების დროს, აგრეთვე კერძო აღმასრულებლის მიერ სასამართლო აქტების იძულებითი აღსრულების განხორციელების შესაძლებლობის სათანადო ანალიზი.

უნინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს, შესაძლებელია თუ არა, კერძო აღმასრულებელმა მონაწილეობა მიიღოს ყველა სასამართლო აქტის და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულებაში, თუ არსებობს ამ მხრივ რაიმე ობიექტური ხასიათის შეზღუდვა. არსებობს სასამართლო აქტების განსაზღვრული ჯგუფი (შემდგომში მას ჩვენ ვუნოდებთ პირველ ჯგუფს), რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საერთოდ არ შეიძლება იძულებით აღსრულდეს კერძო (არასახელმწიფო) სუბიექტის მიერ. მაგალითად, ერთი ფიზიკური პირისაგან ქონების იძულებითი ამოღების და მეორისათვის გადაცემის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დროს, იმ შემთხვევაში, როცა მოვალე უარს ამბობს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებაზე, საჭიროა იძულება. იძულების საჭიროებას შეიძლება ადგილი ექნეს ასევე საცხოვრებელი ფართიდან ფიზიკური პირის გამოსახლების შესახებ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დროს, აგრეთვე სხვა უამრავი სასამართლო აქტის და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების დროს. კერძო აღმასრულებელს იძულებითი ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილება არ გააჩნია, რაც ნიშნავს, რომ არ შეუძლია ასეთი გადაწყვეტილებების აღსრულება.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ იქ, სადაც გადაწყვეტილების აღსასრულებლად აუცილებელია იძულება და აქედან გამომდინარე, სახელისუფლებო უფლებამოსილებებიც, კერძო აღმასრულებელს არ ძალუძს სააღსრულებო წარმოების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება.

კანონისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოიკვეთოს სასამართლო აქტების დამოუკიდებელი ჯგუფი,



რომელთა აღსრულებაშიც კერძო აღმასრულებელს საერთოდ არ შეუძლია მონაწილეობის მიღება.

სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების მეორე ჯგუფი მოიცავს ყველა იმ აქტს, რომელთა აღსრულებაშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია კერძო აღმასრულებელს და იღებს კიდევ მონაწილეობას.

იმისათვის, რომ სრული და სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ მეორე ჯგუფის სასამართლო აქტების აღსრულებაში კერძო აღმასრულებლის მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ, აუცილებელია სააღსრულებო წარმოებაში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობების ხასიათისა და სტრუქტურის გარკვევა.

სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულება ეტაპობრივად ხორციელდება (ეტაპობრივად მიმდინარეობს). ეს ეტაპებია: სააღსრულებო წარმოების დაწყება, აქტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ მოვალისათვის წინადადების მიცემა, მოვალის კუთვნილი ქონების აღწერა (დაყადაღება), ქონების ამოღება, მისი რეალიზაცია, ამოღებული (რეალიზაციით ამოღებული) ფულის კრედიტორისათვის გადახდა. სააღსრულებო წარმოების მოცემული ეტაპები არ წარმოადგენენ სტანდარტულ ეტაპებს. მაგალითად, აღიშენების გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება სპეციფიკური და მისთვის დამახასიათებელი ეტაპების გავლით მიმდინარეობს. თავისი ეტაპები გააჩნია, ასევე, საცხოვრებელი ფართიდან ფიზიკური პირის გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას და ა.შ. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამა თუ იმ კონკრეტული კატეგორიის საქმეზე გამოტანილი აქტების აღსრულების თავისებურებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერი სააღსრულებო წარმოება

მიმდინარეობს ეტაპობრივად (სტადიების გავლით).

დღესდღეობით, კერძო აღმასრულებელს ყველა სტადიაზე (ეტაპზე) არ შეუძლია მეორე ჯგუფის აქტების აღსრულებაში მონაწილეობა. კერძოდ, მას აქვს სააღსრულებო წარმოების დანყების უფლება, მაგრამ არ შეუძლია მოვალის ძეგნის გამოცხადება. მას აქვს უფლება აწარმოოს მოვალის ქონების დაყადალება, მისგან ამ ქონების იძულებითი ამოღება, შეასრულონ სხვა მოქმედებები, რომლებიც თავისი სამართლებრივი ბუნებით საჯარო-სამართლებრივი ხასიათისაა.

ამასთან, ზოგიერთი თავისი მნიშვნელობით საკმაოდ მნიშვნელოვანი მოქმედება, რომლებიც, როგორც წესი, სააღსრულებო წარმოების საბოლოო ეტაპების შინაარსს შეადგენს, არ არის სახელისუფლო (საჯარო) ხასიათის და სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ასეთს უნდა მივაკუთვნოთ მოვალის ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება: აუქციონის ჩატარება, ქონების რეალიზაცია საკომისიო საწყისებზე. მიუხედავად ამისა, ამ მოქმედებათა შესრულება არ შეუძლია კერძო აღმასრულებელს.

სასამართლო აქტის აღსრულების დროს აღმასრულებლის საქმიანობას და კერძო აღმასრულებლის (იმ შემთხვევაში, როცა იგი აღსრულებაში მონაწილეობს) საქმიანობას, ერთი მიზანი აქვს. თუმცა, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, (სააუქციონო მომსახურების განევა და სხვა.) წარმმართველი და მაკოორდინირებელი როლი აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და მის სისტემაში შემავალ აღმასრულებელს გააჩნია.

## **მუხლი 15. სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირები**

მხარეთა და მათ წარმომადგენელთა გარდა, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობენ სხვა პირები, კერძოდ, 1) დამხმარე პირები, 2) პირები, რომლებიც უშუალოდ არიან ვალდებულნი შეასრულონ (აღასრულონ) აღსრულებას ქვემდებარე აქტებში გათვალისწინებული მოთხოვნები, 3) სასამართლო.

მოცემული ნორმით განსაზღვრულ სააღსრულებო წარმოების მონაწილე პირთაგან შესაბამის ნორმებში განხილული გვაქვს კრედიტორისა და მოვალის, აღმასრულებლისა და კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტები. ამიტომ, ამ ნორმის განმარტებისას შევეხეთ მარტოოდენ სხვა პირებს.

### **დამხმარე პირები**

იმ პირებს, რომლებიც ეხმარებიან აღმასრულებელს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაში, მიეკუთვნებიან სხვადასხვა სუბიექტები. ესენი არიან: თარჯიმანი, დამსწრე, სპეციალისტი, ქონების შემნახველი, მმართველი სეკვესტრის დროს, შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკი და სხვა პირები, რომლებიც ახორციელებენ განსაზღვრულ ვალდებულებებს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებასთან დაკავშირებით. მათი ფუნქციაა იძულებითი აღსრულების ორგანოებისათვის და მხარეთათვის დახმარების აღმოჩენა სააღსრულებო წარმოების მიზნების მისაღწევად. სააღსრულებო წარმოების მიზანი კი არის აღსრულების ქვემდებარე აქტით დადასტურებული უფლებების რეალურად აღდგენა.

კანონი ადგენს აღნიშნული პირების სავალდებულო მონაწილეობის შემთხვევებს განსაზღვრული სააღსრულებო მოქ-

მედებების შესრულების დროს. მაგალითად, დამსწრეთა ყოფნა (დასწრება) სავალდებულოა იმ სადგომის (სათავსის) და საცავის გახსნასთან დაკავშირებული სააღსრულებო მოქმედებების შესრულების დროს, რომლებიც დაკავებული აქვს მოვალეს ან სხვა პირებს ან ეკუთვნის მოვალეს ან სხვა პირებს, აგრეთვე სავალდებულოა იმ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს, რომლებიც უკავშირდება მოვალის ქონების დათვალიერებას, დაყადაღებას, ამოღებას და კრედიტორებისათვის გადაცემას (მე-17 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტები, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი და სხვა). სხვა შემთხვევებში კი დამსწრეთა მონვენვა ხდება აღმასრულებლის შეხედულებით.

### **თარჯიმნის მონაწილეობა სააღსრულებო წარმოებაში**

სასამართლო და სხვა აქტების აღსრულებისას დამხმარე პირებს მიეკუთვნებიან თარჯიმნები. თარჯიმანს სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობის მიღება იმ შემთხვევაში შეუძლია, როცა რომელიმე მხარემ არ იცის სააღსრულებო წარმოების ენა. თარჯიმანი შეიძლება მოიწვიოს როგორც იმ მხარემ, რომლისთვისაც აუცილებელია სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს მისი მომსახურება, ე.ი. მოიწვიოს როგორც დაინტერესებულმა მხარემ, ისე სააღსრულებო წარმოებაში თარჯიმნის მონაწილეობა აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს აღმასრულებელმა. აღმასრულებლისთვის ასეთი მოქმედება სავალდებულოა, ვინაიდან სააღსრულებო წარმოებაში თარჯიმნის მონაწილეობის უზრუნველყოფაზე უარის თქმა ეწინააღმდეგება საპროცესო სამართლის პრინციპებს და სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირთა უფლებების დაცვის საპროცესო გარანტიათა დარღვევას წარმოადგენს. აღმასრულებელმა აუცილებლად ყველა შემთხვევაში, როცა

აღსრულებაში მონაწილე პირს ესაჭიროება თარჯიმანი, უნდა მოინვიოს და დანიშნოს თარჯიმანი სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, თუ თავად მხარეებმა არ/ვერ უზრუნველყვეს მისი მონაწილეობა.

მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება დაცული სააღსრულებო წარმოების მხარეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები.

როდესაც თარჯიმნის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრას ვახდენთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთად შეიძლება იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, რომელიც ფლობს იმ ენას, რომლის ცოდნაც აუცილებელია თარგმანისათვის. სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე თარჯიმანი აღჭურვილია განსაზღვრული უფლებებითა და ვალდებულებებით. მაგალითად, თარჯიმანს უფლება აქვს სახელმწიფოსგან მიიღოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსათვის.

აღსანიშნავია, რომ თარჯიმნისათვის გადახდილი გასამრჯელოს ხარჯები მიეკუთვნება სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების (ე.ი. აღსრულების) ხარჯებს. თარჯიმნის ვალდებულებაა, როგორც ზეპირად თქმულის, ისე დოკუმენტების სწორად თარგმნა. ამ ვალდებულების შესრულება გარანტირებული უნდა იყოს არასწორი თარგმნის გამო თარჯიმნისათვის პასუხისმგებლობის დაწესებით. ასეთი პასუხისმგებლობა უნდა დადგინდეს კანონით. თუმცა დღეს ასეთი პასუხისმგებლობა სისხლის სამართალს კანონმდებლობით დადგენილი არ არის. ის გამოიყენება თარჯიმნის ანალოგიური მოქმედებებისათვის მხოლოდ გამოძიების წარმოების ან სასამართლოში საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს. აქედან გამომდინარე, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე თარჯიმნის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამოყენება შეგნებ-

ულად არასწორი თარგმანისათვის შესაძლებელი გახდება მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.

### **სააღსრულებო წარმოებაში დამსწრეთა მონაწილეობა**

თანამედროვე პერიოდში ქონებრივი ხასიათის იძულებითი აღსრულების ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება, რომელიც მოვალის მიმართ გამოიყენება, არის გადახდევინების მიქცევა მოვალის ქონებაზე, რაც წარმოებს ამ ქონების დაყადაღებისა და რეალიზაციის გზით. იძულებითი აღსრულების მოცემული ღონისძიების გამოყენება აღმასრულებლისათვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს. აღმასრულებელმა უნდა უზრუნველყოს დამსწრეთა ყოფნა (დასწრება) მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების წარმოების დროს. სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებას ესწრებიან ფიზიკური პირები. ფიზიკური პირის გარდა, სხვა ვერავინ შეასრულებს დამსწრის ფუნქციას, ვერავინ მიიღებს დამსწრის სახით მონაწილეობას სააღსრულებო მოქმედებების შესრულებისას.

დამსწრეთა მონაწილეობა სავალდებულოა იმ სადგომის (სათავსოს) და საცავის გახსნასთან დაკავშირებული სააღსრულებო მოქმედებების შესრულების დროს, რომლებიც დაკავებული აქვს მოვალეს (მოვალეებს) ან სხვა პირებს ან ეკუთვნით მოვალეს ან სხვა პირებს, ასევე სავალდებულოა მოვალის ქონების დათვალიერებასთან, აღწერასთან, დაყადაღებასთან, ამოღებასა და კრედიტორისათვის გადაცემასთან დაკავშირებული სააღსრულებო მოქმედებების შესრულების დროს.

სხვა შემთხვევაში დამსწრე მოიწვევა აღმასრულებლის შეხედულებით. დამსწრედ შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს და რომელიც

არ არის დაინტერესებული სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებით და დამსწრე პირები არ უნდა იმყოფებოდნენ ერთმანეთთან ან სააღსრულებო წარმოების მონაწილეებთან ნათესაურ დამოკიდებულებაში, დაქვემდებარებაში ან კონტროლს დაქვემდებარებული.

ამრიგად, მანამ, სანამ აღმასრულებელი დამსწრეებს (დამსწრეთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ორ პირზე ნაკლები) მოიწვევს მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, იგი ვალდებულია დამსწრეთა მიმართ გამოარკვიოს შემდეგი საკითხები: ასაკი, მათი დაინტერესება სააღსრულებო მოქმედებებით, ერთმანეთთან და სააღსრულებო წარმოების სხვა მონაწილეებთან ნათესაობა, შესაძლო დაქვემდებარება და კონტროლს დაქვემდებარება ერთი მეორის მიმართ, აგრეთვე განუმარტოს მათ უფლებები და ვალდებულებები.

ეს უფლება-ვალდებულებებია: დამსწრე ვალდებულია შესაბამისი სააღსრულებო მოქმედების აქტში თავისი ხელმოწერით დაადასტუროს იმ სააღსრულებო მოქმედების შესრულების ფაქტი, შინაარსი და შედეგები, რომლის შესრულებასაც თავად ესწრებოდა. დამსწრეს უფლება აქვს იცოდეს რომელი სააღსრულებო მოქმედებების შესასრულებლად მოიწვევა იგი, რომელი სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე სრულდება ეს მოქმედებები, აგრეთვე გამოთქვას შენიშვნები შესრულებული მოქმედებების შესახებ. დამსწრის შენიშვნები შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისი სააღსრულებო მოქმედების შესრულების შესახებ აღმასრულებლის მიერ შედგენილ აქტში. დამსწრის სურვილით აღნიშნული შენიშვნები შესაბამის აქტში მის მიერ შეიძლება შეტანილი იქნეს თავისი ხელით. დამსწრეს უფლება-მოვალეობები აღმასრულებლის მიერ განემარტება იმ სააღსრულებო მოქმედებათა დაწყებამდე, რომლებშიც მონაწ-

ილეობს დამსწრე. დამსწრეს აქვს მის მიერ დამსწრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით განეული ხარჯების კომპენსაციის უფლება. დამსწრის ეს უფლება დიდ ყურადღებას იმსახურებს.

დამსწრის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით განეულ ხარჯებს უნდა მივაკუთვნოთ: 1) სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ადგილზე გამგზავრების (მგზავრობის) ხარჯები; 2) საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები; 3) დღიური თანხა; 4) სამუშაოდან ან ჩვეულებრივი საქმიანობიდან მოცდენის გასამრჯელო, თუ დამსწრე არ არის მუშაკი ან მოსამსახურე, რაც გამოითვლება სამსახურებრივი მივლინებებისათვის დადგენილი დღიური თანხის ოდენობით.

ზემოთ მითითებული ხარჯები მიეკუთვნება სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების (ე.ი. აღსრულების) ხარჯებს და უდავო წესით გადახდება მოვალეს (იხ. 38-ე და 39-ე მუხლების კომენტარი).

### **სპეციალისტის მონაწილეობა სააღსრულებო წარმოებაში**

სპეციალისტი აღმასრულებელს სასამართლო და სხვა აქტების აღსრულებაშიც ეხმარება. სპეციალისტმა ხელი უნდა შეუწყოს სააღსრულებო მოქმედებათა სწორად წარმოებას და სააღსრულებო წარმოებაში მხარეთა უფლებების დაცვას. სპეციალისტი სააღსრულებო წარმოებაში იმ შემთხვევაში მონაწილეობს, როცა სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს წარმოშობილი საკითხების განსამარტავად საჭიროა სპეციალური ცოდნა. ამიტომ სპეციალისტად შეიძლება დაინიშნოს სპეციალური ცოდნის მქონე პირი. სპეციალისტის მონაწილეობა ან აღმასრულებლის ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით. აუცილებლობის შემთხვევა-



ში მოიწვევა (ინიშნება) რამდენიმე სპეციალისტი. სპეციალისტი დასკვნას წერილობითი ფორმით იძლევა.

მოქმედ კანონმდებლობაში განმტკიცებულია დებულება, რომლის თანახმადაც მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში აუცილებლად მიეთითება აქტში შეტანილი თითოეული საგნის ცალკე შეფასება და მოვალის მთელი აღწერილი ქონების ღირებულება (იხ. 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი). ამიტომ სააღსრულებო წარმოებაში სპეციალისტი ხშირად მონაწილეობს მოვალის იმ დაყადაღებული ქონების შეფასების მიზნით, რომელიც შემდგომ რეალიზებული უნდა იქნეს. პრაქტიკა მოწმობს, რომ ქონების შეფასების დროს მხარეთა შორის ხშირად უთანხმოება წარმოიშობა, ხოლო სხვადასხვა სახის ქონების შესაფასებლად, მაგალითად, სამრეწველო მოწყობილობების, შენობების, ნაგებობების, ავტოტრანსპორტის, ფასიანი ქაღალდების შესაფასებლად აღმასრულებელს არ ჰყოფნის სპეციალური ცოდნა. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ქონების შეფასება თვითონ აღმასრულებლის მიერ, ქმნის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საფრთხეს, რაც გამოიხატება მოვალის იმ ქონების მეტისმეტად (უსაფუძვლოდ) შემცირებულ შეფასებაში, რომლის რეალიზაციაც უნდა განხორციელდეს.

კარგი იქნებოდა, თუ კანონით დადგინდებოდა იმ ქონების სახეობები, რომელთა მიმართ დამოუკიდებელი პროფესიონალური შეფასების ჩატარება სპეციალისტის მიერ სავალდებულოა, მაგალითად, სავალუტო ფასეულობების, ფასიანი ქაღალდების, საიუველირო ნაკეთობების, ანტიკვარიატის, ხელოვნების ნაწარმოებების და ა.შ. შესაფასებლად, რომლებზეც ხდება გადახდევინების მიქცევა, რათა ზუსტად განისაზღვროს შეფასების ობიექტის ღირებულება.

რაც შეეხება სპეციალისტის სამართლებრივ მდგომარეობას, მას საალსრულებო წარმოებაში გააჩნია კანონით განსაზღვრული უფლებები და აკისრია ვალდებულებები. კერძოდ, მას უფლება აქვს წარადგინოს განცხადებები და დასკვნები, რომლებიც შეტანილი უნდა იქნეს აღნიშნულ დოკუმენტში, აგრეთვე მოითხოვოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოსათვის.

სპეციალისტისათვის გადახდილი გასამრჯელო მიეკუთვნება საალსრულებო მოქმედებათა შესრულების (აღსრულების) ხარჯებს.

ქონების შეფასებისას სპეციალისტს უფლება აქვს მიიღოს განმარტებანი და დამატებითი ცნობები, რომლებიც აუცილებელია შეფასების განსახორციელებლად, მოითხოვოს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მისი დაშვება სრული შეფასების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტაციასთან; მოითხოვოს (გამოითხოვოს) ნერილობითი ან ზეპირი ფორმით მესამე პირებისაგან შეფასების ჩასატარებლად აუცილებელი ინფორმაცია იმ ინფორმაციის გარდა, რომელიც სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. რაც შეეხება სპეციალისტის ვალდებულებებს: იგი ვალდებულია გამოცხადდეს აღმასრულებლის მიერ დაბარების საფუძველზე, მისცეს ობიექტური დასკვნა დასმულ კითხვებზე, აგრეთვე ახსნა-განმარტებანი მის მიერ შესრულებული მოქმედებების შესახებ.

სპეციალისტ-შემფასებელი ვალდებულია აღმასრულებლის მოთხოვნით წარუდგინოს მას პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი; აცნობოს აღმასრულებელს შეფასების ჩატარებაში თავისი მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ, თუკი სახეზეა გარემოება, რომელიც აფერხებს (ხელს უშლიან მას) ობიექტური შეფასების ჩატარებაში; უზრუნველყოს აღმასრულებლისაგან და მესამე პირებისაგან მიღებუ-

ლი დოკუმენტების დაცულობა, არ გაახმაუროს შეფასების ჩატარების დროს აღმასრულებლისაგან მიღებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა და სხვა.

ქონების შემფასებელთა გარდა, სააღსრულებო წარმოებაში შეიძლება მონაწილეობდნენ სხვა სპეციალისტებიც. მაგალითად, აღწერისა და დაყადაღების დროს აღმოჩენილი ქონების ისტორიული და მხატვრული ღირებულების განსაზღვრის მიზნით, როდესაც ქონებას ასეთი ღირებულება გააჩნია, აგრეთვე მისი შენახვის პირობების განსაზღვრის მიზნით ხდება შესაბამისი სპეციალისტის ან სპეციალიზებული ორგანიზაციის ჩაბმა.

აღსანიშნავია, რომ კანონის X თავი ადგენს მოვალისადამი, როგორც მესამე პირთა მიმართ კრედიტორისადამი კუთვნილი უფლებების (მოთხოვნების) დაყადაღებისა და რეალიზაციის წესს, რომლებიც მას ეკუთვნის მესამე პირთა შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებების საფუძველზე. ასეთი ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, მაგალითად, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების გადახდის, შესრულებული სამუშაოს ან განეული მომსახურების (დებიტორული დავალიანების) ანაზღაურების საფუძველზე და სხვა. მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დროს შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი ყველა იმ უფლებადამდგენი (მოთხოვნის დამდგენი) დოკუმენტის ანალიზის ჩასატარებლად, რომლებიც განსაზღვრავენ დებიტორულ დავალიანებას, მოვალის შესაბამისი დებიტორული დავალიანების ნამდვილად არსებობის და ლიკვიდურობის შესაფასებლად, იმის განსაზღვრად – დაცულია თუ არა დებიტორული დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტის ყველა სავალდებულო რეკვიზიტი.

სააღსრულებო წარმოებაში სპეციალისტის სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ სააღსრულებო მოქმედებათა წარმოების დროს სპეციალისტის მიერ თავისი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება პრაქტიკულად არაფრით არ არის უზრუნველყოფილი. ისევე, როგორც თარჯიმანს, სპეციალისტს ან ექსპერტსაც ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ყალბი დასკვნისათვის გამოძიების წარმოების ან საქმის სასამართლოში განხილვისა და გადაწყვეტის დროს. ანალოგიური მოქმედებებისათვის სპეციალისტის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სააღსრულებო წარმოებაში კანონით გათვალისწინებული არ არის.

**პირები, რომლებიც უშუალოდ არიან ვალდებული  
შეასრულონ (აღასრულონ) აღსრულებას ქვემდებარე  
აქტებში გათვალისწინებული მოთხოვნები**

სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობენ ასევე პირები, რომლებიც უშუალოდ არიან ვალდებული შეასრულონ (აღასრულონ) აღსრულებას ქვემდებარე აქტებში გათვალისწინებული მოთხოვნები არიან, მაგალითად, საგადასახადო ორგანოები, საბანკო და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები, საფინანსო ორგანოები (ხაზინა), იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, შსს სსიპ მომსახურების სააგენტო (დანვრილებით იხ. წინამდებარე ნაშრომის მე-17 მუხლის კომენტარებში).

**სასამართლო**

კანონის მიღების შემდეგ სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების ფუნქცია

სააღსრულებო ბიუროებს დაეკისრათ. სააღსრულებო ბიუროები ორგანიზაციულად შედიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანოების სისტემაში. შესაბამისად, სასამართლო ნაკლებ როლს თამაშობს სააღსრულებო წარმოებაში. მიუხედავად იმისა, რომ სააღსრულებო წარმოება ორგანიზაციულად აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა გამგებლობას მიეკუთვნება, სასამართლოს სააღსრულებო წარმოებაში შეუნარჩუნდა მთელი რიგი არსებითი და უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად, სააღსრულებო ფურცლის გაცემიდან დაწყებული, სააღსრულებო წარმოების შეწყვეტით დამთავრებული.

სასამართლოს აკისრია როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, ისე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის (სსსკ-ის 271-ე მუხლი) ვალდებულება. სარჩელის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტები გადაწყვეტილების მომავალში აღსრულების გარანტიას წარმოადგენენ. ამასთან, აღმასრულებელი აღასრულებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, რომელიც სააღსრულებო ფურცელში გადაიტანება. დიდწილად სწორედ სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირების სისწორესა და სიზუსტეზე არის დამოკიდებული სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების სისწრაფე და შედეგიანობა.

სააღსრულებო წარმოებაში სასამართლოს უფლებამოსილებები ოთხ ჯგუფად იყოფა: 1) სააღსრულებო დოკუმენტის (ფურცლის) ან ერთ სასამართლო აქტზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი (სააღსრულებო ფურცლის, ასევე მისი დუბლიკატის გაცემა, სააღსრულებო დოკუმენტის გადასახ-

დევინებლად, ანუ აღსასრულებლად. წარდგენის გაშვებული ვადის აღდგენის საკითხების გადაწყვეტა); 2) სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები (სააღსრულებო მოქმედების, ე.ი. აღსრულების გადადება, განაწილვადება, გადავადება, სააღსრულებო წარმოების შეჩერება და შეწყვეტა); 3) აღსრულების დროს გამოვლენილი სასამართლო გადაწყვეტილების ხარვეზების გამოსასწორებლად სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებანი (გადაწყვეტილების განმარტება, აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლა, უსწორობისა და აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორება); 4) აღმასრულებლის (მათ შორის ბიუროს უფროსის) და აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის საქმიანობაზე, მის მოქმედებებზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, რასაც სწორედ სასამართლო ახორციელებს. მათი განხორციელება ხდება შემდეგი ფორმით: აღმასრულებლის უმოქმედობასა და მოქმედებებზე დაინტერესებულ პირთა მიერ შეტანილი სარჩელის განხილვისა და გადაწყვეტის გზით, ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის განხილვის გზით, თავმჯდომარის გადაწყვეტილებებზე შეტანილი საჩივრების (სარჩელების) განხილვის გზით. ამრიგად, საერთო იურისდიქციის სასამართლოებს აკისრიათ აღმასრულებლის მოქმედებებზე სასამართლო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება. ასეთი უფლებამოსილება მათ აქვთ ნებისმიერი სახის სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების დროს. სასამართლოებს ასევე მინიჭებული აქვთ მთელი რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტის უფლება კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

## მუხლი 15<sup>1</sup>. სააღსრულებო წარმოების მხარეები

სააღსრულებო წარმოების მხარეებია კრედიტორი და მოვალე, რომლებიც წარმოშობილი სამართალურთიერთობების (სააღსრულებო წარმოების) ძირითადი სუბიექტებია (მონაწილეებია) და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მათ გარეშე არანაირი სააღსრულებო წარმოება არ შეიძლება არსებობდეს. კრედიტორისა და მოვალის გარეშე სააღსრულებო წარმოებაში წარმოშობილი სამართალურთიერთობები აზრს დაკარგავდა. მხარეთა იურიდიულ მოქმედებებზეა დამოკიდებული სამოქალაქო პროცესის მოცემული სტადიის მიმდინარეობა. მათ, როგორც სააღსრულებო მოქმედებების შედეგებით მატერიალურად დაინტერესებულ პირებს, მინიჭებული აქვთ განკარგვითი უფლებები, რომლებიც უკავშირდება სააღსრულებო წარმოების დაწყებას, მიმდინარეობას და შეწყვეტას. მაგალითად, სააღსრულებო წარმოების დაწყება, როგორც წესი, ხორციელდება კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის (სააღსრულებო დოკუმენტის) აღსასრულებლად წარდგენის გზით. კრედიტორს უფლება აქვს ითხოვოს სააღსრულებო მოქმედებათა გადადება. მას შეუძლია უარი თქვას გადახდევინებაზე, ითხოვოს სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნება, მოვალეს შეუძლია სააღსრულებო დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ ნებაყოფლობით შესრულება, მხარეებს შეუძლიათ მორიგდნენ.

მხარეებად სააღსრულებო წარმოებაში შესაძლებელია იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები (ორგანიზაციები). ფიზიკურ პირში იგულისხმება, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე უცხოელი მოქალაქეები, აპატრიდები და ბიპატრიდები. იურიდიულ პირებში (ორგანიზაციებში) იგულისხმება საქართველოს, აგრეთვე უცხოური, საერთაშორისო, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მოქ-

მედებენ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ადრე მოქმედ კანონმდებლობაში გამოკვეთილი იყო გადანაცვეტილებათა და სხვა აქტების აღსრულების თავისებურებანი ფიზიკურ პირთა მიმართ და სხვადასხვა იურიდიული პირის მიმართ. დღეს მოქმედ კანონში, აღსრულების ამგვარი გამიჯვნა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ, არ არსებობს, თუმცა გამოკვეთილია მოვალე საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა და მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციების ქონებაზე გადახდევინების მიქცევის თავისებურებანი (92-ე და 92<sup>1</sup>- ე მუხლები).

სააღსრულებო წარმოებაში მხარედ აგრეთვე შეიძლება გამოვიდეს საქართველო, საქართველოს სუბიექტები, ან ადგილობრივი ორგანოები.

**კრედიტორია** ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია, რომლის სასარგებლოდაც გაცემულია სააღსრულებო დოკუმენტი. კრედიტორი ცდილობს სასამართლო ან სხვა ორგანოს აქტით დადასტურებული თავისი უფლების იძულებით განხორციელებას. კრედიტორი უნდა განვასხვაოთ თავისი წარმომადგენლისაგან. წარმომადგენელი სააღსრულებო წარმოებაში მოქმედებს კრედიტორის სახელით და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე. მას შეუძლია მოითხოვოს სასამართლო აქტის იძულებითი აღსრულება, მიიღოს სააღსრულებო დოკუმენტით კრედიტორისათვის მიკუთვნებული ქონება ან ფული, თუ ეს უფლებამოსილებანი სპეციალურად არის დათქმული მინდობილობაში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სააღსრულებო მოქმედებების შესრულება ხდება კრედიტორის სასარგებლოდ და მისივე ინტერესებში და არა თავისი წარმომადგენლის სასარგებლოდ.

**მოვალეა** ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ვალდებულია სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე შეასრუ-



ლოს განსაზღვრული მოქმედებები (გადასცეს კრედიტორს ფული ან სხვა ქონება, შეასრულოს სხვა ვალდებულება ან აკრძალვა, რომელიც კი გათვალისწინებულია სააღსრულებო დოკუმენტით) ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან.

**სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე მხარე (კრედიტორი და მოვალე) არ უნდა გავაიგივოთ სამოქალაქო პროცესში მონაწილე მოსარჩელესთან და მოპასუხესთან.**

ჩვეულებრივ, კრედიტორი სააღსრულებო წარმოებაში ხდება მოსარჩელე, ხოლო მოვალე-მოპასუხე. მაგრამ ყოველთვის როდი ემთხვევა ერთ პირში ერთი მხრივ მოსარჩელე და კრედიტორი, ხოლო მეორე მხრივ, მოპასუხე და მოვალე. მოსარჩელე ხდება კრედიტორი, ხოლო მოპასუხე მოვალე მხოლოდ სასამართლოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნათა დაკმაყოფილების დროს. ამასთან, შესაძლებელია სახეზე იყოს საპირისპირო შემთხვევა – მაგალითად, როდესაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელეს დაეკისრა სასამართლო ხარჯების გადახდა, ასევე როცა დაკმაყოფილდა მოპასუხის შეგებებული სარჩელი (შეგებებული მოთხოვნა) მოსარჩელის წინააღმდეგ.

მსგავს შემთხვევებში მხარეთა მდგომარეობა სააღსრულებო წარმოებაში იცვლება: სააღსრულებო წარმოების ფარგლებში კრედიტორი ხდება მოპასუხე, ხოლო მოვალე – ყოფილი მოსარჩელე.

გარდა ამისა, არ შეიძლება კრედიტორისა და მოვალის და მოსარჩელისა და მოპასუხის გაიგივება იმ საფუძველზე, რომ სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორად და მოვალედ შეიძლება იყოს არა მხოლოდ სამოქალაქო პროცესში მონაწილე პირი, არამედ მრავალი სხვა პირიც, რომელთა მიმართაც კანონის თანახმად აღმასრულებელი ახორციელებს სხვადასხვა

სააღსრულებო დოკუმენტის (კანონის მე-2 მუხლი) იძულებით აღსრულებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სააღსრულებო წარმოებაში “კრედიტორის” ცნება გაცილებით და მნიშვნელოვნად უფრო ფართოა, ვიდრე “მოსარჩელის” ცნება, ხოლო “მოვალის” ცნება უფრო ფართოა, ვიდრე “მოპასუხის” ცნება. ეს იმით აიხსნება, რომ სააღსრულებო წარმოებაში აღსრულება არა მხოლოდ სასამართლო აქტები, არამედ აგრეთვე სხვა ორგანოთა აქტებიც (მაგალითად, იმ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, ანუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და მიიღოს ეს აქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე და სხვა).

სააღსრულებო წარმოებაში დასაშვებია თანამონაწილეობა. სააღსრულებო წარმოებაში თანამონაწილეობა – ეს არის ერთ წარმოებაში რამდენიმე კრედიტორის და რამდენიმე მოვალის მონაწილეობა, რომელთა უფლებები და მოვალეობები არ გამოირჩევა ერთიმეორეს. თანამონაწილეობას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ან კრედიტორის მხარეზე, ან მოვალის მხარეზე, ან ერთდროულად როგორც კრედიტორის, ისე მოვალის მხარეზე.

თანამონაწილეები დამოუკიდებლები არიან ერთიმეორისაგან, ე.ი. თითოეული მათგანი მეორე მხარის მიმართ სააღსრულებო წარმოებაში დამოუკიდებლად მონაწილეობს და მათ შეუძლიათ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედების საკუთარი შეხედულებით შესრულება. სააღსრულებო წარმოებაში მხარეთათვის მინიჭებული ზოგადი (საერთო) უფლებების გარდა, თანამონაწილეებს დამატებით მინიჭებული აქვთ უფლება, თავიანთი რიგებიდან შეარჩიონ და სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობა და თავიანთი ინტერესების წარ-

მოდგენა ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ. წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა გაფორმდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

მართალია წარმომადგენელი წარმოადგენს დანარჩენ თანამონაწილეთა ინტერესებს სააღსრულებო წარმოებაში, მაგრამ ასეთი წარმომადგენლის მონაწილეობა ხელს არ უშლის სხვა კრედიტორებსა და მოვალეებს დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ ვალდებულებები სააღსრულებო წარმოებაში.

სააღსრულებო წარმოებაში რამოდენიმე კრედიტორის მონაწილეობამ, თანამედროვე პერიოდში დიდი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბებისა და მრავალნაირი საფინანსო კომპანიის შექმნის გამო, მოსახლეობა ხშირად მასობრივად კარგავს სხვადასხვა საინვესტიციო ინსტიტუტში დაბანდებულ ფულს. საფინანსო და საფონდო ბაზრებზე უკანონო მოქმედებათა შესრულების, აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების დარღვევის შედეგად, პრაქტიკისათვის უცხო არ არის ისეთი სააღსრულებო წარმოებები, რომლებშიც აუცილებელი გახდა უამრავი კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების რიგითობის დადგენა.

როგორც წესი, ზემოთ მითითებული კატეგორიის საქმეზე სასამართლოთა გადაწყვეტილებების აღსრულების დროს იძულებითი აღსრულების ორგანოთა წინაშე დგება ათასობით კრედიტორისათვის ზიანის ანაზღაურების პრობლემა, როდესაც უკიდურესად არასაკმარისია მოვალეთა ქონება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (82<sup>2</sup>-ე მუხლი) თუ მოვალისაგან გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის სააღსრულებო დოკუმენტებით დადგენილ კრედიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს თანხა კრედიტორთა შორის ნაწილდება

კანონის 82<sup>3</sup> მუხლით დადგენილი რიგის დაცვით. იმდენად, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში ყველა კრედიტორი მიეკუთვნება ერთი რიგის კრედიტორს, მოქმედებს წესი, რომლის შესაბამისადაც, თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითოეული კრედიტორისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად (82<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტი), მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთ სააღსრულებო წარმოებებში დროთა განმავლობაში შეიძლება გამოჩნდეს სხვა კრედიტორებიც, რომლებმაც მოგვიანებით, მაგრამ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში მიმართეს სათანადო ორგანოს თავიანთი დარღვეული უფლებების დასაცავად. ისმის კითხვა: ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა აღსრულდეს გადანყვეტილება ან სასამართლოს რამდენიმე გადანყვეტილება ისე, რომ არ დაირღვეს იმ პირთა უფლებები, რომლებმაც დაავგიანეს (დააყოვნეს) სასარჩელოს წარდგენა.

სწორი პრაქტიკული გადანყვეტა შემდეგში მდგომარეობს. აღმასრულებელმა თავდაპირველად უნდა დაადგინოს მოთხოვნათა ე.ი. პრეტენზიების საერთო თანხა, მათი საერთო ჯამი (ამისათვის მან უნდა იცოდეს მაგალითად მენაბრეთა რაოდენობა და თითოეული ანაბრის ოდენობა, მოცულობა პროცენტებითურთ), შემდეგ – მოვალისაგან რეალურად გადახდევინებული და გასანაწილებელი (გასაყოფი) თანხა. შემდგომ უნდა დადგინდეს ამ თანხების (პროცენტებში) თანაფარდობა და ამ პროცენტული თანაფარდობის შესაბამისად აწარმოოს გადახდა.

ასეთი გაანგარიშების (ანგარიშსწორების) დროს დგება „სარეზერვო ფონდი“, რომლიდანაც მოხდება ფულადი თანხის ხარჯვა იმ პირთა დაკმაყოფილებული განცხადებების გამო, რომელთაც სასამართლოებს მოგვიანებით მიმართეს.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ამონურვის (გასვლის) შემდეგ „სარეზერვო ფონდის“ ბოლო, დარჩენილი ნაწილი (ნაშთი) უნდა განაწილდეს კრედიტორთა შორის ანაბრების თანხების პროპორციულად. თუ გამოვლინდება მოვალის ახალი ქონება, მაშინ ისიც უნდა განაწილდეს მეანაბრეთა შორის. ასეთი პროცედურა ითვალისწინებს როგორც იმ პირთა ინტერესებს, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს, ისე იმ პირთა ინტერესებს, რომლებმაც არ მიმართეს მას, რადგან მათ თანაბარ მდგომარეობაში აყენებს და იმავდროულად, ხელს არ უშლის (არ აფერხებს) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას.

### **ცალკე აღნიშვნის ღირსია სააღსრულებო წარმოებაში არასრულწლოვანთა მონაწილეობის წესი.**

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკური პირი სრული ქმედუნარიანი ხდება მის მიერ 18 წლის ასაკის, ე.ი. სრულწლოვანების მიღწევისთანავე. ამ ასაკიდან დაწყებული იგი დამოუკიდებლად ახორციელებს თავის უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე, იგი დამოუკიდებლად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) მონაწილეობს სააღსრულებო წარმოებაშიც.

სრულწლოვანების მიღწევამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და ინტერესებს სააღსრულებო წარმოებაში იცავენ (ახორციელებენ) მათი კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები და სხვა პირები, რომელთაც ეს უფლება კანონით აქვთ მინიჭებული.

ამასთან, არასრულწლოვანსაც შეუძლია დამოუკიდებლად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებო წარმოებაში. ესენია ემანსიპირებული არასრულწლოვნები, თუ ისინი მაგალითად ეწევიან სამეწარმეო

საქმიანობას. ემანსიპირებული არასრულწლოვანის სამართლებრივი სტატუსი უთანაბრდება სრულწლოვანის სამართლებრივ სტატუსს, ამიტომ ასეთი არასრულწლოვანი თვითონ ახორციელებს თავის უფლებებს და ასრულებს ვალდებულებებს სააღსრულებო წარმოებაში.

7-დან 18 წლამდე არასრულწლოვნებს გააჩნიათ შეზღუდული ქმედუნარიანობა. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულების დროს სამოქალაქო, შრომითი სამართალური ერთობებიდან და მიღებული ხელფასის (შემოსავლის) განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებებიდან წარმოშობილ საქმეებზე, არასრულწლოვანებს შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ ვალდებულებები სააღსრულებო წარმოებაში. მათ დამოუკიდებლად, კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობის გარეშე შეუძლიათ განკარგონ თავიანთი ხელფასი, სტიპენდია და სხვა შემოსავლები, განახორციელონ მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოების გამოგონების ან ინტელექტუალური საქმიანობის სხვა შედეგის ავტორის უფლება, შეიტანონ ანაბარი საკრედიტო დაწესებულებებში და განკარგონ იგი, განახორციელონ შრომითი უფლებები, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო სამართალურთიერთობებში.

ამრიგად, სასამართლოს გადაწყვეტილების ან სხვა ორგანოს აქტის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების დროს ზემოთ მითითებული სამართალური ერთობებიდან წარმოშობილ საქმეზე, არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს ვალდებულებები სააღსრულებო წარმოება-

ში. ასეთ შემთხვევებში არასრულწლოვანი თვითონ გამოდის სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორად.

### **უფლებამონაცვლეობა სააღსრულებო წარმოებაში (დამატებით იხ. 24-ე მუხლის კომენტარი)**

სააღსრულებო წარმოებაში შესაძლოა აუცილებელი გახდეს მხარის შეცვლა მისი უფლებამონაცვლით. ეს ხდება სააღსრულებო წარმოებიდან მხარის გასვლის შემთხვევაში. როდის დაიშვება და როდის არ დაიშვება უფლებამონაცვლეობა სააღსრულებო წარმოებაში, ეს საკითხი სააღსრულებო წარმოებათა კანონით არ წესრიგდება. უფლებამონაცვლეობის ინსტიტუტი დადგენილია სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობით. დასახელებული კანონმდებლობის მიხედვით კი, უფლებამონაცვლეობა დაიშვება ფიზიკური პირის გარდაცვალების, იურიდიული პირის რეორგანიზაციის, მოთხოვნის დათმობის, ვალის გადაკისრების შემთხვევაში, ე.ი. იმ შემთხვევებში, როცა სამართალურთიერთობათა ერთ-ერთი სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები ზემოთ მითითებულ მიზეზთა გამო გადადის სხვა პირზე, რომელიც მანამდე მონაწილეობას არ ღებულობდა სააღსრულებო წარმოებაში. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი შეცვლის დროს, უფლებამონაცვლისათვის სააღსრულებო წარმოებაში მის შესვლამდე შესრულებული ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ დოზით, რა დოზითაც ისინი სავალდებულო იქნებოდა იმ მხარისათვის, რომელიც უფლებამონაცვლემ შეცვალა (ე.ი. წინამორბედისათვის).

სააღსრულებო წარმოებაში უფლებამონაცვლით მხარის შეცვლის საკითხი განიხილება სააღსრულებო წარმოებიდან გასული მხარის უფლებამონაცვლის, მონაწილედგე მხარის ან აღმასრულებლის განცხადების საფუძველზე. აღმასრულებ-

ელს არ შეუძლია სააღსრულებო წარმოებაში მხარის უფლებამონაცვლის დამოუკიდებლად განსაზღვრა. ეს ხორციელდება კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ. სააღსრულებო წარმოებაში უფლებამონაცვლით მხარის შეცვლის საკითხი განიხილება სასამართლო სხდომაზე. სხდომის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობებათ სააღსრულებო წარმოების მხარეებს და აღმასრულებელს. უფლებამონაცვლით მხარის შეცვლის ან შეცვლაზე უარის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სააღსრულებო წარმოების ერთ-ერთი მხარის უფლებამონაცვლით შეცვლის შემთხვევაში სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების პროცესი ხელახლა კი არ დაიწყება, არამედ გრძელდება აღმასრულებლის მიერ, რადგან უფლებამონაცვლისათვის სააღსრულებო წარმოებაში მის შესვლამდე შესრულებული ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ დოზით, რა დოზითაც ისინი სავალდებულო იქნებოდა უფლების წინამორბედისათვის.

დაბოლოს, იმდენად, რამდენადაც საუბარია სააღსრულებო წარმოების ფარგლებში სააღსრულებო დოკუმენტით მინიჭებული მოთხოვნის დათმობის შესახებ, შესაძლებელია სააღსრულებო დოკუმენტების ბაზარიც ჩამოყალიბდეს, რაც, ალბათ, გამოაცოცხლებს სააღსრულებო წარმოებას, კრედიტორებს საშუალებას მისცემს, თუნდაც რაღაცა მაინც მიიღონ ისე, რომ არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ლოდინი. მოთხოვნის დათმობა, მათ შორის სააღსრულებო დოკუმენტზე დაფუძნებული მოთხოვნის დათმობა, სააღსრულებო წარმოებაში შესაძლებელია მოცემული მოქმედების შესრულების საერთო წესების დაცვით (სამოქალაქო კოდექსის 198-ე 207-ე მუხლები).



## **მუხლი 15<sup>2</sup>. აღმასრულებლის აცილების საფუძველი, აცილების წესი და თვითაცილება**

კანონით დადგენილი საფუძველების არსებობისას აღმასრულებელს არა აქვს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების უფლება.

განსახილველი მუხლი, ერთი შეხედვით აცილების წესს და საფუძველებს ავრცელებს მხოლოდ აღმასრულებელზე, მაგრამ როგორც ცნობილია, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე პირებს, აღმასრულებლის გარდა, თარჯიმანი და სპეციალისტიც წარმოადგენს. ამიტომ მე-15 მუხლში მითითებული აღმასრულებლის აცილების საფუძველებითვე აცილებული უნდა იქნეს თარჯიმანი და სპეციალისტი სააღსრულებო წარმოებაში. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 31-ე და კანონის მე-15 მუხლების ანალიზის საფუძველზე, მით უმეტეს, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი საპროცესო კანონმდებლობას მიეკუთვნება. აღნიშნულ პირებს არა აქვთ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობის უფლება, თუ ისინი მხარეთა, მათ წარმომადგენელთა ან სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა პირთა ნათესავები არიან, ან რამენაირად (პირდაპირ ან არაპირდაპირ) დაინტერესებული არიან სააღსრულებო წარმოების (სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების) შედეგით, ან არსებობს სხვა გარემოებები, რომლებიც ეჭვს იწვევს მათ მიუკერძოებლობაში.

აცილების ზემოთ ჩამოთვლილი საფუძველების არსებობისას პირი, რომელზეც ვრცელდება აცილების მოთხოვნები (აღმასრულებელი, თარჯიმანი, სპეციალისტი) ვალდებულია ნებაყოფლობით განაცხადოს თვითაცილება. თუ ასაცილებელმა პირმა ნებაყოფლობით არ განაცხადა თვითაცილება, მაშინ ზემოთ

დასახელებული საფუძვლებითვე ასაცილებელ პირს (პირებს) აცილება შეიძლება განუცხადონ მხარეებმა (კრედიტორმა და მოვალემ), მათმა წარმომადგენლებმა. აცილება მოტივირებული უნდა იქნეს, ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით და განცხადებულ იქნეს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დაწყებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აცილების საფუძვლების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დაწყების შემდეგ.

**„სხვა გარემოებებში“**, რომლებიც ეჭვს იწვევს აღმასრულებლის, თარჯიმნის, სპეციალისტის მიუკერძოებლობაში, იგულისხმება მაგალითად სააღსრულებო წარმოების ერთ-ერთ მხარესთან ან მის ნათესავთან მათი პირადი მტრული დამოკიდებულება, ან, პირიქით, აღნიშნულ პირებს შორის მეგობრული დამოკიდებულება.

მოქმედ კანონმდებლობაში არაფერი არ არის ნათქვამი დამსწრის აცილების თაობაზე. თუმცა, კანონის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ დამსწრე არ უნდა იყოს დაინტერესებული სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაში, ის არ უნდა იყოს სააღსრულებო წარმოების მონაწილის ნათესავი, არ უნდა იმყოფებოდეს მის კონტროლქვეშ ან დაქვემდებარებაში, ასევე ამგვარ ურთიერთობებში დამსწრეები არ უნდა იმყოფებოდნენ ურთიერთშორის. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოთხოვნების დარღვევის დროს დამსწრე ასევე აცილებას ექვემდებარება ან ის ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ადრე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, აღმასრულებლის აცილების საკითხს წყვეტდა სასამართლო, შესაბამისი განჩინების გამოტანის გზით. დღეს კი, აღმასრულებლების უფლებამოსილებათა მნიშვნელოვნად გაფართოების გამო, აღმასრულებლის აც-

ილების საკითხს წყვეტს, უფროსი აღმასრულებელი (ბიუროს უფროსი), ხოლო თარჯიმნის, სპეციალისტის, ან დამსწრის აცილების საკითხს – თავად აღმასრულებელი. აცილების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება განმცხადებელს (იგულისხმება პირი, ვინც დააყენა აცილების საკითხი). კერძო აღმასრულებლის მიმართ კი დადგენილია სასამართლო გზით აცილების წესი.

ზემოაღნიშნული პირების აცილების შესახებ გადაწყვეტილებები მოტივირებული უნდა იქნეს. მაგრამ კანონში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომელი საპროცესო დოკუმენტით უნდა გაფორმდეს აღმასრულებლის ან უფროსი აღმასრულებლის მიერ აცილების საკითხის გადაწყვეტა. მიგვაჩნია, რომ აცილების საკითხები უფროსმა აღმასრულებელმა და აღმასრულებელმა, კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად ოქმით უნდა გადაწყვიტოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმასრულებლის აცილების საკითხის სათანადო საპროცესო გაფორმების გარეშე, მხარეები სააღსრულებო წარმოებაში ვერ შეძლებენ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, მათ შორის აღმასრულებლის აცილების დაკმაყოფილებაზე უარის გასაჩივრების უფლების განხორციელებას (დაცვას).

ბიუროს უფროსის გადაწყვეტილება აღმასრულებლის აცილების შემთხვევაში სხვა აღმასრულებლისათვის სააღსრულებო დოკუმენტის გადაცემის ან მისი სხვა სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნის საფუძველია, რასაც ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სააღსრულებო ბიუროს უფროსი.

მე-15<sup>2</sup> მუხლში საუბარია აცილების ან თვითაცილების შესახებ ბიუროს უფროსის გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. აქ იგულისხმება გადაწყვეტილება აღმასრულებლის აცილების დაკმაყოფილებაზე

უარის თქმის შესახებ. რაც შეეხება თავად აღმასრულებლის გადანყვეტილებას თარჯიმნის, სპეციალისტის ან დამსწრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ, ამ გადანყვეტილების გასაჩივრება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით გათვალისწინებული არ არის. ჩვენი აზრით, კანონის ზოგადი აზრიდან გამომდინარე, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს აღმასრულებლის მოქმედების (უმოქმედობის) სასამართლოში გასაჩივრებას, ასევე გასაჩივრებას ექვემდებარება აღმასრულებლის გადანყვეტილება თარჯიმნის, სპეციალისტის ან დამსწრის აცილებაზე უარის თქმის შესახებ.

## **მუხლი 16. (ამოღებულია)**

## **მუხლი 17. აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი**

აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოების ცენტრალური ფიგურაა, ვინაიდან კანონი მას აკისრებს სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების ფუნქციის უშუალოდ განხორციელების ვალდებულებას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღმასრულებლის, როგორც აღსრულების ორგანოს მოქმედების სფერო, არ მოიცავს სააღსრულებო წარმოების ყველა მხარეს. როგორც დავინახეთ, ცალკეულ შემთხვევაში, აღსრულება წარმოებს საგადასახადო ორგანოების მიერ (გადასახადის გადაუხდელი თანხის გადახდევინება) და სხვა ორგანოების მიერ, მაგრამ ყოველივე ეს გამონაკლისს შეადგენს. აღმასრულებელი – აღსრულების ძირითადი და სპეციალური ორგანოა. აღმასრულებელს უფლება აქვს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს სააღსრულებო წარმოების უამრავი საკითხი. აღმასრულებლის მხოლოდ ცალკეულ მოქმედებაზეა აუცილებელი უფროსი აღმასრულებლის ან სასამართლოს სანქცია სააღსრულებო დოკუმენტის ხასიათისდა მიხედვით.

აღსასრულებელი აქტების იძულებითი აღსრულების უზრუნველსაყოფად კანონი აღმასრულებელს მნიშვნელოვან ხელისუფლებით უფლებამოსილებებს ანიჭებს.

კერძოდ, სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების პროცესში აღმასრულებელს უფლება აქვს:

- 1) სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებისას მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია, ახსნა-განმარტება და ცნობები;
- 2) მისცეს დავალებები სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე

ფიზიკურ პირებს და ორგანიზაციებს კონკრეტულ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების საკითხებზე;

3) შევიდეს მოვალის მიერ დაკავებულ ან მის საკუთრებაში არსებულ სათავსში და საცავში, ან ბინაში, აწარმოოს აღნიშნული სათავსის და საცავის დათვალიერება; თუ აუცილებელია გახსნას ისინი;

4) ყადაღა დაადოს, ამოიღოს, შესანახად გადასცეს და გაყიდოს დაყადაღებული ქონება, იმ ქონების გარდა, რომელიც კანონის შესაბამისად ბრუნვიდან არის ამოღებული. სააღსრულებო დოკუმენტში მითითებული ოდენობით ყადაღა დაადოს მოვალის ფულად თანხებს და სხვა ფასეულობებს, რომლებიც იმყოფება ანგარიშებზე, ანაბარზე ან შესანახად ბანკში და სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში;

5) ამოღებული ქონების დროებით შესანახად მესაკუთრის თანხმობით გამოიყენოს სათავსი, შესაბამის პირებს დააკისროს მისი შენახვის ვალდებულება, გამოიყენოს კრედიტორის ან მოვალის ტრანსპორტი ქონების გადასატანად (გადასაზიდად) მოვალის ხარჯებით;

6) იმ სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მოთხოვნის ბუნდოვანების შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც უნდა შესრულდეს სააღსრულებო მოქმედებები, თხოვოს სასამართლოს ან სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სხვა ორგანოს, მისი აღსრულების წესის განმარტება;

7) იშუამდგომლოს მოვალის ძებნის გამოცხადების თაობაზე;

8) განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედება.

კერძოდ, აღმასრულებელი აბრუნებს სააღსრულებო დოკუმენტს ან უარს ამბობს წარმოებაში მის მიღებაზე, აწარმოებს მოვალის ქონების აღწერას, სასამართლო აქტის ან სხვა ორ-

განოს აქტის განმარტების მიზნით მიმართავს სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სასამართლოს ან სხვა ორგანოს, უფლება აქვს გადადოს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულება, ნიშნავს თარჯიმანს და სპეციალისტს, ნიშნავს დაყადაღებული ქონების შემნახველს, უფლება აქვს უარი თქვას გადანყვეტილების აღსრულებაზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და სხვ.

აღმასრულებელს თავისი ქვემდებარე სააღსრულებო საქმის წარმოებისას აუცილებლობის შემთხვევაში უფლება აქვს სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს სხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზეც.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ აღსრულებას ქვემდებარე აქტების აღსრულებას აღმასრულებელი აწარმოებს მოვალის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. თუ მოვალე იურიდიული პირია, მაშინ სააღსრულებო მოქმედებები სრულდება მისი ადგილსამყოფელის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით. სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მოთხოვნის აღსრულება, რომელიც მოვალეს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას ავალდებულებს, წარმოებს ამ მოქმედებათა შესრულების ადგილის მიხედვით.

ამასთან, აღმასრულებელს შეუძლია სააღსრულებო მოქმედებები შეასრულოს როგორც იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მისი ფუნქციები ვრცელდება, ისე სხვა ტერიტორიაზეც, თუ აღსრულების პროცესში წარმოიშვა ასეთი აუცილებლობა. თუ წარმოიშობა იმ ტერიტორიაზე სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების აუცილებლობა, რომელზეც არ ვრცელდება მოცემული აღმასრულებლის ფუნქციები, მაშინ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსვლისთანავე ერთი დღე-ღამის განმავლობაში ის ატყობინებს (აცნობებს) სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების

აუცილებლობის შესახებ შესაბამის სააღსრულებო ბიუროს, რომელიც ან დახმარებას აღმოუჩენს ამ აღმასრულებელს, ან უარს ეუბნება მას დახმარების განწევაზე, მაგრამ კანონი არ აძლევს უფლებას სხვა სააღსრულებო ბიუროს სააღსრულებო დოკუმენტის შემდგომი აღსრულება დახმარების განწევაზე უარის შემთხვევაში დაავალოს იმ აღმასრულებელს, რომელიც მოქმედებს მოცემულ ტერიტორიაზე. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში აღმასრულებელი არ არის ვალდებული გადასცეს სააღსრულებო დოკუმენტი სხვა სააღსრულებო ბიუროს სააღსრულებო მოქმედებათა შემდგომი შესრულების ადგილის მიხედვით.

თუ სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების პროცესში მოვალემ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი ან ადგილსამყოფელი ან თუ გამოირკვა, რომ მოვალის ქონება, რომელზეც შეიძლება გადახდევინების მიქცევა წინანდელი ადგილსამყოფელის მიხედვით, არ არსებობს ან იგი არ არის საკმარისი კრედიტორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, უფროსმა აღმასრულებელმა (ბიუროს უფროსმა) ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს აქტი და ამ აქტის ასლთან ერთად სააღსრულებო დოკუმენტი უნდა გადაგზავნოს სააღსრულებო ბიუროში მოვალის ახალი საცხოვრებელი ადგილის, მისი სამუშაო ადგილის, მისი ადგილსამყოფელის ან მოვალის ქონების ახალი ადგილსამყოფელის მიხედვით, რის შესახებაც იმადროულად იგი აცნობებს აგრეთვე კრედიტორს და აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ამასთან, კანონით არ არის განსაზღვრული ვადა, აქტის შედგენიდან რომლის განმავლობაშიც უნდა გადაიგზავნოს სააღსრულებო დოკუმენტი იმ სააღსრულებო ბიუროში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც გადავიდა მოვალე.

განსახილველი მუხლის საფუძველზე აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადანყვეტილების



(იგულისხმება ნებისმიერი სააღსრულებო დოკუმენტი) სწრაფად (დროულად), სრულად, სწორად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს თავიანთი უფლება-მოვალეობანი, დაეხმაროს მათ თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

სააღსრულებო დოკუმენტის რეალურად და დროულად (სწრაფად) აღსრულების ცნება კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული. კანონით მხოლოდ ცალკეულ პროცედურათა შესრულების ვადებია გათვალისწინებული. პარალელი შეიძლება გავავლოთ სამოქალაქო პროცესთან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (59-ე მუხლი) დადგენილია საქმის განხილვის ვადები. ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ ორთვიან ვადაში სააღსრულებო დოკუმენტის ფაქტობრივად აღსრულების შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ აღსრულება რეალურად და სწრაფად განხორციელდა.

ამიტომ, სააღსრულებო დოკუმენტის შესაბამისად, რომელიც წარდგენილია აღსასრულებლად, აღმასრულებელმა მისი სრულად განხორციელებისათვის ყველა კანონიერი ზომა უნდა მიიღოს.

სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების პროცესში აღმასრულებელი ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე ვალდებულია:

1. სააღსრულებო წარმოების მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს მისცეს სააღსრულებო წარმოების მასალების გაცნობის, მათგან ამონაწერების განხორციელების, ასლების გადაღების შესაძლებლობა;

2. განიხილოს სააღსრულებო წარმოების გამო შეტანილი მხარეთა განცხადებები და შუამდგომლობები, განუმარტოს მხარეებს გასაჩივრების ვადა და წესი;

3. განაცხადოს თვითაცილება, თუ ის დაინტერესებულია

სააღსრულებო წარმოების შედეგით ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

აღმასრულებელი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებებით ისარგებლოს კანონის შესაბამისად და თავის საქმიანობაში არ დაუშვას ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

4. სააღსრულებო კანონმდებლობა განსაზღვრავს არა მხოლოდ აღმასრულებლის უფლებამოსილებების მოცულობას, არამედ მისი მოქმედებების გასაჩივრების წესსაც. ადმინისტრაციული ორგანოსაგან სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულიად გადაცემა მხარემ უნდა მოითხოვოს საქართველოს კანონით სააღსრულებო წარმოებათა შესახებ დადგენილი პროცედურების დაცვის, ხოლო მის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება – შესაბამისი სარჩელის წარდგენით. აღმასრულებლის მიერ მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით (იხ. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი), რამდენადაც იძულებითი აღსრულების სისტემა შედის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. ამიტომ არასწორია სასამართლო პრაქტიკაში მითითებული განმარტება, რომლის თანახმადაც<sup>6</sup>, აღმასრულებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია და მის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208 მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „აღმასრულებლის მიერ აუქციონზე გატანილი ქონების თაობაზე მცდარი ინფორმაციის გამოქვეყნება მხოლოდ მაშინ წარმოად-

6 ბს-782-349(კ-05) 20 ოქტომბერი 2005წ.

გენს ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს, თუ აღმასრულებლის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ზიანის გამომწვევ უშუალო მიზეზს წარმოადგენდა.“<sup>7</sup>

### **აღმასრულებლის მოთხოვნათა სავალდებულობა**

იმდენად, რამდენადაც აღმასრულებელი თავისი ფუნქციების შესრულების დროს ხელისუფლების წარმომადგენელია, სასამართლო აქტების და სხვა სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულების მიზნით აღმასრულებლის ყველა მოთხოვნა, რომლებიც აღძრულია თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში, სავალდებულოა ყველა ორგანოს, ფიზიკური და იურიდიული პირისათვის მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თავისი ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი ინფორმაცია, დოკუმენტები და დოკუმენტების ასლები უსასყიდლოდ და დადგენილ ვადაში მიეცემა აღმასრულებელს თავისი მოთხოვნის საფუძველზე.

სასამართლო და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების მიზნით ზემოთ აღნიშნულ ორგანოთა, ორგანიზაციათა და პირთათვის **აღმასრულებლის მოთხოვნათა სავალდებულობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განპირობებულია აღსასრულებელი აქტების სავალდებულობით და აღსრულებადობით.**

საქართველოს კონსტიტუცია გარანტირებულს ხდის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა სახელმწიფოს მიერ (მათ შორის სასამართლო წესით) დაცვას.

დარღვეულ უფლებათა აღდგენა (დაცვა) არ იქნება ქმედითი, თუ სასამართლო აქტი ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტი დროულად არ აღსრულდება.

<sup>7</sup> განჩინება №ბს-237-182-კ-05 2005 წლის 18 მაისი.

სასამართლო აქტების სავალდებულობა, კონსტიტუციის გარდა, დადგენილია სსსკ-ის მე-10 მუხლით და საერთო სასამართლოების ორგანული კანონით. სასამართლო დადგენილებების შეუსრულებლობა, აგრეთვე სასამართლოსადმი სხვაგვარი უპატივცემულობის გამოვლენა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

**1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ მიუთითა, რომ უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო წესით დაცვის უფლება ილუზორული (არარეალური) გახდებოდა, თუკი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა დაუშვებდა, რომ საბოლოო, სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩენილიყო. ეს იქნებოდა კრედიტორისთვის საზიანო. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა, რომ ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, უნდა მივიჩნიოთ „სასამართლოს“ ხელშეუვალ და განუყოფელ ნაწილად<sup>8</sup>.**

კანონმდებლობამ აღმასრულებელს დააკისრა სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების ფუნქცია. ამ ფუნქციის შესრულება გულისხმობს მისი განხორციელების ადექვატური და თანაზომადი (შესაბამისი) საშუალებების და წესების (ხერხების) კანონით განსაზღვრას, მათ შორის, ასეთი ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების მინიჭებას სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების მიზნით. ამ უფლებამოსილებებს უნდა შეესაბამებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის მონაწილეთა და სხვა ფიზიკურ პირთა და ორგანიზაციების ვალდებულებები.

8 Hornsby v., Greece \_ Rec 1997-II, fasc. 33.

შედარებისათვის, ინტერესმოკლებული არ იქნება უცხოური პრაქტიკის გაცნობა და გათვალისწინება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, თავის 1979 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში განმარტავს შემდეგს: თანაზომადობის პრინციპის უგულვებელყოფა არღვევს გერმანიის ძირითადი კანონით გათვალისწინებულ პირის ძირითად უფლებებს. მართალია, ზოგადად, სამართლის საქმეა და უპირველესად, საერთო სასამართლოების განსასაზღვრია, სახეზეა თუ არა იძულებითი აღსრულების შეწყვეტის ან შეჩერების წინაპირობები, მაგრამ საერთო სასამართლოებს აქვთ კონსტიტუციურ სამართლებრივი პრინციპებისა და ძირითად უფლებათა გათვალისწინების ვალდებულება. ძირითადი უფლებები უზრუნველყოფილია კონსტიტუციით. სამართლებრივ სახელმწიფოში აღიარებული კონსტიტუციური პრინციპები და ასევე, მოთხოვნა, იმის შესახებ, რომ ყველა შემთხვევაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი ზემოაღნიშნული ძირითადი უფლებები, ვრცელდება შესაბამის საპროცესო კანონმდებლობაზეც და განსაკუთრებით – იძულებითი აღსრულების პროცედურებზე<sup>9</sup>. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება თანაზომადობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპს.. იმ შემთხვევაში, თუ მოვალისა და კრედიტორის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესთა ურთიერთშეფარდება მიგვიყვანს იმ შედეგამდე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოვალის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესი, რომლებიც უპირისპირდება იძულებითი აღსრულების წარმოებას, აშკარად და არსებითად გადასწონის იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ემსახურება სახელმწიფო სააღსრულებ-

9 წინამდებარე კომენტარში ავტორთა მიერ სწორედ ის აზრია გატარებული, რომ სააღსრულებო კანონმდებლობა საპროცესო კანონმდებლობაა. გერმანული სასამართლო პრაქტიკაც სწორედ ამგვარი ბუნების მქონედ მიიჩნევს სააღსრულებო კანონმდებლობას.

ბო მოქმედება და ღონისძიება, მაშინ შესაძლოა, რომ ამ შედეგის გაუთვალისწინებლობა და სახელმწიფოს მიერ ამგვარი ჩარევის განხორციელება არღვევდეს თანაზომადობის პრინციპს და ასევე – კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოვალის ძირითად უფლებას. პირველ რიგში, სასამართლოების მოვალეობაა მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას, რათა შეძლებისდაგვარად გამოირიცხოს კონსტიტუციის დარღვევა სააღსრულებო ღონისძიებებისა და მოქმედებების მეშვეობით, რაც შესაძლოა, გულისხმობდეს მოვალის მიერ შემოთავაზებული მტკიცებულებების ზედმინევენით განხილვას, რომლებშიც მითითებულია მისი ძირითადი უფლებების დარღვევის საფრთხეზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საფრთხე, რომელიც სერიოზულად ემუქრება ძირითად უფლებებს და რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს მიერ ამ უფლებათა არსებითი შელახვა, განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლოა, მიჩნეულ იქნეს ძირითადი უფლებების დარღვევის ტოლფასად. სახელმწიფო ორგანოების ამოცანაა, შეძლებისდაგვარად შეამცირონ და შეზღუდონ ძირითად უფლებათა დარღვევის საფრთხე. ამ ასპექტით, სასამართლოებში წარმოება უნდა წარიმართოს აღნიშნული კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის მექანიზმის სრული გათვალისწინებით. სასამართლომ საქმის განხილვისას სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე თანაზომადობის პრინციპი და კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის სიცოცხლისა და ფიზიკური (ჯანმრთელობის) ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის მოთხოვნები.

განსახილველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული წესი ითვალისწინებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აღძრული აღმასრულებლის ყველა მოთხოვნის სავალდებულობას

შესაბამისი პირებისა და ორგანიზაციებისათვის.

ეს სამართლებრივი ნორმა მიზნად ისახავს სასამართლო და სხვა აქტების დროულად (სწრაფად) და სრულად აღსრულების უზრუნველყოფას. **განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა ორგანოების, ორგანიზაციების და ფიზიკური პირებისათვის სავალდებულოა აღმასრულებლის არა ნებისმიერი მოთხოვნა, არამედ მხოლოდ ის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულებასთან.** ასეთი შეიძლება იყოს აღმასრულებლის სრულიად სხვადასხვაგვარი მოთხოვნა, კერძოდ, მოთხოვნა იმისა, რომ აღსრულების ადგილას არ შეფერხდეს დათვალიერება ან მოვალის კუთვნილი სათავსოს ან საცავის გახსნის დროს არ შეიქმნას დაბრკოლება და სხვ.

კანონმდებელმა აღმასრულებლის მოთხოვნათა სავალდებულობის შესახებ ნორმა რომ დაანესა, აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი შედეგებიც გაითვალისწინა.

კერძოდ, კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოვალე არ წარმოადგენს ქონების ნუსხას ან წარმოადგენს არასწორ ან არასრულ ინფორმაციას თავისი შემოსავლების და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით (იხ. მაგალითად სისხლის სამართლის კოდექსის 377<sup>1</sup> მუხლი-აღმასრულებლისათვის ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა). იმ ფიზიკური პირის ან თანამდებობის პირის ქმედებებში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის დროს, რომელიც განზრახ არ ასრულებს აღმასრულებლის კანონიერ მოთხოვნებს ან ქმნის დაბრკოლებას მათ შესასრულებლად ან სხვაგვარად არღვევს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონ-

მდებლობას, აღმასრულებელს შესაბამის ორგანოებში შეაქვს წარდგინება სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალეულ პირთა მიცემის შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, ისჯება კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა.

ზოგიერთ შემთხვევაში, აღსრულების ქვემდებარე აქტების მოთხოვნები შეიძლება შესრულდეს აღმასრულებლის მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა (აღსრულება) ხდება საგადასახადო ორგანოების მიერ. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლო აქტების და სხვა ორგანოთა აქტების მოთხოვნები აღსრულდება სხვა ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ.

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საგადასახადო ორგანოებისა და სააღსრულებო ბიუროების გარდა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულებაში მონაწილე ორგანოები (თანამდებობის პირები) არ წარმოადგენენ სააღსრულებო დაწესებულებებს (იძულებითი აღსრულების ორგანოებს).

### **აღმასრულებლის ურთიერთობა პოლიციის მუშაკებთან**

კანონით მკაფიოდ განისაზღვრა აღმასრულებლის მიერ თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისას პოლიციის მუშაკთა როლი.

განსახილველი მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ მოვალე არ დაუშვებს აღმასრულებელს, განახორციელოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, აღმასრულებელს შეუ-



ძლია მოინვიოს სააღსრულებო პოლიციის მუშაკი. სააღსრულებო პოლიციის მუშაკი აღმასრულებელს ეხმარება იმ შემთხვევაში, როცა მას სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაში ხელს უშლიან (დაბრკოლებას უქმნიან), ან აღმასრულებლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

სააღსრულებო წარმოების შესახებ ძველად მოქმედ ინსტრუქციაში, დაკონკრეტებული იყო აღმასრულებლისათვის წინააღმდეგობის განწევის და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაში ხელის შეშლის შემთხვევები, კერძოდ, მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დროს. ინსტრუქცია ითვალისწინებდა, რომ მოვალის მიერ უარის თქმის შემთხვევაში, დაუშვას აღმასრულებელი მოვალის მიერ დაკავებულ სათავსში ან მისი ქონების ადგილსამყოფელში, ან გახსნას საცავი, აღმასრულებელი ინვესტს შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლებს, რომელთა თანდასწრებით ხსნის სათავსს და საცავს და აწარმოებს მათ დათვალიერებას.

პრაქტიკაში ხშირად მოვალე ორგანიზაცია ამბობს უარს დაუშვას აღმასრულებელი საცავში და სასაწყობო სათავსში, მისცეს ძირითადი და საბრუნავი საშუალებების შესახებ ინფორმაცია; მოვალე ფიზიკური პირი სახლის სადარბაზოზე კოდირებული საკეტის დაყენების გზით ხელს უშლის აღმასრულებელს აღსაწერი და დასაყადაღებელი ქონების გამოვლენაში და ა.შ.

ამრიგად, პოლიციის მუშაკი ვალდებულია, აღმასრულებელს დაეხმაროს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს წარმოშობილი დაბრკოლების თავიდან აცილებაში.

პოლიციის მუშაკების მიერ აღმასრულებლისათვის დახმარების აღმოჩენა მის მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულების დროს, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის გარდა, ეფუძნება პოლიციის კანონით გათვალისწინებულ საერთო

დებულებებს. პოლიციის ძირითადი ამოცანაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. პოლიცია ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს აღმასრულებელსაც ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა წარმოებაში. ამრიგად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებისას აღმასრულებლისთვის დახმარების განვითარებით, პოლიციის მუშაკები ხელს უწყობენ სააღსრულებო წარმოების ეფექტიანობისა და შედეგიანობის ამაღლებას.

სააღსრულებო წარმოებაში პოლიციის მუშაკების მონაწილეობა არ ამოიწურება მხოლოდ აღმასრულებლისათვის დახმარების აღმოჩენით მის მიერ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს. მნიშვნელოვანი როლი აქვთ პოლიციის მუშაკებს მოვალის ძებნის წარმოების დროს. კანონის 30-ე მუხლის თანახმად, შინაგან საქმეთა ორგანოები ახორციელებენ მოვალის ძებნას მოვალის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, ან როცა იგი სპეციალურად თავს არიდებს ვალდებულების შესრულებას. მოვალის ძებნა ხორციელდება მოსამართლის განჩინების საფუძველზე. გარდა ამისა, კანონით არ არის აკრძალული და შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს მიმართოს არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოს, არამედ აგრეთვე პროფესიონალ კერძო დეტექტივსაც.

დაბოლოს, შედარებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული საკითხის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ასპექტზე ყურადღების გამახვილება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო<sup>10</sup> განმარტავს, რომ ბინის ცნება, ასევე მოიცავს

10 გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატის 1971 წლის 13 ოქტომბრის განჩინება.

სამუშაო, სანარმო და სავაჭრო სათავსებს, რაც პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ ასეთი ობიექტების ჩხრეკა ძირითადად შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსამართლის გადანწყვეტილებით. ზემოთ აღნიშნულ სათავსებთან მიმართებით მოქმედებს იგივე დაცვითი ნორმები, რაც საცხოვრებელი სადგომის შემთხვევაში და ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში დაუშვებელია მოსამართლის წინასწარი განკარგულების გარეშე საექსპლუატაციო და სამუშაო სათავსების ჩხრეკა.

სასამართლო განმარტავს, რომ ბინის ჩხრეკა, მოძრავი ნივთების პოვნისა და მათი იძულებითი აღსრულების ფარგლებში დაყადალების მიზნით, წარმოადგენს ჩხრეკას, შესაბამისად ჩხრეკის ღონისძიებების ჩატარებას ესაჭიროება მოსამართლის მიერ შესაბამისი განკარგულების გაცემა. ამასთან, არ ხდება არანაირი ფორმის დიფერენცირება ჩხრეკის სხვადასხვა სახეობასა და გამოყენების სფეროს შორის. სასამართლო აღნიშნავს, რომ ბინის ხელშეუხებლობა არის ის ძირითადი უფლება, რომელიც ცალკეული ადამიანისათვის, მისი ადამიანური ღირსებიდან და თავისუფალი პიროვნული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს „ელემენტარულ საცხოვრებელ სივრცეს“. ყველანაირი ჩხრეკა, მათ შორის ჩხრეკა, რომელსაც ატარებს აღმასრულებელი, თავისი ბუნებით წარმოადგენს პირის ძირითადი უფლებით დაცულ საცხოვრებელ სფეროში მასშტაბურ ჩარევას.

იმავე განჩინებაში განმარტებულია, რომ კონსტიტუციური რანგის ნორმის სავალდებულოობის მიმართ ბათილია ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება, რომელთა მიხედვითაც, მოსამართლის ჩარევა სააღსრულებო წარმოების ფარგლებში, ჩხრეკის ღონისძიებების განხორციელებისას, გამოიწვევს მოსამართლის მძიმე სამუშაო დატვირთვასა და ფუჭ გარჯას...

**იძულებითი აღსრულების ღონისძიებები**

იძულებითი აღსრულების მსოფლიოში არსებული თანამედროვე სისტემა ორ ასპექტს აერთიანებს: 1) მოვალის მიმართ გამოყენებულ იძულების ღონისძიებებს და სააღსრულებო მოქმედებებს, როგორც იძულების ღონისძიებათა შემადგენელ ნაწილს; 2) აღსრულების ფორმას. იძულების ღონისძიებებისა და სააღსრულებო მოქმედებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო დებულებები თანამედროვე ქართული სააღსრულებო წარმოების, როგორც სასამართლო და არასასამართლო აქტების იძულებითი აღსრულების ინსტიტუტის არსის განმსაზღვრელი სამართლებრივი საფუძველია, სამართლებრივი ფუნდამენტია. მოცემული საკანონმდებლო დებულებები განსაზღვრავენ, თუ რომელი სამართლებრივი ინსტრუმენტი იმყოფება იძულებით აღსრულებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირის და აღმასრულებლის განკარგულებაში. როდესაც ეს სამართლებრივი ინსტრუმენტი თანამედროვეობის მოთხოვნებს შეესაბამება, აღსრულებაც რეალურად ხდება.

კანონის სხვა დებულებები განსაზღვრავენ აღსრულების ფორმას (იძულებითი აღსრულების ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების პირობას და წესს, სააღსრულებო მოქმედების შესრულების პირობასა და წესს). აღნიშნულის გამო კი, თავისთავად, ამგვარი დებულებები, სასამართლო და არასასამართლო აქტების აღსრულებადადოებაზე არსებით გავლენას არ ახდენენ.

მოვალის მიმართ გამოყენებულ იძულების ღონისძიებებს, „იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს“ უწოდებენ. მართალია კანონში აღნიშნული კატეგორია მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის, მაგრამ კანონის გონივრული ანალიზი შესაძლებლობას იძლევა

ცალ-ცალკე გამოვკვეთოთ ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა: „იძულებითი აღსრულების ღონისძიება“ და „სააღსრულებო მოქმედება“.

**„იძულებითი აღსრულების ღონისძიება“** სააღსრულებო დოკუმენტში მითითებული ან აღმასრულებლის მიერ მოვალისაგან სააღსრულებო დოკუმენტით გათვალისწინებული ქონების მიღების, ან მოვალის მიმართ კრედიტორის არაქონებრივი მოთხოვნის იძულებით განხორციელების მიზნით შესრულებული მოქმედებაა. იძულებითი აღსრულების ცალკეული ღონისძიება კანონის სხვადასხვა ნორმით არის გათვალისწინებული. მათი ჩამონათვალის ერთ ნორმაში თავმოყრა კანონმდებელმა როგორც ჩანს, იმიტომ არ ჩათვალა მიზანშეწონილად, რომ ამგვარი ღონისძიებები ამომწურავი არ არის. იძულებითი აღსრულების ღონისძიებებია: მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა; გადახდევინების მოქცევა მოვალის შემოსავალზე, რომელსაც ის პერიოდულად იღებს შრომითი, სამოქალაქო სამართლებრივი ან სოციალური სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე; გადახდევინების მიქცევა მოვალის არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე; მოვალისათვის იმ ქონების ჩამორთმევა და კრედიტორისათვის გადაცემა, რომელიც კრედიტორს მიეკუთვნა; ქონების დაყადაღების შესახებ სასამართლო აქტის აღსასრულებლად მოვალის იმ ქონებაზე ყადაღის დადება, რომელიც იმყოფება მოვალესთან ან მესამე პირებთან; ქონებაზე, მათ შორის ფასიან ქალაქში კრედიტორის უფლების დასარეგისტრირებლად, მარეგისტრირებელი ორგანოსადმი მიმართვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით; მოვალის სახელითა და ხარჯზე სააღსრულებო დოკუმენტით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება იმ შემთხვევაში, თუკი ამ მოქმედების შესრულება მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე შესა-

ძლებელი; კრედიტორისათვის ქონების ჩაბარება გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში; უცხოელის ან აპატრიდის გაძევება საქართველოდან და კანონით ან სააღსრულებო დოკუმენტით გათვალისწინებული სხვა მოქმედება.

**„სააღსრულებო მოქმედება“** არის აღმასრულებლის მიერ კანონის შესაბამისად შესრულებული მოქმედება, რომლის შესრულების მიზანია იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოსაყენებლად პირობების შექმნა, აგრეთვე მისი მიზანია მოვალეს აღუძრას სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მოთხოვნის სრულად, სწორად და დროულად შესრულების მოტივაცია. სააღსრულებო მოქმედებების სანიმუშო ჩამონათვალი მოცემულია კანონის მე-17 მუხლში. სააღსრულებო მოქმედება სხვა არაფერია, თუ არა სასამართლო და არასასამართლო აქტების იძულებითი აღსრულების ფუნქციის განხორციელებისათვის საჭირო უფლებამოსილება აღმასრულებლისა.

რაც შეეხება „იძულებითი აღსრულების ღონისძიებისა“ და „სააღსრულებო მოქმედების“ კატეგორიების ერთმანეთთან თანაფარდობას, პირველი მათგანი არის ფართო, ზოგადი კატეგორია, მეორე-ვიწრო, კერძო კატეგორია. სააღსრულებო მოქმედების შერჩევა იძულებითი აღსრულების შერჩეულ ღონისძიებაზეა დამოკიდებული.

დათქმა იმის შესახებ, რომ იძულებითი აღსრულების ღონისძიებები არ არის ამომწურავი და აღმასრულებელს შეუძლია კანონით ან სააღსრულებო დოკუმენტით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გამოყენებაც, შემთხვევითი როდია. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონით მხოლოდ იმ დოზით, როგორც ეს აუცილებელია კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების, ზნეობის, ჯანმრთელობის, სხვა პირთა

უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

თუკი საქართველოს საკანონმდებლო აქტში<sup>11</sup> პირდაპირ არ იქნება დაშვებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა ამა თუ იმ სახით შეზღუდვის შესაძლებლობა, მაშინ ამგვარი შეზღუდვა და შესაბამისად, სახელმწიფო იძულების ღონისძიების გამოყენებაც, დაუშვებელია. ზემოთქმული ეხება სააღსრულებო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოქმედებებსაც, რამეთუ სასამართლო, ასევე სათანადო იურიდიულის მქონე სხვა ორგანო და თანამდებობის პირი, თავიანთზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულნი არიან კანონის შესაბამისად იმოქმედონ. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა კონსტიტუციის მე-3 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული გამგებლობაა, ასევე ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხები მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით განისაზღვრება, „კანონში“ უნდა ვიგულისხმეთ მარტოოდენ საქართველოს საკანონმდებლო აქტი.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი: ქართველმა კანონმდებელმა, გარკვეულწილად, შეცვალა იძულებითი აღსრულების ღონისძიებებისადმი მანამდე არსებული მიდგომა. ფულის გადახდევის მიზნით აღსრულების ეროვნულ ბიუროში სააღსრულებო დოკუმენტის წარდგენის შემდეგ იძულებითი აღსრულების

11 საკანონმდებლო აქტების ნუსხა მოცემულია ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლში.

აქცენტი გადატანილი იყო ხოლმე იძულებითი აღსრულების ისეთი კლასიკური ღონისძიების გამოყენებაზე, როგორც არის მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა.

არადა, საზღვარგარეთ წარმატებით იყენებენ **იძულებითი აღსრულების ე.წ. არაპირდაპირ ღონისძიებებს**. იძულებითი აღსრულების არაპირდაპირ ანუ ირიბ ღონისძიებებში დოქტრინა გულისხმობს იძულებითი აღსრულების იმ ღონისძიებებს, რომელთა გამოყენების მიზანია სასამართლო ან არასასამართლო გადაწყვეტილების (აქტის) არა უშუალოდ აღსრულება, არამედ ამგვარი ღონისძიებით მოვალის პიროვნებაზე ზემოქმედებენ, მავალის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების მიზნით. ამ მიზნის მიღწევის გზა არის მოვალე ფიზიკური პირის ან მოვალე ორგანიზაციის შეზღუდვა განსაზღვრული უფლებების განხორციელებაში, როგორებიც არის: სპეციალური უფლების – ტრანსპორტის მართვის უფლების, განსაზღვრული სახის საქმიანობის (მაგალითად, სამენარმეო საქმიანობის, სპორტის შემცველი პროდუქციის წარმოების) განხორციელების უფლების, მშენებლობის ნებართვის დროებითი ჩამორთმევა, დროებითი აკრძალვა (უფლების თუ ნებართვის მოქმედების შეჩერება), მოვალის შეყვანა „მოვალეთა რეესტრში“ და ა.შ.<sup>12</sup>

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს იძულებითი აღსრულების ისეთ ირიბ ღონისძიებებს, როგორებიცაა: მოვალის შეყვანა მოვალეთა რეესტრში, იძულებითი იზოთეკა. მოვალის მიმართ გამოყენებულ იძულების ღონისძიებებს და თავისი მიზნებით იძულების არაპირდაპირ (ირიბ) ღონისძიებებთან ახლოს მყოფ ღონისძიებებს განეკუთ-

12      Кузнецов Е. Н., Исполнительное производство Франции. СПб., 2005, гл. 119, 127.



ვნება აგრეთვე მოვალისათვის აღსრულების საფასურის სრული ოდენობით დაკისრების საფრთხე, დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში.<sup>13</sup>

იძულების არაპირდაპირი ღონისძიებაა მოვალისათვის სააღსრულებო ჯარიმის დაკისრება (მაგალითად, შედარებისათვის, აღნიშნულს ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ რუსეთის ფედერაციის კანონის მე-15 თავი), თუმცა ამგვარ ღონისძიებას ქართული სააღსრულებო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

უცხოურ სამართალში (მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ზემოაღნიშნული კანონის 67-ე მუხლში) გათვალისწინებულია იძულებითი აღსრულების არაპირდაპირი ხასიათის ისეთი ღონისძიება, როგორც არის მოვალის დროებითი შეზღუდვა, გავიდეს ქვეყნიდან, თუმცა მოვალის ამგვარი შეზღუდვა, რომლის გამოყენების უფლებაც აღმასრულებელსაც აქვს სასამართლოსთან ერთად, სააღსრულებო მოქმედებად არის კანონში მოხსენიებული. ლიტერატურაში აღინიშნება, რომ მოვალის დასახელებული შეზღუდვა და მისთვის დაკისრებული სანქციები (ჯარიმა, სააღსრულებო საფასური) სხვა არაფერია, თუ არა იძულებითი აღსრულების არაპირდაპირი ღონისძიებები,<sup>14</sup> თუმცა კი კანონმდებელი მათ არ უნოდებს იძულებითი აღსრულების არაპირდაპირ ღონისძიებებს. როგორც აღინიშნება, მოვალის ამგვარი შეზღუდვა, ფორმალური თვალსაზრისით იმიტომაც არ შეიტანა

13 იძულების არაპირდაპირ ღონისძიებას ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომლის შესაბამისადაც, ჯარიმის დაკისრების დადგენილების ძალაში შესვლიდან ადმინისტრაციული ჯარიმის 30 დღიან ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს გადაუხდელი ჯარიმის ორმაგი ოდენობა ეკისრება, ანდა მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული პატიმრობა.

14 Закарлюка А.В. К вопросу о совершенствовании исполнительного производства. Ветник ФАС Уральского округа, 2009, N4, გვ.101.

კანონმდებელმა იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ჩამონათვალში, რომ აღმასრულებელს მოვალის მიმართ ამგვარი შეზღუდვის გამოყენების შესაძლებლობა სააღსრულებო წარმოების შეჩერების პერიოდშიც გააჩნდეს, რამეთუ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ რუსეთის ფედერაციის კანონის 45-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სააღსრულებო წარმოების შეჩერებისას მის განახლებამდე დაუშვებელია იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენება.<sup>15</sup>

როგორც ითქვა, ქართველ კანონმდებელს სააღსრულებო მოქმედებებში აქვს არეული იძულებითი აღსრულების ღონისძიებანი. ამასთან, სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მოთხოვნის აღსრულების მიზნით მოვალეზე ზემოქმედების ღონისძიებებს კანონმდებელი „იძულებითი აღსრულების ღონისძიებას“, „სააღსრულებო მოქმედებას“ თუ სხვა რამეს დაარქმევს, გადახდევენების ღონისძიებად მოცემული ღონისძიებების მიჩნევის ასპექტში შეიძლება ითქვას, რომ ამ ღონისძიებათა არსი ერთია – ისინი მოვალის მიმართ გამოყენებულ იძულების ღონისძიებებს წარმოადგენენ.

თუმცა ნათქვამი იმას როდი ნიშნავს, რომ ერთმანეთში უნდა ავურიოთ და უარვყოთ „იძულებითი აღსრულების ღონისძიებისა“ და „სააღსრულებო მოქმედების“ ცნებები. კანონის მე-17 მუხლის დებულება, რომ სააღსრულებო დოკუმენტის სრულად, დროულად და სწორად აღსრულების მიზნით აუცილებელი სხვა მოქმედებების შესრულების უფლება აქვს აღმასრულებელს, როდი ნიშნავს, რომ აღმასრულებელს უფლება აქვს მოვალის მიმართ გამოიყენოს იძულების ის არაპირდაპირი ღონისძიებები (თუკი

---

15 Комментарий к Федеральному закону „об исполнительном производстве“ и практике его применения. Род. ред. И. В. Решетниковой. 2-е издание, переработанное и дополненное, Москва-берлин, 2012. გვ. 332.

ლონისძიება თავისი არსით ამგვარი ხასიათისაა), რომელთა გამოყენებაც კანონიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს, ე.ი. კანონით არ არის გათვალისწინებული.

იძულების არაპირდაპირი ღონისძიების გამოყენებაც მოვალის, როგორც ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს ზღუდავს. კონსტიტუციის შესაბამისად, უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა მარტოოდენ კანონით არის დასაშვები. აღნიშნულის გამო კი, მოვალის მიმართ დასაშვებია იძულებითი აღსრულების მარტოოდენ კანონით გათვალისწინებული არაპირდაპირი ღონისძიებების გამოყენება. ამრიგად, „იძულებითი აღსრულების ღონისძიებისა“ და „სააღსრულებო მოქმედების“ ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობა კონსტიტუციური დანაწესიდან გამომდინარეობს. მაგალითად, საინტერესოა, აღმასრულებელს აქვს თუ არა უფლება ფულის გადახდევინების შესახებ სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების პროცესში მოვალესა და ტექდათვალიერების გნმახორციელებელ ორგანოს აუკრძალოს მოვალის კუთვნილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერების ჩატარება „მოვალეზე ზემოქმედების მოხდენის“ მიზნით? აღნიშნული აკრძალვა ვერ ჩაითვლება მოვალის მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურის შემადგენელ ნაწილად, რამეთუ ყადაღის მიზანია ქონების განკარგვის აკრძალვა და არა ქონებით სარგებლობის აკრძალვა. მართალია, იძულებითი აღსრულების ღონისძიება „სხვა მოქმედებაც“ შეიძლება, იყოს და არა მარტოოდენ ის მოქმედება, რომელიც პირდაპირ არის ჩგათვალისწინებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით, მაგრამ ეს სხვა მოქმედება კანონით ან კანონის საფუძველზე მიღებული სააღსრულებო დოკუმენტით უნდა იყოს გათვალისწინებული. ამრიგად, მართალია იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ნუსხა არ არის ამომწურავი და სხვა

ლონისძიებების გამოყენების უფლება აქვს აღმასრულებელს, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ აღმასრულებელს უფლება აქვს გამოიყენოს მარტოოდენ საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან სააღსრულებო დოკუმენტით პირდაპირ გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.

**მაგალითად, დაუშვებელია ისეთი „სადამსჯელო“ ღონისძიებების გამოყენება, როგორებიც არის: კომუნალური ან სხვა სახის დავალიანების გამო მოვალის საცხოვრებელ ბინაში თუ სადგომში წყლის, ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა, გათბობის სისტემის გამორთვა, რამეთუ უძრავ ქონებაში მცხოვრებ ფიზიკურ პირს აქვს შესაბამისი კომუნალური მომსახურების მიღების უფლება.**

საქართველო 1994 წელს შეუერთდა გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტს, რომლის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს საკვების, ტანსაცმლის და საცხოვრებელი ბინის უფლებას (საცხოვრებელის უფლება). თავის მხრივ, საცხოვრებლის უფლება, სხვა უფლებებთან ერთად, ძირითადი საბაზისო კომუნალური მომსახურების ხელმისაწვდომობის უფლებასაც მოიცავს ( გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის №4 ზოგადი განმარტება).

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში დადასტურებულია პოზიცია, რომ ვიდრე საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლება სადავოდ არის ქცეული, ვიდრე საქმეს განიხილავს სასამართლო და არ მოხდება სადავო საკითხზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა წესით ადამიანის (მისი ოჯახის) საცხოვრებელი

სადგომიდან გამოსახლება<sup>16</sup>, ადამიანი (მისი ოჯახი) ამ სადგომში ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს, რაც წარმოუდგენელია ძირითადი საბაზისო კომუნალური მომსახურების გარეშე.

დაუშვებელია აგრეთვე ისეთი „სადამსჯელო“ ღონისძიებების გამოყენება, როგორც არის გამოსასახლებელი ურჩი ფიზიკური პირებისათვის „ბლოკადის მონყობა“ ( ისინი ექვემდებარებიან მხოლოდ გამოსახლებას სათანადო საფუძვლით აღმასრულებლის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენებით–ამაში მდგომარეობს იძულების, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქციის არსი) და სხვა. აღმასრულებლის მიერ მოვალის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიება, თავისი არსით (და არა თავისი დანიშნულებით) შესაძლოა კანონით გათვალისწინებულ იძულებითი აღსრულების ღონისძიებას წარმოადგენდეს. იძულების ამგვარ ღონისძიებებს დაუშვებელია უკანონო ღონისძიებების კვალიფიკაცია მიეცეს. იძულებითი აღსრულების ამგვარი ღონისძიება აღმასრულებლის მიერ მოვალის ქცევის ამსახველი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა იყოს შერჩეული. მაგალითი: აღმასრულებელმა მოვალეს მოსთხოვა მოვალის სალაროში პერიოდულად შემოსული ნაღდი ფული არაუგვიანეს სალაროში შემოსვლის შემდგომი დღისა გადარიცხოს აღმასრულებლის სადეპოზიტო ანგარიშზე სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული მოვალის დავალიანების სრულ დაფარვამდე.

მოვალემ სადაო გახადა აღმასრულებლის მოქმედება და მიუთითა იმაზე, რომ ფაქტობრივად ადგილი აქვს არარასებულ ქონებაზე ყადაღის დადებას. მოვალის პოზიცია არ არის მართებული,

---

16 ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილების ან გამოსახლების აღსრულების განხორციელებამდე პირს და მის ოჯახს არ ეზღუდება საცხოვრებელი ბინით სრგებლობის უფლება.

რამეთუ კანონი არ ითვალისწინებს იძულებითი აღსრულების ამომწურავ ღონისძიებებს. აღმასრულებლის მოქმედება კი მართლზომიერია, რამეთუ მიზნად ისახავს სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების უზრუნველყოფას. აღმასრულებლის მოცემული მოქმედება მთლიანად თავსდება კანონის იმ დებულებაში, რომლის თანახმადაც იძულებითი აღსრულების ღონისძიებად მიჩნეულია „მოვალის ქონებაზე, მათ შორის ფულისა და ფასიან ქალაქში გადახდევინების მიქცევა“.

სააღსრულებო მოქმედებისაგან განსხვავებით, სააღსრულებო წარმოების შეჩერების პერიოდში იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენების უფლება აღმასრულებელს არა აქვს (დაუშვებელია იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენება) სააღსრულებო მოქმედების შესრულება კი, დასაშვებია, თუ, რა თქმა უნდა, სააღსრულებო დოკუმენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, ასეთი მოქმედება (როგორც ცალკე აღებული მოქმედება) არ წარმოადგენს იძულებითი აღსრულების ღონისძიებას (მაგალითად, სხვა არაფერია, თუ არა სააღსრულებო დოკუმენტით (სასამართლოს მიერ) გათვალისწინებული იძულებითი აღსრულების ღონისძიება აღმასრულებლის მიერ მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადება სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების საფუძველზე გაცემული შესაბამისი სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად. სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის, საქმის წარმოების შეჩერების პერიოდში. საქმის შეჩერების პერიოდში მხარეს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების მეორეთი შეცვლა, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

საასრულებო წარმოების შეჩერების შედეგები განსაზ-

ღვრულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით. აღნიშნული კანონის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოების შეჩერებისას მის განახლებამდე გაუშვებელია მარტოოდენ იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენება. რაიმე სხვა შეზღუდვას, მათ შორის სააღსრულებო მოქმედების შესრულების შეზღუდვას, დასახელებული კანონი არ ითვალისწინებს.

სასამართლოში დავის მიმდინარეობისას დასაშვებია სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერება. სასამართლოს მიერ აღსრულების შეჩერების ინსტიტუტის მიზანია დავაში მონაწილე მხარის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობის უზრუნველყოფა, რამეთუ მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება გადანყვეტილების აღსრულების შებრუნების პროცედურის გამოყენების თავიდან აცილება სასამართლო აქტის გაუქმების შემთხვევაში. თვის მხრივ, სააღსრულებო წარმოების შეჩერების მომწესრიგებელი ნორმების სისტემური ანალიზი ადასტურებს, რომ ამგვარ მოქმედებას უზუნველყოფის ხასიათი აქვს და მისი მიზანია სასამართლო აქტის აღსრულების შესაძლებლობის შენარჩუნება.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის ანალიზი ცხადყოფს, რომ სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, იმ ქონების შენარჩუნების მიზნით, რომელიც კრედიტორს უნდა გადაეცეს ან აუქციონზე გაიყიდოს, მოვალის ქონების დაყადაღება არ წარმოადგენს იძულებითი აღსრულების ღონისძიებას.

უფრო მეტიც, სააღსრულებო კანონმდებლობა განასხვავებს ყადაღის მარტოოდენ ორ სახეს:

1. ყადაღას, როგორც იძულებითი აღსრულების დამოუკიდებელ ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება მხოლოდდამხოლოდ ქონების დაყადაღების შესახებ სასამართლო აქტის აღ-

სასრულებლად (მე-17 მუხლი);

2. მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებას ქონებრივი გადასახდელის შესახებ მოთხოვნის შემცველი სააღსრულებო დოკუმენტის უზრუნველყოფის მიზნით.

ამრიგად, ქონების დაყადაღება იძულებითი აღსრულების დამოუკიდებელი ღონისძიება არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სააღსრულებო წარმოება აღძრულია ქონების დაყადაღების შესახებ სასამართლო აქტის საფუძველზე.

იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია, აგრეთვე აღსრულების გადადებისას.

მაგალითად, თუ მოვალის გამოჯანმრთელებამდე გადაიდო აღსრულება, მისი გამოსახლება გადაიდება. კანონის სხვაგვარი განმარტება ეწინააღმდეგება აღსრულების გადადების ინსტიტუტის არსს.

მე-17 მუხლში ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და სააღსრულებო მოქმედებები და შესაბამისად, მასში საუბარია, როგორც სააღსრულებო მოქმედებებზე, ისე იძულებითი აღსრულების ღონისძიებებზე და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ერთნაირი შინაარსის მქონე კატეგორიებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ვიდრე მათზე ვისაუბრებდეთ, ყურადღება უნდა გამახვილდეს იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა გამოყენების საფუძველებზე, რომლებიც მართალია განსახილველ (მე-17) მუხლში პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, თუმცა კანონის ნორმებიდან გამომდინარეობენ.

**იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა გამოყენების საფუძველია:**

1) სათანადოდ გაფორმებული სააღსრულებო დოკუმენტის კანონით დადგენილი წესით წარდგენა;

2) სააღსრულებო წარმოების დაწყება აღმასრულებლის მიერ;



3) ნებაყოფლობით შესრულებისათვის აღმასრულებლის მიერ დადგენილი ვადის ამონურვა (გასვლა) იმ პირობით, თუ მოვალე ინფორმირებულია მის მიმართ აღსრულების დაწყების თაობაზე, დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევების გარდა.

სასამართლო გადაწყვეტილების (სააღსრულებო დოკუმენტის) იძულებითი აღსრულება (იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა გამოყენება) დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ დაცული იქნება ზემოაღნიშნული სამივე საფუძველი.

აღსრულებას ქვემდებარე აქტების (სააღსრულებო დოკუმენტების) ჩამონათვალი, მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები, აგრეთვე მათი წარდგენისა და სააღსრულებო წარმოების დაწყების წესი დანვრილებით არის განხილული კანონის მე-2, მე – 20-25-ე მუხლების კომენტირებისას.

აღმასრულებელი ვალდებულია დაიწყოს სააღსრულებო წარმოება, თუ გასული არ არის სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა.

კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულების დაწყებისას აღმასრულებელი მოვალეს უგზავნის წინადადებას და აძლევს ვადას აღსასრულებელ აქტში ასახული მოთხოვნების ნებაყოფლობითი შესრულებისათვის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 7 დღეს სააღსრულებო წარმოების დაწყების (გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების) დღიდან.

იმ გარემოებათა არსებობის დროს, რომლებიც აფერხებენ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებას, სააღსრულებო მოქმედებების შესრულება შეიძლება გადადოს აღმასრულებელმა საკუთარი ინიციატივით ან მოვალის განცხადების საფუძველზე; მართალია მოცემული წესი კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, მაგრამ გამომდინარეობს აღსრულების გადადების (სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების) არსიდან (იხ. 33-ე

მუხლის კომენტარი), რის შესახებაც აღმასრულებელი ადგენს აქტს (ოქმს).

ზემოაღნიშნული სამი პირობის ერთობლიობაში არსებობა აძლევს აღმასრულებელს სააღსრულებო დოკუმენტების იძულებითი აღსრულების მიზნით შესაბამისი მოქმედებების განხორციელების უფლებას და საფუძველს.

მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენება უკანონო იქნება, სააღსრულებო წარმოების დანყების შესახებ შეტყობინების (უწყების) მოვალისათვის ჩაბარებამდე, ან სააღსრულებო წარმოების შეჩერების პერიოდში.

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში დასახელებული იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. აღნიშნული პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულია, ასევე სხვა იმ ღონისძიებათა გამოყენების შესაძლებლობაზე, რომლებიც არ არის მოხსენიებული მოცემულ ჩამონათვალში, მაგრამ კანონის შესაბამისად მითითებულია სასამართლო გადაწყვეტილებაში. საბოლოო ჯამში კი, ამ ღონისძიებათა გამოყენების მიზანია სააღსრულებო დოკუმენტების (გადაწყვეტილებათა) აღსრულების უზრუნველყოფა.

იმის განსაზღვრა, თუ იძულებითი აღსრულების რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, ხდება სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მითითების ხასიათის მიხედვით, რომელსაც შეიცავს იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული სასამართლო აქტი და ეს ღონისძიებები გამოყენებული უნდა იქნეს მე-17 მუხლისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა შესაბამისად.

**ამრიგად, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი მითითებითი ხასიათის ნორმაა და არ შეიძლება იქნეს გამოყენებული თავისთავად (დამოუკიდებლად). ის აღმასრულებელს არ აძლევს უფლებას, თავისი**

**შეხედულებით გამოიყენოს იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, თუ მათი გამოყენება არ არის განპირობებული „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით ან სხვა კანონით.**

აღმასრულებელი გასცდება სააღსრულებო წარმოებათა კანონმდებლობით დადგენილ თავისი კომპეტენციის ფარგლებს, თუ გამოიყენებს აკრძალულ ღონისძიებებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კანონით.

იძულებითი აღსრულების ამა თუ იმ ღონისძიების არჩევა აღმასრულებლის მიერ, დამოკიდებულია კონკრეტულად შექმნილ სიტუაციაზე და უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მითითების ხასიათს, არამედ გადასახდევინებელი თანხის მოცულობასაც (ოდენობას), ქონების კუთვნილებას. მთავარია, რომ აღმასრულებლის მოქმედება შეესაბამებოდეს კანონს. კერძოდ, დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა იმ ქონებაზე, რომელიც თუმცა იმყოფება მოვალესთან, მაგრამ საკუთრების უფლებით სხვა პირს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში სარჩელი შეიძლება აღიძრას აღმასრულებლის მოქმედებაზე ან აღიძრას სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ.

**ბანკები და საგადასახადო ორგანოები, რომლებმაც უნდა შეასრულონ სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნები**

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.“-“გ“ ქვეპუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ საგადასახადო ორგანოებმა და ბანკებმა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მათ შესაბამისად უნდა შეასრულონ (აღასრულონ) ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნა. ამასთან, ბანკი არ წარმოადგენს იძულებითი აღსრულების ორგანოს (სააღსრულებო დანესებულებას).

დასახელებულ მუხლში განმტკიცებული წესი საგადასახადო

ორგანოებს და ბანკებს უფლებას აძლევს შეასრულონ სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნები მხოლოდ ორი პირობის არსებობისას: 1) თუ ეს გათვალისწინებულია კანონით; 2) თუ უნდა აღსრულდეს ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ მოთხოვნა.

მაგალითად, გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდის ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობა, გამოიწვევს გადასახადის თანხის იძულებით გადახდევინებას.

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტის თანახმად, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება აგრეთვე საინკასო დავალებების (მოთხოვნის, განკარგულების) იმ ბანკში გაგზავნის გზით, რომელშიც გახსნილია მოვალის ანგარიში და უპირობოდ უნდა შეასრულოს ბანკმა. საინკასო დავალების (მოთხოვნა, განკარგულება) საფუძველზე ხორციელდება მოვალის ანგარიშებიდან ფულადი თანხების ჩამონერა და გადარიცხვა კრედიტორის ანგარიშზე.

საანგარიშსწორებო ოპერაცია საინკასო დავალებისას იწყება კრედიტორის ინიციატივით. ოპერაციაში მონაწილეობს მარწმუნებელი (კრედიტორი), რომელიც ავალებს ბანკს საინკასო ოპერაციების განხორციელებას; ბანკი-ემიტენტი, რომელმაც თავისი კლიენტის დავალებით იკისრა ინკასირება; სხვა ბანკი, რომელიც მონაწილეობს საინკასო ოპერაციის შესრულებაში ძირითადად იმით, რომ საინკასო დავალებას წარუდგენს გადამხდელს; გადამხდელი (მოვალე) რომელსაც უნდა წარედგინოს საინკასო დავალება. დავალების შინაარსი არის კრედიტორისათვის კუთვნილი თანხების ჩარიცხვა მის ანგარიშზე. ემიტენტი-ბანკი თავისი კლიენტის ანუ მარწმუნებლის დავალებითა და მისივე ხარჯით ახორციელებს ოპერაციებს კლიენტის მოვალისაგან ანუ გადამხდელისაგან გადახდაზე აქცეპტის მიღების ან გადასახდელი თანხ-

ის გადამხდელის ანგარიშიდან უდავოდ ჩამონერის მიზნით; საინკასო დავალება (განკარგულება) თანხის გადახდაზე უნდა შეიცავდეს იმ გადამხდელის ანგარიშებზე მითითებას, რომლებიდანაც უნდა განხორციელდეს თანხის გადარიცხვა და თანხა, რომელიც უნდა იქნეს გადარიცხული.

საინკასო ოპერაციების საფუძველია კონკრეტული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება გადამხდელისადმი ნაყენებული მოთხოვნა. ასეთია როგორც საფინანსო (ჩეკი, თამასუქი, საგადამხდლო ხელწერილი და სხვა), ისე კომერციული (ანგარიშები, ვარანტები, სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და სხვა) დოკუმენტი.

საინკასო დავალების შესრულება იმაში მდგომარეობს, რომ გადამხდელის მომსახურე ანუ შემსრულებელი ბანკი ვალდებულია გადამხდელს წარუდგინოს რემიტენტი ბანკისაგან მიღებული საგადამხდლო დოკუმენტები. თუ ისინი პასუხობენ საბანკო წესებით დადგენილ მოთხოვნებს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მათი განაღდება. შემსრულებელმა ბანკმა გადამხდელის ანგარიშიდან უნდა ჩამონეროს დავალებაში მითითებული თანხები და გადარიცხოს ემიტენტ – ბანკში. ეს უკანასკნელი კი გადამხდელისაგან მიღებულ თანხებს ჩარიცხავს თავისი კლიენტის – მარწმუნებლის ანგარიშზე. ემიტენტი ბანკი აქცეპტის მიღების შესახებ ატყობინებს თავის კლიენტს.

საინკასო დავალებით ანგარიშსწორების დროს ბანკი – ემიტენტი პასუხს აგებს თავისი კლიენტის წინაშე დავალების შეუსრულებლობისათვის, იმ ზიანისათვის, რაც ამის გამო ცლიენტს მიადგა. რაც შეეხება შემსრულებელ ბანკს, იგი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს, თუ საინკასო დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამომწვეულია მისი ბრალით.

რაც შეეხება საგადასახადო ორგანოებს, ისინი იძულებითი

აღსრულების ორგანოებია (სააღსრულებო დაწესებულებებია), რომლებსაც საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის საფუძველზე უფლება აქვთ ყადაღა დაადონ გადასახადის გადამხდელის ქონებას. რაც შეეხება დაყადაღებული ქონების რეალიზაციას, ამავე კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოები დაყადაღებული ქონების რეალიზაციას ახორციელებენ სასამართლო გადანყვეტილების საფუძველზე.

### **სხვა ორგანოები და ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა შეასრულონ (აღასრულონ) სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნები**

საგადასახადო ორგანოებისა და ბანკების გარდა, ასევე სხვა ორგანოებმა და ორგანიზაციებმაც უნდა შეასრულონ სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნები, მაგრამ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

არანაირ კონკრეტულ მითითებას იმ ორგანოებისა და ორგანიზაციების შესახებ, რომლებმაც უნდა შეასრულონ სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნები, კანონი არ შეიცავს.

ამიტომ თეორიასა და პრაქტიკაში შეიძლება წამოიჭრას საკითხი: კონკრეტულად რომელ ორგანოებსა და ორგანიზაციებზე შეიძლება იყოს საუბარი.

იმ სუბიექტებს, რომლებიც აღასრულებენ სასამართლო აქტებში მითითებულ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანოებისა და ბანკების გარდა, მიეკუთვნებიან:

1) საფინანსო ორგანოებს (ხაზინას) სახელმწიფოსაგან, როგორც მოვალისაგან გადახდევინების შესახებ გადანყვეტილების აღსრულების დროს.

2) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს – იმ გადანყვეტილებათა აღსრულების დროს, რომლებიც მოითხოვს აღ-

ნიშნულ ორგანოებში რეგისტრაციას (მამობის დადგენის დროს, მამობის შესახებ სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ, განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციის დროს, სასამართლოს მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ფაქტის დადგენის დროს და ა.შ.);

3) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახით, რომლებიც ასრულებენ აღნიშნულ ფუნქციებს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე – მხარდაჭერის მიმღებად პირის ცნობის, შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებებზე და ა.შ.). მაგალითად: მზრუნველი აკონტროლებს სამზრუნველო პირის მიერ სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების დადებას (წვრილმანი ყოფითი გარიგებების გარდა). ის განკარგავს სამზრუნველო პირის ხელფასს, შემოსავალსა და ქონებას, ეხმარება სასამართლოში საქმეთა წარმოებაში, ე.ი. ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება ხორციელდება ფიზიკურ პირზე მზრუნველობის დაწესებით. ამრიგად, ქმედუნარიანობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება ფაქტობრივად სახელმწიფო ორგანოსა და მზრუნველს ეკისრება;

4) იუსტიციის დაწესებულებებს სასამართლოთა გადაწყვეტილებების საფუძველზე უძრავ ქონებაზე უფლებათა სახელმწიფო რეგისტრაციისას, როდესაც არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება საკუთრების უფლების ცნობის, საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ და ა.შ.

დაბოლოს, ის მნიშვნელოვანი დებულებაა, რომ ბანკები და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ორგანოები არ არიან იძულებითი აღსრულების ორგანოები, საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ ამ ორგანოთა და ორგანიზაციათა სამართლებრივი მდგომარეობა.

ამასთან, კანონის ანალიზის დროს, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ იმაზე, რომ კანონმა ბანკებს ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სასამართლო აქტებში ასახული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება როცა დააკისრა, არ მიანიჭა მათ შესაბამისი უფლებები, რომლებიც აუცილებელია მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად. კერძოდ, მათ აღსრულებას ქვემდებარე სასამართლო აქტის განმარტების შესახებ სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის უფლებაც კი არა აქვთ მინიჭებული. ასევე, მათ არა აქვთ უფლება მიმართონ სასამართლოს სასამართლო აქტის აღსრულების გადავადების ან ნაწილ – ნაწილ გადახდევინების (განაწილვადების), სააღსრულებო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის განცხადებით. არადა ამის პრაქტიკული საჭიროება არსებობს.

### **მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა**

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა შედგება ამ ქონების დაყადაღების (აღწერის) და იძულებითი რეალიზაციისაგან (გაყიდვისაგან). უფრო სწორი ფორმულირება იქნებოდა, თუ კანონში ჩამოთვლილ ამ სააღსრულებო მოქმედებებს დაემატებოდა სიტყვები: „ასევე ქონების ამოღებისაგან“. ქონებას მიეკუთვნება ნივთები, მათ შორის ფული და ფასიანი ქაღალდები, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები (სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი).

სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულების დროს გადახდევინება პირველ რიგში უნდა მიექცეს ლარებსა და უცხოურ ვალუტაში არსებულ მოვალის ფულად თანხებზე.

ფულადი თანხების გარდა, გადახდევინების მიქცევა ხდება ასევე უშუალოდ მოვალესთან არსებულ სხვა მატერიალურ



ფასეულობებზე ან ისეთ მატერიალურ ფასეულობებზე, რომლებიც აისახება შესანახად ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში. მაგალითად, მათ მიეკუთვნება ძვირფასი მეტალები და ქვები, ოქროს, ვერცხლის, პლატინის, ძვირფასი მეტალებისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობანი, ასეთი ნაკეთობების ცალკეული ნაწილი და ნატეხი.

მოვალესთან ნაღდი ფულადი თანხის და სხვა მატერიალური ფასეულობის აღმოჩენის შემთხვევაში, ისინი დაუყოვნებლივ (აღმოჩენისთანავე) უნდა იქნეს ამოღებული მოვალის თანხმობის გარეშე.

იმ ფულად თანხებს და სხვა მატერიალურ ფასეულობას, რომლებიც იმყოფება ანგარიშზე, ანაბარზე, ბანკსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში შესანახად, ედება ყადაღა.

ნაღდი ფულადი თანხების და სხვა მატერიალური ფასეულობის ამოღება და/ან ანგარიშზე და ანაბარზე (შენატანებზე) ყადაღის დადება აღმასრულებლის მიერ ხორციელდება ვალის თანხის, აღსრულების საფასურის ოდენობით, თუ ის არ იყო მანამდე გადახდივინებული (38-39-ე მუხლები და მუხლი 113-ე) და უკვე არსებული ხარჯის თანხის ან სააღსრულებო მოქმედებათა შესასრულებლად საჭირო სავარაუდო ხარჯის თანხის ოდენობით (38-ე, 39-ე მუხლები). აღსასრულებელ მოთხოვნებთან ერთად ამოიღება აღსრულების საფასური და აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯი.

აღმასრულებლის მიერ ნაღდი ფულადი თანხის, ასევე სხვა მატერიალური ფასეულობის ამოღება ხდება მათი გამოვლენის (აღმოჩენის) შემდეგ.

ნაღდი ფულადი თანხის ან სხვა მატერიალური ფასეულობის გამოსავლენად სააღსრულებო მოქმედებებს აღმასრულებელი ასრულებს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ადგილის მიხედვით.

როდესაც აღმასრულებელი მივა სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ადგილზე, კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღმასრულებელს უფლება აქვს შევიდეს მოვალის მიერ დაკავებულ ან მის კუთვნილ სათავსში ან საცავში, იგი წინადადებას აძლევს მოვალეს ამოსაღებად გადასცეს მის ხელთ არსებული ნაღდი ფულადი თანხა და სხვა ფასეულობა.

უარის თქმის შემთხვევაში აღმასრულებელს უფლება აქვს ფულადი თანხის და სხვა ფასეულობის გამოვლენის მიზნით აწარმოოს მოვალის მიერ დაკავებული ან მისი კუთვნილი სათავსის, ბინის და საცავის დათვალიერება, თუ აუცილებელია – გახსნას (გააღოს) ისინი, აგრეთვე შესაბამისი სასამართლოს განჩინების საფუძველზე აღნიშნული მოქმედებები შეასრულოს სხვა პირთა მიერ დაკავებული და/ან მათი კუთვნილი სათავსისა და საცავის მიმართ.

მოვალის ან სხვა პირთა მიერ დაკავებული ან მათი კუთვნილი სათავსისა და საცავის გახსნას, დათვალიერებას, დაყადაღებას, ამოღებას, მოვალის ქონების გადაცემას აღმასრულებელი ახორციელებს დამსწრეთა თანდასწრებით.

აღნიშნული სააღსრულებო მოქმედებების შესრულების შესახებ აღმასრულებელი ადგენს აქტებს (ოქმებს), რომელთაც შესაბამისად ეწოდებათ აქტი სათავსის და (ან) საცავის გახსნისა და დათვალიერების, ლარებში ან უცხოურ ვალუტაში ფულადი თანხის და სხვა ფასეულობის ამოღების შესახებ.

მოვალისაგან ფულადი თანხის და სხვა ფასეულობის ამოღების შემდეგ აღმასრულებელმა მოვალეს უნდა გადასცეს ფულადი თანხის ან სხვა ფასეულობის ამოღების შესახებ აქტის ერთი ეგზემპლარი და ფულადი თანხის შემოსავალში გატარების ქვითრის დედანი. ამოღებული ქონების ჩამონათვალი აღმასრულებლის მიერ შეიტანება დაყადაღებული და ამოღებული

ქონების ჟურნალში, რომელიც უნდა წარმოებდეს თითოეულ სააღსრულებო ბიუროში. აღნიშნული ჟურნალის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ლარებში არსებული ამოღებული ნაღდი ფულადი თანხა იმავე დღეს ირიცხება სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაღდ ფულად თანხას აღმასრულებელი აბარებს (გადასცემს) ბანკს ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციას.

ძვირფასი ლითონებისაგან, ძვირფასი ქვებისაგან დამზადებული ამოღებული ნაკეთობანი (ამ ნაკეთობათა ნატეხი), საიუველირო ნაკეთობანი (ამ ნაკეთობათა ნატეხი), ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული მონეტები, ლარებსა და უცხოურ ვალუტაში არსებული საკოლექციო ფულადი ნიშნები აგრეთვე ისტორიული ან მხატვრული ღირებულების (მნიშვნელობის) მქონე ქონება გადაეცემა (ბარდება) იმ სპეციალიზირებულ ორგანიზაციას (საცავს) ან ბანკის დაწესებულებას, რომელსაც აქვს შესაბამისი ლიცენზია.

აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება რიგ ნორმატიულ სამართლებრივ აქტზე, რომლებიც ფულადი თანხების გადახდევინების წესს აწესრიგებს.

საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორებების შესახებ ნორმატიული აქტის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და აწესრიგებს იურიდიულ პირებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებას საქართველოს ვალუტაში, ანგარიშებიდან ფულადი თანხის ჩამონერა ხორციელდება მისი მფლობელის განკარგულებით ან ანგარიშის მფლობელის განკარგულების გარეშე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან/და ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით.

უნაღლო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმაა ანგარიშსწორება ინკასოთი. ინკასოთი ანგარიშსწორება წარმოადგენს საბანკო ოპერაციას, რომლის მეშვეობითაც ბანკი (ემიტენტი ბანკი) დავალებით და კლიენტის ხარჯზე საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე ახორციელებს გადამხდელისაგან ფულადი გადასახდელის მისაღებად მოქმედებებს. ინკასოთი ანგარიშსწორების განსახორციელებლად ემიტენტი ბანკს უფლება აქვს ჩართოს მეორე ბანკი (შემსრულებელი ბანკი).

ინკასოთი ანგარიშსწორება საგადამხდელო მოთხოვნების საფუძველზე ხორციელდება, რომელთაგან ერთ-ერთია საინკასო დავალება. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის თანახმად, საინკასო დავალება საანგარიშსწორებო დოკუმენტია, რომლის საფუძველზეც წარმოებს გადამხდელთა ანგარიშებიდან ფულადი თანხების ჩამონერა უდაო წესით. ამავე ნორმატიული აქტის თანახმად, საინკასო დავალებანი გამოიყენება მათ შორის სააღსრულებო დოკუმენტების საფუძველზე ფულადი თანხების გადასახდევინებლად.

სააღსრულებო დოკუმენტების საფუძველზე ფულადი თანხის გადახდევინების დროს საინკასო დავალება უნდა შეიცავდეს სააღსრულებო დოკუმენტის გაცემის თარიღზე მითითებას, მის ნომერს, იმ საქმის ნომერს, რომელზეც მიღებულია იძულებით აღსასრულებელი გადანყვეტილება, აგრეთვე ასეთი გადანყვეტილების გამომგანი ორგანოს დასახელებას.

აღსრულების საფასურის აღმასრულებელის მიერ გადახდევინების შემთხვევაში, საინკასო დავალება უნდა შეიცავდეს აღსრულების საფასურის გადახდევინებაზე მითითებას, აგრეთვე აღსრულების საფასურის გადახდევინების, დაკისრების დამადასტურებელი დოკუმენტის თარიღსა და ნომერზე მითითებას.

საინკასო დავალება ანგარიშებიდან ფულადი თანხის გადახ-

დევინებაზე, რომელიც წამოყენებულია სააღსრულებო დოკუმენტების საფუძველზე, მიიღება გადამხდევინებლის ბანკის მიერ იმგვარად, რომ მას ერთვის სააღსრულებო დოკუმენტის დედანი ან მისი დუბლიკატი.

ბანკები აღსასრულებლად არ იღებენ ფულადი თანხების უდაონესით ჩამონერაზე საინკასო დავალებას, თუ საინკასო დავალებაზე თანდართული სააღსრულებო დოკუმენტი წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილი ვადის ამონურვის (გასვლის) შემდეგ.

კანონით არ არის მოწესრიგებული და განსაზღვრული, თუ როგორ უნდა მოიქცეს აღმასრულებელი იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს ინფორმაცია ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში მოვალე ორგანიზაციის ანგარიშებისა და ანაბრების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამასთან, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი მოითხოვს, რომ აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადანყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსასრულებლად. ამიტომ, აღმასრულებელს, შეუძლია შემოაღნიშნული ინფორმაცია გამოითხოვოს საგადასახადო ორგანიზაციებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს იძულებითი აღსრულებითათვის აუცილებელი ინფორმაცია მოვალის შესახებ, აღმასრულებელმა მოტივირებული წერილობითი მოთხოვნა (შეკითხვა) უნდა გაგზავნოს საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის (კოდის), საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სხვა ანგარიშების ნომრების, იმ ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების დასახელებისა და ადგილსამყოფელის შესახებ, რომლებშიც გახსნილია ანგარიშები.

სააღსრულებო დოკუმენტში მითითებულ იურიდიულ მისამართზე მოვალის არარსებობის შემთხვევაში, აღმასრულებ-

ბელი საგადასახადო ორგანოსაგან გამოითხოვს ინფორმაციას მისი ახალი ადგილსამყოფელის შესახებ.

წერილობითი მოთხოვნა აუცილებელია დამონმდეს შესაბამისი სააღსრულებო ბიუროს ბეჭდით და მასში უნდა მიეთითოს სააღსრულებო წარმოების ნომერი, მოვალე იურიდიული პირის სახელწოდება (დასახელება) და მისი იურიდიული მისამართი (მოვალე ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი).

მოთხოვნის მიღების შემდეგ საგადასახადო ორგანომ აღმასრულებელს უნდა მისცეს მოთხოვნილი ინფორმაცია დადგენილი წესით (ინფორმაცია იმის შესახებ, გააჩნია თუ არა მოვალე ორგანიზაციას ანგარიში და ანაბრები ბანკსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში).

მას შემდეგ, რაც აღმასრულებელი მიიღებს შესაბამის ინფორმაციას, მან ყადაღა უნდა დაადოს მოვალის ფულად თანხებს გადასახდევინებელი თანხის, აღსრულების საფასურის და აღსრულების ხარჯების ოდენობით (ოდენობის გათვალისწინებით), ხოლო შემდეგ ბანკში ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში აგზავნის შესაბამის სააღსრულებო დოკუმენტს.

იმ შემთხვევაში, როცა მოვალეს გააჩნია ანგარიშები და ანაბრები, კრედიტორს მიეცემა ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს კრედიტორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საკმარისი ფულადი თანხა არ გააჩნია ლარებში, გადახდევინება მიეცევა უცხოურ ვალუტაში არსებულ მოვალის ფულად თანხებზე.

თუ მოვალეს კრედიტორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საკმარისი ფულადი თანხა არ გააჩნია, მაშინ გადახდევინება მიეცევა მოვალის კუთვნილ სხვა ქონებაზე. აქედან გამონაკლისს წარმოადგენს ის ქონება, რომელზეც არ შეიძლება გადახ-

დევინების მიქცევა.

მოვალის კუთვნილ ქონებაზე გადახდევინების მიქცევისას მოვალეს უფლება აქვს მიუთითოს ქონების ან საგნების იმ სახეობებზე, რომლებზეც აუცილებელია გადახდევინების მიქცევა პირველ რიგში. აღმასრულებელმა უნდა დააკმაყოფილოს მოვალის ასეთი განცხადება, თუ ეს ხელს არ შეუშლის სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულებას. კრედიტორს არა აქვს უფლება მიუთითოს ქონების იმ სახეობებზე (მათ შორის აქციებზეც), რომლებზეც, მისი აზრით, უნდა მიექცეს გადახდევინება.

საბოლოოდ ფულად თანხაზე და სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევის რიგითობის საკითხს ნყვეტს აღმასრულებელი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს გააჩნია ქონება, რომელიც მას საერთო საკუთრების უფლებით ეკუთვნის, გადახდევინება მიექცევა მის წილზე საერთო საკუთრებაში.

თუ ვერ დგინდება საერთო ქონებაში მოვალის წილი, მაშინ საერთო ქონებაში მოვალის წილს განსაზღვრავს სასამართლო. როცა წილი განსაზღვრულია, აღმასრულებელმა უნდა შეადგინოს საერთო ქონების აღწერის აქტი (აღწეროს იგი). მოვალის წილის განსაზღვრა და შემდგომში გადახდევინება, ხორციელდება სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე (იხ. საერთო საკუთრების და თანაზიარი საკუთრების მომწესრიგებელი ნორმები). მოვალის წილის განსაზღვრის შემთხვევაში, სასამართლომ თავის განწყვეტილებაში უნდა მიუთითოს კონკრეტული საგნები, რომლებიც უნდა იქნეს გამოყოფილი საერთო ქონებიდან და რომლებზეც შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

საერთო ქონების აღწერის აქტის შედგენისას აღმასრულებელმა საერთო საკუთრების სხვა მონაწილეებს უნდა განუმარ-

ტოს, რომ მათ აქვთ უფლება სარჩელით მიმართონ სასამართლოს აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის (ყადაღისაგან გათავისუფლების) შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მოვალის ქონებაზე, მათ შორის იმ ფულად თანხებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობაზე, რომლებიც არსებობს ნაღდი ფულის სახით ან ანგარიშებსა და ანაბრებზე ან შესანახად ბანკსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში, გადახდევინება უნდა მიექცეს იმ ოდენობითა და მოცულობით, რაც აუცილებელია სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად აღსრულების საფასურისა და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯების გადახდევინების გათვალისწინებით, თუმცა კანონის სპეციალური ნორმით ეს საკითხი მონესრიგებული არ არის.

შესაძლებელია მოვალის ფულად თანხები იმყოფებოდეს მოვალის საკორესპოდენტო ანგარიშებზე სხვადასხვა ბანკში.

თუ მოვალეს ანგარიშებზე (არაერთ ანგარიშზე) არ გააჩნდა ფულადი თანხები, ყადაღა ედება მოვალის სხვა ქონებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავს შემთხვევებში, როცა ყადაღა ედება რამოდენიმე ანგარიშზე არსებულ ფულად თანხას, თითოეული ყადაღის დადება უნდა მოხდეს ცალ-ცალკე, კანონით დადგენილი წესით.

### **მოვალის ანგარიშების დაყადაღება ეწინააღმდეგება კანონს**

ყადაღა უნდა დაედოს არა ანგარიშს, არამედ ანგარიშზე არსებულ მოვალის ფულად თანხებს სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხის ოდენობით.

თუ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოვალეს გააჩნია ფულადი თანხები და მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც იმყოფება ანგარიშებზე და ანაბრებზე ან შესანახად



ბანკებსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში, მათ ედება ყადაღა.

თუ ბანკებში ანგარიშებისა და ანაბრების არსებობის ან არარსებობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, აღმასრულებელმა შეკითხვით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოებს და მათი მეშვეობით მოიპოვოს ინფორმაცია მოვალის ფულადი შემოსავლების შესახებ.

ამასთან, თუკი მოვალის არცერთ ანგარიშზე ფულადი თანხა არ არსებობს, ეს გარემოება არ უკრძალავს აღმასრულებელს, ყადაღა დაადოს მოვალის ფულად თანხებს, რამდენადაც ფულადი თანხა მოვალის ანგარიშებზე აღსრულების პერიოდში შეიძლება შემოვიდეს, რადგან არგარიში თავისთავად (ცალკე, დამოუკიდებლად) არ ყადაღდება.

არ იქნება მართებული მოვალის ფულად თანხებზე აღმასრულებლის მიერ ყადაღის მხოლოდ მაშინ დადება, თუ მას ხელთ ექნება ასეთი ინფორმაცია.

აღმასრულებლის მიმართვის საფუძველზე ბანკები, სადაც იურიდიულ პირთა ანგარიშებია გახსნილი, მათთან ფულადი თანხების არსებობის შესახებ ინფორმაციას არ გასცემენ. ამ შემთხვევაში ბანკები უთითებენ კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონზე.

მართლაც, ხსენებულ კანონში მოცემულია იმ პირთა შესახებ ამომწურავი მონაცემები, რომელთაც შეიძლება მიეცეთ ასეთი ინფორმაცია. აღმასრულებელი დასახელებულ კანონში მოხსენიებული არ არის. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებელმა უნდა იმოქმედოს კანონის ზოგადი დანაწესების (მოთხოვნების) შესაბამისად (კანონის მე-17 მუხლი). მოვალის ფულად თანხებზე გადახდევინების მიქცევა არ უნდა აჭარბებდეს (არ აღემატებოდეს) ვალის ოდენობას (მოცულობას).

## **სხვა პირებთან არსებულ მოვალის ფულად თანხებზე და ქონებაზე გადახდევინების მიქცევა**

კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების თანახმად, იძულებითი გადახდევინების პროცესში აღმასრულებელს უფლება აქვს გადახდევინება განახორციელოს მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან. მაგრამ კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუ რა წესით უნდა განახორციელოს აღმასრულებელმა გადახდევინება მსგავს შემთხვევებში.

აღნიშნავთ, რომ სააღსრულებო დოკუმენტის იძულებითი აღსრულების დროს აღმასრულებელს შეუძლია გადახდევინება მიაქციოს მოვალის ფულად თანხებზე და სხვა ქონებაზე, რომლებიც იმყოფება სხვა ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირებთან.

მას შემდეგ, რაც სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას გამოარკვევს, რომ მოვალის ფულადი თანხა და სხვა ქონება იმყოფება მესამე პირებთან, აღმასრულებელი შესაბამის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უგზავნის შეკითხვას იმის შესახებ, იმყოფება თუ არა მათთან მოვალის რაიმე ქონება და ვალდებული არიან თუ არა ისინი გადაუხადონ რაიმე თანხა მოვალეს, რა საფუძვლით და რა ვადაში.

მესამე პირთათვის გაგზავნილ ამ შეკითხვაში მიეთითება პასუხის გაცემის ვადა.

შეკითხვის გაგზავნასთან ერთად, აღნიშნულ პირებს იმავდროულად ეცნობებათ იმის თაობაზეც, რომ აღმასრულებლის შეკითხვის მიღების მომენტიდან მათთან არსებულ მოვალის ქონებას ედება ყადაღა გადასახდევინებელი თანხის ფარგლებში. შეკითხვის მიღების მომენტიდან მესამე პირები ხდებიან მოვალის ქონების შემნახველები.

მესამე პირებისათვის მოვალის ქონების განკარგვის აკრძალვა

ვრცელდება არა მხოლოდ არსებულ ქონებაზე, არამედ იმ ქონებაზეც, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს მოვალის მიერ მომავალში.

მოვალის ფულადი თანხა მესამე პირების მიერ შეიტანება ან სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, ან გადაეცემა უშუალოდ კრედიტორს.

მას შემდეგ, რაც აღმასრულებელი შეიტყობს, რომ მოვალის ქონება სხვა პირებთან იმყოფება, მან ყადაღა უნდა დაადოს ამ ქონებას. ყადაღის დადება ხდება მესამე პირებთან არსებულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე და კანონის IX-XI თავებით დადგენილი წესებით.

**მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე წყდება მესამე პირებთან არსებულ მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის და ამ ქონების ამოღების საკითხი.** აღმასრულებლის ზემოაღნიშნულ მოქმედებებზე სასამართლო კონტროლის აუცილებლობა იმით აიხსნება, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი ქონება სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე. მხოლოდ სასამართლოში (ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით) შეიძლება გამოირკვეს მოვალის კუთვნილი ქონების ფლობის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ საკითხი, ასევე შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებათა მესამე პირთათვის შენარჩუნების შესაძლებლობის საკითხი. მაგალითად, თუ იჯარის ხელშეკრულებაა დადებული, მაშინ იჯარით გაცემული ქონების ამოღება დაუშვებელია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

აღმასრულებელი სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სასამართლოს მიმართავს სასამართლო აქტის აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის შესახებ განცხადებით, რაც ხორციელ-

დება მოვალის კუთვნილ იმ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის გზით, რომელიც იმყოფება სხვა პირებთან.

თუ სააღსრულებო დოკუმენტი გაცემულია სხვა ორგანოს მიერ, მაშინ ანალოგიური განცხადება აღმასრულებლის მიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შეიტანება სააღსრულებო ბიუროს ადგილსამყოფელის მიხედვით. სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების საფუძველზე აღმასრულებელი ახორციელებს სააღსრულებო დოკუმენტის იძულებითი აღსრულების შესაბამის ღონისძიებებს. აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა ნიშნავს აღსრულების ერთი სახის მეორე სახით შეცვლას, რა დროსაც იცვლება მხოლოდ აღსრულების ფორმა და არა -კრედიტორი და მოვალე.

სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალის სრულიად სხვა სუბიექტით<sup>17</sup> შეცვლის შედეგად სახეზე იქნებოდა არა აღსრულების წესისა და საშუალების, არამედ კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების შეცვლა, რაც დაუშვებელია.

### **სააღსრულებო დოკუმენტში მითითებული საგნების კრედიტორისათვის გადაცემა**

კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს მოვალისაგან იმ საგნების ჩამორთმევა, რომლებიც სასამართლო გადანყვეტილებით კრედიტორს უნდა გადაეცეს („ბ“ ქვეპუნქტი).

იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორს მიეკუთვნება სააღსრულებო დოკუმენტში მითითებული საგნები, აღმასრულებლის მიერ ხდება ამ საგნების მოვალისაგან ამოღება და იგი მათ

17 თუკი ეს სუბიექტი უფლებამონაცვლე არ არის- ავტორთა ხაზგასმა

გადასცემს კრედიტორს, რის შესახებაც ადგენს გადაცემის აქტს. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უარს იტყვის სააღსრულებო დოკუმენტში მითითებულ საგნებზე, ისინი დაუბრუნდება მოვალეს, ხოლო სააღსრულებო წარმოება წყდება 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. საგნების მოვალისათვის დაბრუნება ფორმდება შესაბამისი აქტით. ეს აქტი დგება სამ ეგზემპლარად დამსწრეთა თანდასწრებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე უარს ამბობს სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობით შესრულებაზე და სააღსრულებო დოკუმენტში მითითებული საგნების კრედიტორისათვის გადაცემაზე, აღმასრულებელი ასრულებს ყველა აუცილებელ მოქმედებას სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად.

ამ მიზნით აღმასრულებელს უფლება აქვს შევიდეს მოვალის მიერ დაკავებულ სათავსში, საცავში, დაათვალიეროს ყველა სათავსი და მოვალის ქონება, ხოლო თუ ეს აუცილებელია – გახსნას სათავსები და საცავები (მუხლი მე-17). ამ მოქმედებებს აღმასრულებელი იმისათვის ახორციელებს, რომ, მაგალითად, დარწმუნდეს, რომ კრედიტორისათვის მიკუთვნებული საგნები მოვალეს არ გააჩნია (ან მასთან არ იმყოფება).

თუ აღმასრულებელი აღმოაჩინს კრედიტორისათვის მიკუთვნებულ საგნებს, მაშინ იგი, ამ საგნების რაოდენობისა და თვისებებისდა მიხედვით (მათი გათვალისწინებით) ან ყადაღას ადებს და შემდგომში ამოიღებს ამ საგნებს, ან მათ უშუალოდ ამოიღებს. აღნიშნულ მოქმედებებს აღმასრულებელი ახორციელებს კანონის IX-XI თავების მოთხოვნათა შესაბამისად.

მოვალისაგან საგნების ამოღება და კრედიტორისათვის მათი გადაცემა ხორციელდება აქტით, რომელიც დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ჩაბარდება (გადაეცემა) მოვალეს, მეორე – კრედიტორს, ხოლო მესამე რჩება აღმასრულებლის

ნარმოებაში. საგნების მიღება და გადაცემა დასტურდება აქტის ეგზემპლარებზე აღმასრულებლისა და კრედიტორის ხელმოწერებით.

იმ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრული საგნების კრედიტორისათვის გადაცემის შესახებ სააღსრულებო დოკუმენტის შესრულება შეუძლებელია, მაგალითად მათი დაკარგვის გამო, აღმასრულებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს (რომელმაც გასცა მოცემული სააღსრულებო დოკუმენტი) განცხადებით სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის შესახებ.

თუ აღმასრულებელს აქვს ინფორმაცია, რომ სააღსრულებო დოკუმენტში მითითებული საგნები მესამე პირებთან იმყოფება, მაშინ აღსრულება უნდა განხორციელდეს მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

### **გადახდევინების მიქცევა მოვალის ხელფასზე, პენსიაზე, სტიპენდიასა და სხვა შემოსავლებზე**

მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, იძულებითი აღსრულების პირობებში აღმასრულებელი უფლებამოსილია განახორციელოს გადახდევინება მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან და სხვა შემოსავლებიდან.

**მოვალის ხელფასსა და სხვა სახის შემოსავლებზე გადახდევინების მიქცევა ხდება პერიოდული ფულადი გადასახდელების გადახდევინების შესახებ გადანყვეტილებათა აღსრულების დროს, თუ მოვალეს არ გააჩნია ქონება ან ეს ქონება არ არის საკმარისი გადასახდელი თანხის სრულად გასასტუმრებლად (გადასახდელად).**

ხელფასი და სხვა შემოსავლები მოვალის ქონების ერთ-ერთი სახეა. მოვალის ხელფასსა და სხვა სახის შემოსავლებზე

გადახდევინების მიქცევა ხორციელდება ქონებრივი ხასიათის სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულების იმ ზოგადი (საერთო) პროცედურების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია კანონით (IX-XI-ე თავები, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი), ამასთან, ორგანული კანონით შრომის კოდექსით გათვალისწინებულია ხელფასზე გადახდევინების მიქცევის თავისებურება და სპეციალური წესი. აუცილებლად მიგვაჩნია ხელფასზე გადახდევინების მიქცევის ამ სპეციალური წესის გათვალისწინება აღსრულების პროცესში, მოვალის მინიმალური შემოსავლების შენარჩუნების (უზრუნველყოფის) მიზნით.

აღსანიშნავია, რომ კანონში არ არის მოცემული შემოსავლების ცნება, იგი აღნიშნულზე ასევე არ შეიცავს მითითებით ნორმას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 154-ე მუხლით ფაქტობრივად განსაზღვრულია შემოსავლის ცნება. სამოქალაქო სამართლის თეორიაში შემოსავლად მიიჩნევა ნივთისა და უფლების ნაყოფი, პროდუქცია. შემოსავალი მიიღება ქონებით სარგებლობის ან ქონების განკარგვის შედეგად.

შემოსავლის ცნება საგადასახადო კოდექსითაც არის განსაზღვრული, მაგრამ იმ შემოსავლების განსაზღვრისას, რომელთა შესახებაც არის საუბარი კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტში, საგადასახადო კოდექსის ნორმები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რადგანაც ისინი შეიცავენ დათქმას იმის შესახებ, რომ ისინი აწესრიგებენ მხოლოდ საგადასახადო სამართალურთიერთობებს. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში, არავითარი შეზღუდვა სამოქალაქო სამართალში მოცემული შემოსავლის ცნების გამოსაყენებლად გათვალისწინებული არ არის. ამიტომ კანონის მე-17 მუხლით დადგენილი წესით გადახდევინების მიქცევა ხორციელდება ქონების გამოყენების (ქონებით სარგებლობის) და ქონების განკარგვის შედეგად მიღე-

ბულ შემოსავლებზე და ხელფასზე, პენსიასა და სტიპენდიაზე.

შემოსავლის სამოქალაქო სამართალში არსებული განსაზღვრებიდან გამომდინარე, შემოსავლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს უძრავი ქონების გამოყენების (უძრავი ქონებით სარგებლობის) შედეგად, ასევე ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული ფულადი თანხები, ფულადი თანხები მიღებული დივიდენდების, პროცენტების სახით და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ კანონი იყენებს ტერმინს “ხელფასი“, ხოლო მოქმედი შრომის კოდექსით “ხელფასის“ ცნება გათვალისწინებული არ არის. დღეს მოქმედ შრომის კოდექსში „ხელფასის“ ცნების ნაცვლად გათვალისწინებულია ტერმინი „შრომის ანაზღაურება“. საჭიროა კი განისაზღვროს, თუ რა უნდა იგულისხმოს აღმასრულებელმა ხელფასში (შრომის ანაზღაურებაში). ხელფასი (შრომის ანაზღაურება) წარმოადგენს გასამრჯელოს შრომის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოსათვის, აგრეთვე საკომპენსაციო და წამახალისებელი ხასიათის გასაცემებსაც (გადასახდელებს) მოიცავს და გულისხმობს ხელფასის (შრომის ანაზღაურების) ცნება, რომელზეც შეიძლება გადახდევინების მიქცევა. გადახდევინების მიქცევა, ასევე შესაძლებელია შრომით პენსიაზე. შრომის კოდექსისაგან განსხვავებით, საჯარო სამსახურის კანონი განსაზღვრავს შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ცნებას (მუხლი 37-ე), რომლის შესაბამისადაც მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

განსახილველ ნორმაში (მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის “ა.ბ“ ქვეპუნქტში) ჩამოთვლილია შემთხვევები, როცა შესაძლებელია გადახდევინების მიქცევა მოვალის ხელფასსა და სხვა სახის შემოსავლებზე.



**პერიოდული ფულადი გადასახდელებია ყველა სახის გასაცემი (გადასახდელი), რომლებიც მოვალემ ეტაპობრივად უნდა გადაიხადოს (რომელთა ეტაპობრივად გადახდის ვალდებულებაც მას აკისრია). პერიოდული გადასახდელებია: ალიმენტები, ფიზიკური პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დროს გადასახდელი, ყოველთვიური სარჩო და სხვა.**

მნიშვნელოვანია ხელფასიდან და მოვალის სხვა სახის შემოსავლებიდან დაკავების (დაქვითვის) ოდენობის განსაზღვრა. ზოგადი წესის თანახმად, **მოვალის ხელფასიდან და სხვა სახის შემოსავლებიდან დაკავების (დაქვითვის) ოდენობის გამოთვლა ხდება გადასახადების დაკავების შემდეგ დარჩენილი თანხებიდან.** მოცემული წესის თანახმად, გადახდევინება მიექცევა იმ ფულად თანხაზე, რაც დარჩება მოვალეს გადასახადების გადახდის შემდეგ.

საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, გადასახადი არის ბიუჯეტში სავალდებულო უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი (ფიზიკური და იურიდიული პირი) და ამ გადახდას გააჩნია სავალდებულო (აუცილებელი), არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათი. გადასახადის სახეები, აგრეთვე გადახდის წესი დადგენილია საგადასახადო კოდექსით. ყოველივე ზემოთქმული ნიშნავს, რომ იმ ფულად თანხას, რომელზედაც უნდა მიექცეს გადახდევინება, გამოაკლდება გადასახადები, რომელთა გადახდაც სავალდებულოა. ამიტომ, გადახდევინება უნდა მიექცეს იმ ფულად თანხაზე, რომელიც მოვალეს გადასახადების დაკავების შემდეგ დარჩება.

მე-17 მუხლის სერიოზული ხარვეზია ის, რომ არ განსაზღვრავს ხელფასზე და მასთან გათანაბრებულ ფულად გადასახ-

დელებზე და გასაცემებზე, ასევე პენსიაზე, სტიპენდიასა და სხვა შემოსავლებზე (მაგალითად ავტორის მიერ თავისი საავტორო უფლების გამოყენების შედეგად მიღებულ გასამრჯელოზე და სხვა) გადახდევინების მიქცევისას ხელფასიდან და მოვალის ამ სხვა შემოსავლებიდან დაკავების მაქსიმალურ ოდენობას (მოცულობას). ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ შრომის კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც შრომის ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50%. ამრიგად, თუ ჩვენ მოვალის სხვა შემოსავლების დეტალიზებას მოვახდენთ, ისინი თავის თავში მოიცავს, პირველ რიგში ხელფასთან გათანაბრებულ ფულად გადასახდელებსა და გასაცემებს, მეორე მხრივ, სტიპენდიას, პენსიას, ინტელექტუალური საკუთრების მქონე პირის მიერ თავისი საავტორო უფლების, გამოგონების, სასარგებლო მოდელის და დიზაინის, რომელსაც ადრე სამრეწველო ნიმუში ეწოდებოდა და ინტელექტუალური საკუთრებიდან გამომდინარე სხვა უფლების გამოყენებისათვის მიღებულ გასამრჯელოს (შემოსავალი).

კანონით დადგენილი წესით მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან და სხვა შემოსავლებიდან დასაკავებელი (დასაქვითი) ფულადი თანხა მოიცავს (ანუ ამ ფულად თანხაში შედის) ფულად თანხებს, რომლებიც გამოიყენება კრედიტორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აღსრულების ხარჯების ასანაზღაურებლად, აღსრულების საფასურის გასასტუმრებლად.

უმნიშვნელოვანესია, ასევე იმის განსაზღვრა, თუ რა წესით უნდა მოხდეს იმ მოვალის ხელფასიდან დაკავების (დაქვითვის) ოდენობის გამოთვლა, რომელიც გამასწორებელი სამუშაოს სახით იხდის სასჯელს, ანუ რა წესით უნდა მოხდეს ასეთი მოვალის ხელფასზე გადახდევინების მიქცევა.

იმ მსჯავრდებულისაგან, რომელსაც სასჯელის სახით განესაზღვრა გამასწორებელი სამუშაო, გადახდევინება სააღსრულებო დოკუმენტების საფუძველზე უნდა წარმოებდეს მთელი ხელფასიდან სასამართლოს განაჩენის საფუძველზე განხორციელებული დაკავების (დაქვითვების) გათვალისწინების გარეშე.

გამასწორებელი სამუშაოების სახით სასჯელის ღონისძიებათა გამოყენება გულისხმობს, რომ მსჯავრდებული, როგორც წესი, რჩება უწინდელ შრომით ურთიერთობაში, მაგრამ მისი შემოსავლებიდან (ხელფასიდან), სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, ხორციელდება თანხის დაქვითვა სახელმწიფოს შემოსავალში 5-დან 20%-მდე ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ მოვალის შემოსავლებზე გადახდევინების მიქცევა ხდება სააღსრულებო დოკუმენტების საფუძველზე, მაშინ გადახდევინების ოდენობა გამოითვლება სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე განხორციელებული დაქვითვის (დაკავების) გათვალისწინების გარეშე. ამრიგად, იმ მოვალის, შემოსავლებიდან რომელსაც მიესაჯა გამასწორებელი სამუშაო, ყველა დაქვითვის ოდენობა შედგება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით და შრომის კოდექსის 33-ე მუხლით დადგენილი წესით გადახდევინებული ფულადი თანხისაგან, აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე დაქვითული ფულადი თანხისაგან (20%-მდე).

### **სოციალურ დახმარებაზე (შემწეობაზე) გადახდევინების მიქცევა**

სოციალურ (დროებითი შრომისუუნარობის დროს, ორსულობისა და მშობიარობის, ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულების პერიოდში ბავშვის მოვლის გამო და სხვა) დახმარებაზე, გადახდევინება წარმოებს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების

საფუძველზე, აგრეთვე ალიმენტების გადახდევინების, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების და იმ პირთათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადანყვეტილების საფუძველზე, რომელთაც ზიანი მიადგათ მარჩენალის გარდაცვალების შედეგად. სოციალური უზრუნველყოფის სახეებია: სამედიცინო დაწესებულებისათვის იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც დაკავშირებულია დაზღვეული პირისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარების განეგასთან; მოხუცებულობის პენსია; ინვალიდობის პენსია; პენსია მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში; შემწეობა (დახმარება) დროებითი შრომისუნარობის გამო; შრომით დასახიჩრებასა და პროფესიულ დაავადებასთან დაკავშირებული დახმარება (შემწეობა); ორსულობისა და მშობიარობის დახმარება; ყოველთვიური დახმარება ბავშვის მოვლის გამო მის მიერ წლინახვერის ასაკის მიღწევამდე; უმუშევრობის დახმარება; იმ ქალების ერთდროული დახმარება, რომლებიც ავიდნენ აღრიცხვაზე სამედიცინო დაწესებულებაში ორსულობის ადრეულ ვადებში; ერთდროული დახმარება ბავშვის დაბადების დროს, სანატორიულ – საკურორტო მკურნელობაზე დახმარება; სოციალური დახმარება დაკრძალვაზე; სანატორიულ – საკურორტო მკურნელობასა და მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების გამოჯანმრთელებაზე საგზურების ანაზღაურება.

**შემოსავლის სახეები, რომლებზეც არ შეიძლება (დაუშვებელია) გადახდევინების მიქცევა**

დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა იმ ფულად თანხებზე, რომლებიც გადახდილია (გაცემულია):

- 1). ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, აგრეთვე იმ პირთათვის ზიანის ასანაზღაურებლად, რომელთაც განიცადეს ზიანი მარჩენალის გარდაცვალების შედეგად;

2) იმ პირთათვის, რომელთაც მიიღეს სახიჩრობა (ჭრილობა, ტრამვა, კონტუზია) მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და აღნიშნულ პირთა გარდაცვალების (დაღუპვის) შემთხვევაში მათი ოჯახის წევრებისათვის;

3) ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, მრავალშვილიანი დედებისათვის, მარტოხელა მამისათვის ან დედისათვის; არასრულწლოვანი ბავშვების სარჩენად მათი მშობლების ძებნის პერიოდში; პენსიონერებისა და 1-ლი ჯგუფის ინვალიდების მათი მოვლისათვის; დაზარალებულებისათვის დამატებითი კვებისათვის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, პროთეზირებისათვის და მათი მოვლის ხარჯებისათვის ჯანმრთელობისათვის ზიანის (გნების) მიყენების შემთხვევაში; საალიმენტო ვალდებულებების გამო;

4) მავნე პირობებიან სამუშაოზე მუშაობისათვის ან ექსტრემალურ სიტუაციებში მუშაობისათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებმაც განიცადეს რადიაციის ზემოქმედება კატასტროფების ან ატომურ ელექტრო სადგურზე ავარიის შედეგად და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევა;

5) ორგანიზაციის მიერ ბავშვის დაბადებასთან, ნათესავების გარდაცვალებასთან, ქორწინების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე მუშაკის გათავისუფლების დროს გადახდილ კომპენსაციაზე.

მოცემულ ჩამონათვალში მითითებულია ფულად თანხაზე, რომლებიც გადახდილია (გაცემულია) მიზნობრივი ან საკომპენსაციო წესით, რომლებზეც დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა. სხვა ქონება, რომელზეც აკრძალულია გადახდევინების მიქცევა, მითითებულია კანონის მე-2<sup>1</sup> და 45-ე მუხლებში.

## **მუხლი 17<sup>1</sup>. (ამოღებულია)**

## **მუხლი 18. კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებანი**

მე-18 მუხლში განმტკიცებულია სააღსრულებო წარმოებაში მხარეთათვის მინიჭებული ზოგადი უფლებები და მოვალეობები. ეს უფლებები სამოქალაქო საქმეში მონაწილე პირთათვის დადგენილი უფლებების მსგავსია (იხ. სსსკ-ის 83-ე მუხლი). მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სააღსრულებო წარმოებაში მხარეები არ წარადგენენ მტკიცებულებებს თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებელის დასადასტურებლად, რადგან მათ შორის დავა უკვე გადაწყვეტილია, უფლებები და მოვალეობები დადგენილია და მათ მხოლოდ ისლა დარჩენიათ, რომ შეასრულონ სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

თუ ჩვენ ერთმანეთს კრედიტორისა და მოვალის სამართლებრივ მდგომარეობას შევადარებთ, მაშინ ძნელი არ იქნება შევამჩნიოთ, რომ მათი მდგომარეობა განსხვავებულია იმის გამო, რომ ერთი მხარე წარმოადგენს ვალდებულ მხარეს, ხოლო მეორეს გააჩნია უდავო მატერიალური უფლებები პირველის მიმართ და ეს უფლებები იძულებით უნდა განხორციელდეს. ზოგადი უფლებების და ვალდებულებების გარდა, მხარეებს სააღსრულებო წარმოებაში სპეციფიკური უფლებები და ვალდებულებებიც გააჩნიათ.

შეიძლება გამოიკვეთოს კრედიტორის ისეთი სპეციფიკური უფლებები, როგორც არის უფლება თხოვოს აღმასრულებელს სააღსრულებო წარმოების დაწყების (წინადადების ჩაბარების) შემდეგ მოვალის ქონებაზე და ფულად თანხებზე ყადაღის დაუყოვნებლივ დადება; უფლება იცოდეს სად იმყოფება

ოფება სააღსრულებო დოკუმენტი მოცემულ მომენტში, რამდენადაც აღმასრულებელი ვალდებულია აცნობოს კრედიტორს სააღსრულებო დოკუმენტის სხვა აღმასრულებლისათვის გადაცემის შესახებ; სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განცხადებით მიმართვის უფლება; საგადასახადო ორგანოებისაგან ინფორმაციის მიღების უფლება ბანკსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციებში მოვალის ანგარიშებისა და ანაბრების არსებობის შესახებ.

მოვალეს გააჩნია შემდეგი სპეციფიკური უფლებები. მას უფლება აქვს სააღსრულებო წარმოების აღძვრის შემდეგ 7 დღის განმავლობაში ნებაყოფლობით შეასრულოს სააღსრულებო დოკუმენტით მასზე დაკისრებული ვალდებულება.

ქონების აღწერისა და დაყადაღების პროცესში მოვალეს უფლება აქვს აღმასრულებელს მიუთითოს ქონების ან საგნების იმ სახეობებზე, რომლებზეც უნდა მიექცეს გადახდევინება პირველ რიგში, თუმცა გადახდევინების მიქცევის საბოლოო რიგითობა განისაზღვრება მაინც აღმასრულებლის მიერ.

კანონის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ მოვალეს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს თავისი ქონების დაყადაღების გაუქმების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელმა ქონების დალადაღების დროს დაარღვია კანონი. მაგალითად, თუ დაარღვია 45-ე მუხლის მოთხოვნები. ასეთი სარჩელი საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა და ადმინისტრაციული წესით უნდა იქნეს განხილული.

მოვალის ნებისმიერი სახის ქონებაზე, გადახდევინების მიქცევა ხდება იმ მოცულობითა და ოდენობით, რაც აუცილებელია სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად აღ-

სრულების საფასურისა და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯების (აღსრულების ხარჯების) გათვალისწინებით.

შესაბამისად, აღსრულების პროცესში საჭიროა კრედიტორისა და მოვალის ინტერესების სამართლიანად გათვალისწინება და დაბალანსება. უცხოური პრაქტიკა აღნიშნულს დიდ ყურადღებას აქცევს, რაც ქართულმა სასამართლოებმაც უნდა გაითვალისწინონ. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო<sup>18</sup> განმარტავს, რომ კონსტიტუციური სარჩელი მიმართულია იმის წინააღმდეგ, რომ გაშენებული ნაკვეთი იძულებითი აღსრულების ფარგლებში ისე მიეკუთვნა მაქსიმალური ფასის შემთავაზებელ პირს, რომ შეთავაზებული თანხა (10.500 მარკა) ბევრად ნაკლები იყო ნაკვეთის ღირებულებაზე (95.000 მარკა) და აუქციონზე ნივთის შემძენის მიერ საკუთრების უფლების შექმნის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე არ შემოწმებულა, იყო თუ არა მოცემული და გათვალისწინებული აღსრულების წინაპირობები და მოთხოვნები. წინამდებარე შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული წარმოება არღვევს კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოსარჩელის ძირითად უფლებას, რომლის დამცავი მექანიზმი ასევე მოიცავს სამართალწარმოების წარმართვას სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით.

...საკუთრების გარანტიის განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოში: აღნიშნული გულისხმობს მესაკუთრის ხელში საკუთრების კონკრეტული არსის გარანტიას. კონსტიტუციურ-სამართლებრივად მისი ფუნქციაა, ცალკეულ პირს შეუნარჩუნოს ძირითადი უფლება

18 გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატის 1977 წლის 7 დეკემბრის განჩინება



– სუბიექტის თავისუფალი სივრცე ქონებრივ-სამართლებრივ სფეროში და ამით შესაძლებლობა მისცეს პიროვნული განვითარებისა და ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის გამოვლენისათვის. აღნიშნული გარანტიის ფუნქცია გავლენას ახდენს არამხოლოდ მატერიალურ – ქონებრივი სამართლის ჩამოყალიბებაზე, არამედ, ასევე შესაბამის საპროცესო სამართალზეც. უშუალოდ კონსტიტუციიდან გამომდინარეობს ვალდებულება, რომლის მიხედვითაც, მითითებული ძირითადი უფლების დარღვევისა თუ ხელყოფის შემთხვევებში პირისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლებრივი დაცვა. ყოველივე ეს ასევე მოიცავს სამართლიანი სამართალწარმოების მოთხოვნის უფლებასაც, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს სამართლებრივ სახელმწიფოდ წარმოაჩენს. აღნიშნული მოქმედებს იძულებითი აღსრულების წარმოების ფარგლებშიც, როდესაც სახელმწიფო, კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე, მაშტაბურად ზღუდავს მოვალის კონსტიტუციით დაცულ საკუთრების უფლებას. ამგვარი შეზღუდვა, თუმცა, გამართლებულია, რამდენადაც იგი ემსახურება კრედიტორის დასაბუთებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაგრამ იმავდროულად აუცილებელია მოვალის ინტერესების დაცვაც, რაც გულისხმობს მოვალის შესაძლებლობას, მოითხოვოს სამართლებრივი დაცვა ისეთ შემთხვევებში და ისეთი ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია მისი საკუთრების შეუსაბამოდ დაბალ ფასად გაყიდვისაკენ. წინამდებარე შემთხვევებისათვის ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს საპროცესო ნორმების კონსტიტუციური გამოყენების პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საკუთრების უფლების შექენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უნდა მიღებულიყო არა აუქციონზე, არამედ – უფრო მოგვიანებით,

რათა მოსარჩელეს შესაძლებლობა ჰქონოდა, ესარგებლა აღსრულებისაგან თავის დაცვის კონსტიტუციით გათვალისწინებული საშუალებებით.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მე-18 მუხლში მოცემული კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, ე.ი. მასში მითითებული არ არის ყველა ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვთ მხარეებს სააღსრულებო წარმოებაში. სააღსრულებო წარმოების მხარეთა მთელი რიგი უფლებები დადგენილია მოცემული კანონის სხვა მუხლებით. მაგალითად, მასში არაფერია ნათქვამი კრედიტორისა და მოვალის იმ უფლებათა შესახებ, რომლებიც დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსს შეადგენს, თუ არ ჩავთვლით მორიგების უფლებაზე მითითებას. მოცემული პრინციპის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ ითხოვონ სააღსრულებო წარმოების შეჩერება ან შეწყვეტა, აღსრულების გადადება, გადავადება, განწილვადება, აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლა, მიკუთვნებული თანხის ინდექსაცია, კრედიტორს უფლება აქვს უარი თქვას გადახდევინებაზე, კრედიტორს ასევე უფლება აქვს უარი თქვას იმ საგნების მიღებაზე, რომლებიც მოვალისაგან ამოიღო აღმასრულებელმა და რომლებიც მოვალემ უნდა გადასცეს კრედიტორს სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე, კრედიტორს, თუ ის სახელმწიფოა, უფლება აქვს დაიტოვოს მოვალის ქონება, თუ ქონება აუქციონზე არ იქნება რეალიზებული. კრედიტორს შეუძლია ითხოვოს სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მხარეებს უფლება აქვთ მიიღონ სააღსრულებო წარმოების მასალების ამონაწერები, გადაიღონ მათი ასლები, წარადგინონ დამატებითი მასალები, განაცხადონ შუამდგომლობები, მონაწილეობა მიიღონ სააღსრულებო

მოქმედებათა შესრულებაში, მისცენ ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტებანი სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების პროცესში, გამოთქვან მოსაზრება სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობისას წამოჭრილ ყველა საკითხზე, სადავოდ აქციონ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა პირთა შუამდგომლობები და მოსაზრებები, განაცხადონ აცილება.

მე-18 მუხლის თანახმად, მხარეებს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება. კანონში საუბარია მოქმედების გასაჩივრებაზე, ამასთან, აქვე უნდა მოვიაზროთ აღმასრულებლის უმოქმედობის გასაჩივრების შესაძლებლობაც. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება აღმასრულებლის მოქმედების(უმოქმედობის) გასაჩივრების ადმინისტრაციული წესი. ეს წესი მოიაზრებს გასაჩივრებას როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან, ასევე ადმინისტრაციული სარჩელის შეტანის გზით.

ამასთან, აღსრულების პროცესში შეიძლება სადავო გახდეს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, ისე აღსრულების ღიაობა. ამ კრიტერიუმების შესაბამისად, აღსრულების პროცესში წარმოშობილი დავები იყოფა სამოქალაქო-სამართლებრივ და საჯარო-სამართლებრივ დავებად. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ საჯარო სამართლებრივი ხასიათის დავებს მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ასეთია მაგალითად სარჩელი აღმასრულებლის ქმედებასთან (მოქმედებასა თუ უმოქმედობასთან) დაკავშირებით, იძულებითი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ და ა.შ. აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის გამო აღძრული სარჩელი

არის სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის.<sup>19</sup>

მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი მხარეებს უფლებას აძლევს აღსრულების გადადების, განაწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებაზე შეიტანონ საჩივარი სასამართლოში. აღსრულების გადადების ან განაწილვადების, აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების ან წესის შეცვლის შესახებ მიიღება სასამართლოს განჩინება, რომლის გასაჩივრებაც დაიშვება კერძო საჩივრით (იხ, სსსკ-ის 263-ე მუხლი).

როგორც მხარეთა უფლება – მოვალეობათა ანალიზი გვიჩვენებს, ვალდებულებათა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, მოვალეს აკისრია, რაც განპირობებულია სააღსრულებო წარმოებაში მისი სამართლებრივი მდგომარეობით, მაგრამ კანონში მოვალეობებზე მითითება საკმარისი არ არის. აუცილებელია მოვალის პასუხისმგებლობის ზომების დადგენა მის მიერ ამ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამ მხრივ კანონმდებელი სასამართლო ან სხვა აქტის შესრულებისაგან თავის არიდებისათვის მოვალის პასუხისმგებლობის გაძლიერების გზით წავიდა.

უნინარეს ყოვლისა, მოვალეს ეკისრება კანონით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. კანონის თანახმად, იმ მოვალისაგან, რომელმაც საპატიო მიზეზების გარეშე ნებაყოფლობით არ შეასრულა სააღსრულებო დოკუმენტი აღმასრულებლის მიერ დადგენილ ვადაში, გადაიხდევინება აღსრულების საფასური ამოღებული (გადახდევინებული) თანხის 7%-ის ოდენობით.

---

19 სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების თავისებურებები განხილულია მზია თოდუას პუბლიკაციაში, ჟურნალი „საქართველოს მოსამართლეები“ 2005 წ. 3(5), გვ. 93-105.

აღსრულების საფასური ადმინისტრაციული საჯარიმო სანქციაა და კანონით დადგენილი მისი ოდენობა (7%-ი), წარმოადგენს მხოლოდ დასაშვებ მაქსიმუმს, სანქციის ზედა ზღვარს, მიჯნას და ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათის, მიყენებული ზიანის ოდენობის, სამართალდამრღვევის ბრალის ხარისხის, მისი ქონებრივი მდგომარეობის და სხვა არსებითი გარემოების გათვალისწინებით შეიძლება შეამციროს სასამართლომ. აქედან გამომდინარე, აღსრულების საფასური გადახდება მოვალეს გადახდევინებული (ამოღებული) თანხის 7%-მდე ოდენობით.

მოვალის მიერ სხვადასხვა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მას დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონის მთელი რიგი ნორმების შესაბამისად (იხ. 83-ე, 87-ე და სხვა მუხლები).

მოვალისათვის დადგენილია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა სააღსრულებო წარმოებაში, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

მოვალეს ეკისრება სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების (აღსრულების) ხარჯების გადახდა, აგრეთვე მოვალის მოქმედებით (უმოქმედობით) მიყენებული ზიანის გადახდა.

თუ მოვალის მოქმედებებში არსებობს დანაშაულის ნიშნები, მას შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური თავით არის გათვალისწინებული, თუ როდის დგება პასუხისმგებლობა დანაშაულებისათვის სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (იხ. XIV თავი).

დაბოლოს, მე-18 მუხლი მხარეებს ანიჭებს მორიგების უფლებას. მხარეთა მორიგების დამტკიცება სააღსრულებო წარმოებაში საერთო წესით ხორციელდება. მხარეებს შეუძლი-

ათ დამოუკიდებლად (თვითონ) ან აღმასრულებლის მეშვეობით მიმართონ სასამართლოს მორიგების თხოვნით და წარადგინონ მორიგების პროექტი. თუმცა მე-18 მუხლი ისეა ჩამოყალიბებული, თითქოსდა მხარეებს მორიგება მხოლოდ აღმასრულებლის მეშვეობით შეუძლიათ. მორიგების აქტი განიხილება სასამართლოს მიერ და მტკიცდება სამოქალაქო მატერიალური და საპროცესო წესების დაცვით და გათვალისწინებით.

## **მუხლი 18<sup>1</sup>. მხარეთა წარმომადგენლობა სააღსრულებო წარმოების პროცესში**

განსახილველი ნორმა ძალზე ზოგადი სახით აწესრიგებს სააღსრულებო წარმოებაში წარმომადგენლის მონაწილეობას. მხარეებს შეუძლიათ ან თავად განახორციელონ თავიანთი უფლებები და ვალდებულებები სააღსრულებო დოკუმენტის იძულებითი აღსრულების პროცესში, ან სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობა, ე.ი. თავიანთი საქმისწარმოების გაძლოლა მიანდონ წარმომადგენელს.

ჭარმომადგენელს, წარმოდგენილი პირის სახელით, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების შესრულების უფლება აქვს. ამასთან, არსებობს გარკვეულ უფლებამოსილებათა განხორციელების შეზღუდვა, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

სააღსრულებო წარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობის არსიდან გამომდინარეობს, რომ სააღსრულებო წარმოების მხარეთა წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც წარმოდგენილი პირის ინტერესების დასაცავად სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობაზე სათანადო წესით გაფორმებული უფლებამოსილება გააჩნია. ყველაზე უფრო ხშირად წარმომადგენელი სააღსრულებო წარმოებაში იმ მიზნით ჩაერთვება, რომ წარმოდგენილ პირს გაუწიოს კვალიფიციური იურიდიული დახმარება სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების პროცესში.

გარკვეულ შემთხვევებში სააღსრულებო წარმოებაში წარმომადგენელთა ჩაბმა სავალდებულოა, რადგან ზოგიერთ ფიზიკურ პირს თავისი უფლებებისა და ვალდებულებების პირადად განხორციელება არ შეუძლია. ესენია: არასრულწლოვანი

/მცირეწლოვანი ან შეზღუდულქმედუნარიანი პირები, რომლებიც ასეთად არიან აღიარებული კანონით დადგენილი წესით. მათ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს სააღსრულებო წარმოებაში, კანონიერი წარმომადგენლები იცავენ. რაც შეეხება სრულწლოვან პირებს, ისინი ნებისმიერ შემთხვევაში ქმედუნარიან პირებად ითვლებიან. სამოქალაქო კოდექსით დადგენილ შემთხვევაში ისინი შეიძლება სასამართლომ აღიაროს მხარდაჭერის მიმღებ პირებად. ამასთან მხარდაჭერის მიმღებს ენიშნება მხარდამჭერი, რომელიც არ არის მისი კანონიერი წარმომადგენელი. სახელშეკრულებო წარმომადგენლებისაგან განსხვავებით კანონიერი წარმომადგენლები წარმოდგენილ პირთა სახელით ასრულებენ ყველა იმ მოქმედებას, რომელთა შესრულების უფლება აქვთ წარმოდგენილ პირებს, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით. ამასთან, კანონიერ წარმომადგენლებს, თავიანთი მხრივ, შეუძლიათ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობა მათ მიერ წარმომადგენლად არჩეულ სხვა პირს, ანუ ახელშეკრულებო წარმომადგენელს მიანდონ.

სააღსრულებო წარმოებაში უშუალოდ მონაწილეობა იურიდიულ პირებსაც არ შეუძლიათ. ისინი მოქმედებენ თავიანთი ორგანოების ან თანამდებობის პირთა მეშვეობით, ან წარმომადგენელთა მეშვეობით. ორგანოების (თანამდებობის პირთა) მეშვეობით ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს სააღსრულებო წარმოებაში საქართველო, საქართველოს სუბიექტები (ავტონომიები), ადგილობრივი ორგანოები.

აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის წარმომადგენლები ვალდებული არიან გააჩნდეთ, ხოლო აღმასრულებელმა უნდა შეამოწმოს, გააჩნიათ თუ არა იმ პირებს, რომლებიც წარმომადგენენ სხვადასხვა ორგანოებს ან ორგანიზაციებს, თავიანთი სამსახურებრივი ან თანამდებობრივი მდგომარეობის ან უფლე-



ბამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტები: სამსახურებრივი მოწმობა, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სხვ. ორგანიზაციის ორგანოები ან თანამდებობის პირები მოქმედებენ კანონით, სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტებით ან სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

ფიზიკური პირის პირადი მონაწილეობა სააღსრულებო წარმოებაში არ ართმევს მას უფლებას იყოლიოს წარმომადგენელი. ეს ნიშნავს, რომ კრედიტორსა და მოვალეს სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობა თავიანთ წარმომადგენელთან ერთადაც შეუძლიათ. ამ პირთა პარალელური მონაწილეობა ხშირად გვხვდება პრაქტიკაში და უზრუნველყოფს სააღსრულებო წარმოებაში მხარეთა უფლებებისა და ინტერესების სრულად დაცვას.

**მაგრამ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სააღსრულებო დოკუმენტით მოვალეს ეკისრება ისეთი ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც მას მხოლოდ პირადად შეუძლია.** ასეთ შემთხვევებში, ასეთი ვალდებულებების შესრულების დროს, მოვალეს არა აქვს უფლება იმოქმედოს წარმომადგენლის მეშვეობით. მაგალითად, მოვალის გამოსახლების ან კრედიტორის შესახლების შესახებ სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების დროს მოვალე ვალდებულია პირადად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

### **წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმება**

განსახილველი მუხლის შესაბამისად, წარმომადგენლის უფლებამოსილება, უწინარეს ყოვლისა, წერილობით უნდა გაფორმდეს და უნდა გამოიხატოს მინდობილობაში. მინდობილობა ნოტარიულად უნდა დადასტურდეს. დასაშვებია ნო-

ტარიულთან გათანაბრებული ფორმა ნოტარიატის კანონის შესაბამისად.

მინდობილობას ნაეყენება განსაზღვრული მოთხოვნები. მაგალითად, მასში აუცილებლად უნდა მიეთითოს: მინდობილობის გამცემი პირი, წარმომადგენელი, რომელსაც ევალება სააღსრულებო წარმოებაში წარმოდგენილი პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მინდობილობის მოქმედების ვადა<sup>20</sup>, მინდობილობის გაცემის თარიღი, მარწმუნებლის ხელმოწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში მინდობილობა ბათილია.

წარმომადგენელი მხართა შორის დადებული დავალების ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედებს.<sup>21</sup> ორგანიზაციის წარმომადგენელზე გაცემულ მინდობილობას ორგანიზაციის სახელით ხელს აწერს მისი ხელმძღვანელი ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით აღნიშნულზე უფლებამოსილი სხვა პირი.

წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, მარტოოდენ მინდობილობა როდი მიეკუთვნება. მაგალითად, კანონიერი წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას შემდეგი დოკუმენტებით ადასტურებს: მშობლის (მშვილებლის) პასპორტით, ბავშვების დაბადების მოწმობით, შვილად აყვანის აქტით, მეურვედ ან მზრუნველად დანიშვნის შესახებ ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებით, მეურვის ან მზრუნველის მოწმობით.

აღმასრულებელი არ დაუშვებს სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორის ან მოვალის წარმომადგენელს, რომლის უფლებამოსილებებიც არ არის გაფორმებული, ან არასათანადო წესით არის გაფორმებული.

20 ვადის მითითება გულისხმობს მინდობილობის გაცემას როგორც კონკრეტული ვადით, ისე განუსაზღვრელი ვადით.

21 ამასთან დოქტრინა და პრაქტიკა ერთმანეთისგან სწორად მიჯნავს დავალების ხელშეკრულებასა და მინდობილობის ინსტიტუტს.

## წარმომადგენლის უფლებამოსილებები

სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე წარმომადგენელს იგივე მოცულობის უფლებები და მოვალეობები გააჩნია, რაც წარმოდგენილ პირს. იმ შემთხვევაში, თუ მას ხელთ სათანადო წესით გაფორმებული უფლებამოსილება გააჩნია, სააღსრულებო წარმოებაში, უფლება აქვს გაეცნოს სააღსრულებო წარმოების მასალებს, შესრულოს მათგან ამონაწერები, გადაიღოს ასლები, წარადგინოს დამატებითი მასალები, განაცხადოს შუამდგომლობები, მონაწილეობა მიიღოს სააღსრულებო მოქმედებებში, განახორციელოს კრედიტორისთვის ან მოვალისათვის მინიჭებული სხვა უფლებები (იხ. მე-18 მუხლის კომენტარი).

ზოგადი წესის თანახმად, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე წარმომადგენელს წარმოდგენილი პირის სახელით უფლება აქვს შეასრულოს სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება.

ამასთან, კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მთელი რიგი ნორმებით განმტკიცებულია კრედიტორისა და მოვალის ისეთი განკარგვითი უფლებამოსილებები სააღსრულებო წარმოებაში, რომელთა განხორციელებაც წარმომადგენელს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს სპეციალურად არის დათქმული მინდობილობაში ან მისი უფლებამოსილების დამადასტურებელ სხვა დოკუმენტში.

იმისათვის, რომ წარმომადგენელს ჰქონდეს უფლება წარმოდგენილი პირის ინტერესებში წარადგინოს ან გამოიხმოს სააღსრულებო დოკუმენტი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი), გადასცეს უფლებამოსილებები სხვა პირს (ე.ი. შეასრულოს გადანდობა), გაასაჩივროს აღმასრულებლის მოქმედებები (უმოქმედობა), მიიღოს სააღსრულებო დოკუმენტით მიკუთვნებული ფული და ქონება (სსსკ-ის 98-ე მუხლი),

მოცემული უფლებამოსილებანი მითითებული უნდა იყოს, სპეციალურად უნდა იყოს დათქმული წარმოდგენილი პირის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

კანონის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მასში სააღსრულებო წარმოებაში შესასრულებელი მხარეთა ყველა განკარგვითი მოქმედება როდია ჩამოთვლილი, რომლებიც სპეციალურად უნდა იქნეს დათქმული წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტში. მაგალითად, აუცილებელია სპეციალურად იქნეს დათქმული კრედიტორის წარმომადგენლის უფლება უარი თქვას იმ ქონებაზე, რომელიც სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე გადაეცემა კრედიტორს, ან მოვალის იმ ქონების ნატურით გადაცემაზე, რომელიც არ იქნება რეალიზებული აუქციონზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერი წარმომადგენლისათვის: მშობელი, მშვილებელი, მეურვე, მზრუნველი და სხვა პირი, – ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებების სპეციალურად დათქმა არ ხდება, რადგან მას კანონით აქვს მინიჭებული ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი პირის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა ვალდებულება, მატერიალურ სამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებით. მაგალითად, გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული სამოქალაქო კოდექსის 1294-ე მუხლით. შესაბამისად, თუკი აღსრულების ეტაპზე კანონიერი წარმომადგენელი უარს იტყვის გადახდევინებაზე, ან მოურიგდება მოვალეს და აღნიშნული მოქმედებით შეიქმნება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის 1294-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების თუ ქონებრივი ინტერესების შელახვის საფრთხე ზემოაღნიშნული სააღსრულებო მოქმედებების შესრულების უფლება კანონიერ წარმომადგენელს მარტოოდენ მეურვეობისა და მზრუნვე-

ლობის ორგანოს თანხმობით ექნება. დაზუსტებისათვის უნდა ითქვას, რომ 1294-ე მუხლით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ მეურვეებსა და მზრუნველებზე და არა მშობლებზე, როგორც კანონიერ წარმომადგენლებზე.

ყველა შემთხვევაში, როცა სააღსრულებო წარმოებაში წარმომადგენელი მონაწილეობს, აღმასრულებელი ვალდებულია შეამოწმოს მისი უფლებამოსილებების მოცულობა.

### **პირები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ წარმომადგენლებად**

საჭიროა განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებიც არ შეიძლება გამოვიდნენ წარმომადგენლად სააღსრულებო წარმოებაში. ესენია 18 წლის ასაკს მიუღწეველი ან სამეურვეო ან სამზრუნველო პირები.

მაგრამ ემანსიპირებული არასრულწლოვანები იძენენ ქმედუნარიანობას სრული მოცულობით და აქედან გამომდინარე, შეიძლება იყვნენ წარმომადგენლები სააღსრულებო წარმოებაში.

არ შეიძლება წარმომადგენლად გამოვიდნენ სააღსრულებო წარმოებაში მოსამართლე და სასამართლოს აპარატის მუშაკები, გამომძიებლები, პროკურორები, სააღსრულებო ბიუროს მუშაკები. მოცემული წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა აღნიშნული პირები სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობენ შესაბამისი სასამართლოს, პროკურატურის თუ სააღსრულებო ბიუროს რწმუნებულად (წარმომადგენლად) ან მონაწილეობენ, როგორც კანონიერი წარმომადგენლები.

იმ პირებს, რომლებმაც არ შეიძლება განახორციელონ კრედიტორის ან მოვალის წარმომადგენლის უფლებამოსილება, უნდა მივაკუთვნოთ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებიც,

რადგან მათ პოლიციის კანონის საფუძველზე არ შეუძლიათ რაიმე სხვა საქმიანობის განხორციელება, გარდა შემოქმედებითი, სამეცნიერო ან პედაგოგიური საქმიანობისა.

კანონის არსიდან გამომდინარე, იმ პირებს, რომლებიც არ შეიძლება გამოვიდნენ წარმომადგენლად სააღსრულებო წარმოებაში, აუცილებლად უნდა მივაკუთვნოთ ის პირებიც, რომლებიც ამ წარმოებაში მონაწილეობენ რაიმე სხვა სახით (მაგალითად, სპეციალისტები, დამსწრეები და ა.შ.). ამრიგად, კანონმდებელმა უნდა დააზუსტოს იმ პირთა წრე, რომლებიც არ შეიძლება გამოვიდნენ კრედიტორის ან მოვალის წარმომადგენლებად სააღსრულებო წარმოებაში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირს უფლება აქვს სააღსრულებო წარმოებაში კანონიერ წარმომადგენლად ან იმ ორგანოთა წარმომადგენლად გამოვიდეს, რომელთა მუშაკებიც ისინი არიან.

### **კანონიერი წარმომადგენლები**

სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე კანონიერ წარმომადგენლებზე მთლიანად ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლით დადგენილი წესები. კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნა ხდება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქმედუნაროთათვის ან შეზღუდულქმედუნარიანი პირებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მათი უფლებები და ინტერესები (ვგულისხმობთ იურიდიულ ინტერესს), სააღსრულებო წარმოებაში, დაცული იქნეს სათანადო წესით ამ მიზანს ემსახურება კანონიერი წარმომადგენლობის ინსტიტუტი.

კრედიტორის ან მოვალის კანონიერი წარმომადგენელი სააღსრულებო წარმოებაში შეიძლება იმ პირობით მონაწილე-

ეობდეს, თუ მას ხელთ ექნება თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი. მშობელთა, მშვილებელთა, მეურვეთა, მზრუნველთა უფლებამოსილება დასტურდება სხვადასხვა დოკუმენტით, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

კანონით გათვალისწინებულია უფლებამოსილებათა ფართო წრე, რომელთაც ახორციელებს კანონიერი წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის ინტერესების დასაცავად.

კანონიერ წარმომადგენელს, სხვა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, არ მოეთხოვება სპეციალური უფლებამოსილება სააღსრულებო წარმოებაში განკარგვითი მოქმედებების შესასრულებლად. ამასთან, სამოქალაქო კანონმდებლობით კანონიერ წარმომადგენელთა ზოგიერთი უფლება იზღუდება, კერძოდ კი, მეურვეთა და მზრუნველთა უფლებები (იხ. სკ-ის 1294-ე მუხლი).

კანონიერმა წარმომადგენელმა სააღსრულებო წაროებაში უნდა დაიცვას არა მხოლოდ არასრულწლოვანი კრედიტორის და მოვალის უფლებები და ინტერესები, არამედ აგრეთვე იმ არასრულწლოვანი პირების უფლებები და ინტერესები, რომელთა ინტერესებიც ილახება მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების დროს, მაგალითად, ილახება მოვალის არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები.

საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როცა მოვალე მიმართავს სასამართლოს სასარჩელო განცხადებით თავისი არასრულწლოვნი (მცირეწლოვანი) პირის სახელით, როგორც კანონიერი წარმომადგენელი და ითხოვს იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებას (აღწერის სიიდან ამორიცხვას), რომელიც თავის არასრულწლოვან შვილებს ეკუთვნის.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოვალეს ამ შემთხვევაში არა აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელით, რადგან იგი წარმოადგენს მოვალეს, სარჩელზე კი – მოპასუხეს, შესაბამისად, ასეთ საქმეებში, არა აქვს უფლება იმავდროულად წარმოადგინოს მოსარჩელის ინტერესები. მოვალის არასრულწლოვანი ბავშვების ქონებრივი ინტერესების დასაცავად სარჩელი სასამართლოში შეიძლება აღძრას მეორე მშობელმა, ან არასრულწლოვანის მეურვემ (მზრუნველმა).

ქმედუუნაროთა ან შეზღუდულქმედუუნარიან პირთა ინტერესების დასაცავად მათ კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობა მათ მიერ წარმომადგენლად არჩეულ ნებისმიერ სხვა პირს მიანდონ. კანონიერ წარმომადგენლებს სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც დამოუკიდებლად, ისე სახელშეკრულებო წარმომადგენლებთან ერთად.



## **მუსლი 18<sup>2</sup>. დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვა**

სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის ვალდებულება ეკისრება სააღსრულებო ბიუროს. ეს ვალდებულება წარმოიშობა სააღსრულებო წარმოების დასრულების შემთხვევაში. სააღსრულებო წარმოების დასრულების ცნება აღსრულების მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებში მოცემული არ არის. თუმცა ავტორთა მიერ, მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, განმარტებულია აღსრულების დასრულების ფორმები და თითოეული ფორმის იურიდიული ბუნება (იხ. 34-ე მუხლის კომენტარი).

## **მუხლი 18<sup>3</sup>. აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრება აღსრულების ეროვნულ ბიუროში**

1. კანონის მე-18 და 18<sup>3</sup> მუხლებით მოწესრიგებულია კრედიტორის, მოვალისა და სხვა პირთა უფლებების დაცვის საკითხი სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს, განსაზღვრულია უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები აღნიშნულ მოქმედებათა განხორციელების დროს.

ამით კანონმდებელმა დაადგინა კრედიტორის, მოვალისა და სხვა პირთა უფლებების დაცვის გარანტიები სააღსრულებო წარმოების სტადიაზე. სააღსრულებო მოქმედებებში, რომლებიც შეიძლება სადავო გახდეს, იგულისხმება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აქტების აღსრულების დროს შესრულებული მოქმედებები.

2. სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს კრედიტორის, მოვალისა და სხვა პირთა უფლებების სასამართლო წესით დაცვა კონსტიტუციით არის გარანტირებული (კონსტიტუციის 42-ე მუხლი).

აღმასრულებელი, ერთი მხრივ, თანამდებობის პირია, მეორე მხრივ, ის ფაქტობრივად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა, რამეთუ პირველ ყოვლისა, სასამართლო აქტების, აგრეთვე სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების ფუნქციას ახორციელებს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროკონვენციის მე-6 მუხლის არსიდან გამომდინარე, სასამართლო აქტების აღსრულება წარმოადგენს „სასამართლო განხილვის“ შემადგენელ ნაწილს. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესზე სრულად ვრცელდება სამართლიანად, საჯაროდ და გონივრულ ვადაში საქმის განხილვის შესახებ არსებული მოთხოვნები. დაუშვებელია კონვენციის ამ მოთხ-

ოვნების უგულვებელყოფა სასამართლო აქტების აღსრულების პროცესში. ამით შესაძლოა ზიანი მიაღდგეს რომელიმე მხარის ინტერესებს.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის შეუსრულებლობა არღვევს, ხელყოფს სასამართლო წესით უფლების დაცვის არსს, ამიტომ სასამართლომ არა მარტო უნდა გააკონტროლოს აღსრულების ქვემდებარე აქტების აღსრულების პროცესში შესრულებული მოქმედებები, არამედ აგრეთვე უნდა შეაფასოს ამ მოქმედებათა შესრულების მიზანშეწონილობა და კანონიერება.

3. სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს კრედიტორისა და მოვალის უფლებათა დაცვის საშუალებაა აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრება სასამართლოში (მე-18 მუხლი, მე-18<sup>33</sup> მუხლის მე-9 პუნქტი). ეს ნორმები გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ — საპროცესო კოდექსის გათვალისწინებით. აღნიშნული ნორმატიული აქტი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეთა დავის საგანს.

საყურადღებოა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 და მე-18<sup>3</sup> მუხლის 1-ლი პუნქტი არ არის იმპერატიული. ნორმის მიხედვით, სააღსრულებო წარმოების მხარესა (კრედიტორი და მოვალე) და დაინტერესებულ პირს, რომელთა კანონიერ ინტერესზედაც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, უფლება აქვთ (ე.ი. არ არიან ვალდებული), აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება. ქმედებაში იგულისხმება როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა ან აღსრულებაზე უარის თქმა (სააღსრულებო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა).

ამდენად, ქვემდებარეობის წესით ზემდგომ ორგანოში (აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან) საჩივრის შეტანა, ე.ი. სასამართლომდე ამ პროცედურის სავალდებულოდ გავლა, კანონით გათვალისწინებული არ არის. თუკი დაინტერესებულმა პირმა გამოიყენა სასამართლოს გარეშე საჩივრების ზემოაღნიშნული უფლება და წესი, მისი საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დაინტერესებული პირი (საჩივრის შემტანი) უფლებამოსილია საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი გაასაჩივროს სასამართლოში „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილ ვადაში. საინტერესოა, კონკრეტულად რომელი ნორმით დადგენილი ვადა იგულისხმება? გასაჩივრება ხორციელდება ადმინისტრაციული სარჩელის შეტანით სასამართლოში. სარჩელით სადავო უნდა გახდეს როგორც აღმსრულებლის ქმედება, ისე ქმედების გამო შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი, რომელიც ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს. ადმინისტრაციული აქტების გასაჩივრებისთვის კი, დადგენილია გასაჩივრების ერთთვიანი ვადა.

ეს ძალზედ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რამეთუ სწორედ სასამართლო კონტროლი წარმოადგენს „ყველაზე ქმედით და ეფექტიან კონტროლს, რადგან სასამართლო მართლმსაჯულების ორგანოა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან განხორციელებული კონტროლი ვერ შეცვლის სასამართლო კონტროლს“.<sup>22</sup>

4. მ-18<sup>3</sup> მუხლი კანონის სხვა მუხლებთან სისტემაში არა მარტო იმას განსაზღვრავს, რომ მოცემული კატეგორიის საქმეები უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება, არამედ გან-

22 Морозова Н.Б., Треушников А.М., Исполнительное производство. М., 1999, с.136.

სააზღვრავს სასამართლომდე აღმასრულებლის ქმედებაზე შეტანილი საჩივრის განხილვის (ამ საქმეთა განხილვის) საპროცესო მექანიზმებს.

იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს აღმასრულებლის ქმედებაზე სასამართლოში შეტანილი სარჩელის განხილვის წესი, განსახილველი მუხლის გარდა, გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის სხვა დებულებათა შინაარსიც, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციულ—საპროცესო კოდექსის დებულებანი.

აღნიშნულის გამო, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, აღმასრულებლის თუ რომელი მოქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

„საღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღმასრულებლის ქმედება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (მათ შორის მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა), გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი აქტით (მაგალითად, იხილეთ მე 15<sup>2</sup>, მე-18<sup>33</sup>/30<sup>3</sup>-ე, 35<sup>3</sup>-ე, 25-ე და სხვა მუხლები). აღსანიშნავია ისიც, რომ ეს აქტები ძირითადად მიიღება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ. კანონის 29-ე მუხლიდან გამომდინარე, აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედებები აისახა აღმასრულებლის მიერ შედგენილ ოქმში. საინტერესოა, შეიძლება გასაჩივრდეს თუ არა ოქმი. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ოქმი, უწინარეს ყოვლისა, ასახავს აღმასრულებლის ქმედებას. შესაბამისად, გასაჩივრდება აღმასრულებლის ქმედება. ქმედების გასაჩივრებისას მოთხოვნილი უნდა იქნეს ოქმის და აღმასრულებლის ქმედებით დამდგარი შედეგის გაუქმებაც.

სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს მიღებული

გადანყვეტილებები შეეხება მხარეთა და სხვა პირთა ინტერესებს. სწორედ ამის გამო საჩივრდება ისინი სასამართლოში, როცა ამ გადანყვეტილებებით ილახება დაინტერესებულ პირთა უფლებები.

ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კანონის ზემოთ დასახელებული მუხლები პირდაპირ ითვალისწინებენ ან გულისხმობენ (მაგ. 25-ე მუხლი) აღსრულების ეროვნული ბიუროს გადანყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. თუმცა კანონის მე-18 და მე-18<sup>3</sup> მუხლები იმგვარად არიან ფორმულირებულნი, რომ საშუალებას იძლევიან სასამართლოში გასაჩივრდეს არა მხოლოდ ის აქტები, რომელთა გასაჩივრების შესაძლებლობაც კანონის შესაბამისი ნორმით პირდაპირ არის გათვალისწინებული, როგორც ეს მითითებულია ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში, არამედ აღმასრულებლის მიერ აღსრულების პროცესში შესრულებული და განხორციელებული სხვა ქმედებები, თუნდაც მათი სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა პირდაპირ არც იყოს გათვალისწინებული კანონის კონკრეტულ მუხლში. შესაბამისად, სასამართლოს არა აქვს უფლება ამ საფუძვლით უარი თქვას აღმასრულებლის ასეთ ქმედებაზე შეტანილი სარჩელის მიღებაზე.

სახელდობრ, აღმასრულებელს თავისი ქვემდებარე სააღსრულებო საქმის წარმოებისას მოძრავ ქონებაზე და საბანკო ანგარიშებზე უფლება აქვს სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს სხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზედაც (კანონის მე-17 მუხლი). იგულისხმება ტერიტორია, რომელზეც მოცემული აღმასრულებლის ფუნქციები და უფლებამოსილებები არ ვრცელდება. კანონის მე-17 მუხლით არ არის გათვალისწინებული აღმასრულებლის ამგვარი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრება.

ამასთან, კანონის მე-18 და მე-18<sup>33</sup> მუხლები ფორმულირებული არიან იმგვარად, რომ არ გამოორიცხავენ აღმასრულებლის ამგვარი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

5. აღმასრულებლის ქმედება შეიძლება გამოიხატოს უმოქმედობის ფორმით. ე.ი. სასამართლო წესით სადავო შეიძლება გახდეს აღმასრულებლის უმოქმედობაც. ცხადია, უმოქმედობა ვერ აისახება აღმასრულებლის მიერ შედგენილ ოქმში (მუხლი 29-ე).

კანონის 34-ე მუხლი ადგენს, რომ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში (მას შემდეგ, რაც სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განჩინება შევა კანონიერ ძალაში) აღმასრულებელმა აღსრულებისათვის გათვალისწინებული ყველა ღონისძიება უნდა გააუქმოს.

კანონის 82<sup>4</sup>-ე მუხლის თანახმად, თუ რომელიმე კრედიტორი შედგენილ გაანგარიშებასთან დაკავშირებით გამოთქვამს პრეტენზიას, აღსრულების ეროვნული ბიურო გაანგარიშებას დასამტკიცებლად 3 დღის ვადაში წარუდგენს სასამართლოს.

გარდა ამისა, სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, კანონის 25-ე მუხლი აღმასრულებელს მთელი რიგი ღონისძიებების გატარების ვალდებულებას აკისრებს (აღსრულების დაწყების შესახებ მხარეთა ინფორმირება, შეტყობინებების გაგზავნა და სხვა).

ცხადია, დასახელებული სააღსრულებო მოქმედებების შეუსრულებლობა აღმასრულებლის მიერ, ფაქტობრივად ნიშნავს მათ შესრულებაზე უარის თქმას და იმის მიუხედავად, ასეთი უარი გაფორმდება თუ არა აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამისი აქტით ან აისახება თუ არა აღმასრულებლის ოქმში, ამგვარი უარი ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონის მე-18 და მე-18<sup>33</sup> მუხლების შესაბამისად.

სადავო შეიძლება გახდეს აღსრულების პროცესში შესრულებული ორგანიზაციული ხასიათის მქონე მოქმედებებიც. მაგალითად აღმასრულებელს უფლება აქვს სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს ნებისმიერ დროს, მათ შორის დამის საათებში, არასამუშაო დროს და უქმე დღეს, იმ პირობით, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული სააღსრულებო ნარმოების ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე (მე-17 მუხლი). აქ იგულისხმება გადაუდებელი შემთხვევები ან ისეთი შემთხვევა, როდესაც მოვალის ბრალით სააღსრულებო მოქმედების სხვა დღეს შესრულება შეუძლებელია, ან საფრთხე ემუქრება ფიზიკური პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ცხადია, სააღსრულებო მოქმედების შესრულება ზემოაღნიშნულ დროსა და დღეებში, როცა ეს აუცილებლობით გამოწვეული არ არის, არღვევს კანონს. ორგანიზაციული ხასიათის ქმედებების შესრულების დროს, კანონის მოთხოვნათა დარღვევას ექნება ადგილი და შესაბამისად, ასეთი ქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, თუკი მაგალითად, აღმასრულებელმა კანონის მე-17 და 84-85-ე მუხლებით გათვალისწინებული მოქმედებები განახორციელა დამსწრეთა გარეშე.

ზოგიერთ შემთხვევაში აღმასრულებლის უმოქმედობა არ ართმევს უფლებას სააღსრულებო ნარმოების მხარეებს, თავად შეასრულონ აღნიშნული მოქმედება (მაგალითად, მორიგების შემთხვევაში თვითონ მიმართონ სასამართლოს მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად — იხ. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარი).

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მე-18 და მე-18<sup>33</sup> მუხლი მარტოდენ სააღსრულებო ნარმოების მიმდინარეობისას, ანუ აღსრულების პროცესში განხორციელებული ქმედებების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას როდი აძლევს



მხარეს. ცხადია, ძირითადად პრაქტიკაში გვხვდება დაუმთავრებელი სააღსრულებო წარმოების ფარგლებში არსებული დავები, მაგრამ გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სააღსრულებო წარმოების დამთავრების შემდეგ შესრულებული ქმედებები. მაგალითად, სადავო შეიძლება გახდეს კანონის 39<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული ქმედებები, შესაბამისად, სასამართლოს აქვს აღმასრულებლის ქმედების კონტროლის ფუნქცია იმის მიუხედავად, ეს ქმედება სააღსრულებო წარმოების დამთავრებამდე შესრულდა, თუ დამთავრების შემდეგ.

ამგვარ მიდგომას თავისი დასაბუთება აქვს: აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონმდებლობის დარღვევამ არ უნდა მოუსპოს დაინტერესებულ პირს სასამართლო წესით თავისი უფლების დაცვის და განხორციელების შესაძლებლობა. სასამართლო წესით უფლების დაცვა მოიცავს სასამართლო აქტის რეალურად აღსრულების უფლებასაც.

6. აღმასრულებლის ქმედების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას კანონი იმიტომ უშვებს, რომ აღმასრულებელი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს თანამდებობის პირია, რომელსაც კანონი ანიჭებს აღსრულების ქვემდებარე აქტების იძულებითი აღსრულების საჯარო ფუნქციის შესრულების უფლებამოსილებას (კერძო აღმასრულებელის ქმედებებზე ვრცელდება ეს წესები). ამ გაგებით, აღმასრულებელი მის ქმედებაზე საჩივრის შემტან პირთან ურთიერთობაში ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენს. ხოლო აღმასრულებელსა და საჩივრის შემტანს შორის წარმოშობილი ურთიერთობა თავისი იურიდიული ბუნებით ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობაა.

სააღსრულებო მოქმედებების განხორციელების დროს აღ-

მასრულებელსა და სააღსრულებო წარმოების მონაწილე პირთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების იურიდიული ბუნება (ხასიათი) უშუალოდ განაპირობებს ამ ქმედებაზე შეტანილი საჩივრის (სარჩელის) განხილვის წესის თავისებურებას. კერძოდ, აღსრულების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და განხორციელებული ქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ე.ი. ადმინისტრაციულ—საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესი, როგორც აღმასრულებლის ქმედებაზე (აღსრულების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებზე) შეტანილი საჩივრის განხილვის მექანიზმი, სახელმწიფოს არამართლზომიერი ქმედებებისგან პირთა უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს. ცხადია, სახელმწიფოს სახელით ამ შემთხვევაში მოქმედებს აღმასრულებელი (სააღსრულებო ორგანო). თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღსრულების ქვემდებარე აქტების იძულებითი აღსრულების პროცესში (იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფის პროცესში) აღმასრულებელსა (აღსრულების ეროვნულ ბიუროსა) და სააღსრულებო წარმოების მხარეებს (კრედიტორი, მოვალე) შორის არ წარმოიშობა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები. აღსრულების პროცესში დასახელებულ სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება კერძო სამართლის ნორმები.

7. გასაჩივრების ზოგადი წესის გარდა, რომელსაც ერთნაირი სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს აღმასრულებლის ქმედებაზე საჩივრის შეტანისას, მე-18<sup>3</sup> მუხლი შეიცავს გასაჩივრების სპეციალურ წესს ზოგიერთი აქტის მიმართ, კერძოდ, სააღსრულებო წარმოებისას ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების

მინიჭების შესახებ განკარგულება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ—სამართლებრივი აქტი და იგი გასაჩივრდება უშუალოდ სასამართლოში.

8. მე-18<sup>3</sup> მუხლში, პირველ ყოვლისა, გათვალისწინებულია, რომ საჩივარი შეიძლება შეიტანოს კრედიტორმა და მოვალემ. ამ ნორმის მიზნი არის სწორედ ამ პირთა უფლებების დაცვა სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებისას აღმასრულებლის მიერ შესრულებული არამართლობიერი ქმედებებისაგან.

როგორც ზემოთ ითქვა, დასაშვებია ნებისმიერი ქმედების გასაჩივრება. პრაქტიკაში უფრო ხშირად საჩივრდება მოვალის ქონების აღწერასთან, დაყადაღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებით შესრულებული ქმედებები.

კანონი ითვალისწინებს დარღვეული უფლების დაცვის შესაძლებლობას სამოქალაქო სასარჩელო წარმოების წესით კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით კანონის მე-18, მე-18<sup>3</sup> მუხლების და ადმინისტრაციულ—საპროცესო კოდექსის შესაბამისად. საყურადღებოა, რომ სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წესით სარჩელის შეტანისას დიდი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ შემადგენლობას. განსხვავებულია საჩივრის შემტანი სუბიექტები თითოეულ შემხვევაში და შესაბამისად, სწორედ სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა სუბიექტურ შემადგენლობაზე არის დამოკიდებული ამ სუბიექტთა დარღვეული უფლებების დაცვის თუ რომელი გზა და საშუალება იქნება გამოყენებული.

მე-18 და მე-18<sup>3</sup> მუხლების მიმართ მნიშვნელოვანია მხედველობაში ვიქონიო, რომ აღსრულების ქვემდებარე აქტის არასათანადოდ აღსრულების გამო აღმასრულებლის ქმედებაზე საჩივარი შეიძლება შეიტანოს კრედიტორმა და მოვალემ.

შესაბამისად, ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებით აღ-

მასრულებლის მიერ შესრულებული ქმედება შეიძლება სადავო გახადოს კრედიტორმა და მოვალემ.

კანონის შესაბამისად, აღმასრულებელი მოვალის ქონების აღწერას, დაყადაღებასა და რეალიზაციას ახორციელებს კანონის IX, X და XI თავებით გათვალისწინებული წესებით. ამის გამო, კრედიტორისა და მოვალის მიერ მე-18 და მე-18<sup>33</sup> მუხლების შესაბამისად შეტანილი საჩივრის საგანი არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ პირისადმი ქონების კუთვნილება (ქონების კუთვნილების შესახებ მოთხოვნა შეიძლება აღძრას მესაკუთრემ ან სხვა ტიტულიანმა მფლობელმა კანონის 32-ე მუხლით დადგენილი წესით), არამედ ქონებაზე ყადაღის დადების წესი და რიგითობა, დაყადაღებული ქონების სხვა ქონებით შეცვლის მოთხოვნა, ქონებაზე გადახდევინების მიქცევის წესი. მაგალითად, მოვალის ქონებაზე გადახდევინების დროს, აღმასრულებელმა უნდა იხელმძღვანელოს არა მარტო სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით არამედ კონსტიტუციით, სამოქალაქო კოდექსითა და სხვა კანონებით. როცა აღმასრულებელი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ნორმატიულ აქტებს, ამით არღვევს ქონებაზე გადახდევინების მიქცევის წესს. ასეთ დროს, აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული და რეალიზებული ქონების ( მოვალის ქონების ) კუთვნილების საკითხს კი არ წყვეტს სასამართლო, არამედ განსაზღვრავს, დაარღვია თუ არა აღმასრულებელმა ქონებაზე გადახდევინების მიქცევის წესი.

კანონის მე-18 და მე-18<sup>33</sup> მუხლების საფუძველზე კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ საჩივრით სადავო გახადონ აღმასრულებლის მიერ იმ ქონების დაყადაღება, რომლის ღირებულებაც არსებითად აღემატება გადასახდევინებელ თანხას. საყურადღებოა, რომ სამოქალაქო პროცესში სამოქალაქო საქმეთა განხილვისას სასამართლოები განმცხადებელს უარს

ეუბნებიან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოყენებაზე, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება (ამ შემთხვევაში ყადაღის დადება) მოსარჩელის მოთხოვნის თანაზომადი არ არის. ამის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს ყადაღის დადება აღსრულების პროცესშიც. სააღსრულებო წარმოებაში ყადაღა გამოიყენება იძულებითი აღსრულების ღონისძიებად. უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში, სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ მაგალითად სასამართლომ ერთ—ერთ საქმეზე არამართლზომიერად მიიჩნია აღმასრულებლის ქმედება, რომლის შედეგადაც ყადაღა დაედო თანხას, რომლის ოდენობაც 30-ჯერ აღემატებოდა გადასახდევინებელ თანხას.<sup>23</sup> არამართლზომიერი და დაუშვებელია აღმასრულებლის ქმედება, როდესაც ის ყადაღას ადებს არა ანგარიშზე არსებულ გარკვეული რაოდენობის თანხას, არამედ თავად ანგარიშს, მათ შორის მაშინ, როცა ანგარიშზე თანხა არ იმყოფება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, აღმასრულებლის ქმედებაზე კრედიტორის ან მოვალის მიერ შეტანილი საჩივრის საგანია დაყადაღებული ქონების მოვალის კუთვნილი სხვა ქონებით შეცვლის მოთხოვნა, ანდა, ყადაღის დადების წესისა და რიგითობის დარღვევის აღკვეთის მოთხოვნა, მაგრამ არა დაყადაღებული ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნა, თუკი მოვალე არ არის ქონების მესაკუთრე.

9. კანონის მე-18 და მე-18<sup>33</sup> მუხლებით დადგენილი აღმასრულებლის ქმედებაზე საჩივრის შეტანის 15 დღიანი ვადა. ამ ვადის დინება იწყება იმ ქმედების განხორციელების (ან

23 Научно-практический комментарий к Федеральному закону Российской Федерации «Об исполнительном производстве», под ред. В. М. Шерстюка и М. К. Юкова. М. 2004, 369.

ქმედების განხორციელებაზე უარის თქმის) დღიდან, რომელიც გასაჩივრების საგანი გახდა.

თუკი პირი სათანადო წესით არ იყო ინფორმირებული სააღსრულებო მოქმედების შესრულების (ან მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის) დროისა და ადგილის შესახებ, მაშინ საჩივრის შეტანის ვადის დინება ამ პირისათვის დაიწყება იმ დღიდან, როცა აღნიშნული პირისათვის ამის შესახებ გახდა ცნობილი.

კანონი ითვალისწინებს აღმასრულებლის ქმედებაზე საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 15 დღიანი ვადის გასვლის შედეგებს - აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე აღარ განიხილავს ვადის დარღვევით შეტანილ საჩივარს. ე.ი. ვადის გასვლა, ვადის დაუცველობა განხილვის გარეშე საჩივრის განმცხადებლისათვის დაბრუნების საფუძველია.

განსახილველი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ იმისდა მიხედვით, თუ რომელი საფუძველია სახეზე, აღსრულების ეროვნული ბიურო არ მიიღებს, ან არ განიხილავს საჩივარს.

საინტერესოა, თავისი იურიდიული ბუნებით გასაჩივრების ვადა როგორი ხასიათისაა და შეიძლება თუ არა საპატიო მიზეზით გაშვებული ვადის აღდგენა. საჩივრის შეტანის ვადის გაშვების მიზეზთა გამორკვევისას ძალზე მნიშვნელოვანია შემოწმდეს, გაეგზავნა თუ არა გასაჩივრებული გადანყვეტილება განმცხადებელს, ინფორმირებული იყო თუ არა განმცხადებელი სათანადო წესით სააღსრულებო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ და ა.შ. რამეთუ ამ გარემოებათა გამორკვევაზე არის დამოკიდებული იმის განსაზღვრა, განმცხადებელმა დროულად (ვადაში) გაასაჩივრა თუ არა აღმასრულებლის ქმედება და შესაბამისად, შესაძლებელია თუ არა უფლება-მოსილმა პირმა (ორგანომ) განიხილოს საჩივარი.

10. ზემოთ აღინიშნა, რომ თავისი სამართლებრივი ბუნებით აღმასრულებლის ქმედებაზე შეტანილი საჩივარი ადმინისტრაციული წესით განიხილება, რადგან აღნიშნული საქმეები ადმინისტრაციულ—სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეებს წარმოადგენს. შესაბამისად, მათი განხილვის დროს გამოყენებულ უნდა იქნეს ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის თავისებურებების მომწესრიგებელი სპეციალური საპროცესო წესები. თავისებურებებს განაპირობებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესების გამოყენება.

რაც შეეხება აღმასრულებლის ქმედების გასაჩივრების შესახებ საქმის განხილვის წესების განმსაზღვრელ ძირითად დებულებებს, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საქმე სასამართლოში აღიძვრება ადმინისტრაციული სარჩელის საფუძველზე დაინტერესებული პირის მიერ. დაინტერესებული პირი ანუ მოსარჩელე შეიძლება იყოს კრედიტორი, მოვალე ან სხვა პირი, ვინც მიიჩნევს, რომ აღმასრულებელმა დაარღვია მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. სარჩელის საგანი შეიძლება იყოს აღსრულების პროცესში მიღებული გადანყვეტილებების (ადმინისტრაციული აქტების) ბათილად ცნობის და/ან აღმასრულებლის ქმედების უკანონოდ ცნობის მოთხოვნა. სარჩელში უნდა მიეთითოს მონაცემები იმ სააღსრულებო დოკუმენტის შესახებ, რომლის აღსრულებასთან დაკავშირებითაც გახდა სადავო აღმასრულებლის ქმედება.

საყურადღებოა, რომ აღმასრულებლის ქმედების აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან გასაჩივრების შემთხვევაში, მე-18<sup>33</sup> მუხლის შესაბამისად თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი ინიციატივით ან სააღსრულებო წარმოების მხარის/დაინტერესებული პირის შუამდგომლობით შეაჩეროს გასაჩივრებული სააღსრულებო ქმედება. ხოლო, კან-

ონის 36-ე მუხლი აღსრულების ეროვნულ ბიუროს უფლებას ანიჭებს კანონის მე-18<sup>3</sup> მუხლით დადგენილი წესით სააღსრულებო წარმოების მხარის მიერ შეტანილი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შეაჩეროს არათუ მარტოოდენ ქმედება, არამედ აღსრულება. რაც შეეხება სასამართლოს, აღმასრულებლის ქმედების გასაჩივრებისას აღსრულების შეჩერებაზე სასამართლოს უფლებამოსილება სააღსრულებო წარმოებათა კანონით გათვალისწინებული არ არის, რაც კანონის ერთგვარი ხარვეზია. თუმცა ამ კანონის 36-ე მუხლი შეიცავს მითითებით ზოგად ნორმას 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის სახით, რომლის თანახმადაც სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ე.ი. აღსრულების შეჩერების საფუძველთა ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს აქტების და აღმასრულებლის ქმედების სარჩელით გასაჩივრებისას აღსრულების შეჩერების საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისი წესების გათვალისწინებით.

11. მნიშვნელოვანია სააღსრულებო მოქმედების შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრობლემაც. ამგვარი ზიანი ანაზღაურდება სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა წარედგინოს მოპასუხეს საერთო წესით, სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე, 992-ე და 1005-ე მუხლების გათვალისწინებით.

ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო უფლების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. ამ გაგებით, პირისათვის აღმსრულებლის



უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანი, მათ შორი, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მიღებული უკანონო აქტით მიყენებული ზიანი, უნდა ანაზღაურდეს.

აღმასრულებლის უკანონო ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დადგება, თუ სახეზე იქნება პასუხისმგებლობის ზოგადი (სკ-ის 992-ე მუხლი) და სპეციალური (სკ-ის 1005-ე მუხლი) პირობები. სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ასეთ პირობას წარმოადგენს ზიანის არსებობა, რომელიც მიადგა მოსარჩელეს აღმასრულებლის უკანონო ქმედებით. სწორედ მოსარჩელეს რომ მიადგა ზიანი აღმასრულებლის უკანონო ქმედებით, ამის მტკიცების ტვირთი თავად მოსარჩელეს ეკისრება ზემოაღნიშნულ ნორმათა მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლოში აღიძვრება ადმინისტრაციული სარჩელი (საქმე ადმინისტრაციული წესით განიხილება).

აღნიშნული სარჩელის განხილვის დროს სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს, თუ ვინ წარმოადგენს აღმასრულებლის ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეზე მოპასუხეს.

აღმასრულებლის ქმედებაზე, რომლითაც ზიანი მიადგა მოსარჩელეს, თავად აღმასრულებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით, მაგრამ მას მატერიალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მატერიალური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს კონკრეტულ სააღსრულებო ბიუროს, როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურულ ერთეულსა და ტერიტორიულ ორგანოს.

## მუხლი 18<sup>4</sup>. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვალება

ქართული კანონმდებლობის ერთ-ერთი თავისებურება არის ის, რომ აღსრულების ქვემდებარე სასამართლო აქტის მიღებისას არ ხდება მხარის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინება. მაგალითად, ზიანის სრული ანაზღაურების პრინციპიდან გამომდინარე, ზიანის სრული ანაზღაურება პირს მისი ქონებრივი თუ ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად ეკისრება, თუმცა მოვალის მიძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინება ხდება აღსრულების ეტაპზე. ამასთან, მნიშვნელობა აქვს აღსასრულებელი მოთხოვნის ხასიათს, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული საქმე. თუკი თანხის ამოღება ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა მოხდეს, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს თავისი ინიციატივითაც კი შეუძლია აღსრულების განწილვალება, რაც მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. თანხის ამოღების სხვა საქმეებზე კი —საჭიროა კრედიტორის თანხმობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულება (აღსრულება) არ შეიძლება განწილვადდეს 12 თვეზე მეტი ვადით. მიუხედავად იმისა, თუ რომელი კატეგორიის კრედიტორის სასარგებლოდ უნდა მოხდეს თანხის გადახდევინება, მოვალეს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს განწილვალება<sup>24</sup>.

---

24 აღსრულების განწილვალების და აღნიშნულზე აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის დისკრეციის შესახებ დამატებითი ლიტერატურის სახით იხილეთ ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი. თბ. 2017 წ.

## **მუხლი 19. სააღსრულებო საქმის მასალების გაცნობა და მათი ასლების გადაცემა**

აღნიშნულ მუხლში მითითებულ პირში იგულისხმება არა მხოლოდ კრედიტორი და მოვალე, არამედ აღსრულების პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირი (მაგ. დამხმარე პირები). ამასთან, ბუნებრივია, აღსრულების პროცესში მონაწილე პირთა უფლებამოსილების მოცულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მე-19 მუხლში მითითებული უფლებით.

### **მუხლი 19<sup>1</sup>. მოვალეთა რეესტრის წარმოება**

აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, მოვალეთა რეესტრის შექმნა და წარმოება სავალდებულოა.

სააღსრულებო დაწესებულებებს ადრეც გააჩნდათ სააღსრულებო წარმოებათა (სააღსრულებო საქმეთა) ელექტრონული ბაზები. ამგვარი ბაზების შექმნა და გამოყენება ხდებოდა თავად სააღსრულებო დაწესებულებათა საჭიროებიდან გამომდინარე, კერძოდ, იმისთვის, რომ შესაძლებლობა მისცემოდათ ეწარმოებინათ ელექტრონული სააღსრულებო წარმოება, ერთგვაროვნად შეედგინათ აქტები და სხვა. თუმცა ცხოვრებამ გარდაუვალად აუცილებელი გახადა სააღსრულებო წარმოებათა მონაცემების ღია ბაზის წარმოება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ნებისმიერი სუბიექტისათვის, სულერთია, ეს იქნებოდა ფიზიკური თუ იურიდიული პირი. ამგვარი საჭიროება ნაკარნახევი იყო რიგი მიზეზით. უწინარეს ყოვლისა, იმ სხვადასხვაგვარი საშუალების გამოყენებამ, რომელიც აიძულებს მოვალეს დაფაროს დავალიანება, მოითხოვა პირთა

ინფორმირებულობა და შესაძლო შეცდომებისგან დაზღვევის გარანტიების შექმნა. მეორე, იმით, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის განსახილველი მუხლის და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე შეიქმნა და ფუნქციონირებს საინფორმაციო მომსახურება „მოვალეთა რეესტრი“.

მოვალეთა რეესტრის მეშვეობით ნებისმიერ სუბიექტს აქვს უფლება შეამოწმოს მის მიმართ სააღსრულებო წარმოების დაწყების და არსებობის საკითხი. ამისთვის საჭიროა მოვალის სახელისა და გვარის შეყვანა შესაბამის კომპიუტერულ ბაზაში. მოვალეთა რეესტრი შეიცავს ინფორმაციას სააღსრულებო წარმოების დაწყების თარიღის, სააღსრულებო წარმოების ნომრის, სააღსრულებო დოკუმენტის რეკვიზიტების, აღსრულების საგნის და იმ სააღსრულებო ბიუროს თუ აღმასრულებლის შესახებ, სადაც (ვისთანაც) აღსასრულებლად იმყოფება შესაბამისი სააღსრულებო დოკუმენტი, ასევე საკონტაქტო ინფორმაცია. შესაბამის ვებგვერდზე შესაძლებელია ასევე სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობის (განხორციელებული ეტაპების და მოქმედებების) შესახებ ინფორმაციის მიღება. მოვალე მის წინააღმდეგ სააღსრულებო წარმოების დაწყებისთანავე, ანუ დაუყოვნებლივ, შეიტანება მოვალეთა რეესტრში. მოვალეთა რეესტრში პირის შეტანა ყველა კატეგორიის საქმეთა აღსრულების დროს როდი გამოიყენება. ამგვარი რეესტრი ინარჩუნებს მხოლოდ ფულადი მოთხოვნის აღსრულების დროს. რაც შეეხება რეესტრში პირის შეტანის ეტაპს, როგორც ითქვა, ეს ხდება დაუყოვნებლივ.

მაშასადამე მოვალეთა რეესტრი ფულადი მოთხოვნის აღსრულების უზრუნველყოფამდე წარმოებული საშუალებაა. აღსრულების უზრუნველყოფაში, რომელზეც საუბარია მე-19<sup>1</sup> მუხლში, იგულისხმება კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილი იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენება.

პირის შეტანა მოვალეთა რეესტრში, იძულებითი აღსრულების არაპირდაპირ, ირიბ ღონისძიებას წარმოადგენს (იძულებითი აღსრულების ირიბი ღონისძიებების არსისა და მნიშვნელობის შესახებ განმარტებები მოცემულია ამ ნაშრომის წინათქმასა და მე-17 მუხლის კომენტარში.). შესაბამისად, მოვალეთა რეესტრის, როგორც აღსრულების ირიბი ღონისძიების გამოყენების მიზანია არა უშუალოდ აღსრულება მოვალის ქონებაზე, არამედ მოვალისათვის ერთგვარი სიგნალის მიცემა, მასზე ზემოქმედება, მისი იძულება, შეასრულოს ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ „ერთი და იმავე მოვალის მიმართ რამდენიმე დამოუკიდებელი ფულადი მოთხოვნის (რამდენიმე სააღსრულებო წარმოების) აღსრულებისას, პირი კანონით დადგენილი პირობებით და ამ წესის შესაბამისად, რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ-ცალკე“. ამასთან „რეესტრში რეგისტრაცია არ ათავისუფლებს პირს ფულადი გადახდევინების აღსრულებისაგან.“<sup>25</sup>

---

25 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N234 (2009 წლის 28 დეკემბერი) „მოვალეთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხ 4, ნაწ. მე-2.

## **მუხლი 19<sup>2</sup>. რეესტრიდან გამომდინარე სახელმწიფო, საბანკო და სხვა დაწესებულებების ვალდებულებები**

კანონის 19<sup>2</sup> მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება რეესტრში რეგისტრირებული პირის ქონებაზე საკუთრების ან სხვა უფლების რეგისტრაციისას აღნიშნულზე დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის აღმასრულებელს მის წარმოებაში არსებულ საქმეზე. იმავე ორგანოებს ეკისრება ვალდებულება შეაჩერონ მოვალის ქონების შემდგომი განკარგვის რეგისტრაცია პირის რეესტრიდან ამორიცხვამდე.

აღნიშნული ნორმით საბანკო დაწესებულება რეესტრში რეგისტრირებული პირის ანგარიშების და მათზე არსებული ნაშთების შესახებ, რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ორი დღისა ვალდებულია აცნობოს შესაბამის აღმასრულებელს მის წარმოებაში არსებულ საქმეზე. საბანკო დაწესებულება ამ პირის ანგარიშებს აყადაღებს აღსასრულებელი მოთხოვნის ფარგლებში. ამასთან, თუ მანამდე გატარებული ღონისძიებებით ვერ იქნა სრულად აღსასრულებელი მოთხოვნის უზრუნველყოფა, საბანკო დაწესებულება ასევე აცნობებს შესაბამის აღმასრულებელს აღნიშნული პირის მიერ ახალი ანგარიშების გახსნისა და განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

## მუხლი 19<sup>3</sup>. რეესტრში რეგისტრირებული პირის უფლების შეზღუდვა

მოვალეთა რეესტრში პირის შეტანის ეფექტიანობას განსაზღვრავს მოვალის ქონებაზე კანონით განსაზღვრული შეზღუდვების დაწესება. ამასთან, მარტოოდენ მოვალეთა რეესტრში პირის შეტანა და მის საფუძველზე მოვალის ქონებაზე შეზღუდვების დაწესება, ვერ უზრუნველყოფს კრედიტორის სასაგებლოდ აღსრულების საბოლოო შედეგის დადგომას, იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების გარეშე, ვერ შეცვლის ამ ღონისძიებებს და საჭირო გახდება მათი გამოყენება, თუკი მოვალეთა რეესტრში შეტანის შემდეგაც მოვალე არ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

ამ მუხლის თანახმად რეესტრში რეგისტრაციისთანავე პირის შეზღუდვაში იგულისხმება შესაბამის რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული უძრავი და მოძრავი ქონების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განკარგვის (უფლებრივად დატვირთვა) აკრძალვა.

მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდვის არსებობის მიუხედავად კანონი კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევაში რეესტრში რეგისტრირებული პირს უფლება აქვს, მოახდინოს რეესტრში რეგისტრაციის შედეგად შეზღუდული ქონების განკარგვა.

## **მუხლი 19<sup>4</sup>. რეესტრში რეგისტრირებული პირის მიმართ დაწესებული შეზღუდვების მოხსნა და რეესტრიდან ამორიცხვა**

ამ კანონის 19<sup>4</sup> მუხლის პირველი ნაწილით რეესტრში რეგისტრირებული პირის მიმართ დაწესებული შეზღუდვები სრულად იხსნება ამ პირის რეესტრიდან ამორიცხვისთანავე.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტით კონკრეტულად არის განსაზღვრული რეესტრში რეგისტრირებული პირის მიმართ დაწესებული შეზღუდვების მოხსნისა და რეესტრიდან ამორიცხვის საფუძვლები.

„მოვალეთა რეესტრის შეზღუდვის მოხსნის საფუძვლებიდან ყველაზე საინტერესოა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის დროსაც მოვალე ამორიცხება მოვალეთა რეესტრიდან და კრედიტორის მიერ განკარგვის უფლების მინიჭება რეესტრში რეგისტრირებული პირისათვის, რომელიც არ უთანაბრდება მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვას. რა შემთხვევებში და საფუძვლით არის შესაძლებელი მოვალის მიერ სასამართლოსადმი მიმართვა ზემოაღნიშნული მოთხოვნით სწმ საქართველოს კანონით არ არის განსაზღვრული.“<sup>26</sup>

მოვალეთა რეესტრიდან პირის ამორიცხვას ახდენს აღმასრულებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №234 (2009 წლის 28 დეკემბერი) „მოვალეთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის 1 პუნქტით „რეესტრის მონაცემები ელექტრონული მატარებლის სახით ექვემდებარება მუდმივ შენახვას“.

---

26 რედაქტორი იოს იუთედუჰაავი. საქართველოს სააღსრულებო სისტემების მიმოხილვა. 2013 წ. გვ. 187.



## მუხლი 20. სააღსრულებო ფურცელი

სასამართლოსა და სხვა პირებს შორის სასამართლო დადგენილებების და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულების დროს წარმოშობილი სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების მომწესრიგებელი ყველა ნორმა, განმტკიცებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. აღმასრულებელსა და სააღსრულებო წარმოების სხვა მონაწილეებს შორის წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები კი სსსკ-დან ამოღებულია, ვინაიდან ამ ნორმებს შეიცავს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი.

დასახელებული კანონის მიღებით და სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების ფუნქციის სააღსრულებო ბიუროებზე დაკისრებით, რომლებიც ორგანიზაციულად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შედიან, შეიცვალა სააღსრულებო წარმოებაში სასამართლოს როლი – სასამართლოს ჩამოერთვა აღმასრულებლის საქმიანობაზე პროცესს გარეშე (ანუ აღსრულების სისწრაფეზე) კონტროლის უფლებები. საპროცესო ფორმით კონტროლი კი გაფართოებულია, მას სასამართლო ახორციელებს. ამგვარი კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი გამოხატულებაა სასამართლოს მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

როდესაც სააღსრულებო ფურცლის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესს, კერძოდ, თუ რომელ სააღსრულებო ფურცელს, როდის და ვისზე გასცემს ან ვის უგზავნის სასამართლო.

მაგრამ მანამ, სანამ აღნიშნულ საკითხს გავარკვევთ, აღვნიშნავთ, რომ სააღსრულებო წარმოების დასაწყებად აუცილებელია გარკვეული საფუძვლების არსებობა, რომელთაც კანონი უკავშირებს იძულების სახელმწიფო ზომების გამოყენების შესაძლებლობას. უწინარეს ყოვლისა, იურიდიული აქტი კანონიერ ძალაში უნდა შევიდეს ან იგი უნდა ექვემდებარებოდეს დაუყოვნებლივ აღსრულებას. **თუ მოვალეს სასამართლოს განჩინებით გადაუვადდა ან გაუნაწილვადდა დაკისრებული მოქმედებების შესრულება (სსსკ-ის 263-ე მუხლი), ეს არ დააბრკოლებს სააღსრულებო დოკუმენტის (ფურცლის) გაცემას, მაგრამ გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება დააბრკოლებს მოვალის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენებას გადავადების პერიოდში, ანუ გავლენას ახდენს იძულებითი გადახდევინების დროზე.**

აღმასრულებელი იძულებითი აღსრულების მიზნით მოქმედებების შესრულებას იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა მას წარმოებაში გადაეცემა **არა თავად აქტი, არამედ ამ აქტის საფუძველზე და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცემული სააღსრულებო დოკუმენტი.**

სააღსრულებო ფურცლის არსებობა აღსრულების კანონიერად მიჩნევის უმთავრესი პირობათაგანია. აღსრულება ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მოვალის გარკვეული უფლებების შეზღუდვასთან, თუმცა აღნიშნული შეზღუდვები მართლზომიერად მიიჩნევა, რადგან მათ განხორციელებას კანონით განსაზღვრული საფუძველი აქვს, კერძოდ, იძულებით აღსრულებას ქვემდებარე აქტი და მის საფუძველზე გაცემული კანონშესაბამისი სააღსრულებო ფურცელი, აღჭურავს აღმასრულებელს სააღსრულებო ფურცელში ასახული მისაღწევი შედეგის თანაზომიერი სააღსრულებო ქმედებების

განხორციელების უფლებამოსილებით. სწორედ სააღსრულებო ფურცელში ასახული მისაღწევი შედეგით არის დეტერმინირებული თითოეული სააღსრულებო ქმედება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-476-464-(კ-13) 24 აპრილი 2014 წ.).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგჯერ, სათანადო იურისდიქციის მქონე ორგანოს აქტი და სააღსრულებო დოკუმენტი ერთმანეთს ემთხვევა სახელწოდებით. (მაგალითად, ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი). ზოგადი წესის მიხედვით, სააღსრულებო მოქმედებების წარმოება სააღსრულებო დოკუმენტის გარეშე არ დაიშვება.

სააღსრულებო დოკუმენტი მოვალის მიმართ იძულების ღონისძიებების გამოყენების საფუძველია. ამასთან, უნდა გვეჩინდეს სააღსრულებო დოკუმენტის გაცემისა და შესაბამისად, მოვალის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების პირობები (საფუძველი). თუ ასეთი პირობები სახეზე არ იქნება, სააღსრულებო დოკუმენტი არ გაიცემა. სახელდობრ, სააღსრულებო ფურცელი არ გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აქტი მოკლებულია იძულებითობის ელემენტს (სასამართლო აქტს არ გააჩნია იძულებითი აღსრულების საგანი), ხოლო მისი აღსრულება არ შედის აღსრულების ეროვნული ბიუროს კომპეტენციაში. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონი შემთხვევით როდი ითვალისწინებს, სააღსრულებო ფურცელში (დოკუმენტში) ყველაფერთან ერთად, სასამართლო აქტის სარეზოლუციო ნაწილიც რომ უნდა იყოს მითითებული. სწორედ სარეზოლუციო ნაწილშია ასახული კრედიტორის სასარგებლოდ ფულის ან სხვა ქონების გადაცემის ვალდებულების მოვალისათვის დაკისრების ან კრედიტორის სასარგებლოდ გარკვეული მოქმედების

შესრულების ან გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა.

სააღსრულებო ფურცელი გაიცემა შესაბამისი გადანაცვებების გამომტანი სასამართლოს მიერ, მხოლოდ გადანაცვებების ან სხვა სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რადგან, ზოგადი წესით, გადანაცვებების იძულებით აღსრულება მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დაიშვება, გარდა დაუყოვნებლივ აღსრულების შემთხვევებისა. ამ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელი სასამართლოს მიერ გაიცემა დაუყოვნებლივ (გადანაცვებების კანონიერ ძალაში შესვლამდე) გადანაცვებების გამომტანის შემდეგ. დაუყოვნებლივ შედის კანონიერ ძალაში და შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანაცვებება. აღსრულებას ქვემდებარე აქტის ძალაში შესვლის შემდგომ კრედიტორი თვითონ გადასცემს სააღსრულებო ფურცელს იძულებითი აღსრულების ორგანოს ან წარუდგენს მოვალეს. სააღსრულებო ფურცელი კრედიტორს ეძლევა მისი თხოვნით, რაც ნიშნავს, რომ აღსრულების დაწყება-არდაწყების საკითხი მთლიანად კრედიტორის ნებაზეა დამოკიდებული. აქედან გამონაკლისია კანონით დადგენილი შემთხვევა. კერძოდ, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული თანხების აღსრულების მიზნით სასამართლო სააღსრულებო ფურცელს აღსასრულებლად აგზავნის თავისი ინიციატივით მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედ სააღსრულებო ბიუროში, რის თაობაზეც ფინანსთა სამინისტროს, როგორც კრედიტორის სახით მონაწილე სუბიექტს, მოვალეს და სხვა მონაწილე პირებს უკვე ატყობინებს აღმასრულებელი.

აღმასრულებლისგან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (რომლის სახითაც წარმოდგენილია კრედიტორი-სახელმწიფო ბიუჯეტი) ეცნობება გადანყვეტილებით დაკისრებული თანხებისა და მოვალის თაობაზე. სასამართლო ორგანოები არ ახორციელებენ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების აღსრულების მონიტორინგს, სასამართლო ხელისუფლება არ ფლობს კონტროლის მექანიზმს, რომელმაც მოვალემ აღასრულა ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ნებაყოფლობით და რომელმაც არა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ხორციელდება სააღსრულებო ფურცლის სასამართლოს მიერ სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნა.

კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილია სააღსრულებო დოკუმენტები. სააღსრულებო დოკუმენტი, უნინარეს ყოვლისა, სხვადასხვა სამართალშემფარდებელი ორგანოს აქტის (საერთო იურისდიქციის სასამართლოს აქტის, არბიტრაჟის გადანყვეტილების) საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელია. ამასთან, სააღსრულებო ფურცელს ამ აქტების საფუძველზე გასცემს მხოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლო. მაგალითად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ფულადი თანხის გადახდევინების, მოვალისათვის ქონების ჩამორთმევისა და კრედიტორისათვის გადაცემის მიზნით და სხვა.

კანონის შინაარსის მიხედვით, სააღსრულებო ფურცელი უნდა გაიცეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აუცილებელია სასამართლოს იმ გადანყვეტილებათა იძულებითი აღსრულება, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივ ორგანოებს აკისრებს განსაზღვრული მოქმედებების შესრულების ვალდებულებას: უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებისა და მასთან დაკავშირებული გარიგებების რეგისტრაციას სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოებში და ა.შ. ამ

შემთხვევაში წარმოიშობა სააღსრულებო წარმოების სისტემის მეშვეობით იძულებითი აღსრულების სამართლებრივი საფუძველი.

**სააღსრულებო ფურცელი ეს არის გარკვეული მოქმედების შესრულების (შეუსრულებლობის) შესახებ იმპერატიული მითითების შემცველი სააღსრულებო დოკუმენტი, რომელიც კანონით გათვალისწინებული წესით გაიცემა სასამართლო აქტის და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისა და თანამდებობის პირების აქტის საფუძველზე (მის შესაბამისად). სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების ორგანოები უშუალოდ ახორციელებენ იძულებით აღსრულებას მოვალის მიერ ამ დოკუმენტის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში (მოვალეს ახდენინებენ ფულად თანხას, ქონებას, მოვალეს აიძულებენ შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან და სხვა).**

სააღსრულებო ფურცელს საერთო იურისდიქციის სასამართლო გასცემს თავის მიერ ან არბიტრაჟის მიერ მიღებული აქტების საფუძველზე. ეს აქტებია: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სასამართლოს განჩინება მორიგების დამტკიცების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს განჩინება, როცა ამ აქტებით მიიღება ახალი გადაწყვეტილება, საერთო იურისდიქციის სასამართლოს განაჩენი ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, არბიტრაჟის გადაწყვეტილება. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ასევე უცხოეთის სასამართლოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ამასთან, სააღსრულებო ფურცელი არ გაიცემა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოთაშორისო ორგანოს (ევროპის სასამართლოს) გადაწყვეტილებათა საფუძველზე (კანონის მე-20 მუხლი).

აღსრულების ქვემდებარე ზოგიერთი აქტი, არამარტო აღსრულების საფუძველია, არამედ იმავდროულად სააღსრულებო დოკუმენტაცაა (ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადანაცვეტილება უცხოელთა საქართველოდან გაძევების შესახებ), მაგრამ ასეთი აქტები არცთუ ბევრია. შესაბამისად, სააღსრულებო დოკუმენტები რაოდენობრივად გაცილებით ნაკლებია, ვიდრე აღსრულების ქვემდებარე აქტები (აღსრულების საფუძველები).

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპის შესაბამისად, სააღსრულებო წარმოება, როგორც წესი, დაინტერესებული პირის ინიციატივით აღიძვრება. სააღსრულებო ფურცელს სასამართლო აბარებს კრედიტორს ან კრედიტორისგან უფლებამოსილებამინიჭებულ წარმომადგენელს მათი განცხადების საფუძველზე. სააღსრულებო ფურცლის გამონერის უფლება არა აქვს სასამართლოს კრედიტორის ნების გარეშე. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სააღსრულებო ფურცლის მისაღებად წარმომადგენელს სპეციალური უფლებამოსილება არ სჭირდება, ანუ თუ ამ უფლებამოსილების თაობაზე მინდობილობაში (რწმუნებულებაში) მითითებული არ არის, წარმომადგენელი მაინც უფლებამოსილი იქნება მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, ვინაიდან აღნიშნული მიეკუთვნება წარმომადგენლის ზოგად და არა სპეციალურ უფლებამოსილებებს, მაგრამ სააღსრულებო ფურცლის იძუ-

ლებით გადასახდევინებლად სააღსრულებო ბიუროში წარდგენის უფლებამოსილება კი, სპეციალური უფლებამოსილებაა, რომლის მინიჭებას წარმომადგენლისათვის აუცილებლად სჭირდება სპეციალური მითითება მინდობილობაში (რწმუნებულებაში) (იხ. სსსკ-ის 98-ე მუხლი).

დისპოზიციურობის პრინციპიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც გადახდევინება ხორციელდება სახელმწიფოს შემოსავალში. ამ შემთხვევაში სასამართლო თავისი ინიციატივით ისე, რომ არ ელოდება კრედიტორის ნების გამოვლენას, სააღსრულებო ფურცელს უგზავნის აღსასრულებლად იძულებითი აღსრულების ორგანოს ან/და უშუალოდ მოვალეს.

სააღსრულებო დოკუმენტი უნდა შეივსოს მკაფიოდ და წიგნიერად, სუფთად, დამატებებისა და შესწორებების გარეშე. სააღსრულებო დოკუმენტის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს კანონის 21-ე მუხლის მოთხოვნებს.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო დოკუმენტს (სააღსრულებო ფურცელს) ხელს აწერს მოსამართლე და იგი მოწმდება სასამართლოს გერბიანი ბეჭდით. ეს წესი ეხება დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო ფურცელსაც. თავად დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება კი, რადგან იგი არ არის შესული კანონიერ ძალაში, გერბიანი ბეჭდით არ მოწმდება.

იმ საქმეებზე, სადაც გათვალისწინებულია მოვალის ძებნა (კანონის 30-ე მუხლი), დამატებით მიეთითება მოვალის დაბადების ზუსტი თარიღი და ადგილი, ალიმენტების გადახდევინების შესახებ საქმეებზე, ამის გარდა მიეთითება იმ ბავშვის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი, რომელსაც მიეკუთვნა ალიმენტები.



კრედიტორი და მოვალე იურიდიული პირების (საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდ. მენარმეების) მიმართ მიეთითება საქმეზე ცნობილი იურიდიული პირის ორგანოს ადგილსამყოფელი, ამ იურიდიული პირებისა და ინდ. მენარმის ფულადი თანხის შემნახველი საბანკო დაწესებულებების სახელწოდება (დასახელება) და მათში გახსნილი საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომრები.

დანაშაულით მიყენებული ზიანის გადასახდევინებლად სააღსრულებო დოკუმენტების გაცემისას მათში დამატებით უნდა მიეთითოს მოვალის მიერ ჩადენილი ქმედების (დანაშაულის) კვალიფიკაციის და იძულებითი აღსრულების საშუალების შესახებ ინფორმაცია.

უცხოეთის სასამართლოსა და არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზე სააღსრულებო ფურცელს გასცემს უზენაესი სასამართლო საპროცესო კანონმდებლობითა და საქართველოს მონაწილეობით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული წესით.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სახელმწიფოთაშორისო ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე სააღსრულებო ფურცელი არ გაიცემა. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ასეთ სახელმწიფოთაშორის ორგანოებს შეიძლება მივაკუთვნოთ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია.

ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის, ე.ი. საქმის განახლების და შემდგომში შესაბამისი საერთო სასამართლოს მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველია.

## **მუხლი 21. სააღსრულებო ფურცლის რეკვიზიტები**

კანონი ადგენს განსაზღვრულ მოთხოვნებს სააღსრულებო დოკუმენტისადმი, ანუ ახდენს აღნიშნული მოთხოვნების სისტემატიზაციას.

**მოცემული მოთხოვნები შეეხება: ა) სააღსრულებო დოკუმენტის შინაარსს (21-ე მუხლი) და ბ) სააღსრულებო დოკუმენტის ფორმას (21-ე მუხლის მე-4 პუნქტი).**

განსახილველი მუხლი განსაზღვრავს არა მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის შინაარსს, როგორც ეს მისი სათაურიდან გამომდინარე შეიძლება იგულისხმებოდეს, არამედ განამტკიცებს ყველა სააღსრულებო დოკუმენტის, მათ შორის სააღსრულებო ფურცლისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

განსახილველი მუხლით დადგენილია სააღსრულებო დოკუმენტის ძირითადი რეკვიზიტები, განსაზღვრულია სააღსრულებო დოკუმენტზე ხელმოწერის უფლების მქონე პირები, ასევე გადანყვეტილია სხვადასხვა სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების საკითხი.

21-ე მუხლში მითითებული რეკვიზიტების გარდა, სააღსრულებო ფურცელში (სააღსრულებო დოკუმენტში) აგრეთვე მითითებული უნდა იყოს მოვალე ფიზიკური პირის დაბადების თარიღი და ადგილი და მისი სამუშაო ადგილი, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენის ვადა.

სააღსრულებო დოკუმენტში აუცილებლად უნდა მიეთითოს სააღსრულებო დოკუმენტის გამცემი სასამართლოს ან სხვა ორგანოს დასახელება, საქმე და მასალები, რომლის გამოც გაცემულია სააღსრულებო დოკუმენტი და მათი ნომრები, იმ სასამართლო აქტის ან იმ სხვა ორგანოს აქტის მიღების თარი-

ლი, რომელიც უნდა აღსრულდეს; კრედიტორი ორგანიზაციის და მოვალე ორგანიზაციის დასახელება, მათი მისამართები, კრედიტორისა და მოვალის რეკვიზიტები, კრედიტორი ფიზიკური პირის და მოვალე ფიზიკური პირის სახელი, გვარი, მათი საცხოვრებელი ადგილი, მოვალე ფიზიკური პირის დაბადების თარიღი და ადგილი და მისი სამუშაო ადგილი, სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აქტის სარეზოლუციო ნაწილი სიტყვა სიტყვით; სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აქტის ძალაში შესვლის თარიღი; სააღსრულებო დოკუმენტის გაცემის თარიღი და აღსასრულებლად მისი წარდგენის ვადა.

როგორც ითქვა, განსახილველი მუხლით დადგენილია არა ყველა, არამედ მხოლოდ ძირითადი რეკვიზიტები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და ასახული სააღსრულებო დოკუმენტში. უდაოა, რომ ამ რეკვიზიტებს შორის ცენტრალური ადგილი სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აქტის სარეზოლუციო ნაწილს უკავია.

სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მოკლე და საბოლოო დასკვნას საქმეზე: მასში ნათლად უნდა გამოიხატოს სასარჩელო მოთხოვნა მთლიანად დაკმაყოფილდა თუ ნაწილობრივ. სასამართლოს გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია, რომლითაც საბოლოოდ ხდება საქმის გადაწყვეტა და მისი სარეზოლუციო ნაწილი უნდა ასახავდეს აღწერილობით ნაწილში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებულ უფლებრივ შედეგს.

სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სრულად მიეთითება ისეთი რეკვიზიტები, როგორც არის: მხარეთა სახელი, გვარი, იურიდიული პირის სახელწოდება, როგორც ეს განსაზღვრულია წესდებით და სარეგისტრაცი-

ციო დოკუმენტი. აღძრულ მოთხოვნაზე სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი განისაზღვრება მოსარჩელის მოთხოვნის ხასიათით.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს მოკლედ, მკაფიოდ, იმპერატიული ფორმით, რათა მხარეებს არ გაუჩნდეთ ეჭვი მის შინაარსში.

ამ მოთხოვნათა გათვალისწინება და დაცვა იმით არის განპირობებული, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გადაიტანება (აისახება) სააღსრულებო ფურცელში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს<sup>27</sup>, რომ სსსკ-ის 249-ე მუხლი, სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსისათვის, სტრუქტურულად ადგენს მის აღწერილობით, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებში აღსაწერი ფაქტებისა და გარემოებების ფარგლებსა და კომპონენტებს. სამოტივაციო ნაწილი გადაწყვეტილების (განჩინების) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, სადაც ხდება მხარეთა მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეჯერება შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და თითოეული გარემოების სამართლებრივი არგუმენტაციის შემოწმება, მოსამართლის მსჯელობისა და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბება განხილულ დავასთან დაკავშირებით და სამართლებრივი შეფასება. სამოტივაციო ნაწილიდან კი გამომდინარეობს სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც სამართლებრივი დავის საბოლოო გადაწყვეტაა და მთლიანად, უცვლელად, კორექტირების გარეშე გადაიტანება სააღსრულებო ფურცელში. გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუ-

27 2016 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-937-902-2016. უზენაესი სასამართლოს ეს დებულება არაზუსტია, რადგან როგორც წინამდებარე კომენტარშია დასაბუთებული სარეზოლუციო ნაწილი საპროცესო მნიშვნელობით და სარეზოლუციო ნაწილი აღსრულების მნიშვნელობით ერთმანეთისაგან განსხვავდება.

ციო ნაწილში სკურპულოზური სიზუსტით უნდა გადავიდეს მხარეთა ვინაობა, სხვა რეკვიზიტები, აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები და ჩამოყალიბდეს იმგვარი ფორმულირებით, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს რეალურად აღსრულებადი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში გამოყენებული „სასამართლო აქტის სარეზოლუციო ნაწილის“ ცნება არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლში გამოყენებული „სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის“ ცნების ტოლფარდი. „სასამართლო აქტის სარეზოლუციო ნაწილში,“ რომელიც უნდა მიეთითოს სააღსრულებო ფურცელში, უნდა ვიგულისხმოთ სასამართლო აქტის არა მთლიანი სარეზოლუციო ნაწილი, არამედ მარტოოდენ მისი ის ნაწილი, რომელიც იძულებით აღსრულებას ექვემდებარება. სასამართლო აქტის სარეზოლუციო ნაწილში ასახული სასამართლოს დასკვნები ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ არის კავშირში იძულებითი აღსრულების საგანთან (სააღსრულებო წარმოების საგანთან) სააღსრულებო ფურცელის იმ გრაფაში, რომელიც აღინიშნება სიტყვებით „გადაწყვიტა, დაადგინა“, არ გადაიტანება (არ შეიტანება).

უაღრესად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გადაწყდეს და ჩამოყალიბდეს სასამართლო ხარჯების შესახებ საკითხი, ვისგან გადაიხდევინება ისინი და რა ოდენობით. რამდენიმე მოპასუხის მიმართ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში სასამართლო ხარჯები გადაიხდევინება წილობრივად და არა სოლიდარულად.

კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტში საუბარია იმაზე, თუ ვინ უნდა მოაწეროს ხელი სააღსრულებო დოკუმენტს და რა წესით უნდა დამოწმდეს იგი. კერძოდ, სასამართლო აქტის სა-

ფუძველზე გაცემულ სააღსრულებო დოკუმენტს (სააღსრულებო ფურცელს) ხელს აწერს მოსამართლე და იგი მოწმდება სასამართლოს გერბიანი ბეჭდით.

სხვა ორგანოს აქტის საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო დოკუმენტს ხელი უნდა მოაწეროს ამ ორგანოს თანამდებობის პირმა, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევებში – იმ პირმა, რომელმაც გამოიწერა სააღსრულებო დოკუმენტი. სააღსრულებო დოკუმენტი მოწმდება ამ ორგანოს ან მისი გამცემი პირის ბეჭდით.

სხვადასხვა სასამართლო აქტის და სხვა ორგანოთა აქტების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის შინაარსს ზოგიერთი სპეციფიკა გააჩნია. ამიტომ მოცემული ნორმით სააღსრულებო დოკუმენტისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები მათზე არ ვრცელდება. საქმე იმაშია, რომ სააღსრულებო დოკუმენტის მიმართ დადგენილი მოთხოვნები სცილდება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მოქმედების სფეროს, რამეთუ აღნიშნული კანონი განსაზღვრავს სასამართლო აქტის, სხვა ორგანოს და თანამდებობის პირის აქტის იძულებით აღსრულების წესსა და პირობებს. სააღსრულებო ფურცელს (დოკუმენტს) სასამართლო, სხვა უფლებამოსილი ორგანო თუ თანამდებობის პირი გასცემს აღსასრულებლად მის წარდგენამდე, რის გამოც სააღსრულებო დოკუმენტის სახე და შინაარსი განისაზღვრება შესაბამის ორგანოში საქმეზე (ამა თუ იმ იურიდიულ საკითხზე) სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონით: სამოქალაქო კოდექსით, საგადასახადო კოდექსით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ნოტარიატის კანონით და სხვ. და არა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონით. თუკი იურიდიული ძალის მიხედვით სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის დარი კანონი

(დარგობრივი კანონი) სხვაგვარად განსაზღვრავს შესაბამისი სახის სააღსრულებო დოკუმენტის შინაარსს, უპირატესობა მას უნდა მიენიჭოს, როგორც სპეციალურ კანონს. სასამართლოს, სხვა უფლებამოსილ ორგანოს და თანამდებობის პირს, მათ შორის, რა თქმა უნდა აღმასრულებელსაც, ევალება თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს შესაბამისი სპეციალური კანონით. სხვაგვარი განმარტების შემთხვევაში აღმასრულებელს მოუწევს ფორმალური უარის თქმა აღსრულების დაწყებაზე იმ მოტივით, რომ სააღსრულებო დოკუმენტი არ შეესაბამება კანონის 21-ე მუხლით მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, რაც ხელყოფს კრედიტორის უფლებას (ვერ მოხდება კრედიტორის დარღვეული უფლების დაცვა). მაგალითად, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ფორმა და შინაარსი განისაზღვრება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 21-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტითა და ნოტარიატის კანონმდებლობით. აღნიშნული სანოტარო აქტი მოწმდება ნოტარიუსის ბეჭდით.

სხვა სააღსრულებო დოკუმენტების შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საკითხებზე მოსამართლეთა 2006 წლის 19 თებერვალსა და 2 აპრილს გამართული შეხვედრების შედეგად ჩამოყალიბებული ერთ-ერთი რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 21-ე მუხლს. სარჩელი შეტანილი იქნა ადმინისტრაციული წესით. მოსარჩელე ითხოვს სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას (სააღსრულებო ფურცელი სამოქალაქო საქმეზე იქნა გამოწერილი). მოპასუხედ დასახელებულია სააღსრულებო ბიურო. მოსარჩელის არგუმენტია ის, რომ კანონის 21-ე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად,

სააღსრულებო ფურცელში რეკვიზიტები სწორედ არ არის მითითებული. ვისი განსჯადია ხსენებული დავა და საერთოდ, რამდენად არის სასამართლოს ქვემდებარე აღნიშნული საქმე? დასახელებული ნორმა ითხოვს, რომ სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს კრედიტორისა და მოვალის დასახელება და მათი რეკვიზიტები.

გამოითქვა მოსაზრება, რომ სააღსრულებო ფურცელი, როგორც სააღსრულებო აქტი, ქართული სამართლის, ისევე, როგორც გერმანული სამართლის მიხედვით, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან მას არ ახასიათებს ხსენებული აქტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, უწინარეს ყოვლისა კი, გამოცემული არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (რაც უშუალოდ ანიჭებს აქტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტატუსს). სააღსრულებო ფურცლის საშუალებით ხდება სასამართლო გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება და ამდენად, სააღსრულებო ფურცელი არის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება. სასამართლოს მიერ გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი უნდა გაიმიჯნოს სააღსრულებო ორგანოს მიერ მიღებული სააღსრულებო საბუთისაგან.

უმრავლესობამ გამოითქვა აზრი და მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ დაუშვებელია სასამართლოში სარჩელის აღძვრა სააღსრულებო ფურცლის გაუქმების მოთხოვნით (სააღსრულებო საბუთის გაუქმების მოთხოვნისაგან განსხვავებით) და თუ მაინც იქნება ასეთი სარჩელი წარდგენილი სასამართლოში, იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან აღნიშნული სარჩელი არ არის უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარე (შენიშვნა – სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 36-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი გაუქმებულია. იგი ითვალისწინებდა



მოვალის მიერ სააღსრულებო ფურცელზე სასარჩელო წესით საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები დავის აღძვრას).

ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ სააღსრულებო ფურცელი მკაცრად ფორმალური დოკუმენტია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სააღსრულებო ფურცლის შინაარსისა და ფორმის მიმართ წაყენებული მოთხოვნების დარღვევამ არ უნდა გამოიწვიოს არახელსაყრელი შედეგების დადგომა კრედიტორისათვის.

სააღსრულებო ფურცლის შინაარსში დაშვებული შეცდომა იძლევა შესაბამისი შესწორებების და არა შეცვილების საფუძველს. კანონი არ ითვალისწინებს ასეთ შემთხვევებში სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნებას კრედიტორისა და სასამართლოსათვის. მსგავს შემთხვევებში უნდა აღმოიფხვრას დაშვებული დარღვევები. დაშვებული დარღვევების აღმოფხვრის შემთხვევაში სააღსრულებო დოკუმენტი აღსასრულებლად წარდგენილად ითვლება აღმასრულებელთან თავდაპირველად წარდგენის დღეს. კრედიტორს არ გააჩნია შეხება სააღსრულებო ფურცლის ან სხვა სააღსრულებო დოკუმენტის შედგენისა და გაფორმების სისწორესთან. სააღსრულებო ფურცელს ადგენს და გასცემს სასამართლო. ამიტომ სრულიად დაუშვებელია კრედიტორზე სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება.

## **მუხლი 22. ერთ გადაწყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემა**

განსახილვევი მუხლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნორმის დანაწესი შეიცავს ორ წესს: **ზოგადს და სპეციალურს**. ზოგადი წესის მიხედვით, საერთო იურიდიულის სასამართლოს ერთი გადაწყვეტილების ან სხვა ორგანოს ერთი იურიდიული აქტის საფუძველზე გაცივმა მხოლოდ ერთი სააღსრულებო ფურცელი. ეს წესი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ერთი და იგივე სასამართლო დადგენილების ხელმეორედ იძულებით აღსრულების შესაძლებლობა. მაშასადამე, ეს წესი განამტკიცებს სააღსრულებო წარმოებაში მოვალის უფლებათა დაცვის გარანტიებს. ზოგიერთ შემთხვევაში ამ წესმა შეიძლება გაართულოს ან საერთოდ შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების აღსრულება. ამიტომ, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგადი წესიდან გამონაკლისს, რომელიც ასახულია სპეციალურ სამართლებრივ ნორმაში. ეს წესი უშვებს რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცივას ერთი სასამართლო აქტის (განჩინების, გადაწყვეტილების, სასამართლო ბრძანების) საფუძველზე. ეს შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორის თხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ: 1) გადაწყვეტილება მიღებულია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ; 2) აღსრულება უნდა მოხდეს სხვადასხვა ადგილზე. სასამართლოს ერთი გადაწყვეტილების საფუძველზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცივების საფუძველთა ჩამონათვალი ამომწურავია.

საპროცესო თანამონაწილეობისას, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის და/

ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლომ რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემისას თითოეულ მათგანში ზუსტად უნდა მიუთითოს გადაწყვეტილების ან მისი იმ ნაწილის აღსრულების ადგილი, რომელიც თითოეული მოცემული ფურცლის საფუძველზე უნდა აღსრულდეს. მოცემული დებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა შემთხვევაში, იმ შემთხვევის გარდა, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეებს ეკისრებათ სოლიდარული ვალდებულება.

სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს სოლიდარული მოპასუხეების რაოდენობას. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, რომლებიც სასამართლოს მიერ აღიარებული არიან სოლიდარულ მოვალეებად (სოლიდარული ვალდებულების მქონე სუბიექტებად). თითოეულ სააღსრულებო ფურცელში უნდა მიეთითოს გადასახდევინებელი საერთო თანხა, ყველა მოპასუხე და უნდა მიეთითოს მათ სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე.

თუ აღსრულება უნდა მოხდეს სხვადასხვა ადგილას, სასამართლოს შეუძლია კრედიტორთა თხოვნით გასცეს რამდენიმე სააღსრულებო ფურცელი, რომლებშიც ზუსტად უნდა მიეთითოს აღსრულების ადგილი და გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც თითოეული ფურცლის საფუძველზე უნდა აღსრულდეს.

კანონი არ ანესრიგებს სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულების წესს ისეთ შემთხვევებში, როცა ერთიდაიმავე მოვალის მიმართ დაწყებულია რამდენიმე სააღსრულებო წარმოება, ანუ არ ანესრიგებს რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის სა-

ფუძველზე სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების თავისებურებებს.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოვალეთა სოლიდარული მატერიალური პასუხისმგებლობა, გამოიწვევს იმდენი სააღსრულებო ფურცელი, რამდენიც მოვალეა. ამასთან, თითოეულ სააღსრულებო ფურცელში აუცილებლად უნდა მიეთითოს გადასახდევინებელი საერთო თანხა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული ყველა პირი. ერთ-ერთ სააღსრულებო ფურცელს მიენიჭება №1. თითოეული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე დაწყებულ სააღსრულებო წარმოებაში ზიანის გადახდევინება წარმოებს ნებისმიერი სოლიდარული მოვალის მიმართ.

ერთი და იმავე მოვალის მიმართ რამდენიმე სააღსრულებო წარმოება შეიძლება დაიწყო: 1) ერთ სააღსრულებო ბიუროში; 2) რამდენიმე სააღსრულებო ბიუროში. ყველა ასეთ შემთხვევაში, როცა სააღსრულებო ბიუროში რამდენიმე სააღსრულებო წარმოებაა (რამდენიმე სააღსრულებო ფურცელია) ერთი კრედიტორის მოთხოვნის გამო რამდენიმე სოლიდარული მოვალის მიმართ, აუცილებელია ყველა სააღსრულებო წარმოება ერთიან სააღსრულებო წარმოებად გაერთიანდეს და აღსასრულებლად გადაეცეს ერთ აღმასრულებელს. ამასთან, ყადაღა უნდა დაედოს მოვალის ქონებას გადასახდევინებელი საერთო თანხის, აღსრულების საფასურის და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების (აღსრულების) სავარაუდო ხარჯების ფარგლებში, რაც საშუალებას მოგვცემს აღსრულდეს სააღსრულებო დოკუმენტი სხვა სარჩელის (სარჩილების) უზრუნველსაყოფად მოვალის ქონებაზე დადებული ყადაღისაგან დამოუკიდებლად. ამის შემდეგ სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის დროის მიხედვით აღმასრულებ-

ბელი ადგენს თითოეული რიგის კრედიტორის მოთხოვნის და-  
კმაყოფილების ერთიან თანამიმდევრობას კანონის XIV<sup>1</sup> თავის  
(გადახდევინებული თანხების კრედიტორთა შორის განაწილე-  
ბა) შესაბამისად.

აღმასრულებელი ვალდებულია ერთიანი სააღსრულებო  
წარმოების მწარმოებელ აღმასრულებელს სისტემატურად აც-  
ნობოს ზიანის ასანაზღაურებლად გადახდევინებული თანხების  
შესახებ.

ერთიან სააღსრულებო წარმოებაში უნდა იმყოფებოდეს:  
განაჩენის ან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ან სა-  
სამართლო აქტიდან ამონაწერი ქონებრივი გადახდევინების  
ნაწილში.; ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად არის გაგზავნი-  
ლი სააღსრულებო ფურცლები; ყველა სოლიდარული მოვალის-  
აგან ერთად და თითოეული მათგანისაგან ცალ-ცალკე გადახ-  
დევინებული თანხების შესახებ ინფორმაცია; აღსრულებასთან  
დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.

გასათვალისწინებელია, რომ ერთიან სააღსრულებო წარ-  
მოებაში ერთ-ერთი კრედიტორისათვის ფულადი თანხის  
გადარიცხვა ნებაყოფლობით შესასრულებლად დადგენილი  
ვადის გასვლის შემდეგ, არღვევს სხვა კრედიტორთა კანონიერ  
უფლებებსა და ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება  
ჩაითვალოს, რომ სააღსრულებო დოკუმენტი სათანადოდ, ჯე-  
როვნად აღსრულდა. შესაბამისად, ეს გარემოება არ შეიძლება  
იყოს მოცემული სააღსრულებო წარმოების დამთავრების სა-  
ფუძველი.

თავისათავად, რამდენიმე სააღსრულებო წარმოების ერთ  
წარმოებად გაერთიანება, არ შეიძლება არღვევდეს კრედიტო-  
რის უფლებებს. კანონის მე-18 მუხლით დადგენილი კრედი-  
ტორის უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილია სხვა

იმ სუბიექტების უფლებებთან და ინტერესებთან ერთად, რომელთაც დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები გააჩნიათ, ერთი და იმავე მოვალის მიმართ.

საინტერესოა, შეიძლება თუ არა რამდენიმე სააღსრულებო დოკუმენტის გაცემა სხვა საქმეებზე? მაგალითად, შეიძლება თუ არა გაიცეს სანოტარო აქტის და სხვა დოკუმენტების რამდენიმე ეგზემპლარი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ამოსავალი უნდა იყოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესები, აგრეთვე ის, თუ რამდენად მიზანშეწონილია ეს კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე. კრედიტორის ინტერესია სააღსრულებო დოკუმენტის სწრაფად აღსრულება. მაგალითად, სანოტარო წარმოების მომწესრიგებელი ნორმების თანახმად, სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტების ეგზემპლართა რაოდენობა განისაზღვრება სანოტარო მოქმედების შესრულებაში მონაწილე პირთა რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს გარიგებაში მონაწილე მხარეთა რაოდენობას. შესაბამისად, ასეთი სანოტარო აქტი შეიძლება მიეცეს მოცემული გარიგების თითოეულ მხარეს.

## **მუხლი 23. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა**

მოცემული ნორმით გადანყვეტილია შემდეგი საკითხები: რა პირობების არსებობისას და ვის მიერ გაიცემა სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი. მაგრამ ეს ნორმა არასრულყოფილია, ვინაიდან არ განსაზღვრავს, თუ რა წესით აღიძვრება წარმოება სასამართლოში დუბლიკატის გაცემის მოთხოვნით, ასევე არ ითვალისწინებს განცხადების განხილვის წესს და სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესს.

ზოგადი წესის მიხედვით, სასამართლო კრედიტორს მხოლოდ ერთხელ აძლევს სააღსრულებო ფურცელს ერთი სასამართლო გადანყვეტილების საფუძველზე. **სასამართლოს მიერ თავდაპირველად გაცემული სააღსრულებო ფურცელი წარმოადგენს დედანს (ორიგინალს).**

**სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი კი სააღსრულებო ფურცლის მეორე ეგზემპლარია, რომელიც ცვლის დედანს (შინაარსით ორივე ეს დოკუმენტი ერთნაირია, მსგავსია). დუბლიკატს ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც დაკარგულ დოკუმენტს ჰქონდა.** შინაარსით, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი დედანისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მასში არის შესრულებული აღნიშვნა „დუბლიკატი“. ამგვარი აღნიშვნა დუბლიკატის სავალდებულო რეკვიზიტია, რომელიც, როგორც წესი, მიეთითება ამგვარი დოკუმენტის ზედა მარჯვენა კუთხეში. სხვა შემთხვევაში, შინაარსით ის სრულად უნდა ემთხვეოდეს დედანს.

სააღსრულებო დოკუმენტის დედანის დაკარგვის შემთხვევაში, განსახილველი ნორმის მიხედვით, გადახდევინების საფუძველია მისი დუბლიკატი. **მაშინაც კი, როდესაც დაკარგული**

სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე ნაწილობრივ არის აღსრულებული გადანაცვეტილება, დაუშვებელია სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატში რაიმე სახის ცვლილების შეტანა გადასახდევინებელი თანხის თაობაზე (დაუშვებელია ამ საფუძველით გადახდევინების ოდენობის შეცვლა). დუბლიკატი სრულად უნდა იმეორებდეს დაკარგულ სააღსრულებო ფურცელს. მისი მეშვეობით ფაქტობრივად, დაკარგული სააღსრულებო დოკუმენტის აღდგენა ხდება. გადანაცვეტილების ნაწილობრივ აღსრულება გათვალისწინებული უნდა იყოს შემდგომში, დუბლიკატის საფუძველზე აღსრულების დროს, როგორც ეს გათვალისწინებული იქნებოდა თავდაპირველად გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე აღსრულების დროს. ამრიგად, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გადაცემისას, სასამართლო არ აკეთებს მასში არავითარ აღნიშვნას (ცვლილებას) გადანაცვეტილების ნაწილობრივ აღსრულების შესახებ. ბუნებრივია, ნაწილობრივი აღსრულება, თავისთავად, არ შეიძლება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.

დუბლიკატი გაიცემა იმავე გადანაცვეტილების (ან მისი ასლის) საფუძველზე, რომლის საფუძველზეც გაცემული იყო დაკარგული სააღსრულებო ფურცელი. კრედიტორმა სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის მიზეზები – თუ რა გარემოებებში დაიკარგა ფურცელი, უნდა აცნობოს სასამართლოს. ამასთანავე, შეიძლება წარდგენილ იქნეს ინფორმაცია კავშირგაბმულობის ორგანოებიდან ან აღმასრულებელისაგან. თუ კრედიტორი ორგანიზაციაა (იურიდიული პირია), მაშინ სააღსრულებო ფურცლის დაკარგვისა და დაკარგვის მიზეზების შესახებ შეტყობინებას ხელს უნდა აწერდეს მისი ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი. დაკარგვის მიზეზების ნამდვილო-



**ბის (უტყუარობის) შემონმების ვალდებულებას კანონმდებლობა განმცხადებელს არ აკისრებს.** სსსკ-ის 102-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თავად მხარის განმარტება სადაო სააღსრულებო ფურცლის დედნის დაკარგვის შესახებ საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს. **ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებლობა განმცხადებელს ეკისრება.**

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ საკითხის გადაწყვეტის (განხილვის) დროს სასამართლომ უნდა შეამომოს, ხომ არ მოხდა გადაწყვეტილების აღსრულება დაკარგული ფურცლის საფუძველზე, ვინაიდან თუ სააღსრულებო ფურცელი აღსრულებულია, დუბლიკატის გაცემა დაუშვებელია. დუბლიკატის გაცემის მომენტიდან თავდაპირველად გაცემული სააღსრულებო ფურცელი კარგავს ძალას. თუ ის შემდგომში აღმოჩნდება, მაშინ კრედიტორი მას ველარ გამოიყენებს.

**სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი გაიცემა მხოლოდ დედანის დაკარგვის შემთხვევაში.** სააღსრულებო ფურცლის დედნის დაკარგვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დაკარგვა ანდა განადგურება, არამედ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დოკუმენტს დაკარგული აქვს კანონის 21-ე მუხლში მითითებული სავალდებულო რეკვიზიტები (როდესაც დოკუმენტში აღარ იკითხება ეს რეკვიზიტები).

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ განცხადება შეიძლება შეტანილი იქნეს (ე.ი. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი შეიძლება გაიცეს სასამართლოს მიერ) მხოლოდ აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცლის წარსადგენად დადგენილი ვადის ამონურვამდე, ანუ დუბლიკატი შეიძლება გაიცეს სასამართლოს მიერ, თუ არ გასულა აღსას-

რულებლად მისი წარდგენის ათწლიანი ვადა და თუ არ აღსრულებულა სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გაცემული იყო სააღსრულებო დოკუმენტი.

სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის საპატიო მიზეზით გაშვებული ვადა შეიძლება აღადგინოს სასამართლომ. ამიტომ თუ ეს ვადა გაშვებულია, მაშინ ერთდროულად, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ განცხადებასთან ერთად, აუცილებლად შეტანილი უნდა იქნეს განცხადება სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის ვადის აღდგენის შესახებ. ანდა შუამდგომლობა გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ განცხადებაში უნდა ჩამოყალიბდეს. თუ ხანდაზმულობის ვადა არ იქნება აღდგენილი, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემაზე აგრეთვე უარი უნდა ეთქვას განმცხადებელს.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულების ხანდაზმულობის ვადაა გაშვებული, ამ ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) დაყენების გარეშე, განმცხადებელს უარი უნდა ეთქვას სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაში უნდა მიეთითოს უარის თქმის მიზეზი და განემარტოს კრედიტორს თავისი უფლება შეიტანოს ხანდაზმულობის გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განცხადება.

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი გაიცემა კრედიტორის განცხადების საფუძველზე. განცხადების შეტანა კრედიტორის უფლებამონაცვლესაც შეუძლია. კანონის განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს, რომ განცხადება შეტანილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ განცხადებაში სხვა სავალდებულო მონაცემებთან ერთად (რომელ სასამართლოში, ვის მიერ არის იგი შეტანილი, რომელი გადანყვეტილების საფუძველზე იქნა გაცემული სააღსრულებო ფურცელი, როდის არის იგი გამოტანილი და როდის შევიდა კანონიერ ძალაში და სხვა) განმცხადებელმა უნდა მიუთითოს, ვის მიერ, როდის და რა გარემოებებშია დაკარგული სააღსრულებო დოკუმენტი, აღსრულებულია თუ არა იგი, თუ აღსრულებულია, რა ნაწილში (რა მოცულობით).

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის შესახებ განცხადება განხილვა გადანყვეტილების გამომტან სასამართლოში სასამართლო სხდომაზე სამოქალაქო სამართალწარმოების საერთო წესებით. საქმის მონაწილე პირებს, ე.ი. კრედიტორსა და მოვალეს ეცნობებათ სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა (თუკი სათანადო წესით ეცნობათ სასამართლო სხდომის დრო და ადგილი) არ დააბრკოლებს დუბლიკატის გაცემის შესახებ განცხადების განხილვას და გადანყვეტილების გამოტანას.

განცხადების განხილვისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, დაკარგული იქნა თუ არა სააღსრულებო ფურცელი, როდის, ვის მიერ და რა გარემოებებში დაიკარგა იგი. თავისი დასკვნები ამ საკითხებზე სასამართლომ უნდა დაასაბუთოს სასამართლო სხდომაზე შემოწმებული მტკიცებულებებით.

განცხადების განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლის შინაარსიც უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლს. განცხადების დაკმაყოფილების შესახებ განჩინება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის საფუძველია.

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის საკითხზე გამოტანილი განჩინებით სასამართლო ან დააკმაყოფილებს კრედიტორის განცხადებას ან უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე. ორივე შემთხვევაში განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს.

დაბოლოს, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა არ უნდა გავაიგივოთ ერთ გადანყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან (კანონის 22-ე მუხლი) ან ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან გადანყვეტილების აღსრულების წესის ან საშუალების შეცვლის შემთხვევაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლი).

რაც ეხება სხვა სახის სააღსრულებო დოკუმენტების დუბლიკატების გაცემას, მათი დედნის დაკარგვის შემთხვევაში მათ გასცემენ ის ორგანოები, რომლებმაც განიხილეს შესაბამისი დავა და გამოსცეს შესაბამისი აქტი.

კანონი არ აძლევს უფლებას აღმასრულებელს სასამართლოს მიმართოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ განცხადებით, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როცა იგი თავად აღმასრულებლის ბრალით დაიკარგა, რამეთუ ეს უფლება მარტოდენ კრედიტორის დისპოზიციური უფლებაა. კანონით ასევე არ არის განსაზღვრული თუ რა ვადაში უნდა იქნეს განხილული დუბლიკატის გაცემის შესახებ განცხადება.

## **მუხლი 24. სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლება- მონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ**

მოცემული ნორმა აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც გადანყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას (მე-2 მუხლი), მაგრამ მასში მითითებულ პირთა (ე.ი. კრედიტორისა და მოვალის) სახელზე არ არის გაცემული სააღსრულებო ფურცელი იმის გამო, რომ ერთ-ერთ ან ორივე მხარეზე ადგილი აქვს უფლებამონაცვლეობას.

ნორმა ვრცელდება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდეგ წარმოშობილ უფლებამონაცვლეობის შემთხვევაზეც. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, წარდგენილი იყო თუ არა იგი აღსასრულებლად.

განსახილველი ნორმა უშვებს სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას, როგორც იმ პირის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ, რომელიც აღსრულების ქვემდებარე აქტის (გადანყვეტილების) მიხედვით წარმოადგენს მოთხოვნის უფლების მქონე პირს (კრედიტორს), ისე მოვალის უფლებამონაცვლე პირთა საწინააღმდეგოდ. კანონის აღნიშნული დანაწესი გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მოვალის ან კრედიტორის უფლებამონაცვლე დგინდება სასამართლოს მიერ საქმეზე გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ და ემსახურება სასამართლო გადანყვეტილების ჯეროვან და ეფექტიან აღსრულებას.

ამასთან, შესაძლებელია ერთდროულად ადგილი ჰქონდეს უფლებამონაცვლეობას გადანყვეტილებაში დასახელებული ორივე მხარის მიმართ. სწორედ მხარეები და არა სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა პირები შეიძლება შეიცვალონ უფლებამონაცვლით.

მოცემული ნორმის მიხედვით, უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან მათ სანინაალმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ სახეზეა რამდენიმე პირობა, კერძოდ: 1) გადანყვეტილებით (აღსრულების ქვემდებარე აქტით) მხარეთა (კრედიტორსა და მოვალეს შორის) დადგენილ სამართალურთიერთობაში (გადანყვეტილებით განსაზღვრულ მხარეთა უფლება-მოვალეობებში), ზოგადად, დასაშვებია უნდა იყოს უფლებამონაცვლეობა; 2) უფლებამონაცვლეობა უნდა იყოს ნათელი; 3) სააღსრულებო ფურცლის მისაღებად წარდგენილი უნდა იქნეს უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; 4) გადანყვეტილების აღსრულება დამოკიდებულია კრედიტორის ან მისი უფლებამონაცვლის ნების გამოვლენაზე. თუ ერთობლიობაში სახეზეა ყველა ზემოაღნიშნული წინაპირობა, სასამართლო გასცემს სააღსრულებო ფურცელს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ გასცემს სააღსრულებო ფურცელს. განსახილველი მუხლის 2010 წლამდე მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებდა სასამართლოს ამ უარის გასაჩივრების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს ან მის უფლებამონაცვლეს სარჩელი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა შეეტანა გადანყვეტილების გამომტან სასამართლოში. დღეს არსებული რედაქცია სარჩელის შეტანას აღარ ითვალისწინებს. სარჩელის ნაცვლად გადანყვეტილების გამომტან სასამართლოში შეიტანება განცხადება, რაც ნიშნავს მოცემული ნორმით განსაკუთრებული განსჯადობის წესის გათვალისწინებას, რომელსაც ვერ შეცვლის მოვალის უფლებამონაცვლე პირის ადგილსამყოფელი. განსაკუთრებული განსჯადობის წესის დადგენა აიხსნება იმ გარემოებით, რომ საქმე, რო-

მელზეც გაცემული უნდა იქნეს სააღსრულებო ფურცელი, როგორც წესი, ინახება მის გამომტან სასამართლოში.

მოცემული ნორმის 2010 წლამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ კრედიტორის ან მისი უფლებამონაცვლის სარჩელში იგულისხმებოდა მათ მიერ აღიარებითი სარჩელის (სსსკ-ის 180-ე მუხლი) შეტანა შესაბამისი სამართალურთ-იერთობის დადგენის მიზნით, რომელზე მიღებული დადები-თი გადაწყვეტილებაზე თავდაპირველ გადაწყვეტილებაზე (და არა აღიარებით სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე) სააღსრულებო ფურცლის გაცემის საფუძველი იყო.

რაც შეეხება უფლებამონაცვლეობის საფუძველს, აღ-სრულების ეტაპზე უფლებამონაცვლეობის საფუძველებია სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები. უფლებამონაცვლეობის საფუძველების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. როგორც ითქვა, დღესდღეობით სარჩელის ნა-ცვლად შემოიტანება განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენის თაობაზე. განცხადებაზე სასამართლო მსჯელობს განჩინებით. უფლებამონაცვლეობის საკითხს სასამართლო წყვეტს სსსკ-ის იმ ნორმის საფუძველზე, რომლითაც გან-საზღვრულია აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესი. სააღსრულებო წარმოების მხარის უფლე-ბამონაცვლით შეცვლის სასამართლო წესის არსებობა გან-პირობებულია შემდეგი ფაქტორებით: უწინარეს ყოვლისა, ეს უკავშირდება სსსკ-ის 92-ე მუხლის გამოყენებას. მეორე ის, რომ უფლებამონაცვლით მხარის შეცვლისას ასევე უნდა დადგინდეს სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, უფლებადამ-დგენი ფაქტი, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა უფლე-ბამონაცვლეობა. განსახილველი ნორმით დადგენილი წესები ვრცელდება, ასევე იმ შემთხვევებზეც, როდესაც სახეზეა

არბიტრაჟის გადაწყვეტილება (იხ. კანონის 1-ლი მუხლი).

საინტერესოა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა. კერძოდ, როგორც ცნობილია, სანოტარო ორგანოები უფლებამოსილი არიან გასცენ სააღსრულებო ფურცელი. ერთ—ერთ საქმეზე კრედიტორის მოთხოვნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი ნოტარიუსის მიერ და დაიწყო აღსრულება. აღსრულების ეტაპზე კრედიტორი გარდაცვალა. კრედიტორის უფლებამონაცვლემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა უფლებამონაცვლეობის დადგენის მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 9 იანვრის განჩინებით სასამართლოში შეტანილი განცხადება კრედიტორის უფლებამონაცვლედ ცნობის (უფლებამონაცვლეობის დადგენის) შესახებ არ დაკმაყოფილდა (საქმე №2/37122-17). სასამართლოს აზრით, მამკვიდრებელი, როგორც გარდაცვალებამდე სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორის სტატუსით მონაწილე პირი, კრედიტორად ნოტარიუსის და არა სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელშია დასახელებული, სასამართლო კი არ არის უფლებამოსილი სანოტარო სააღსრულებო ფურცელში დაინტერესებული პირის განცხადებით მასში დასახელებული კრედიტორი უფლებამონაცვლით შეცვალოს. სასამართლოს მიერ ეს დასკვნა გამოტანილი იქნა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის სიტყვა – სიტყვითი განმარტებიდან, რომელშიც სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებით (აქტით) განსაზღვრული კრედიტორის ან მოვალის უფლებამონაცვლით შეცვლაზეა საუბარი. სასამართლოს ამ მითითებით საწინააღმდეგოდ აღვნიშნავთ შემდეგს: განცხადებით მოთხოვნილი იქნა არა სანოტარო სააღსრულებო ფურცელში დასახელებული პირის შეცვლა, როგორც ეს მიუთითა სასამართლომ, არამედ



უფლებამონაცვლეობის დადგენა, რაც პრინციპულად სხვადასხვა საკითხია, ვინაიდან კრედიტორი ისედაც გასულად ითვლება სამართლებრივი ურთიერთობებიდან, ხოლო შესაბამისად, რადგან სააღსრულებო ფურცელი ერთხელ უკვე გაცემულია, საჭირო ხდება არა მასში ცვლილების შეტანა, შეცვლილი სახით ხელახლა გაცემა, არამედ სწორედ უფლებამონაცვლეობის დადასტურება (დადგენა), რაც სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. საყურადღებოა, რომ ნოტარიუსი ადგენს უდაო ფაქტებს, ხოლო სასამართლო უფლებამონაცვლეობის დადგენით ადასტურებს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას პირთა შორის.

მოქმედი სააღსრულებო კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღსრულების ეტაპზე უფლებამონაცვლეობის საჭიროებისას გამოირიცხება აღნიშნული საკითხის აღმასრულებლის მიერ გადაწყვეტის შესაძლებლობა, ანუ აღმასრულებელს არა აქვს აღსრულების სტადიაზე უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება.

ასეთი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში ძირითადი ორგანო (თუ ერთადერთი ორგანო არა), რომელმაც უნდა გადაწყვიტოს აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხი, არის სასამართლო, როგორც უფლების დაცვის უნივერსალური ორგანო. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სააღსრულებო ფურცელი გაცემულია ნოტარიუსის მიერ, სამართლოს აქვს უფლებამონაცვლეობის დადასტურების უფლება, არასასამართლო ორგანოს მიერ გაცემულ აქტებში მითითებული სუბიექტის სამართლებრივი ურთიერთობიდან გასვლის შემთხვევაში. სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება გამომდინარეობს სააღსრულებო წარმოებათა კანონის 24-ე მუხლისა და სსსკ-ის 92-ე მუხლის სისტემური ანალიზიდან, ასევე სასამართლო ხე-

ლისუფლების დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის პრინციპიდან. სსსკ-ის 92-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, უფლებამონაცვლეობის საკითხს სწორედ სასამართლო წყვეტს არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული ურთიერთობიდან მხარის გასვლის, არამედ სხვა ნებისმიერი (როგორც ამ ნორმაშია მითითებული „სადავო“) ურთიერთობიდან მხარის გასვლის შემთხვევაში. ამასთან, უფლებამონაცვლეობა დასაშვებია ნებისმიერ სტადიაზე. ხოლო 92-ე მუხლში მითითებული სიტყვა „სადავო“ მიანიშნებს ერთადერთ რამეზე, რომ საკითხი ეხება ნებისმიერ ურთიერთობას, რომელიც კი ატარებს კრედიტორ-მოვალის ტიპის ურთიერთობის ხასიათს, ანუ რომელშიც მონაწილეობს კრედიტორი და მოვალე. ცხადია, დავა ნებისმიერ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როდესაც არ სრულდება ვალდებულება და დავის წარმოშობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვალდებულების არსებობას მოვალე სადაოს აქტიური მოქმედებით ხდის, თუ თავისი უმოქმედობით (პასიურობით) არ ასრულებს კუთვნილ ვალდებულებას – ნებისმიერ შემთხვევაში სახეზეა დავა უფლების შესახებ, ანუ სადავო ურთიერთობა. აღსრულება კი – დაიწყო სწორედ იმის გამო, რომ მოვალემ არ შეასრულა ვალდებულება.

92-ე მუხლში მითითებულ სტადიაში იგულისხმება აღსრულებაც, როგორც პროცესის სტადია. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილებისა და მისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, აღსრულება სასამართლოზე უფლების, ანუ კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სასამართლო უფლების განუყოფელი, შემადგენელი ნაწილია.

მოცემულ შემთხვევაში, გადასაწყვეტი იყო საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი აღსრულების ეტაპზე, რაც სა-

სამართლომ საერთაშორისო სამართლის (რომელსაც საქართველო კონსტიტუციის დონეზე აღიარებს) უგულვებელყოფით განახორციელა. არადა სასამართლომ უგულვებელყო ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელის იურიდიული ბუნება, რომელიც ფაქტობრივად სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის სუროგატია. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობა ერთადერთი რამის მანიშნებელია – მარტივდება უფლების დაცვა და მისი განხორციელება შესაძლებელი ხდება სასამართლო პროცედურის გარეშე, მაგრამ აღნიშნული არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ამგვარი აქტის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის სასამართლოს გზით კონტროლის გამომრიცხავი გარემოება. აღსრულების ეტაპზე, აღსრულების მიმდინარეობას უკვე სასამართლო აკონტროლებს, ისევე, როგორც შესაძლებელია სააღსრულებო ფურცლის გაცემის მართლზომიერების კონტროლი მის აღსრულებამდე, აღსრულების შეჩერების გზით.

დასახელებულ ნორმაში 2010 წელს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, როგორც სადაო შემთხვევაში, ისე მაშინაც, როცა ნათელია უფლებამონაცვლეობა, ე.ი. ნებისმიერ შემთხვევაში, წყდება სასამართლოს მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. ასეთ დაინტერესებულ პირად მოცემულ ნორმაში მხოლოდ კრედიტორი ან მისი უფლებამონაცვლეა დასახელებული. მოცემული ნორმის თავდაპირველი რედაქცია ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც ნათელი არ იყო უფლებამონაცვლეობა, ითვალისწინებდა სასამართლოში სარჩელის შეტანას. ამჟამად კი შეიტანება განცხადება. ამრიგად, ნორმის (24-ე მუხლის) 1-ლ წინადადებაში განსაზღვრულია შემთხვევები, როცა ნათელია უფლებამონაცვლეობა. აღნიშნული ნორმა წარმოადგენს უფლებამონაცვლეობის

დადგენაზე არა რომელიმე სხვა ორგანოს უფლებამოსილების განმსაზღვრელ წესს, არამედ უფლებამონაცვლეობის პროცედურაზე გავლენის მომხდენ საფუძველს, ხოლო ამ პროცედურას ნებისმიერ შემთხვევაში ახორციელებს ერთადერთი ორგანო-სასამართლო. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა უფლებამონაცვლეობა ნათელია, მას სასამართლო დაადასტურებს გამარტივებული პროცედურით, მხარეთა მონვევისა და მაშასადამე, ზეპირი განხილვის გარეშე. ხოლო 24-ე მუხლის მე-2 წინადადება მიუთითებს ისეთი შემთხვევის არსებობაზე, როდესაც უფლებამონაცვლეობა არ არის ნათელი, რის გამოც აუცილებელი იქნება აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით სასამართლო სხდომაზე. ეს რომ ასეა, დასტურდება სააღსრულებო წარმოებათა კანონის 24-ე მუხლის სისტემური ანალიზით სსსკ-ის 92-ე და 267-ე პრიმა მუხლებთან.

დაბოლოს, საყურადღებოა შემდეგი არგუმენტიც: თვით სასამართლოში საქმის განხილვისას უფლებამონაცვლეობის საკითხის წამოჭრის დროს, სასამართლოსთვისაც კი არ არის საკმარისი და უფლებამონაცვლეობის უპირობოდ დამადასტურებელი ის დოკუმენტი, რომლიდანაც იკვეთება მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაკისრება, სამკვიდროს მიღება და ა.შ. , ანუ იკვეთება უფლებამონაცვლეობის ფაქტობრივი საფუძველი, ვინაიდან მატერიალურ სამართალში მომხდარი უფლებამონაცვლეობა განსხვავდება საპროცესო უფლებამონაცვლეობისაგან, რომელიც ზემოაღნიშნული დოკუმენტების არსებობის მიუხედავად, საჭიროებს საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხის გადანყვეტას სასამართლო განჩინებით. აღსრულება კი, როგორც ვთქვით, პროცესის გაგრძელებაა და პროცესის საბოლოო სტადიას წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არასწორად განმარტა უფლებამონაცვლეობის მომწესრიგებელი ნორმების არსი და საფუძველი, არასწორად განსაზღვრა უფლებამონაცვლეობის გამოყენების ფარგლები. სწორედ ამიტომ იყო, რომ მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ თავისი განჩინებით (საქმე №2ბ/732-18) გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება და ქვემდგომ სასამართლოს მიუთითა, რომ უფლებამონაცვლეობის საკითხს აღსრულების ეტაპზე სწორედ და მხოლოდ სასამართლო წყვეტს. მოდავე მხარის ნაცვლად მისი უფლებამონაცვლის ჩაბმა უკავშირდება ამათუიმ საფუძველით მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან მის გასვლას, რადროსაც მხარე კარგავს და სხვა პირს გადასცემს თავის საპროცესო სტატუსს. ამასთან, საპროცესო უფლებამონაცვლეობა შეუზღუდავი არ არის და ხორციელდება კანონის დადგენილ ფარგლებში. პროცესში (მათ შორის აღსრულების სტადიაზე) უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობას განაპირობებს უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობა მატერიალურ სამართალში. განსახილველ შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა დასაშვები იყო მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კრედიტორის გარდაცვალებისას აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება სასამართლოს მიერ უფლებამონაცვლის დადგენამდე. სააპელაციო სასამართლოს სწორი განმარტებით, აღნიშნული ნორმის დანაწესის თანახმად, მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტა.

## მუხლი 25. აღსრულების დაწყება

იმისათვის, რომ დაიწყოს სააღსრულებო წარმოება (დაიწყოს აღსრულება) აუცილებელია, რომ კრედიტორმა სააღსრულებო დოკუმენტით მიმართოს აღმასრულებელს.

კონკრეტული სააღსრულებო მოქმედებების დაწყებამდე აღმასრულებელი ვალდებულია შეამოწმოს აქვს თუ არა სააღსრულებო დოკუმენტს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი რეკვიზიტი ე.ი. ვალდებულია შეამოწმოს მისი ნამდვილობა (უტყუარობა), აგრეთვე აღსასრულებლად მისი წარდგენის ვადები. კანონის 25-ე მუხლის პირველი წინადადება ძალზედ ზოგადი ნორმაა და მხოლოდ მასში მითითებული პირობა ვერ გახდება სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველი. როგორც ვთქვით, აღმასრულებელმა, მთელი რიგი სხვა მომენტებიც და წარდგენილი დოკუმენტები უნდა შეამოწმოს და მიიღოს მხედველობაში. ამგვარი შემოწმების შედეგების მიხედვით, აღმასრულებელი ან დაიწყებს აღსრულებას ან დაუნიშნავს კრედიტორს ხარვეზს და განუსაზღვრავს ხარვეზის შევსების ვადას (მაგალითად, თუ არ არის გადახდილი აღსრულების საფასური) ან კრედიტორს დაუბრუნებს სააღსრულებო დოკუმენტს.

აღმასრულებელმა კრედიტორს უნდა დაუბრუნოს სააღსრულებო ფურცელი, თუ იგი აღსასრულებლად წარდგენილი იქნა აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. ასევე იმ შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს სააღსრულებო ფურცელი, როდესაც დარღვეულია სააღსრულებო დოკუმენტისადმი კანონით დადგენილი მოთხოვნები (კანონის 21-ე მუხლი).

აღმასრულებლის მოქმედება სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის უფლება მინიჭებული აქვთ კრედიტორსა და იმ სასამართლოს, რომელმაც გასცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენა სასამართლოს მიერ, გამონაკლისს წარმოადგენს დისპოზიციურობის პრინციპიდან. სააღსრულებო წარმოებათა კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენა თავისი ინიციატივით შეუძლია ისე, რომ არ დაელოდოს კრედიტორის ნების გამოვლენას. სასამართლო ასეთ დროს სააღსრულებო ფურცელს უგზავნის აღსასრულებლად იძულებითი აღსრულების ორგანოს, რის შესახებაც ატყობინებს კრედიტორს.

სააღსრულებო დოკუმენტს იღებს სააღსრულებო ბიურო და კანცელარიაში მისი რეგისტრაციის შემდეგ გადაეცემა აღმასრულებელს ბიუროს უფროსის გადანყვეტილებით და ჩაბარდება ხელწერილით.

კანონის განსახილველი ნორმების სიღრმისეული ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღმასრულებელი ვალდებულია დაიწყოს აღსრულება იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება შემდეგი პირობა: 1) თუ არ არის გასული სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა; 2) თუ სააღსრულებო დოკუმენტი შეესაბამება კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ე.ი. თუ ის შედგენილია კანონის ყველა მოთხოვნების დაცვით; 3) გადახდილია აღსრულების საფასური, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე საფასური არ გადაიხდევინება.

კანონი კრედიტორსა და მოვალეს შესაძლებლობას ანიჭებს დაესწრონ აღმასრულებელის მიერ განხორციელებულ

მოქმედებებს, ე.ი. მონაწილეობა მიიღონ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაში და მიიღონ აღსრულებასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაცია. კანონის მე-18 მუხლი, რომელიც სააღსრულებო წარმოებაში მხარეთა უფლებებს განსაზღვრავს, ითვალისწინებს მხარეთა უფლებას “დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას”.

კანონის 25-ე მუხლის თანახმად, აღსრულების შესახებ უწყებას მოვალეს, კრედიტორსა და სააღსრულებო წარმოების სხვა მონაწილე პირებს, აღმასრულებელი აბარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს უწყების ჩაბარებისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-80-ე მუხლებით დადგენილი ყველა წესის სრულად გამოყენებასა და დაცვას.

### **სააღსრულებო მოქმედების შესრულების ადგილი**

გადაწყვეტილებები აღსრულდება, ე.ი. სააღსრულებო მოქმედებები აღმასრულებლის მიერ სრულდება: 1) თუ მოვალე ფიზიკური პირია – მისი საცხოვრებელი ადგილის, მისი სამუშაო ადგილის, ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით; 2) თუ მოვალე იურიდიული პირია მაშინ – მისი ადგილსამყოფელის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

თუ მოვალის ქონება იმყოფება რამოდენიმე ადგილას (სხვადასხვა რაიონში) და კრედიტორს მიღებული აქვს მხოლოდ ერთი სააღსრულებო ფურცელი, მაშინ კრედიტორმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, თუ სად წარადგინოს იგი. კანონის 25-ე მუხლით გადაწყვეტილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხი.

**სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ადგილს კანონი განსაზღვრავს იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის მოვალე –**



**ფიზიკური თუ იურიდიული პირი. სააღსრულებო მოქმედება-  
თა შესრულების ადგილის შესახებ საკითხის ასეთი გადწყვეტა**  
საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ და ზუსტად განვსაზღვროთ  
კონკრეტულად რომელმა დანაყოფმა, რომელმა სააღსრულებო  
ბიურომ უნდა აღასრულოს მოცემული სააღსრულებო დოკუმენტი  
და ოპერატიულად აღვასრულოთ იგი.

პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი იმის შესახებ, თუ  
როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც სააღსრულებო დოკუმენ-  
ტის აღსრულების პროცესში შეიცვლება მოვალის ადგილსამყოფელი,  
მისი სამუშაო ადგილი ან მისი ადგილსამყოფელი,  
ანდა გამოირკვევა, რომ მოვალის ის ქონება, რომელზედაც  
შეიძლება გადახდევინების მიქცევა, თავის ადრინდელ ადგილ-  
სამყოფელზე აღარ იმყოფება ან იგი არ არის საკმარისი კრედი-  
ტორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ამ კითხვებზე პა-  
სუხი განსახილველ მუხლში გაცემული არ არის.

ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ თუ სააღსრულებო  
დოკუმენტის აღსრულების პროცესში შეიცვალა მოვალის  
საცხოვრებელი ადგილი, მისი სამუშაო ადგილი ან მისი ადგილ-  
სამყოფელი, ანდა გამოირკვეა, რომ მოვალის ქონება, რომელზეც  
შეიძლება გადახდევინების მიქცევა, თავისი ადრინ-  
დელ ადგილსამყოფელზე აღარ იმყოფება ან იგი არ არის  
საკმარისი კრედიტორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად,  
აღმასრულებელი დაუყოვნებლივ ადგენს ამის შესახებ შესა-  
ბამის აქტს და არაუგვიანეს მისი შედგენის დღის მომდევნო  
დღისა სააღსრულებო დოკუმენტს გადაცემის შესახებ აქ-  
ტის ასლთან ერთად უგზავნის აღმასრულებელს მოვალის  
ახალი საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო ადგილის, ადგილ-  
სამყოფელის ანდა მოვალის ქონების ახალი ადგილსამყოფე-  
ლის მიხედვით, რის შესახებაც იმავდროულად ატყობინებს

კრედიტორს. ამ აქტს ამტკიცებს გადამცემი მხარის ბიუროს უფროსი.

სააღსრულებო წარმოების მიმღები აღმასრულებელი შესაბამისი მასალების მიღების შესახებ აკეთებს აღნიშვნას. სააღსრულებო წარმოების გადაცემას აღმასრულებელი აწარმოებს პირადად აქტში ნუსხით (სიით, განაწესით) ან ფოსტით შეკვეთილი წერილით.

სააღსრულებო წარმოების გადაცემის აქტი დგება თავისუფალი ფორმით და მასში, აუცილებლად უნდა მიეთითოს იმ სააღსრულებო ბიუროების დასახელება, რომელიც გადასცემს და რომელიც იღებს სააღსრულებო წარმოებას, ნუსხის მიხედვით სააღსრულებო წარმოების ფურცლების რაოდენობა; ცნობები კრედიტორისა და მოვალის შესახებ; სააღსრულებო წარმოების გადაცემის თარიღი; დოკუმენტების გადამცემი და მიმღები აღმასრულებლების სახელი, გვარი და ხელმოწერები ან საფოსტო რეკვიზიტები დოკუმენტების ფოსტით გაგზავნის დროს (საფოსტო ქვითრის დართვით).

სააღსრულებო წარმოებას ენიჭება ახალი ნომერი მის მიმღებ სააღსრულებო ბიუროში.

სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ადგილის შესახებ დავები, აღმასრულებელს ან სააღსრულებო ბიუროებს შორის არ დაიშვება, ამიტომ ერთი სააღსრულებო ბიუროს მიერ ან აღმასრულებლის მიერ მეორე სააღსრულებო ბიუროსათვის ან აღმასრულებლისათვის გაგზავნილი სააღსრულებო დოკუმენტი უნდა მიიღოს აღსასრულებლად იმან, ვისაც ის გაეგზავნა (გადაეცა).

ზოგადი წესის მიხედვით, აღმასრულებელი თავის ფუნქციებს ახორციელებს განსაზღვრულ ტერიტორიაზე. თუ სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების პროცესში აღმას-

რულებელს წარმოეშვა სააღსრულებო მოქმედების იმ ტერიტორიაზე შესრულების აუცილებლობა, რომელზეც მისი ფუნქციები არ ვრცელდება, მაშინ კანონის მე-17 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, მას უფლება აქვს თავისი ყველა მოქმედება შეასრულოს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მისი ფუნქციები არ ვრცელდება. ასეთ დროს აღმასრულებელი ვალდებულია ყველა სააღსრულებო მოქმედება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განახორციელოს.

კანონის 25-ე მუხლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, როგორ უნდა მოიქცეს აღმასრულებელი, თუ კრედიტორმა სააღსრულებო დოკუმენტი წარადგინა 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესების დარღვევით. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სააღსრულებო დოკუმენტი უნდა დაუბრუნდეს კრედიტორს. სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების შესახებ აღმასრულებელმა უნდა შეადგინოს აქტი (ოქმი), რომელშიც უნდა განმარტოს, კონკრეტულად თუ რომელ სააღსრულებო ბიუროს უნდა წარუდგინოს კრედიტორმა სააღსრულებო დოკუმენტი.

დაბოლოს, სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი სასჯელი ჯარიმის სახით, აღსრულდება აღმასრულებლის მიერ განსასჯელის საცხოვრებელი (ან სამუშაო) ადგილის მიხედვით.

### **სააღსრულებო მოქმედების შესრულების დრო**

სამწუხაროდ კანონი არ შეიცავს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროის განმსაზღვრელ ნორმებს. ზოგადი წესით, სააღსრულებო მოქმედებების შესრულება ხდება სამუშაო დღეებში და დღის საათებში, ადგილობრივი დროით 6-დან 22 საათამდე. სააღსრულებო მოქმედებების შესრულების

კონკრეტული დრო განისაზღვრება აღმასრულებლის მიერ. სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებისათვის აღმასრულებელს შესთავაზონ მათთვის ხელსაყრელი (მოსახერხებელი) დრო. მოცემულ სამართლებრივ ნორმებში ვლინდება სახელმწიფოს ჰუმანიზმი. ამ ნორმათა მიზანია მოვალეთა და მისი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვა სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების იძულებითი აღსრულების დროს. სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების კონკრეტული დროის განსაზღვრაში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს არა მხოლოდ აღმასრულებელმა, არამედ აგრეთვე სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე მხარეებმა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ზოგადი წესების გარდა, არსებობს სპეციალური წესებიც. სპეციალური წესების გამოყენება და ამგვარი წესებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულება აღმასრულებელს შეუძლია მხოლოდ ბიუროს უფროსის წერილობითი ნებართვით. ეს გარანტირებულს ხდის მოვალის უფლებების დაცვას სააღსრულებო წარმოებაში. მოვალის უფლებათა დაცვის გარანტიების განმტკიცება სააღსრულებო წარმოებაში უზრუნველყოფილია მკაცრი პირობების შემოღების ხარჯზე. კერძოდ, კანონმდებლობით დადგენილია, რომ არასამუშაო (უქმე) დღეებში სააღსრულებო მოქმედებების შესრულება დაიშვება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, ან იმ შემთხვევებში, როცა მოვალის ბრალით მათი შესრულება სხვა დღეებში შეუძლებელია. სააღსრულებო მოქმედებების შესრულება ღამის საათებში, ე.ი. 22 საათიდან 6 საათამდე (ადგილობრივი დროით) დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

## სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა

ამ საკითხის განხილვისას ორ ძირითად საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, კერძოდ, სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენის ვადებზე და მათი გამოთვლის წესზე.

მართალია, კანონის 25-ე მუხლით, სააღსრულებო ფურცლის წარდგენა მოვალის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხდება, მაგრამ კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა ვადაში უნდა იქნეს სააღსრულებო ფურცელი წარდგენილი აღსასრულებლად. ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (აქ უნდა ვიგულისხმოთ სასამართლო ბრძანებაც) დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 10 წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.<sup>28</sup>

სააღსრულებო დოკუმენტი კანონით დადგენილ ვადებში უნდა იქნეს წარდგენილი აღსასრულებლად. ამ ვადების დარღვევა იწვევს სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნებას აღსრულების გარეშე.

როდესაც სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა ვიქო-

28 საყურადღებოა შემდეგი საკითხი: აღსრულების 10 წლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება მარტოოდენ ფარდობით უფლებებზე, სასამართლო აქტით დადასტურებული იმ ურთიერთობებზე, რომელთათვისაც დამახასიათებელია კრედიტორისა და მოვალის არსებობა. შესაბამისად, თუკი სასამართლო აქტით დადასტურებულია აბსოლუტური უფლება, მაგალითად, პირს მიეკუთვნა საკუთრების უფლება, ასეთი სასამართლო აქტი შეიძლება აღსრულდეს ნებისმიერ დროს. სასამართლო აქტი, რომლითაც დადასტურებულია აბსოლუტური უფლება, ვერ გახდება ხანდაზმულობის საგანი. ეს დასკვნა გამომდინარეობს ხანდაზმულობის ვადის ლეგალური დეფინიციიდან.

ნიოთ, რომ სპეციალური კანონმდებლობით დადგენილია სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენის განსხვავებული ვადები. მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილია იმ ორგანოების (თანამდებობის პირთა) დადგენილებების აღსასრულებლად წარდგენის განსხვავებული ვადები, რომლებიც უფლებამოსილი არიან განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

სხვა სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენის ვადები დგინდება კანონებით, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამისი სააღსრულებო დოკუმენტების გაცემის პირობებსა და წესს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 287-ე მუხლში ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება არ ექვემდებარება აღსრულებას იმ შემთხვევაში, თუ ეს დადგენილება არ ყოფილა აღსრულებული ექვსი თვის განმავლობაში მისი გამოტანიდან (და არა კანონიერ ძალაში შესვლიდან).

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო აქტის აღსრულება (სააღსრულებო წარმოება) შეჩერებული იყო (კანონის 36-ე მუხლი), დრო, რომლის განმავლობაშიც აღსრულება შეჩერდა, არ ჩაითვლება სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენისათვის დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ კანონებში მითითებული ყველა ვადა განსაზღვრულია დროის მონაკვეთით (დროის პერიოდით), ამიტომ სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენა შეიძლება განხორციელდეს კანონში მითითებული მთელი დროის (პერიოდის) განმავლობაში.

სპეციალური წესები მოქმედებს პერიოდული გადასახდელების (მაგალითად, ალიმენტების, ჯანმრთელობისათვის

მიყენებული ზიანის ანაზღაურების და სხვა) გადახდევინების შესახებ სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენის ვადების მიმართ. ასეთი სააღსრულებო დოკუმენტები ძალას ინარჩუნებენ მთელი იმ დროის განმავლობაში, რა პერიოდის განმავლობაშიც მოვალეს დაეკისრა გადასახდელები.

როდესაც საკითხი ეხება პერიოდულ გადასახდელებს, სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენის ვადები გამოითვლება თითოეული გადასახდელისათვის ცალ-ცალკე (იხ. სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

კანონით ასეთი წესების შემოღება აიხსნება იმით, რომ აღნიშნული სამართალურთიერთობები განგრძობადი ხასიათისაა. ამიტომაც, რომ სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენის ვადები მსგავსი სახის საქმეზე ასევე სპეციფიკური წესით გამოითვლება – თითოეული გადასახდელისათვის ცალ-ცალკე (დამოუკიდებლად), ე.ი. ვადების დენა იწყება თითოეული გადასახდელის ვადის დადგომის დღიდან.

**ვადას, რომლის განმავლობაშიც სააღსრულებო დოკუმენტი შეიძლება წარდგენილ იქნეს აღსასრულებლად, აღსრულების ხანდაზმულობა ეწოდება.**

რაც შეეხება სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენის ვადების დენის დაწყების შესახებ საკითხს, აღვნიშნავთ, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოთა აქტების (სასამართლო აქტების) საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლების აღსასრულებლად წარდგენისათვის დადგენილი 10 წლიანი ვადის დენა იწყება სასამართლო აქტის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

თუ მოვალემ სასამართლოს მიმართა სასამართლო აქტის აღსრულების გადადების ან განაწილვადების (ნაწილ-ნაწილ

გადახდევინების) შესახებ განცხადებით, მაშინ აღნიშნული ვადების დენა იწყება იმ ვადის დამთავრების დღიდან, რომელიც დადგენილია მისი აღსრულების გადადების ან განაწილვადების დროს.

სააღსრულებო დოკუმენტების აღსასრულებლად წარდგენის ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის სააღსრულებო ფურცელი, რომელზეც ხანდაზმულობა გავიდა, არ მიიღება აღსასრულებლად აღმასრულებლის მიერ.

აღსრულების ხანდაზმულობის ვადები კანონით განისაზღვრება. აღსრულების შესახებ კანონმდებლობა საპროცესო კანონმდებლობაა, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმების თანახმად კი, რომლებიც ვადებს შეეხება, განსაზღვრულია, რომ კანონით დადგენილი ვადების აღდგენა დაიშვება, შესაბამისად, დასაშვებია სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის ვადის აღდგენა მისი გაშვების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ახალი ვადის დენა იწყება ხანდაზმულობის ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. გაშვებული ვადები აღდგენას არ ექვემდებარება სხვა სააღსრულებო დოკუმენტებზე.

იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო აქტი დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება, სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა დენას იწყებს მისი გამოტანის დღის მომდევნო დღიდან.

რაც შეეხება არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, იგი არ განეკუთვნება სასამართლო აქტს. არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის დროს, 10 წლიანი ვადა გამოთვლილი



უნდა იქნეს არბიტრაჟის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

იმ ორგანოს (თანამდებობის პირის), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, დადგენილების აღსასრულებლად წარდგენის ექვსთვიანი ვადის დენა იწყება შესაბამისი დადგენილების გამოტანის და არა კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. ყველა სხვა სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა გამოითვლება მათი გაცემის დღის მომდევნო დღიდან, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

### **სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა**

იმისათვის, რათა სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ვადის შეწყვეტის შესახებ, აუცილებელია გავარკვიოთ და ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ მნიშვნელოვან საკითხზე: სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადის შეწყვეტის საფუძვლების შესახებ; შეწყვეტილი ვადის განახლების და მისი სამართლებრივი შედეგების შესახებ; შეწყვეტის შემდეგ სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადის გამოთვლის შესახებ.

სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადის შეწყვეტა ნიშნავს, რომ ვადის შეწყვეტამდე გასული დრო, ანუ დრო, რომელიც გასულია იმ გარემოებათა წარმოშობამდე, რომლებიც საფუძვლად დაედო შეწყვეტას, ახალ ვადაში არ ჩაითვლება, ანგარიშში არ მიიღება.

სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადის შეწყვეტის შემდეგ ამ ვადის დენა ხელახლა დაიწყება (განახლდება) მოცემული სააღსრულებო დოკუმენტისათვის

კანონით გათვალისწინებული მთელი პერიოდის განმავლობაში.

არსებობს სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადის დენის შეწყვეტის ორი საფუძველი: ა) სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენა. სააღსრულებო დოკუმენტის (ფურცლის) აღსასრულებლად წარდგენა ხდება კრედიტორის მიერ მისი სააღსრულებო ბიუროში შეტანის გზით. წარდგენილ სააღსრულებო ფურცელზე ხანდაზმულობა არ მიმდინარეობს. ხანდაზმულობის ვადის ხელახლა დენა დაიწყება, თუ ის კრედიტორს დაუბრუნდება აღსრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებლობის გამო, ე.ი. მთლიანად ან ნაწილობრივ აღუსრულებელი. კრედიტორისათვის სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების შემთხვევაში ხანდაზმულობის (სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის) ვადის ხელახლა დენა შეწყვეტის შემდეგ გამოითვლება სააღსრულებო დოკუმენტის კრედიტორისათვის დაბრუნების დღიდან; ბ) ხანდაზმულობის ვადა წყდება აგრეთვე მოვალის მიერ გადაწყვეტილების (სააღსრულებო დოკუმენტის) ნაწილობრივი აღსრულებით.

პირველ შემთხვევაში აუცილებელია, რომ სააღსრულებო დოკუმენტი წარდგენილ იქნეს სააღსრულებო ბიუროში დადგენილ ვადაში და კანონით გათვალისწინებული წესით.

მეორე შემთხვევაში კი მხედველობაში გვაქვს ნაწილობრივი ნებაყოფლობითი აღსრულება სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის გარეშე. ნებაყოფლობითი აღსრულება (თუნდაც ნაწილობრივი) ადასტურებს, რომ მოვალემ აღიარა თავისი ვალდებულებები და აქვს ამ ვალდებულებათა შესრულების განზრახვა.

ნაწილობრივ აღსრულებას სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის შემდეგ ხანდაზმულობის დენისათ-

ვის მნიშვნელობა არა აქვს იმდენად, რამდენადაც ის ამ დროს ისედაც შეწყვეტილად ითვლება და არ მიმდინარეობს.

შეწყვეტილი ვადის დენა ყოველთვის განახლება, მაგრამ ვადის შეწყვეტამდე გასული დრო ახალ ვადაში არ ჩაითვლება. ამრიგად, კანონით საიმედოდ არის გარანტირებული კრედიტორის უფლებათა დაცვა სააღსრულებო წარმოებაში.

### **სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადის (გაშვებული ვადის) აღდგენა**

იმ სააღსრულებო დოკუმენტებზე, რომლებზეც ამოიწურა სააღსრულებო ხანდაზმულობის, ე.ი. აღსასრულებლად წარდგენის ვადა, აღმასრულებელი სააღსრულებო მოქმედებებს არ იწყებს, რაზედაც იგი ადგენს აქტს (ოქმს).

ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ **აღსრულების ხანდაზმულობის ვადა** საპროცესო ვადაა, კანონით დასაშვებია გაშვებული ხანდაზმულობის ვადის აღდგენა სასამართლოს მიერ მხოლოდ კრედიტორის განცხადებით და საპატიო მიზეზების არსებობისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს სააღსრულებო დოკუმენტი კრედიტორისაგან და დაიწყოს აღსრულება (აღსრულების წარმოება), თუ არ არის ამოწურული სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა და მოცემული დოკუმენტი შეესაბამება კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

რაც შეეხება სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადის გაშვების სამართლებრივ შედეგებს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ვადა საპროცესო ვადაა, აღსრულების კანონმდებლობა საპროცესო კანონმდებლობაა და თანაც საპრო-

ცესო კოდექსი ითვალისწინებს როგორც კანონის ისე სამართლის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას (სსსკ-ის მე-7 მუხლით), ისე განსაზღვრავს საპროცესო ვადების გაშვების შედეგებს, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, აღმასრულებელი აღარ განახორციელებს სააღსრულებო მოქმედებებს და კრედიტორს დაუბრუნებს სააღსრულებო დოკუმენტს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. აღმასრულებელი ვალდებულია სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების შესახებ შეადგინოს ოქმი (აქტი), რომლის ასლიც უნდა გაეგზავნოს კრედიტორს, სასამართლოს ან სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სხვა ორგანოს.

სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად წარდგენის ვადა შეიძლება აღადგინოს სააღსრულებო დოკუმენტის გამცემმა (შესაბამისი სასამართლო აქტის მიმღებმა) საერთო იურისდიქციის სასამართლომ. შესაბამისად, გაშვებული ხანდაზმულობის ვადის აღდგენის შესახებ განცხადება შეტანილი უნდა იქნეს გადანყვეტილების გამომტან სასამართლოში.

ამ ვადის აღდგენის შესახებ სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის უფლება აქვს კრედიტორს. ასეთი უფლება აქვს კრედიტორის უფლებამონაცვლესაც.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი სააღსრულებო ფურცელი. სასამართლოს სახელზე შეტანილ განცხადებაში უნდა დასახელდეს მიზეზები, რომელთა გამოც ვადა იქნა გაშვებული და რომლებიც, კრედიტორის აზრით, შეიძლება გახდეს ვადის აღდგენის საფუძველი.

გაშვებული ვადის აღდგენა შესაძლებელია, თუ იგი გაშვებულია საპატიო მიზეზებით. ამის შესახებ განმცხადებელმა უნდა მიუთითოს სასამართლოს სახელზე შეტანილ განცხადებაში და წარადგინოს საპატიო მიზეზების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

განცხადება განიხილება სასამართლოს მიერ სასამართლო სხდომაზე, ამასთან, სავალდებულოა კრედიტორსა და მოვალეს ეცნობოთ სასამართლო განხილვის დრო და ადგილი. მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ შეიძლება გახდეს სასამართლოს წინაშე დასმული საკითხის განხილვის დამაბრკოლებელი ფაქტორი. განცხადების განხილვის შედეგების მიხედვით სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

აღსრულების ხანდაზმულობის ვადის აღდგენის შესახებ საკითხზე მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს როგორც ვადის აღდგენის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ისე ვადის აღდგენის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

გაშვებული ვადა შეიძლება აღდგენილი იქნეს მხოლოდ სააღსრულებო სასამართლო აქტების (გადაწყვეტილება, განჩინება, გადახდის (სასამართლო) ბრძანება) საფუძველზე გაცემულ სააღსრულებო დოკუმენტებზე. კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილ სხვა სააღსრულებო დოკუმენტებზე, გაშვებული ვადები აღდგენას არ ექვემდებარებიან.

### **წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ**

25-ე მუხლის თანახმად, აღმასრულებელი სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადებაში მოვალეს უდგენს ვადას სააღსრულებო დოკუმენტში

ასახული მოთხოვნების ნებაყოფლობით შესასრულებლად, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს 7 დღეს და ატყობინებს მოვალეს აღნიშნული მოთხოვნების იძულებითი აღსრულების შესახებ, რაც განხორციელდება დადგენილი ვადის ამონურვის შემდეგ, ამასთან ატყობინებს მოვალეს, რომ მას გადახდება აღსრულების საფასური და აღსრულების ხარჯები. იმავდროულად, აღმასრულებელს ქონებრივ გადასახდელებზე სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით უფლება აქვს აღწეროს მოვალის ქონება და დაადოს მას ყადაღა. ასეთი მოქმედებები წარმოებს კრედიტორის განცხადების საფუძველზე, ამასთან, ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღმასრულებელს აღნიშნული მოქმედებების შესრულების ვალდებულება აკისრია.

სააღსრულებო წარმოების მხარის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის იძულებითი აღსრულების დაწყების შესახებ მხარის ინფორმირება სსკით დადგენილი წესით.

სააღსრულებო მოქმედებათა მხოლოდ ფორმალური განხორციელება არ პასუხობს კანონმდებლის მოთხოვნას ეფექტიან აღსრულებაზე, რისთვისაც კანონი აღმასრულებელს ფართო უფლებამოსილებებით აღჭურავს (მე-17 მუხ.). შესაბამისად, აღმასრულებელი, კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა ინფორმირებისათვის. სწორედ სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ მოვალისათვის სათანადო ცნობების მიწოდება განაპირობებს კანონის იმ დანაწესს, რომლის მიხედვით მოვალეს იძულებითი აღსრულების ღონისძიების კონკრეტული დრო და ადგილი დამატებით არ ეცნობება, იგულისხმება, რომ მოვალეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიღებუ-

ლი აქვს სააღსრულებო წარმოების დაწყების ეტაპზე, რის გამო აღარ ხდება იძულებითი აღსრულების ღონისძიების შესახებ მოვალისათვის დამატებითი შეტყობინების გაგზავნა, პერსონალური შეტყობინება.

ზემოაღნიშნულის გარდა, მოვალის ინფორმირება ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც განაპირობებს აღმასრულებლის მიერ იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობასაც და მართლზომიერებასაც. კერძოდ, იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა გამოყენება (იხ. მე-17 მუხლის კომენტარი) შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულდება რიგი იურიდიული მოქმედებები კანონით განსაზღვრული თანმიმდევრობით, კერძოდ: 1) სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენა; 2) გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ წინადადების მოვალისათვის გაგზავნა; 3) ნებაყოფლობითი შესრულებისათვის აღმასრულებლის მიერ დადგენილი ვადის გასვლა. ამ ნორმის მიზანია, რომ მოვალე გაფრთხილებულ იქნეს გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების შესახებ და მას მიეცეს შესაძლებლობა, ნებაყოფლობით მოახდინოს თანხის დაფარვა.

განსახილველი მუხლის მიხედვით, წინადადება მოვალეს ჩაბარდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს მოვალისათვის წინადადების უწყებით ჩაბარებას (იხ. კანონის 25-ე მუხლი).

აღსანიშნავია, რომ წინადადების შინაარსი კანონში არასრულადაა ჩამოყალიბებული. 28-ე მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემების გარდა, მასში უნდა მიეთითოს შესრულების ადგილი და თარიღი, წინადადების მიმცემი თანამდებობის პირი, იმ სააღსრულებო დოკუმენტის სააღსრულებო ბიუროში შემოსვლის თარიღი, რომლის საფუძველზე უნდა

დაინყოს სააღსრულებო წარმოება; მოტივები, რომლის საფუძველზეც აღმასრულებელი აუცილებლად მიიჩნევს სააღსრულებო მოქმედებების (წარმოების) დაწყებას, კანონი, რომლის საფუძველზეც ის ასრულებს ამ საპროცესო მოქმედებებს; სააღსრულებო წარმოების დაწყების შესახებ გადანყვეტილება, მასში უნდა მიეთითოს, რომ მოვალეს უფლება აქვს გაასაჩივროს აღმასრულებლის მოქმედებები.

კანონის შესაბამისი ნორმების შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააღსრულებო საფასურის გადახდა მოვალეს უნდა დაეკისროს საპატიო მიზეზების გარეშე სააღსრულებო დოკუმენტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, როცა აღნიშნული დოკუმენტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის დადგენილ ვადაში იგი არ შესრულდა, ე.ი. როცა იგი საპატიო მიზეზების გარეშე არ შესრულდა სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აღსრულების საფასურის მთავარი დანიშნულება არის სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობით აღსრულების უზრუნველყოფა. ამიტომ, იძულებით აღსრულებას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს ადგილი, თუ ამონაშრომია კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობით შესრულებას. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა მოვალის გაფრთხილება იმ სამართლებრივი შედეგების შესახებ, რომლებიც დადგება აღმასრულებლის მიერ დადგენილ ვადაში სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში. თუ აღმასრულებელი მოვალეს აღსრულების საფასურის გადახდას მის მიერ სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობით შესრულებისათ-



ვის დადგენილი ვადის გასვლამდე დააკისრებს, მაშინ კანონით განსაზღვრული ეს ღონისძიება საერთოდ დაკარგავს აზრსა და მნიშვნელობას.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, კანონის 28-ე მუხლში სწორად არის ნათქვამი, რომ აღმასრულებელი მოვალეს უნესებს ვადას სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მოთხოვნების ნებაყოფლობით შესასრულებლად, რაც არ შეიძლება აღემატებოდეს 7 დღეს და წინადადების ჩაბარებისას აფრთხილებს მას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში (სააღსრულებო ფურცელში) ასახული მოთხოვნების დაწესებულ ვადებში ნებაყოფლობით შეუსრულებლობას მოჰყვება იძულებით აღსრულება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. აღსრულების ხარჯებს (ასევე აღსრულების საფასურსაც) მოვალე გაიღებს, ე.ი. მას გადახდება.

სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მოთხოვნების ნებაყოფლობით შესრულებისათვის კანონში მითითებული 7 დღიანი ვადა არ შეიძლება მიეცეს მოვალეს (არ გამოიყენება), თუ აღსრულების ვადა განსაზღვრულია სასამართლო აქტით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრული წესი და ვადა, რის შესახებაც მითითებული უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.

მიგვაჩნია, რომ სააღსრულებო დოკუმენტში ასახული მოთხოვნების ნებაყოფლობით აღსრულებისათვის კანონით დადგენილი შვიდდღიანი ვადა არარეალურია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვადა უნდა გამოითვალოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების მოვალის მიერ მიღების (ჩაბარების) დღიდან. თუკი მოვალე სადაოს გახდის აღსრულების საფასურს გადახდევინებას, მისი საჩივრის განხ-

ილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, როდის მიიღო მოვალემ ნებაყოფლობის აღსრულების წინადადება. იმ შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობითი აღსრულების ვადის გასვლა, ვადის გადაცილება მოვალის ბრალით არ მომხდარა, იგი უნდა გათავისუფლდეს აღსრულების საფასურის გადახდისაგან. საპატიო მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის შემთხვევაც, როდესაც მოვალეს არ მიუღია ნებაყოფლობითი აღსრულების წინადადება. ამ შემთხვევაში აღსრულების საფასური ასევე არ ექვემდებარება გადახდევინებას.

მოვალეს წინადადება ეგზავნება აღსრულების დაწყებიდან არაუგვიანეს მეორე დღეს. წინადადება იგზავნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. შეტყობინების ამგვარი ხერხი საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ შეცდომები გასაჩივრების ვადების ზუსტად გამოთვლის საკითხში, თუკი პირს განზრახული აქვს გასაჩივრება.

აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ აღმასრულებლისათვის მინიჭებული უფლება, აღწეროს მოვალის ქონება და ყადაღა დაადოს მას, სააღსრულებო წარმოების დაწყების სტადიაზე შეიძლება განხორციელდეს, როგორც კრედიტორის განცხადებით, ისე აღმასრულებლის ინიციატივით.

სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს არა მხოლოდ სააღსრულებო მოქმედებების დაწყება, არამედ აღმასრულებლის უარიც სააღსრულებო მოქმედებების დაწყებაზე.

აღმასრულებლის უარი სააღსრულებო წარმოების დაწყებაზე – ეს არის საერთო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად შესაბამისი მოქმედების შესრულებაზე უარი.

სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად შესაბამისი მოქმედებების შესრულებაზე უარი შეიძლება კრედიტორის

მიერ გასაჩივრდეს სასამართლოში. კრედიტორის უფლება, სასამართლოში სადაო გახადოს აღმასრულებლის უმოქმედობა, გათვალისწინებულია კანონით და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსით.

### **იძულებითი აღსრულების ღონისძიებები**

კანონის მე-17 მუხლის თანახმად, იძულებითი აღსრულების ღონისძიებების სახით გათვალისწინებულია:

1. მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა ქონებაზე ყადაღის დადების გზით და ქონების რეალიზაცია;

2. ხელფასზე, პენსიაზე, სტიპენდიაზე და მოვალის სხვა სახის შემოსავლებზე გადახდევინების მიქცევა;

3. მოვალის სხვა პირებთან არსებულ ფულად თანხებზე და სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევა; აგრეთვე გადახდევინება საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან;

4. მოვალისაგან იმ საგნების ჩამორთმევა, რომლებიც სასამართლო გადანყვეტილებით კრედიტორს უნდა გადაეცეს, ე.ი. იმ განსაზღვრული საგნების მოვალისათვის ჩამორთმევა და კრედიტორისათვის გადაცემა, რომლებიც მითითებულია სააღსრულებო დოკუმენტში;

5. სხვა ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება კანონის შესაბამისად და მითითებულია სასამართლოს გადანყვეტილებაში (სააღსრულებო დოკუმენტში), რომლებიც უზრუნველყოფენ სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულებას.

ცალკეული სააღსრულებო პროცედურები (სააღსრულებო მოქმედებები) განსხვავდება იმისდა მიხედვით:

1) თუ კონკრეტულად რაზე ხდება გადახდევინების მიქცევა – უძრავ თუ მოძრავ ქონებაზე, ფასიან ქალაქლებზე, ფულად

თანხებზე;

2) მოვალის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ გარკვეული მოქმედებების შესრულების ან მათი შესრულებისაგან თავის შეკავების აუცილებლობის მიხედვით;

3) იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის ვალდებული სუბიექტი სააღსრულებო დოკუმენტის მიხედვით – ფიზიკური პირი, კომერციული თუ არაკომერციული ორგანიზაცია, სახელმწიფო ხელისუფლების თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

სააღსრულებო მოქმედებების დიფერენციაცია აგრეთვე განისაზღვრება ქონების სამართლებრივი სტატუსით, მაგალითად, იპოთეკით არის თუ არა იგი დატვირთული და ა.შ.

### **სააღსრულებო დოკუმენტის შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული სანქციები**

ნებაყოფლობით შესრულებისათვის დადგენილ ვადაში (არა უმეტეს 7 დღე) საპატიო მიზეზების გარეშე სააღსრულებო დოკუმენტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღმასრულებელი ადგენს ოქმს, რომლის საფუძველზეც მოვალისაგან გადაიხდევინება აღსრულების საფასური გადასახდელი თანხის ან მოვალის ქონების ღირებულების შვიდი პროცენტის ოდენობით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნული საფასური გადაიხდევინება მოვალისაგან ამოსაღები თანხის ანუ ვალის თანხის ზემოთ და ამიტომ, იმ შემთხვევაში, როცა მოვალის ქონება არ არის საკმარისი ყველა კრედიტორის მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად, ამცირებს კრედიტორთა შესაძლებლობას, განსაკუთრებით ბოლო რიგის კრედიტორთა შესაძლებლობას, მიიღონ მიკუთვნებული თანხა ან ქონება.

სააღსრულებო დოკუმენტის შეუსრულებლობისათვის სხვა სანქციებიც არის დაწესებული. ასე მაგალითად, მოვალის ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების შესახებ არასწორი ინფორმაციის წარდგენა გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას, როგორც წესი, სისხლის სამართლის წესით (იხ. კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ასევე, აღსანიშნავია, რომ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, შესაბამისად, მათი შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას აღნიშნულ პირებზე.

აღმასრულებლის მოთხოვნით პირის დაბარების დროს, არასაპატიო მიზეზით სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ადგილზე გამოცხადებისაგან თავის არიდებისათვის, ბრალეული პირები შეიძლება მოყვანილი იქნენ აღმასრულებლის აქტის საფუძველზე.

სპეციალური სანქციებია დადგენილი იმ სააღსრულებო დოკუმენტის საპატიო მიზეზის გარეშე შეუსრულებლობისათვის, რომელიც მოვალეს გარკვეული მოქმედების შესრულებას (მაგალითად, საბანკო კანონმდებლობით განისაზღვრა სანქცია საინკასო დავალების დროულად შეუსრულებლობისათვის) ან მისი შესრულებისაგან თავის შეკავებას ავალდებულებს.

### **დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები**

25-ე მუხლში საუბარია დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების შესრულების წესზეც (მე-11 პუნქტი). ამასთან, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების მიმართ ვრცელდება საერთო მოთხოვნა: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულების დაწყების საფუძველია სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცელი

გაიცემა დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადანყვეტილების საფუძველზე, ამგვარი გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

კანონის განსახილველ ნორმაში განმტკიცებული წესის გამოყენება აუცილებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გათვალისწინებით. კერძოდ, სსსკ-ის 268-ე მუხლში ჩამოთვლილია გადანყვეტილებები, რომელთა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა არის დასაშვები. ამასთან, დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადანყვეტილებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რადგან სსსკ-ის 268-ე მუხლში ნათქვამია, რომ სხვა საქმეებზეც შეიძლება დაექვემდებაროს მიღებული გადანყვეტილებები დაუყოვნებლივ აღსრულებას, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა შედეგად მისი აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გადამხდევინებელს (კრედიტორს), ან შეუძლებელი გახადოს აღსრულება. მოთხოვნის დაუყოვნებლივ აღსრულება გათვალისწინებული უნდა იყოს სააღსრულებო დოკუმენტით. მაგალითად, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაუყოვნებლივ აღსრულება (იხ. სსსკ-ის 195-ე მუხლი). გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უზრუნველყოფს აღსრულების შებრუნებას სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების შემთხვევისათვის (შეგებებულ უზრუნველყოფას) სასამართლოს სადებოზიტო ანგარიშზე ფულადი თანხის შეტანის გზით, მიკუთვნებული თანხის ოდენობით, ანდა თუ წარადგენს საბანკო გარანტიას, თავდებობას ან სხვაგვარ ფინანსურ უზრუნველყოფას იმავე თანხაზე.

გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხი განიხილება სასამართლო სხდომაზე. საქმის მონაწილე პირებს ეცნობებათ სასამართლო სხდომის ადგ-

ილისა და დროის შესახებ. სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ სათანადო წესით ინფორმირებული პირების გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს სასამართლოს გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვისა და გადანყვეტის დამაბრკოლებელ ფაქტორს.

გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის განხილვის შედეგების მიხედვით სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს.

განჩინების ასლები საქმის მონაწილე პირებს უნდა გაეგზავნოთ არა უგვიანეს მისი გამოტანის დღის მომდევნო დღისა.

გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ განჩინება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება. ამ განჩინების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

დაბოლოს, კანონის მე-20 და 25-ე მუხლის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადანყვეტილებებთან დაკავშირებით აღმასრულებელისათვის სააღსრულებო მოქმედებების დაწყების საფუძველია არა სააღსრულებო ფურცელი, არამედ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ადმინისტრაციული აქტი.

## **მუხლი 25<sup>1</sup>. სააღსრულებო წარმოების ეტაპები**

სასამართლო აქტებისა და სხვა ორგანოთა აქტების აღსრულება ეტაპობრივად ხორციელდება (ეტაპობრივად მიმდინარეობს). სააღსრულებო წარმოების ყველა ეტაპი (სტადია) ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნის. აღსანიშნავია, რომ მოცემული ნორმა არ შეიცავს აღსრულების ეტაპების სრულყოფილ ჩამონათვალს. აღსრულების ეტაპების პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ განისაზღვროს შესრულებული სააღსრულებო მოქმედებების მართლზომიერება. მაგალითად, დაუშვებელია აუქციონის ჩატარება, თუკი მოვალეს არ მიეცა წინადადება გადანყვეტილების ნებაყოფლობით შესასრულებლად.

**სააღსრულებო წარმოების ეტაპებია:** სააღსრულებო წარმოების დაწყება, აქტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ მოვალისათვის წინადადების მიცემა, მოვალის კუთვნილი ქონების აღწერა (დაცადალება), ქონების ამოღება, მისი რეალიზაცია, ამოღებული (რეალიზაციით ამოღებული) ფულის კრედიტორისათვის გადახდა. სააღსრულებო წარმოების მოცემული ეტაპები არ წარმოადგენენ სტანდარტულ ეტაპებს. მაგალითად, აღიმენტების გადახდევინების შესახებ გადანყვეტილების აღსრულება სპეციფიკური და მისთვის დამახასიათებელი ეტაპების გავლით მიმდინარეობს. თავისი ეტაპები გააჩნია ასევე საცხოვრებელი ფართიდან ფიზიკური პირის გამოსახლების შესახებ გადანყვეტილების აღსრულებას და ა.შ. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამა თუ იმ კონკრეტული კატეგორიის საქმეზე გამოტანილი აქტების აღსრულების თავისებურებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ ნებისმიერი სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს ეტაპობრივად (სტადიების გავლით).



## **მუსლი 26. (ამოღებულია)**

## **მუსლი 27. აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტება**

ნორმის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ან განჩინების მიმართ, რომლითაც დამთავრდა საქმის განხილვა, გადაწყდა კონკრეტული სასამართლო დავა და რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს აღსრულებას. ეს კი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესვლამდე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (გარდა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილებებისა), დაუშვებელია და აღსრულების ხელშეწყობის საჭიროებაც არ წარმოიშობა, რაც გადაწყვეტილების განმარტების მიზანს წარმოადგენს.

**სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აღსრულებას ქვემდებარე აქტის განმარტება მასში ხარვეზების გამოსწორების ერთ-ერთი საშუალებაა.** როგორც წესი, სასამართლო აქტის განმარტება აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მისი შინაარსი გაურკვეველი ანდა ბუნდოვანია, გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარეთა უფლებები და მოვალეობები გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივია (მკაფიოდ, ზუსტად არ არის განსაზღვრული). საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის 2009 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე №ას-412-728-09 აღნიშნავს, რომ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამომავლოდ არ უნდა ქმნიდეს გაურკვევლობისა და საეჭვოობის, შესაბამისად, მისი აღუსრულებლობისა და კვლავ სადავოობის განცდას. ნორმა მიზნად ისახავს სა-

სამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეუცვლელად მის იმგვარ განმარტებას, რომ იგი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს მხარეთათვის და ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების სწორად აღსრულებას. ამდენად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება ობიექტურად საჭირო და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ მხარე ან აღმასრულებელი დაასაბუთებს, რომ სხვაგვარად მისი შინაარსი შესაძლოა გაგებულ იქნეს არასწორად.

ბუნდოვანი გადაწყვეტილება არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (იხ. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი). ყველაზე უფრო ხშირად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილია ბუნდოვანი, რაც ბუნდოვანებასა და გაურკვეველობას იწვევს მისი აღსრულების დროს.

მაგალითად, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას მის სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა: „გაიყოს მხარეთა შორის ქონება თანაბარწილად“. იმდენად, რამდენადაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სიტყვასიტყვით უნდა აისახოს სააღსრულებო დოკუმენტის შინაარსში, ასეთი სახით ფორმულირებული სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ ხდება აუცილებელი სასამართლო აქტის განმარტება.

**გადაწყვეტილების განმარტება მდგომარეობს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის უფრო სრულად და ნათლად ჩამოყალიბებაში, რომლის შინაარსის ბუნდოვანებაც აბრკოლებს აღსრულებას.** მაგალითად, ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების განმარტებისას, მისი სარეზოლუციო ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი წესით: „გაიყოს 1 ტონა რქა-

ნითელის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინო საერთო ღირებულებით 2000 ლარი შპს „ვაზსა“ და შპს „ღვინოს“ შორის თანაბარწილად, შპს „ვაზს“ საკუთრების უფლებით მიეკუთვნოს 500 ლ რქანითელის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინო საერთო ღირებულებით 1000 ლარი, ხოლო შპს „ღვინოს“ საკუთრების უფლებით მიეკუთვნოს 500 ლ. რქანითელის ჯიშის ყურძნისაგან დამზადებული ღვინო საერთო ღირებულებით 1000 ლარი.

შესაბამისი სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აქტის განმარტების შესახებ განცხადებით, რომლის საფუძველზეც გაცემულია სააღსრულებო დოკუმენტი, აგრეთვე იმ დოკუმენტის განმარტების შესახებ განცხადებით, რომელიც კანონის მიხედვით სააღსრულებო დოკუმენტს წარმოადგენს, აღმასრულებელმა უნდა მიმართოს სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სასამართლოს ან სხვა ორგანოს, ე.ი. ამ აქტის მიმღებ ორგანოს, მაგალითად, არბიტრაჟს.

კანონის თანახმად, გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადებით გადაწყვეტილების ბუნდოვანების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს არა მარტო აღმასრულებელს, არამედ საქმის მონაწილე პირებს.

სასამართლოს არა აქვს უფლება თავისი ინიციატივით განმარტოს გადაწყვეტილება. კანონის 27-ე მუხლში არაფერია ნათქვამი იმ ვადის შესახებ, რომლის განმავლობაშიც შეიძლება დაისვას სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აქტის განმარტების საკითხი, მაგრამ ამ მოქმედების მიზნიდან და შინაარსიდან, ასევე ამ ნორმაში არსებული მითითებიდან (რომლის თანახმადაც განმარტება ხდება საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით) გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა:

განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც სასამართლო აქტი ან სხვა ორგანოს აქტი შეიძლება იძულებით აღსრულდეს (იხ. სსსკ-ის 262-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილების განმარტებისას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა განმარტების შედეგად არ მოხდეს გადაწყვეტილების ძირითადი შინაარსის შეცვლა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების განმარტება მხოლოდ იმ მიზანს ემსახურებოდეს, რომელიც კანონმდებელმა დასახა სსსკ-ის 262-ე მუხლით, კერძოდ, კი, ემსახურებოდეს გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშეწყობას<sup>29</sup>.

სსსკ-ის 262-ე მუხლით განსაზღვრულია განმარტების შესახებ განცხადების განხილვის წესი, მაგრამ არ არის განსაზღვრული ამ განცხადების განხილვის ვადა, რაც კანონის ხარვეზია.

მიგვაჩნია, რომ თუ სასამართლო აქტი გამოტანილია სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის მიერ, განცხადებაც კოლეგიური შემადგენლობით უნდა განიხილოს სასამართლომ.

სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. ხოლო სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება სასამართლოს სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

სასამართლოს ან სხვა ორგანოს არა აქვს უფლება გადაწყვეტილების განმარტების გზით და სახით შეცვალოს მისი

29 უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-937-902-2016.

შინაარსი ან შეეხოს იმ საკითხებს, რომლებიც განსამარტივი გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლო განხილვის საგანი არ ყოფილა.

ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ განმარტების აუცილებლობა და ვითარება, როდესაც იქმნება აღსრულების ხელშემშლელი გარემოება. ცხადია, სასამართლო ვერ იტვირთავს იურიდიული კონსულტაციის მხარისათვის განევის ფუნქციას, რადგან ეს ეწინააღმდეგება სასამართლო აქტის განმარტების არსს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს<sup>30</sup> განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების პირობების ერთ-ერთი მხარის მიერ დარღვევისას, ასევე, გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე სადაო ურთიერთობის ობიექტის არარსებობის ან აღსრულების ხელისშემშლელი სხვა გარემოების არსებობის შემთხვევაში, რომელიც იწვევს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, ასევე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს კონკრეტული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას სადაოდ ქცეული უფლების ადრესატის ინტერესების დასაცავად. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: მოვალის ქონებაზე ზღვევინების (იგულისხმება გადახდევინების მიქცევა – ხაზგასმა სასამართლოსია) მიქცევა, საბანკო ანგარიშსა თუ სხვა უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, მხარეთა შეხედულებისამებრ ერთი ნივთის მეორეთი შეცვლა თუ სხვა ტოლფასი ქონების გადაცემა და სხვა, რათა კრედიტორის უფლება მოვალის ქმედების შედეგად სამართლებრივი დაცვის

30 №ა-27-გან-1-2010 (2010 წ. 1 თებერვალი)

მიღმა არ აღმოჩნდეს. მითითებულ ღონისძიებათა გამოყენება და შესრულება მხარის უფლებას წარმოადგენს.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობა – კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების გამოყენება, თავისთავად კანონსაწინააღმდეგო პირობა არ არის და მისი გამოყენებისათვის მხარის იურიდიული ცოდნაა (საჭიროებისამებრ იურისტის რჩევა) საჭირო და არა სასამართლო განჩინების განმარტება.

გადანყვეტილების განმარტების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

## **მუხლი 28. (ამოღებულია)**

### **მუხლი 28<sup>1</sup>. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში განაჩენით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების წესი**

1. მოცემული მუხლი ანესრიგებს სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების წესს. ამასთან, ნორმის გამოყენების პირობას წარმოადგენს სასჯელის სახით ჯარიმის შესახებ განაჩენის გამოტანამდე მსჯავრდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასჯელი არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც დამნაშავეს შეეფარდება სასამართლოს განაჩენით, ე.ი. გამოიყენება დამნაშავედ ცნობილი პირის მიმართ. სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოთვლილია სასჯელის სახეები, რომელთა შორის მოხსენიებულია ჯარიმაც. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ჯარიმა წარმოადგენს ფულადი გადასახდელის ფორმით არსებულ სასჯელს.

2. განსახილველი მუხლის თანახმად, ჯარიმის სახით არსებულ სასჯელს აღსრულებს აღმასრულებელი (აღსრულების ეროვნული ბიურო). ნორმით არ არის განსაზღვრული აღსრულების ადგილი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენით დაკისრებული ჯარიმის გადახდა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. კანონის (25-ე მუხლი) თანახმად, თუ გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სასამართლო სააღსრულებო ფურცელს უგზავნის აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოს მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამრიგად, სასჯელის სახით არსებული ჯარიმა აღსრულდება

სააღსრულებო ბიუროს მიერ მსჯავრდებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით . მოცემულ შემთხვევაში აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილი საერთო პროცედურის (საერთო წესის) შესაბამისად, მაგრამ განსახილველი მუხლით, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ გირაოს თანხა შესაძლოა მსჯავრდებულისათვის დაკისრებული ჯარიმის თანხას აღემატებოდეს. ასეთ შემთხვევაში, აღსრულება მიექცევა გირაოს სახით აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანილ ფულად თანხაზე, დაკისრებული ჯარიმის ფარგლებში, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნდება მსჯავრდებულს (უფლებამოსილ პირს).

მოცემულ საქმეებზე სააღსრულებო წარმოება აღიძვრება სააღსრულებო დოკუმენტის — სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე (ე.ი. სააღსრულებო ფურცელი აღსრულების დაწყების საფუძველია). ამასთან, ნორმაში არ არის მითითებული სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო. მოცემულ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელი უნდა გასცეს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ.

ამავე სასამართლომ მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გააგზავნოს სააღსრულებო ბიუროში სააღსრულებო ფურცელი. მართალია ნორმაში მარტოდენ სააღსრულებო ფურცელზეა საუბარი, მაგრამ სააღსრულებო ფურცლის გარდა, სასამართლომ სააღსრულებო ბიუროში უნდა გააგზავნოს განაჩენის ასლიც.

3. ნორმით გათვალისწინებული ათდღიანი ვადის ადრესატია აღსრულების ეროვნული ბიურო.



## **მუხლი 28<sup>2</sup>. სისხლის სამართლის საქმეზე გირაოს სახით შეტანილ უძრავ ქონებაზე აღსრულების მიქცევა**

აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება ყოველთვის გულისხმობს სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის შეტანას აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე. ამასთან, აღნიშნული თანხის შეტანა შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირის საკუთრებით (ქონებით).

უზრუნველყოფის შემთხვევაში, გირაოს თანხის გადახდაზე ვალდებულმა პირმა, გირაოს თანხა უნდა შეიტანოს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. საინტერესოა, რა კონკრეტული წესით ხდება უძრავი ქონების გამოყენება უზრუნველყოფის სახით? ეს ხდება შემდეგი წესით: სასამართლოს მიერ გირაოს შეფარდებისას იმავე ან მომდევნო დღეს დაცვის მხარე მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე გირაოს თანხის გადახდის სანაცვლოდ უზრუნველყოფილი იქნეს ბრალდებულისთვის შეფარდებული გირაოს თანხა მესაკუთრის უძრავი ქონებით. იმ შემთხვევაში, თუკი დაირღვევა გირაოს შეფარდების პირობები, შეფარდებული გირაოს თანხის გადახდევინების მიზნით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით განხორციელდება აღსრულება მესაკუთრის ქონებაზე. ქონების რეალიზაციამდე აღსრულების ეროვნული ბიურო ახდენს ამ ქონების მესაკუთრის (დაინტერესებლი პირის) ინფორმირებას, რომლიდან 7 დღის ვადაში უნდა იქნეს შეტანილი თანხა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე. ამ შემთხვევაში კრედიტორია სახელმწიფო. ცხადია, მესაკუთრის (დაინტერესებული პირის) ინფორმირებასთან ერთად გირაოს გადახდის უზრუნველსაყ-

ოფად გამოყენებულ უძრავ ქონებას ყადაღა ედება აღმასრულებლის მიერ (კანონის 69-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

თუკი მესაკუთრე (დაინტერესებული) პირი აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ინფორმირებიდან 7 დღის ვადაში გირაოს სახით განსაზღვრულ თანხას შეიტანს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, ამის შემდეგ აღნიშნული ქონება გათავისუფლდება ყადაღისაგან.

იმდენად, რამდენადაც კრედიტორი არის სახელმწიფო, აღსრულების ეროვნული ბიურო დაინტერესებული პირის მიერ შეტანილ გირაოს თანხას ჩარიცხავს ბიუჯეტში.

გირაოს თანხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უძრავი ქონება გირაოს სახით განსაზღვრული თანხის იძულებითი ამოღების მიზნით, მიექცევა სარეალიზაციოდ. მართალია რეალიზაცია ხორციელდება კანონის XIII თავით დადგენილი წესების (69-77<sup>2</sup>-ე მუხლები) შესაბამისად, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს კანონის 61-ე მუხლიც და განსაკუთრებით, 62-ე მუხლი (აღსრულების ქვემდებარეობა). ეს ნორმები კანონის XI თავშია მოქცეული. 62-ე მუხლის გათვალისწინებით აღსრულება უნდა განახორციელოს იმ სააღსრულებო ბიურომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც იმყოფება უძრავი ქონება, ანდა 62-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღსრულების ქვემდებარეობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ.

## მუხლი 29. ოქმი

მოცემული მუხლი, ერთი მხრივ, შეიცავს იმპერატიულ წესს, რომლის მიხედვითაც ოქმის შედგენა სავალდებულოა ნებსმიერი სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას (აუქციონის ჩატარების გარდა), მეორე მხრივ, ადგენს ოქმის მიმართ ნაყენებულ მოთხოვნებს. ოქმის შედგენის სავალდებულობას განაპირობებს ის, რომ სააღსრულებო მოქმედებები (აღმასრულებლის მიერ განხორციელებული მოქმედებები) შეეხება მხარეთა და მესამე პირთა ინტერესებს. ოქმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოცემული მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ოქმის შინაარსსა და ოქმზე ხელმოწერის უფლების მქონე პირებს. თუ სააღსრულებო მოქმედებაში მონაწილე პირი არ ეთანხმება ოქმს და შესაბამისად, უარს ამბობს ოქმზე ხელის მოწერაზე, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ოქმის რაიმე ტიპური, ოფიციალურად შემუშავებული ფორმა არ არსებობს. შესაბამისად, ფორმა თავისუფალია. ოქმი ყველა შემთხვევაში წერილობითი ფორმით დგება. მაშინაც კი, როცა სააღსრულებო მოქმედება ვიდეოფირზე აისახება, სავალდებულოა ოქმის შედგენა. ასეთ შემთხვევაშიც ოქმი უნდა შეიცავდეს მოცემული მუხლით გათვალისწინებულ ყველა მონაცემს, გარდა სააღსრულებო მოქმედების დამსწრე პირთა ვინაობის შესახებ მონაცემისა.

კრედიტორი და მოვალე სააღსრულებო წარმოების მხარეებია. შესაბამისად, ისინი დასწრე პირებში არ მოიაზრებიან.

„საღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღმასრულებლის ქმედება, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში (მათ შორის მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა), გაფორმებული

უნდა იყოს შესაბამისი აქტით (მაგალითად, იხილეთ მე 15, მე-18<sup>3</sup>/ 30-ე, 35-ე, 25-ე და სხვა მუხლები). აღსანიშნავია ისიც, რომ ეს აქტები ძირითადად მიიღება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ. კანონის 29-ე მუხლიდან გამომდინარე, აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედებები აისახა აღმასრულებლის მიერ შედგენილ ოქმში. საინტერესოა, შეიძლება გასაჩივრდეს თუ არა ოქმი. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ოქმი, უწინარეს ყოვლისა, ასახავს აღმასრულებლის ქმედებას. შესაბამისად, გასაჩივრდება აღმასრულებლის ქმედება. ქმედების გასაჩივრებისას მოთხოვნილი უნდა იქნეს ოქმისა და აღმასრულებლის ქმედებით დამდგარი შედეგის გაუქმებაც.

## მუხლი 30. მოვალის მოძებნა

ამ მუხლით განსაზღვრულია ის სააღსრულებო დოკუმენტები, რომლებზეც უნდა ჩატარდეს ძებნა. სამწუხაროდ, მოქმედი კანონი საფუძვლიანად არ აწესრიგებს მოვალის ძებნასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

განსახილველ ნორმაში საუბარია იმ სააღსრულებო დოკუმენტებზე, რომლებზეც აუცილებელია სამძებრო მოქმედებების ჩატარება მოვალის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, ან როცა იგი სპეციალურად, ე.ი. განზრახ თავს არიდებს მოვალეობის შესრულებას. ამ სააღსრულებო დოკუმენტებზე სასამართლო ვალდებულია გამოაცხადოს ძებნა.

კანონით არ არის განსაზღვრული, თუ ვისი განცხადების საფუძველზე გამოაქვს სასამართლოს განჩინება მოვალის ძებნის შესახებ. უდავოა, რომ აღნიშნულის თაობაზე განცხადების შეტანის უფლება აქვს კრედიტორს. ამასთან, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ განცხადების შეტანა აღმასრულებელსაც შეუძლია.

მოვალის ძებნა ცხადდება, თუ სახეზეა შემდეგი ორი პირობიდან ერთ-ერთი: 1) არ არსებობს ინფორმაცია მოვალის ადგილსამყოფელის შესახებ; 2) ან იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას.

განსახილველ მუხლში მართალია მითითებულია თუ ვინ ახორციელებს მოვალის ძებნას, მაგრამ არ არის მითითებული, სად უნდა გამოცხადდეს მოვალის ძებნა, ვის ეკისრება ძებნის ხარჯები და როგორია მათი გადახდის წესი.

ძებნა ცხადდება სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების ადგილის მიხედვით ან მოვალის უკანასკნელად ცნობილი საცხ-

ოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის), ან მისი ქონების ადგილსამყოფელის, აგრეთვე კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის (ადგილსამყოფელის) მიხედვით.

რაც შეეხება მოვალის ძებნის ხარჯებს, ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლით (რადგან თავად სააღსრულებო წარმოებათა კანონი ამ საკითხს არ აწესრიგებს), რომლის თანახმად, მოვალის ძებნა წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და ეს ხარჯები გადახდება (ეკისრება) შესაბამისად მოვალეს გადაწყვეტილების აღსრულების დროს. მოვალეს ეკისრება აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები. ამდენად, კრედიტორი გათავისუფლებულია სახ. ბაჟის გადახდისაგან. მოვალის ძებნა ხორციელდება შინაგან საქმეთა ორგანოების მეშვეობით. კანონის 30-ე მუხლში მითითებულ მოვალეში იგულისხმება, როგორც მოვალე ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

ძებნის ხარჯების გაანგარიშების დროს უნდა ამოვიდეთ ძებნის განხორციელებაზე ფაქტობრივად დახარჯული თანხებიდან და შესაბამისი დოკუმენტები საქმეს უნდა დაერთოს განუხლები ხარჯების დამადასტურებელ მტკიცებულებად. ხარჯების გაანგარიშების შესახებ დოკუმენტები დგება თავისუფალი ფორმით.

მოვალის ძებნის განხორციელებისას პოლიციის ორგანოები შეკითხვით მიმართავენ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, სხვა ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც აქვთ ცნობები მოვალის შესახებ.

შესაბამისი ორგანოების მიერ წარმოებს მოვალის ძებნის ხარჯების წინასწარი და შემაჯამებელი (საბოლოო) გაანგარიშება. საბოლოო გაანგარიშების შედგენისას ამოსავალი უნდა იყოს ფაქტობრივად დახარჯული თანხები.

## **მუხლი 31. მოვალის ინტერესების დაცვა იძულებითი აღსრულებისას**

მართალია მოცემული ნორმის სათაურში საუბარია მოვალის ინტერესების დაცვაზე იძულებითი აღსრულებისას, მაგრამ ნორმის შინაარსი ცხადყოფს, რომ კანონი ადგენს განსაზღვრულ აკრძალვებსა და შეზღუდვებს, როგორც მოვალის, ისე მისი ოჯახის წევრების ინტერესების დაცვის მიზნით. ამასთან, კანონში არ არის მითითებული იმ პირთა წრეზე, რომლებიც ოჯახის წევრებად მოიაზრებიან.

კანონი მიუთითებს “განსაკუთრებული ვითარების” შემთხვევებზე (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება), როცა აღსრულება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს. ასეთ დროს სასამართლოს შეუძლია მოვალის განცხადების საფუძველზე მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აღსრულების ღონისძიება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს ესა თუ ის ღონისძიება არა უმეტეს ნორმით განსაზღვრული ვადით, რის თაობაზეც მას გამოაქვს განჩინება. მაგალითად, მოვალის გამოსახლებისას, როდესაც გარდაიცვალა მოვალის ოჯახის წევრი, სასამართლოს შეუძლია განჩინებით დროებით შეაჩეროს მოვალის გამოსახლება და სხვა.

თავის მხრივ, კრედიტორსაც შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით ფაქტობრივი ვითარების შეცვლის გამო აღსრულების თაობაზე გამოტანილი განჩინების გაუქმების ან შეცვლის შესახებ.

31-ე მუხლის მე-4 პუნქტი მითითებითი ხასიათისაა და ადგენს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოვალისა და კრედიტორის განცხადებები განიხილება საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით დადგენილი წესით (ეს მუხლი აწესრიგებს გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის საკითხებს). კანონის 31-ე მუხლით და სსსკ-ის 263-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების (გარემოებების) არსებობისას შესაბამის განცხადებებს განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო (იხ. სსსკ-ის 263-ე მუხლი). გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება – კანონის 31-ე მუხლი), ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

მხარეთა განცხადება განიხილება სასამართლო სხდომაზე, რომლის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტას. აღსრულების ღონისძიების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების, აკრძალვის, დროებითი შეჩერების, გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების, აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების ან წესის შეცვლის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

აღსანიშნავია, რომ კანონის 31-ე მუხლის 1-ლ პუნქტში და სსსკ-ის 263-ე მუხლის პირველ ნაწილში საუბარია სასამართლოს სრულიად სხვადასხვა მოქმედებაზე, ამიტომ დადგენილია განსხვავებული ვადებიც.

დაბოლოს, იძულებითი აღსრულებისას მოვალის ინტერესების დაცვა არ ხორციელდება მხოლოდ ზემოაღნიშნული



მუხლებით დადგენილი შეზღუდვებისა და აკრძალვების გამოყენებით. გარკვეული შეზღუდვები და აკრძალვებია კანონით დადგენილი სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროის მიმართაც. მაგალითად, არასამუშაო დღეებში გადანაცვებების აღსრულება დაიშვება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, ან იმ შემთხვევებში, როცა მოვალის ბრალით მათი შესრულება სხვა დღეებში შეუძლებელია. ამასთან, აუცილებელია სააღსრულებო ბიუროს უფროსის წერილობითი ნებართვა. ლამის საათებში, ე.ი. 22 საათიდან 6 საათამდე (ადგილობრივი დროით), გადანაცვებების აღსრულება დაიშვება ბიუროს უფროსის წერილობითი ნებართვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება ფიზიკურ პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

### **აღსრულების გადადების სხვა შემთხვევები და აღსრულების გადადების განსხვავება აღსრულების გადავადებისაგან**

სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულება ყოველთვის როდი შეიძლება შედგეს აღმასრულებლის მიერ დანიშნულ დროს. სააღსრულებო მოქმედების შესრულების დროს აღმასრულებელი შეიძლება ისეთი გარემოების წინაშე აღმოჩნდეს, რომელიც აფერხებს სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულებას. ამ შემთხვევაში მან უნდა გადადოს სააღსრულებო მოქმედებების შესრულება.

აღსანიშნავია, რომ არსებობს სააღსრულებო წარმოების დროებით გაჩერების რამდენიმე სახე: გადავადება, გადადება და შეჩერება. მაგალითად, მოვალის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შედეგად შეიძლება გადავადდეს აღსრულება. სხვა მაგალითი: აღმასრულებლის წარმოებაშია სააღსრულებო საქმე, ამასთან, მოვალის მიმართ სასამართლოში შეტანილ-

ია განცხადება გადახდისუუნაროდ მოვალის ცნობის შესახებ. ასეთ დროსაც შეიძლება გადავადდეს აღსრულება, ხოლო თუ მიღებული იქნება განჩინება გადახდისუუნარობის საქმის დაწყების შესახებ, აღსრულება უნდა შეჩერდეს.

თუ სააღსრულებო დოკუმენტი მხოლოდ თავად მოვალემ (პირადად) უნდა შეასრულოს, არადა მოვალე ავად არის და იმყოფება საავადმყოფოში, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია აღსრულების გადავადება.

**სააღსრულებო მოქმედებების გადადება არის სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების (სააღსრულებო მოქმედებების ან იძულებითი ღონისძიებების შესრულების) გადატანა სხვა, უფრო გვიანი დროისათვის. ასეთ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს სააღსრულებო მოქმედების შესრულების ზუსტად განსაზღვრული დღე და საათი. სააღსრულებო მოქმედებათა გადადების საფუძვლების ჩამონათვალს კანონი არ ადგენს. როგორც წესი, ეს ხდება მაშინ, როდესაც არსებობს გარემოებები, რომლებიც აფერხებენ სააღსრულებო მოქმედებების შესრულებას. ასეთი შეიძლება იყოს მოვალის ავადმყოფობა, კრედიტორის ან მოვალის თხოვნა აღსრულების ადგილზე დანიშნულ დროს გამოცხადების შეუძლებლობის გამო აღსრულების გადადების შესახებ და ა.შ.**

31-ე მუხლის გარდა, ისეთი მოქმედების გაფორმების წესი და საფუძველი, ასევე სამართლებრივი შედეგები, როგორც სააღსრულებო მოქმედებების გადადება (სააღსრულებო მოქმედებათა გადადების დროს წარმოშობილი ურთიერთობები) დამატებით წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინებაში საქმეზე №ას-792-1079-09 განმარტავს,

რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე და ორივე მხარის კანონიერ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად ერთ-ჯერადად, არა უმეტეს 3 თვისა გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ასევე, შეცვალოს გადაწყვეტილებით დადგენილი აღსრულების პირობები და საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე სარწმუნოდ დაასაბუთებს რაიმე ობიექტური გარემოების არსებობას ან მიუთითებს თავის მძიმე ქონებრივ მდგომარეობაზე, რაც, სასამართლოს შეფასებით, საფუძვლად დაედება გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გამოყენებას. აღნიშნული კანონის დანაწესი არ უნდა განიმარტოს იმდაგვარად, რომ მხარის ფინანსური სიძნელეების არსებობა თავისთავად განაპირობებს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესსა და საშუალებებში კანონით განსაზღვრული ცვლილების შეტანას. მითითებული ღონისძიებები ხელს უწყობს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებას და სასამართლო დააკმაყოფილებს მხარის თხოვნას, თუ ეს უკანასკნელი დაასაბუთებს, რომ აღსრულების გადადება, განაწილვადება, მისი საშუალებისა და წესის შეცვლა გადაწყვეტილების აღსრულებას რეალურად დაეხმარება. საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ სააღსრულებო წარმოების გადადების და აღსრულების პირობების და საშუალების შეცვლისას მნიშვნელოვანია ორივე მხარის უფლებათა დაცვა. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლამ არსებითი გავლენა არ უნდა მოახდინოს გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ

შედეგზე. სააღსრულებო მოქმედების შეჩერება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით გათვალისწინებულ აღსრულების გადადების ერთგვარ სახეს წარმოადგენს და ნიშნავს აღსრულების სხვა დროისათვის, ანუ უფრო მოგვიანებით გადატანას. მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების აღსრულების გადადებისათვის (შეჩერებისათვის) უნდა არსებობდეს გონივრული საფუძველი, რაც შეიძლება იყოს სტიქიური მოვლენა, სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლა, ქონებრივი მდგომარეობის მოულოდნელად გაუარესება და სხვა.

კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღსრულება გადაიდება მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ. სააღსრულებო მოქმედებათა გადადებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს თავად კრედიტორის განცხადებითაც ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე. ასეთი განჩინება შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ სასამართლოს შესაბამისი თხოვნით მიმართავს კრედიტორი ან მოვალე ანდა აღმასრულებლის მოქმედებაზე შეტანილი სარჩელის განხილვის დროს.

ამ შემთხვევაში კანონი არ ადგენს არავითარ შეზღუდვას სააღსრულებო მოქმედებათა გადადების საკითხში. არ ადგენს რაიმე სპეციალურ პირობებს, რომელთა არსებობის დროსაც შესაძლებელია ამ მოქმედების შესრულება. მოქმედი კანონმდებლობა აღმასრულებელს უფლებას აძლევს, თავისი ინიციატივითაც გადადოს სააღსრულებო მოქმედებების შესრულება. ამგვარი დასკვნა გამომდინარეობს კანონის გონივრული განმარტებიდან.

საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ სააღსრულებო მოქმედებათა გადადებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მს-

ოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღძრულ სააღსრულებო წარმოებაში. სააღსრულებო მოქმედებათა გადადების შესახებ საკითხი უნდა განიხილოს სააღსრულებო ფურცლის გამცემმა სასამართლომ. განცხადება მოსამართლემ უნდა განიხილოს მოკლე ვადებში, სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა პროცესზე მოწვევის (დაბარების) გარეშე, ე.ი. ზეპირი მოსმენის გარეშე.

განცხადების განხილვის შედეგად მოსამართლე იღებს განჩინებას. სააღსრულებო მოქმედებათა (სააღსრულებო წარმოების) გადადების შესახებ განჩინებაში, სააღსრულებო მოქმედებათა გადადების საფუძვლების გარდა, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ახალი ვადა, ანუ თარიღი, რომლის დადგომამდეც ხდება სააღსრულებო მოქმედებათა გადადება, ან მოვლენა, რომლის დადგომაც არის აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო მოქმედებათა განახლების საფუძველი.

სააღსრულებო მოქმედებათა გადადების შესახებ განჩინების ასლები ეგზავნება კრედიტორს, მოვალეს და აღმასრულებელს. სააღსრულებო წარმოების გადადების (ან გადადებაზე უარის) შესახებ სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება.

როგორც ითქვა აღმასრულებელს უფლება აქვს გადადოს სააღსრულებო მოქმედებების შესრულება თავისი ინიციატივით. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ გარემოებათა არსებობის დროს, რომლებიც აფერხებენ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებას და კანონის 34-ე და 35-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. **კანონით დაწესებული შეზღუდვების მიზანია კრედიტორის უფლებების დაცვის გარანტიების განმტკიცება.**

სააღსრულებო მოქმედებათა გადადების შესახებ აღმასრულებელი ადგენს ოქმს (იხ. მუხლი 29-ე). მასში აღმსრულებელმა უნდა მიუთითოს სააღსრულებო მოქმედებათა გადადების საფუძველი, კანონი, რომლითაც ხელმძღვანელობდა ოქმის შედგენისას, აგრეთვე მიუთითოს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ახალი ვადა. ოქმის ასლები უნდა გაეგზავნოთ კრედიტორსა და მოვალეს, აგრეთვე სასამართლოს ან სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სხვა ორგანოს.

აღმასრულებელის ოქმი სააღსრულებო მოქმედებათა გადადების შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს კრედიტორის ან მოვალის მიერ შესაბამის საერთო იურისდიქციის სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით (მხარეთა ამ უფლებაზე მითითებულია კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში), რომლის განხილვის დროსაც აუცილებელია გაირკვეს, ჰქონდა თუ არა ადგილი ოქმის შედგენის მომენტისათვის იმ გარემოებებს, რომლებიც აფერხებენ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებას. კერძოდ, ასეთი გარემოებებია: სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებისათვის დანიშნულ დროს დამსწრეთა, თარჯიმნის, კრედიტორისა და მოვალის გამოუცხადებლობა, თუკი მათი დასწრების გარეშე შეუძლებელია სააღსრულებო მოქმედებათა შესრულება, სპეციალისტის მიერ დასკვნის წარუდგენლობა მისთვის დასმულ საკითხებზე (კითხვებზე), აღმასრულებლის აცილების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება და სხვა გარემოებები, რომელთა არსებობის დროსაც სააღსრულებო მოქმედებათა შესრულება ან საერთოდ შეუძლებელია, ანდა მათი შესრულება გამოიწვევს კრედიტორის ან მოვალის უფლებათა დარღვევას. სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ და განიხილება სააღსრულებო ბიუროს (აღმასრულებლის) ადგილსამყოფელის მიხედვით 1 თვიან ვადაში.

სამწუხაროდ, კანონი მკაფიოდ არ განასხვავებს აღსრულების დროებითი გაჩერების სახეებს. განსაკუთრებით საუბარია გადადებასა და გადავადებაზე. აღსრულების გადადება- აღსრულების დროებითი მოკლევადიანი გაჩერებაა. კანონი არ ასახელებს გადადების შესაძლო საფუძვლებს. მაგალითად, აღსრულება შეიძლება გადაიდოს, თუ მოვალე იმყოფება მივლინებაში (საავადმყოფოში), ანდა თუ ბავშვი, რომელიც ერთიდან მეორე მშობელს უნდა გადაეცეს, იმყოფება საავადმყოფოში და ა.შ.

აღსრულების გადადებასა და გადავადებას მრავალი საერთო ნიშანი ახასიათებს. ორივე შემთხვევაში ხდება სააღსრულებო მოქმედების შესრულების ან იძულებითი ღონისძიების აღსრულების სხვა დროისათვის გადატანა. თუმცა კი, გადავადებისა და გადადების საფუძვლების იურიდიული ბუნება ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ განსხვავების წარმოჩენა შესაძლებელია მაგალითის მოხმობით: კრედიტორი შუამდგომლობით ითხოვს სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების გადავადებას. ამ სააღსრულებო დოკუმენტის თანახმად, მოვალეს ეკისრება ხის მოჭრა. თუმცა ხის მოჭრა დასაშვებია წლის განსაზღვრულ დროს, ამიტომ კრედიტორი ითხოვს აღსრულების გადავადებას. ამავე საქმეზე დასაშვებია აღსრულების გადადება, მაგალითად, სპეციალისტის მივლინებაში ყოფნის მიზეზით, რომელიც შესაბამის მოქმედებას მივლინებიდან დაბრუნებისთანავე განახორციელებს. გადადებისაგან გადავადების განმასხვავებელი მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება ის არის, რომ გადავადების უფლებამოსილება მარტოოდენ შესაბამისი სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სასამართლოს, ორგანოს ან თანამდებობის პირს აქვს. გადადების უფლება აქვს როგორც სასამართლოს, ისე აღმასრულებელსაც. განსხვავე-

ბა მდგომარეობს გადადების ვადებშიც. გადავადება დროის გაცილებით ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ვიდრე გადადება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როგორც წესი, აღსრულების გადავადება ნიშნავს მოქმედების გადატანას სხვა დროისათვის, რაც უკავშირდება განსაზღვრული მოვლენის დადგომას. გადადება კი გულისხმობს თარიღის მითითებას, რომლის დადგომამდეც ხდება აღსრულების გადადება. აღსრულების გადადება დასაშვებია რამდენჯერმე, სხვადასხვა მიზეზითა და საფუძვლით. აღსრულების გადადებისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებელი მოითხოვდა სახლის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებამდე აღსრულების შეჩერებას, ასეთი სამუშაოების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში. სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ ამგვარი მოთხოვნა უთანაბრდებოდა გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების მოთხოვნას განუსაზღვრელი ვადით, რაც არ შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, ამ შემთხვევაში ასევე არ არსებობდა განსაკუთრებული გარემოება, რაც, სსკ-ის 263-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულების გადადების საფუძველი იქნებოდა, თუნდაც ნებისმიერი შეზღუდული ვადით.



## **მუხლი 32. მესამე პირის სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ**

მოცემული მუხლი დაკავშირებულია აღმასრულებლის მიერ ქონების დაყადაღებასთან (აღწერასთან). იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ მისი შინაარსი, აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი ჩატარებისა და წარმოების წესის მომწესრიგებელი ნორმები (წესები). მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის წესი მოწესრიგებულია კანონის მთელი რიგი თავებით (მე-9, მე-10, მე-11 თავები). მოვალის როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა შედგება მისი დაყადაღების (აღწერის), ამოღების და იძულებითი რეალიზაციისაგან. ქონებას აყადაღებს აღმასრულებელი. დაყადაღების პროცედურა მოიცავს შემდეგი მოქმედებების წარმოებას: მოვალის ქონების აღწერას, ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვის გამოცხადებას ან/და ქონების შესანახად გადაცემას (იხ. კანონის მე-40 და 63<sup>1</sup> მუხლები).

მოძრავი ნივთების დაყადაღებისას სააღსრულებო წარმოებაში ფაქტობრივი (ე.ი. ნორმატიული აქტებით გაუთვალისწინებელი) პრეზუმფციაც კი იმოქმედებდა კანონის 44-ე მუხლი რომ არ ყოფილიყო. საუბარია მოვალისადმი ქონების კუთვნილების პრეზუმფციაზე, რომლის თანახმადაც, ქონებაზე ყადაღის დადებისას აღმასრულებელს შეუძლია ივარაუდოს, რომ მოვალის ტერიტორიაზე (ე.ი. საცხოვრებელში ან მოვალის ადგილსამყოფელზე) მყოფი ქონება სწორედ მოვალეს ეკუთვნის. აღნიშნული ვარაუდის გაქარწყლება დასაშვებია. გასახილველი ნორმით მოწესრიგებულია საკუთრების და სხვა

სანივთო უფლების დაცვის კლასიკური საშუალება-აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის (ყადალისაგან ქონების გათავისუფლების) სარჩელი.

ქონების დაყადაღება ზღუდავს მოვალის უფლებებს და შეიძლება დაარღვიოს სხვა პირთა ქონებრივი უფლებებიც. ამიტომ იგი კანონით გათვალისწინებული წესით (ამ წესების ზუსტად დაცვით) უნდა ხორციელდებოდეს.

ქონების განკარგვის თუ ქონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის სახეები, მოცულობა და ვადები განისაზღვრება აღმასრულებლის მიერ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ქონების თვისებების, მესაკუთრის ან მფლობელისათვის მისი მნიშვნელობის, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო ან სხვაგვარი გამოყენების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ქონების განკარგვის აკრძალვის დარღვევა გამოიწვევს კანონით (მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსით) გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. დაყადაღება მოვალეს არ ართმევს ქონებით სარგებლობის უფლებას. დაყადაღება კრძალავს ქონების განკარგვას: იჯარით გაცემას, გაქირავებას, იპოთეკით დატვირთვას, გასხვისებას და სხვა. განკარგვა განსხვავდება გასხვისებისგან. განკარგვა მოიცავს გასხვისების ყველა სახეს, პლუს უფლებრივ დატვირთვასაც, შესაბამისად, განკარგვა უფრო ფართო კატეგორიაა, ვიდრე გასხვისება. ყადაღა გამოიყენება:

1) მოვალის ქონების დაცულობის (შენახვის) უზრუნველსაყოფად, რომელიც შემდგომში ექვემდებარება კრედიტორისათვის გადაცემას (მისთვის უნდა იქნეს გადაცემული) ან რეალიზაციას (ე.ი. ყადაღა გამოიყენება სარეალიზაციოდ ქონების მომზადებისთვის);

2) იმ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს

განჩინების აღსრულების დროს, რომელიც ეკუთვნის მოპასუხეს და იმყოფება მასთან ან სხვა პირებთან.

კონკრეტული გარემოებების არსებობისას აღმასრულებელს სააღსრულებო მოქმედებების შესრულებისას უფლება აქვს ქონების დაყადაღებასთან ერთად იმავდროულად ამოიღოს ყველა ქონება ან ცალკეული საგნები შემდგომი რეალიზაციისთვის.

მალფუჭებადი ნივთების და სხვა ქონების ამოღება და სარეალიზაციოდ გადაცემა ხდება დაუყოვნებლივ.

ფულადი თანხა ლარებსა და უცხოურ ვალუტაში, ძვირფასი ლითონები და ძვირფასი ქვები, ოქროსაგან, ვერცხლისაგან, პლატინისაგან და პლატინის ჯგუფის ლითონებისაგან, ძვირფასი ქვებისაგან და მარგალიტისგან დამზადებული საიუველირო და სხვა ნაკეთობანი, აგრეთვე ასეთი ნაკეთობების ცალკეული ნაწილები და ნამტვრევი, რომლებიც აღმოჩენილია მოვალის დაყადაღებული ქონების აღწერის დროს, ექვემდებარება სავალდებულო ამოღებას.

ფასიან ქალაქს ყადაღა კანონით განსაზღვრული წესით ედება. ქონების აღწერა წარმოებს მოვალის ან მისი წარმომადგენლის და არანაკლებ ორი დამსწრის თანდასწრებით.

დამსწრედ შეიძლება მონვეულ იქნეს 18 წლის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ არის დაინტერესებული სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებით. დამსწრეები ერთმანეთთან ან სააღსრულებო წარმოების მონაწილეებთან ნათესაურ ურთიერთობაში, დაქვემდებარებაში ან კონტროლქვეშ არ უნდა იმყოფებოდნენ. დამსწრეთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ორზე ნაკლები.

დამსწრედ არ შეიძლება მონაწილეობდეს სასამართლოს, პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკი. ქონების

აღწერას შეიძლება ესწრებოდეს კრედიტორი ან მისი წარმომადგენელი.

იმ შემთხვევაში, როცა მოვალე ან მისი წარმომადგენელი არ იმყოფებიან, აღწერა წარმოებს მოვალის ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი, ქმედუნარიანი წევრის თანდასწრებით, ხოლო თუ ასეთი პირები არ არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.

აღწერას მოვალის ქონება ექვემდებარება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია სააღსრულებო დოკუმენტით გათვალისწინებული დავალიანების, აღსრულების საფასურის და აღსრულების ხარჯების დასაფარად. თუ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების დროს სხვა პირები ქონებაზე განაცხადებენ თავის უფლებებს, ქონება მაინც შეიტანება აღწერის აქტში, ხოლო სხვა პირის პრეტენზიის შესახებ აღწერის აქტში კეთდება აღნიშვნა; იმავედროულად, აღმასრულებელი განუმარტავს დაინტერესებულ პირს უფლებას, მიმართოს სასამართლოს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელით, რის შესახებაც აღინიშნება აღწერის აქტში.

ქონების აღწერის დროს მოვალეს უფლება აქვს მიუთითოს ქონების ან საგნების იმ სახეობებზე (იმ ქონებაზე და საგნებზე), რომლებზეც უნდა მიექცეს გადახდევინება პირველ რიგში. საბოლოოდ მოვალის ფულად თანხებზე და სხვა ქონებაზე გადახდევინების მიქცევის რიგითობას განსაზღვრავს აღმასრულებელი.

კრედიტორის მოთხოვნით აღმასრულებელს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია დალუქოს მის მიერ აღწერილი საგნები, რის შესახებაც მიეთითება აღწერის აქტში.

განსახილველ (კანონის 32-ე) მუხლში გათვალისწინებულია სხვა პირთა უფლებების დაცვის მხოლოდ ერთადერთი ფორ-

მა: უფლების დაცვა აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის (ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების) შესახებ სარჩელის წარდგენის გზით. ეს არის სასამართლო დადგენილების ანდა სახელმწიფო ან სხვა ორგანოს დადგენილების აღსრულების დროს დარღვეული ქონებრივი უფლებების დაცვის სასარჩელო ფორმა. აღნიშნული განპირობებულია თავად ამ ტიპის დავების სპეციფიკით და მიზნად ისახავს შედარებით სუსტი მხარის დაცვას, რომელსაც შესაძლოა სახელმწიფო ორგანოს მხრიდან კუთვნილი ქონება არასწორად დაუყადაღდა. შესაძლოა დაყადაღებული იყოს სხვისი ქონება, რომელიც არასწორად შეიძლება მიეკუთვნოს კრედიტორს, ან არასწორად განკარგოს აღმასრულებელმა სხვისი ვალის ამოღების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, თუკი კრედიტორი ითხოვს იძულებითი წესით სხვისი ქონების მისთვის გადაცემას, მოსარჩელეა ის, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა საქმეში დაყადაღებული ქონების კუთვნილების შესახებ დავის წარმოშობის შემთხვევაში. კანონის 44-ე მუხლით დადგენილი პრეზუმფციის საფუძველზე მოძრავი ქონება შესაძლოა არასწორად იყოს დაყადაღებული. **კანონის 32-ე მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როცა აღმასრულებლის მიერ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის მიზნით სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების პროცესში, მათ შორის, ქონების დაყადაღებისას, ილახება არა კრედიტორისა და მოვალის უფლებები, არამედ – სხვა დაინტერესებულ პირთა უფლებები.** აღნიშნული დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში, აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სარჩელი სასამართლოში მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და

მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება. მსგავსი დავების განხილვისას, როგორც საპროცესო-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტით, მტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა.

დასახელებული ნორმით დადგენილია ქონების დაყადაღების დროს დაინტერესებულ პირთა დარღვეული სამოქალაქო უფლებებისა და ინტერესების დაცვის შესაძლებლობა, სამოქალაქო უფლების შესახებ დავის აღძვრის გზით, რაც დაკავშირებულია იმ ქონების კუთვნილებასთან, რომელზეც მიქცეულია აღსრულება.

მესამე პირის საკუთრების უფლება დაცული უნდა იქნეს ნებისმიერ შემთხვევაში. ქონების კუთვნილების საკითხის გადანიყვეტამდე აუქციონიც უნდა შეჩერდეს, ე.ი. მესამე პირის უფლება დაუბრკოლებლად უნდა იქნეს დაცული და აღნიშნულ შემთხვევაზე არ უნდა გავრცელდეს კანონის 70-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვა, რამე თუ თავისი არსით, 70-ე მუხლი შეეხება მხოლოდ ისეთ ვითარებას, როდესაც აღსასრულებლად მიქცეულია მოვალის (და არა მესამე პირის) ქონება.

ქონების კუთვნილებისა და დარღვეული უფლებების აღდგენის შესახებ დავა შეიძლება წარმოიშვას იმ სააღსრულებო მოქმედებების შესრულების დროს, რომლებიც დაკავშირებულია ქონებაზე გადახდევინების მიქცევასთან და ქონებაზე ყადაღის დადებასთან, როცა აღსრულებით ილახება იმ მესამე პირთა ქონებრივი ინტერესები, რომლებიც არ არიან მხარეები სააღსრულებო წარმოებაში.

ამაში მდგომარეობს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სააღსრულებო წარმოების პროცესში დარღვეული უფლებების დაცვის საშუალების (რომელიც შეეხ-

ება მხოლოდ სააღსრულებო წარმოების მხარეებს)<sup>31</sup> განსხვავება 32-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვის საშუალებისგან, როცა სხვა პირები იცავენ თავიანთ სანივთო უფლებას (როგორც საკუთრებას, ისე სხვა სანივთო უფლებებს).

სარჩელის უზრუნველყოფის წესით ან სააღსრულებო დოკუმენტების აღსრულების წესით იმ ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში, რომელიც არ არის მოვალის საკუთრება და არ ეკუთვნის მას, ქონების მესაკუთრეს (კანონიერ მფლობელს) უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელით. ამდენად, ასეთ დავებზე საქმე სასამართლოში აღიძვრება სარჩელით, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ამ ქონების მესაკუთრის მიერ ან სხვა პირის მიერ, რომელიც კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლებით (სამოქ. კოდექსის 158-160-ე, 162-ე მუხლები) ფლობს იმ ქონებას, რომელიც არ ეკუთვნის მოვალეს. **ასეთი სარჩელით შეიძლება მოთხოვნილი იქნეს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების გათავისუფლება ყადაღისაგან.**

მოვალის (მსჯავრდებულის) არასრულწლოვანი შვილების ქონებრივი ინტერესების დასაცავად სარჩელების წარდგენა შეუძლიათ მეორე მშობელს, არასრულწლოვანთა (მცირეწლოვანთა) მეურვეებს (მზრუნველებს).

სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, რომლითაც სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონთან ერთად უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომაც და დაინტერესებულმა პირებმაც, ქონების დაყადაღებისას დარღვეული უფლებების

31 მაგალითად, მხარეთა შორის დავის საგანი შეიძლება გახდეს მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების წესი და რიგითობა.

დაცვასთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოში განხილვის დროს. ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელით, სასამართლოს შეუძლია მიმართოს დაყადაღებული ქონების ან იმ ქონების, რომელზეც მიქცეულია გადახდევინება, მესაკუთრემ, ტიტულიანმა მფლობელმა, სხვა პირებმა მათი დავალებით (მინდობილობით), აგრეთვე იმ პირებმა, რომლებიც მოქმედებენ სხვის ინტერესებში დავალების გარეშე სკ-ის 975-ე მუხლით დადგენილი წესით.

როგორც უკვე აღინიშნა, მოვალეს არ აქვს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების ან მისი აღწერის სიიდან ამორიცხვის შესახებ სარჩელის წარდგენის უფლება, კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად. მას შეუძლია სხვა საშუალებით დაიცვას უფლება, მათ შორის, გაასაჩივროს სასამართლოში აღმასრულებლის მოქმედებები ქონების დაყადაღების წარმოებისას (მაგალითად, იმ ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში, რომელზეც არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა – იხ. კანონის 45-ე მუხლი). მაგრამ ასეთი სარჩელები სასამართლოს მიერ განხილული უნდა იქნეს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული დებულებების მიხედვით (ადმინისტრაციული წესით). მესამე პირი, ვისი ქონებაც არასწორად დაყადაღდა, არ წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების მხარეს და ამიტომ, მას არ აქვს აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრების უფლება. მას აქვს მარტოოდენ ყადაღისგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით აღძვრის უფლება.

საინტერესოა, თუ კონკრეტულად ვინ წარმოადგენს მოპასუხეს სასამართლოში აღძრულ სარჩელზე. განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტში ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხია მოცემული: ყადაღისგან ქონების გათავისუფლების (აღწერიდან ამორიცხვის) შესახებ სარჩელები წარედგინება მოვალეს (რომლის ქონებაზე



გადახდევინების მიქცევის მიზნითაც განხორციელდა ქონების დაყადაღება) და კრედიტორს (ე.ი. იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომელთა სასარგებლოდაც დაედო ყადაღა ქონებას). ამდენად, აღნიშნულ სარჩელებზე მოპასუხეა კრედიტორი და მოვალე, როგორც სააღსრულებო წარმოების მხარეები. რამეთუ სწორედ სააღსრულებო წარმოების მხარეთა უფლებებზე შეიძლება მოახდინოს გავლენა მოცემულ საქმეზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ. იმ შემთხვევაში, თუ დაყადაღებული ან აღწერის სიაში შეტანილი ქონება უკვე რეალიზებულია სააღსრულებო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სარჩელი აგრეთვე წარედგინება ქონების შემძენს. იმ შემთხვევაში, თუ ქონება გადაცემულია უსასყიდლოდ, პირი, რომელსაც იგი გადაეცა, აგრეთვე ჩაბმული უნდა იქნეს საქმეში მოპასუხედ, რამეთუ ფაქტობრივად მათი საკუთრების უფლებაც ხდება სადავო.

იმის გამო, რომ სწორედ კრედიტორი და მოვალე წარმოადგენენ მოპასუხეს ამ სარჩელებზე, არამართლობიერად უნდა მივიჩნიოთ ასეთი სარჩელების წარდგენა იუსტიციის ორგანოების მიმართ, როდესაც მესამე პირად ხდება სააღსრულებო ბიუროს ჩაბმა. აგრეთვე არამართლობიერად უნდა მივიჩნიოთ სარჩელის წარდგენა აღმასრულებლის მიმართ, როდესაც თანამოპასუხეებად მოვალისა და კრედიტორის ჩაბმა ხდება. განსახილველი ნორმისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, აღმასრულებელი არ შეიძლება იყოს მოპასუხე ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ საქმეზე (სარჩელზე). ამასთან, მართალია ყადაღისაგან ქონების (აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის) შესახებ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება აღმასრულებლის უფლებებზე გავლენას არ ახდენს, მისი ჩართვა მესამე პირად დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე დასაშვებია, მათ შორის, იმის გამოც, რომ ეს ხელს შეუწყობს საქმეზე მტ-

კიციბულეებითი მასალის შეგროვებას.

მოვალეს არა აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს სარჩელით იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ, რომელზეც აღმასრულებელმა მიაქცია გადახდევინება სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების დროს იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში მისი მოთხოვნა ჩაითვლებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების გადასინჯვის (საქმის განახლების) მიზნით აღძრულ მოთხოვნად, რასაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით.

ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების ან აღწერის აქტიდან მისი ამორიცხვის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სააღსრულებო წარმოება სავალდებულო წესით უნდა შეჩერდეს კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის“დ“ ქვეპუნქტის თანახმად.

ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ დავები (სარჩელები) სასამართლოს მიერ სასარჩელო წარმოების საერთო წესებით განიხილება. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ყადაღა სარჩელის უზრუნველყოფის წესით არის დადებული თუ მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის წესით სასამართლო აქტის (სააღსრულებო დოკუმენტების) აღსრულების დროს. თუკი ყადაღა დადებულია სარჩელის უზრუნველყოფის წესით, მიმდინარეობს სასამართლო დავა და ჯერ დაყადაღებულ ქონებაზე აღსრულება არ არის მიქცეული, მაშინ მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის არ არის პროცესის მხარე, რამეთუ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინება, არის სასამართლო აქტი ამ პირის უფლებების და მოვალეობების შესახებ.

### **მუსლი 33. (ამოღებულია)**

### **მუსლი 34. აღსრულების შეწყვეტა**

კანონის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს სააღსრულებო წარმოების დასრულების ორი ფორმა: **შენწყვეტა და დამთავრება**. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველები იმგვარი იურიდიული ბუნებისა არიან, რომ მათი აღმოფხვრა, თავიდან აცილება თუ გამოსწორება შეუძლებელია. შნორედ, აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს, მოცემულ, კონკრეტულ შემთხვევაში როგორც აღსრულების შეუძლებლობას, ისე აღსრულების განახლების შეუძლებლობას. თანამედროვე კანონმდებლობა ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოების, როგორც სასამართლოს, ისე აღმასრულებლის მიერ შეწყვეტის შესაძლებლობას. სააღსრულებო წარმოების დამთავრება კი მარტოოდენ აღმასრულებლის კომპეტენციას წარმოადგენს.

**სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა ნიშნავს ყველა სააღსრულებო მოქმედების შეწყვეტას, საბოლოო დასრულებას, მოცემულ კონკრეტულ სააღსრულებო წარმოებაში, მათი განახლების უფლების გარეშე.** სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა წარმოადგენს სააღსრულებო დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ რეალურად აღსრულების გარეშე სააღსრულებო წარმოების დამთავრების ერთ-ერთი ფორმას, რომლის დროსაც კრედიტორი კარგავს სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად განმეორებით წარდგენის უფლებას. განსახილველი მუხლის ფორმულირება ერთი შეხედვით იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მასში მოცემული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველების ჩამონათვალი ამომწურავია და არ შეიძლება განივრცოს, სხვა საფუძველებით

სააღსრულებო წარმოება არ შეიძლება შეწყდეს. სინამდვილეში კი, სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

ამასთან, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, **კანონი სააღსრულებო წარმოების დამთავრების ინსტიტუტს არასრულყოფილად აწესრიგებს და სპეციალური ნორმით ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოების დამთავრების მხოლოდ ერთ-ერთ ფორმას— სააღსრულებო საბუთის დაბრუნებას.** არადა, არსებობს სააღსრულებო წარმოების დამთავრების სხვა ფორმებიც. მაგალითად, მოვალის აღიარება გაკოტრებულად, აღსრულების დამთავრების საფუძველია. აღსრულება მთავრდება სააღსრულებო დოკუმენტის ფაქტობრივი შესრულებით, ერთი ან რამდენიმე მოვალის ხარჯზე სააღსრულებო დოკუმენტით დაკისრებული სოლიდარული ვალდებულების ფაქტობრივი შესრულებით, რაც სოლიდარული ვალდებულების სამოქალაქო-სამართლებრივ ბუნებას შეესაბამება და სხვა. ამრიგად, აშკარაა, რომ სააღსრულებო წარმოების დასრულების ფორმა მარტოოდენ მისი შეწყვეტა ვერ იქნება. აღსრულება სრულდება სააღსრულებო წარმოების დამთავრებით. აღსრულების შეწყვეტის საფუძვლებში ვერ გაერთიანდება აღსრულების დამთავრების ყველა საფუძველი. **აქედან გამომდინარეობს მორიგი დასკვნა: სააღსრულებო წარმოების დასრულების ორი ფორმა — შეწყვეტა და დამთავრება, არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძვლები სააღსრულებო წარმოების შემდგომი გაგრძელებისათვის გადაულახავ ბარიერს ქმნიან, რაც შეუძლებელს ხდის განმეორებით აღსრულებას შეწყვეტის შემდეგ. სააღსრულებო წარმოების დამთავრების საფუძველი (განსაკუთრებით, სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნებისას) შეიძლება გამოსწორდეს, რის გამოც**

## დასაშვებია აღსრულების განმეორებით მოთხოვნა.

განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული საფუძვლებით სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა სააღსრულებო წარმოებაში მხარეთა მიერ თავიანთი უფლებების განხორციელების შედეგია. ეს უფლებები სამოქალაქო პროცესში შეადგენს დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსს. შესაბამისად, კრედიტორსა და მოვალეს შორის მორიგების დადების დროს გამოიყენება ის მატერიალურ – სამართლებრივი და საპროცესო წესები, რომელთა გათვალისწინებითაც სამოქალაქო პროცესში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სასამართლო ამტკიცებს მორიგებას (მორიგების დამტკიცება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ პირობების დაცვის შემთხვევაში. აღნიშნული პირობების დარღვევა გამოიწვევს მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინების გაუქმებას). ამ წესების გათვალისწინება უნდა მოხდეს კრედიტორის მიერ გადახდევინებაზე უარის თქმის დროსაც, როდესაც კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, გადანყვეტილებას აღსრულების შეწყვეტის შესახებ იღებს სასამართლო. ამაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება შემდეგი წესი: სასამართლო მაშინ მიიღებს კრედიტორის უარს გადახდევინებაზე და დაამტკიცებს მორიგებას კრედიტორსა და მოვალეს შორის, თუ ეს მოქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 9 ნოემბრის გადანყვეტილებაში საქმეზე №ას-792-1079-09 მხარის მოთხოვნაზე, შეცვლილიყო მხარეთა მორიგების საფუძველზე მიღებული განჩინების აღსრულების წესი, განმარტა, რომ: განჩინების აღსრულების საშუალების შეცვლით თანხის სანაცვლოდ მხარისათვის თუნდაც გადასახდელ თანხაზე მეტი ღირებულების უძრავი ქონების

საკუთრებაში გადაცემით არსებითად შეიცვლება ზემოაღნიშნული განჩინებით დამტკიცებული მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი შედეგი და დაირღვევა მეორე მხარის კანონიერი უფლება, კანონით დადგენილი გზით -სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებით მოახდინოს ამ გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებული უფლებების განხორციელება.

აღსრულების შეწყვეტის ისეთი საფუძველი, როგორც კრედიტორის მიერ გადახდევინებაზე უარის თქმაა, გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც კრედიტორი უარს ამბობს მოვალისათვის ჩამორთმეული, მოვალისაგან ამოღებული საგნების მიღებაზე კრედიტორისათვის ამ საგნების გადაცემის შესახებ სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების დროს.

კრედიტორის უარი მოვალისათვის ჩამორთმეული (მოვალისაგან ამოღებული) საგნების მიღებაზე კრედიტორისათვის ამ საგნების გადაცემის შესახებ სააღსრულებო დოკუმენტის (გადაწყვეტილების) აღსრულების დროს, არსებითად, წარმოადგენს კონკრეტული ფორმით გამოხატულ კრედიტორის უარს გადახდევინებაზე. თუ კრედიტორი თანახმაა ამ საგნების ნაცვლად მიიღოს სხვა საგნები ან მათი შესაბამისი ღირებულება, მაშინ კრედიტორის უარმა გადაწყვეტილებით განსაზღვრული საგნების მიღებაზე უნდა გამოიწვიოს არა სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა, არამედ სასამართლოს წინაშე უნდა დაისვას საკითხი გადაწყვეტილების აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლის შესახებ (სსსკ-ის 263-ე მუხლი).

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორმა უარი თქვა საგნების მხოლოდ ნაწილის მიღებაზე, ხოლო მისთვის გადაცემული სხვა საგნები (დარჩენილი ნაწილი) მიიღო, მაშინ სააღსრულებო წარმოება უნდა შეწყდეს კრედიტორისათვის საგნების მხოლოდ იმ

ნანილის გადაცემის მიმართ, რომელთა მიღებაზეც მან უარი თქვა.

სააღსრულებო წარმოებაში მხარეებს აქვთ მორიგების უფლება. საქმე ისაა, რომ კანონის მე-18 მუხლში ასახული სააღსრულებო წარმოებაში მხარისათვის მინიჭებული უფლებების ჩამონათვალი, არ არის ამომწურავი. აქ ჩამოთვლილის გარდა, მხარეებს მრავალი სხვა უფლებაც აქვთ, მათ შორის ის უფლებებიც, რომლებიც სააღსრულებო წარმოებაში დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსს შეადგენს. კერძოდ, მათ უფლება აქვთ დადონ მორიგება, კრედიტორს უფლება აქვს უარი თქვას გადახდევინებაზე, შეუძლია ითხოვოს სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნება.

მორიგების უფლება პირდაპირ გამომდინარეობს 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განმტკიცებული წესიდან, რომლის თანახმადაც სააღსრულებო წარმოება წყდება კრედიტორსა და მოვალეს შორის მორიგების დამტკიცების შემთხვევაში. კრედიტორსა და მოვალეს შორის მორიგების დადებასა და დამტკიცებას ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება. ეს თავისებურებები არ არის ასახული სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

საინტერესოა, რა წესით შეიძლება განხორციელდეს მორიგების უფლება. ამ უფლების განხორციელების მექანიზმი არასრულყოფილად არის მოწესრიგებული კანონით. კერძოდ: კანონში არაფერია ნათქვამი, თუ ვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით მორიგების დამტკიცების შესახებ; რომელი საპროცესო დოკუმენტით უნდა განხორციელდეს მორიგების დამტკიცების შესახებ წარმოების აღძვრა; როგორია განცხადების განხილვის წესი, რომელი სასამართლო აქტი უნდა გამოიტანოს სასამართლომ განცხადების განხილვის შე-

დეგად. ერთადერთი, რაც კანონის მე-18 მუხლშია მითითებული, არის ის, რომ კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგებისას აღმასრულებელს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი სამი დღის ვადაში გადაუგზავნის სასამართლოს მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად.

წარმოება მორიგების დასამტკიცებლად სასამართლოში უნდა აღიძრას განცხადებით (და არა შუამდგომლობით).

მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ კრედიტორსა და მოვალეს. მათ უფლება აქვთ სასამართლოში შეიტანონ მორიგების დამტკიცების შესახებ ერთობლივი განცხადებაც. განცხადებას აუცილებლად უნდა ერთვოდეს სააღსრულებო დოკუმენტის ასლი და აღმასრულებლის ცნობა, რომლიდანაც უნდა ირკვეოდეს, რომ სააღსრულებო ფურცელი წარდგენილია აღსასრულებლად და იმყოფება მის წარმოებაში.

განცხადებას მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს კრედიტორისა და მოვალის მონაწილეობით, ე.ი. სასამართლო მათ ინვეს პროცესზე. მორიგების დამტკიცების შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სააღსრულებო წარმოება 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ კრედიტორსა და მოვალეს შორის მორიგების დამტკიცება სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველია და არა სასამართლოში დამთავრებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

სააღსრულებო წარმოების სტადიაზე კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული მორიგების დამტკიცებისას, სასამართლომ არ უნდა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება ან სხვა სა-



სამართლო აქტი, რომლის საფუძველზეც გაიცა სააღსრულებო დოკუმენტი და არ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რამდენადაც დასახელებულ მუხლში საუბარია მორიგების დამტკიცებაზე მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის და არა კრედიტორსა და მოვალეს შორის.

მხარეები სასამართლოში არ არიან შეზღუდულნი მორიგების იმ პირობებით, რომლებიც კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად მათ მიერ წარედგინა აღმასრულებელს და გადაიგზავნა სასამართლოში. სასამართლოს მიერ დამტკიცებამდე, მხარეებს უფლება აქვთ შეცვალონ მორიგების პირობები, ან სულაც უარი განაცხადონ მორიგებაზე. ამასთან, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ კრედიტორის მიერ გადახდევინებაზე უარის თქმის დროს და კრედიტორსა და მოვალეს შორის მორიგების დამტკიცების დროს გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესები, შესაბამისი მოქმედებების განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პირობები: მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა და მხარეთა მორიგების პირობები შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში და მას ხელს აწერს შესაბამისად მოსარჩელე, მოპასუხე ან ორივე მხარე. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა ზემოაღნიშნული განკარგვითი მოქმედებები გამოხატულია წერილობითი ფორმით და წარდგენილია სასამართლოში, ეს წერილობითი განცხადებები დაერთვის საქმეს, რაც აისახება სასამართლო სხდომის ოქმში.

სასამართლომ უნდა განუმარტოს მოსარჩელეს, მოპასუხეს ან მხარეებს სარჩელზე უარის თქმის, სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების სამართლებრივი შედეგები. მორიგების

დამტკიცების შესახებ სასამართლოს განჩინებაში მითითებული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ დამტკიცებული მხარეთა მორიგების პირობები.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება არ შეესაბამება კანონს (მაგალითად, განხორციელდა ნაკლიანი ნების საფუძველზე), სასამართლომ უნდა გააგრძელოს საქმის არსებითად განხილვა.

აღსრულების (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტის საფუძველია არა მხოლოდ კრედიტორის ან მოვალის გარდაცვალება, არამედ მათი გარდაცვლილად გამოცხადებაც, რაც სამართლებრივად გარდაცვალებას უთანაბრდება, თუ სასამართლო აქტით ან სხვა ორგანოს აქტით დადგენილი მოთხოვნები ან ვალდებულებები არ შეიძლება გადავიდეს გარდაცვლილის უფლებამონაცვლეზე.

თუკი ეს მოთხოვნები და ვალდებულებები შეიძლება გადაეცეს ზემოაღნიშნულ პირებს: უფლებამონაცვლეებს და კანონით მემკვიდრეებს, უფლებამონაცვლეობის წესით, მაშინ, წარმოება საქმეზე უნდა შეჩერდეს კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორის ან მოვალის სახით მონაწილე ფიზიკური პირის გარდაცვალება, აგრეთვე მისი გარდაცვლილად გამოცხადება გამოიწვევს სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა სამართალურთიერთობა, რომელზეც განხორციელდა იძულებითი აღსრულება, თავისი ხასიათით ისეთია, რომ არ უშვებს უფლებამონაცვლეობას (მაგალითად, ალიმენტების გადახდევინების შესახებ მოთხოვნები, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის

მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები და სხვ.)

სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აქტის გაუქმება, რომლის საფუძველზეც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, ან იმ დოკუმენტის გაუქმება, რომელიც კანონის ძალით წარმოადგენს სააღსრულებო დოკუმენტს, იწვევს სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას. მაგალითად, გადახდის ბრძანების გაუქმება სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის საფუძველია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ანუ აღსასრულებლად მისი წარდგენის ვადა და გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადები. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ ინსტიტუტებს წარმოადგენენ, სხვადასხვა შემთხვევას მოიცავენ. მოცემული ნორმით მონესრიგებულია გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადის საკითხი. გადაწყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის საკითხი მონესრიგებულია განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ და „კ“ ქვეპუნქტებით და ამ ნორმით დადგენილი ვადის გასვლა აღსრულების შეწყვეტის საფუძველია. განსახილველი ნორმის დანაწესის მიხედვით, ნორმის გამოყენებისას აუცილებელია საქმის კატეგორიის გათვალისწინება. საქმის კატეგორიის მიხედვით განსხვავებულია ხანდაზმულობის ვადა, კერძოდ, ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდევინების გამო ნორმის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხოლო „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად – თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სააღსრულებო წარმოებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ წყდება აღსრულება. შესაბამისად, განსახილველი ნორმის „ე“ ქვეპუნქტის დანაწესი – „გავიდა

იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა“-სხვა კატეგორიის საქმეებზე ხანდაზმულობის ვადის გავრცელების საფუძველი ვერ იქნება, ვინაიდან აღსრულების ხანდაზმულობის სხვა ვადას კანონი არ იცნობს.

კანონის 35-ე მუხლით დადგენილია, რომ სააღსრულებო ფურცლის /აღსასრულებელი გადანყვეტილების დაბრუნებისას... ამ კანონით დადგენილი გადანყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა ჩერდება, ამავე საქმესთან დაკავშირებით, ახალი სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე. შესაბამისად, სააღსრულებო ფურცლის / აღსასრულებელი გადანყვეტილების დაბრუნებისას, შეჩერდება მხოლოდ გადანყვეტილების აღსრულების ხანდაზმულობის ვადა და არა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

35-ე მუხლის თანახმად, თუ გადახდევინება არ მოხდება 2 წლის ვადაში, სააღსრულებო ფურცელი უბრუნდება კრედიტორს. ამავე დროს, კრედიტორს უფლება აქვს გადაიხადოს ყველწლიური 200 ლარიანი საფასური და სააღსრულებო ფურცელი დარჩება ბიუროს წარმოებაში. დასახელებული პუნქტი მიუთითებს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტზე, რომელიც ეხება სააღსრულებო საქმეზე იძულებითი წარმოების 10 წლიან ვადას. შესაბამისად, კრედიტორს შეუძლია აღსრულების ბიუროში საფასურის გადახდის სანაცვლოდ აღსრულება მოითხოვოს აღსრულების ხანდაზმულობის ვადით, ანუ ჯამში 10 წლიანი ვადით, მხოლოდ თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ წარმოებაზე. რაც შეეხება კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას, მას ეხება სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლი. მოცემული მუხლით გათვალისწინებული 10

ნლიანი ვადა უკვე აღიარებული, მინიჭებული უფლების განხორციელების ვადა<sup>32</sup>. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, იმას, ვის სასარგებლოდაც არის მიღებული გადანყვეტილება, შეუძლია მოითხოვოს მისი აღსრულება კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის, იძულებითი აღსრულების მოთხოვნაში და ა.შ. (უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეზე NNას-67-61-2015). თუმცა, თუ სააღსრულებო ბიურო 10 წლის ვადაში ვერ აღასრულებს აღსასრულებლად წარდგენილ სააღსრულებო დოკუმენტს, აღმასრულებელი ვალდებულია შეწყვიტოს იძულებითი აღსრულება კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მოვალეს ქონება, საიდანაც შესაძლებელია გადახდევინება. მოცემული სახის მოთხოვნისათვის კანონით დადგენილი ვადის გასვლა დოკუმენტალურად უნდა იქნეს დადასტურებული. გასულია თუ არა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, ამ გარემოების შემოწმება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა თავად აღმსრულებლის მოვალეობაა. იგი ვალდებულია დაუბრუნოს კრედიტორს სააღსრულებო დოკუმენტი, თუ კრედიტორმა დაარღვია მისი წარდგენის კანონით დადგენილი ვადა. საქმე ისაა, რომ თავისთავად სასამართლოს

32        ჯპროფესორ დავით სუხიტაშვილის მართებული მოსაზრების თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლში არ იგულისხმება მარტოოდენ სასამართლო გადანყვეტილების აღსასრულებლად წარდგენის ვადა, როგორც ამას მრავალი მეცნიერი მიიჩნევს. მასში იგულისხმება უფლების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის ვადაც, როდესაც აღიარებით სარჩელზე მიღებული სასამართლო აქტით დადგენილია უფლება და მომავალში საჭიროა ამ უფლების მიკუთვნებითი სარჩელის საფუძველზე განხორციელება. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს წინასწარი ანუ შულებური გადანყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, როდესაც სადაოა როგორც უფლება, ისე უფლების საფუძველი. უფლების საფუძვლის მიმართ მიღებულ გადანყვეტილებას პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს სხვა საქმისათვის, რომელზეც უფლების მოცულობა უნდა განისაზღვროს.

მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა აღსასრულებელი გად-  
ანყვეტილების საფუძველზე, ჯერ კიდევ როდი ნიშნავს იმას,  
რომ კრედიტორის მოთხოვნა არ არის ხანდაზმული. სასამართ-  
ლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სააღსრულებო ფურც-  
ლის გაცემაზე მაშინაც კი, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა  
ხანდაზმულია, ვინაიდან სასამართლოს არ გააჩნია ამ საკითხ-  
ში კონტროლის ფუნქცია სააღსრულებო ორგანოებზე. შესა-  
ბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობის განსაზღვრა მთლიანად  
აღმასრულებლის მოვალეობას შეადგენს. სააღსრულებო დო-  
კუმენტის (ფურცლის) აღსასრულებლად წარდგენის ხანდა-  
ზმულობის ინსტიტუტი მატერიალური სამართლის ინსტიტუ-  
ტია და შესაბამისად, მოთხოვნათა ხანდაზმულობაც სწორედ  
მატერიალური სამართლის მიხედვით უნდა განსაზღვროს აღ-  
მასრულებელმა. საპატიო მიზეზით გაშვებული სააღსრულებ-  
ო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის ვადა შეიძლება  
აღადგინოს სასამართლომ.

სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის ინსტიტუტი ხასიათ-  
დება არა მხოლოდ თავისი მიზნით, შინაარსით, საფუძველებით,  
არამედ ასევე, თავისი სპეციფიკური სამართლებრივი შედეგე-  
ბით, რომლებიც დგება აღმასრულებლის (ან სასამართლოს)  
მიერ მოცემული საპროცესო მოქმედების შესრულების შედე-  
გად.

განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებუ-  
ლი სამართლებრივი შედეგები დგება მხოლოდ სააღსრულებ-  
ო წარმოების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს განჩინების  
კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ამ განჩინების ასლი უნდა  
გადაეცეს აღმასრულებელს ან ჩაბარდეს მას სამოქალაქო საპ-  
როცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების

სათანადო წესით დამონმებული ასლის მიღების შემდეგ აღმასრულებელი ვალდებულია გააუქმოს აღსრულების ქვემდებარე აქტის აღსასრულებლად თავის მიერ მიღებული აღსრულების ყველა ღონისძიება და ამის შესახებ აღნიშნოს სააღსრულებო დოკუმენტში, ამასთან, აქვე უნდა მიუთითოს გაუქმების საფუძველი. სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება და სააღსრულებო დოკუმენტი აღმასრულებლის შესაბამისი აღნიშვნით აღმასრულებელმა უნდა დაუბრუნოს სასამართლოს ან ამ დოკუმენტის გამცემ სხვა ორგანოს. შეწყვეტილი სააღსრულებო წარმოება არ შეიძლება აღიძრას (დაიწყოს) ხელახლა.

## **მუხლი 35. სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება**

**1. კრედიტორისათვის სააღსრულებო საბუთის დაბრუნება სააღსრულებო წარმოების დამთავრების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დროსაც კრედიტორს არ ერთმევა სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად განმეორებით წარდგენის უფლება.**

კრედიტორისათვის სააღსრულებო დოკუმენტის (საბუთის) დაბრუნების ინსტიტუტი არსებითად განსხვავდება სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის ინსტიტუტისაგან სხვადასხვა ნიშნით, კერძოდ: მიზნებით, ამ მოქმედებების განხორციელების უფლების მქონე სუბიექტებით, იმ საფუძვლებით, რომელთა არსებობის დროსაც შესაძლებელია მათი განხორციელება, ამ მოქმედებათა შესრულების შედეგად დამდგარი სამართლებრივი შედეგებით.

კრედიტორისათვის სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნება არ იწვევს სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას. იგი არ წარმოადგენს კანონით დადგენილი აღსრულების ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში ამ დოკუმენტის აღსასრულებლად ხელახლა წარდგენის დამაბრკოლებელ ფაქტორს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სააღსრულებო დოკუმენტის გადასახდევინებლად (ე.ი. აღსასრულებლად) წარდგენის მომენტიდან სააღსრულებო ხანდაზმულობის ვადა წყდება და დენას თავიდან იწყებს.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაუბრუნდეს სააღსრულებო დოკუმენტი, წყდება კანონის 35-ე მუხლით იმისა და მიხედვით, დამთავრდა სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულება მთლიანად თუ არა. თუ სააღსრულებო დოკუმენტით (საბუთით) არ მოხდება გადახდევინება, ან ნაწილობრივ მოხდება გადახდევინება, მაშინ ის უბრუნდება კრედიტორს.



აღსრულებული სააღსრულებო დოკუმენტი კი, მას არ უბრუნდება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, აღსრულებული სააღსრულებო საბუთი უბრუნდება სასამართლოს ან ამ საბუთის (დოკუმენტის) გამცემ სხვა ორგანოს.

2. კრედიტორისათვის იმ სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების საფუძვლები, რომლითაც არ მოხდა გადახდევინება, დაწვრილებით არის ჩამოთვლილი განსახილველი მუხლის 1-ლ პუნქტში, კერძოდ:

ა) კრედიტორისათვის, მისივე განცხადებით, სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნება, სააღსრულებო წარმოებაში დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედების შედეგია;

ბ) იმის შესახებ, რომ მოვალეს არ გააჩნია ქონება ან შემოსავალი, რომელზეც შეიძლება მიექცეს გადახდევინება (ანუ მოხდეს კრედიტორის მოთხოვნათა დაკმაყოფილება), დგება აქტი (ოქმი). აღმასრულებელს სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების უფლება აქვს მხოლოდ მაშინ და იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ მიღებული კანონით დაშვებული ყველა ღონისძიება მოვალის ქონების ან შემოსავლების დასადგენად უშედეგო აღმოჩნდა;

გ) კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელში (სააღსრულებო დოკუმენტში) აუცილებლად უნდა მიეთითოს კრედიტორისა და მოვალის რეკვიზიტები, ე.ი. თუ კრედიტორი და მოვალე იურიდიული პირებია (ორგანიზაციებია) მათი სახელწოდება და მისამართი, თუ კრედიტორი და მოვალე ფიზიკური პირებია – მათი სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი, მოვალე ფიზიკური პირის დაბადების თარიღი, ადგილი და მისი სამუშაო ადგილი. სააღსრულებო კანონმდებლობით არ არის მონესრულებული სააღსრულებო ფურცლისადმი წაყენებული მოთხოვნების დარ-

ლვევის (დაუცველობის) სამართლებრივი შედეგები, რაც მის ხარვეზს წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ თუ ჩამოთვლილი მონაცემები არ არის მითითებული სააღსრულებო დოკუმენტში, მაშინ იგი უნდა დაუბრუნდეს სასამართლოს ან სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სხვა ორგანოს.

კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მხედველობაშია სხვა სიტუაცია, კერძოდ, ისეთი შემთხვევა, როცა მოვალე ორგანიზაციამ (იურიდიულმა პირმა) ან მოვალე ფიზიკურმა პირმა, შეიცვალეს თავიანთი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი სააღსრულებო დოკუმენტის გაცემის შემდეგ (ანდა ისინი თავიდანვე არასწორადაა მითითებული), მაგრამ ამის შესახებ არც კრედიტორს და არც აღმასრულებელს არ შეატყობინეს. ამ შემთხვევაში აღმასრულებელმა უნდა მიიღოს ზომები მოვალის მისამართის ან საცხოვრებელი ადგილის დასადგენად. კერძოდ, ამისათვის მან უნდა დაიბაროს კრედიტორი და მასთან უნდა გამოარკვიოს საჭირო მონაცემები, დაუკავშირდეს თანამდებობის პირებს მოვალე ფიზიკური პირის უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიხედვით ანდა მის ნათესავებს (თუკი მათ შესახებ არსებობს რაიმე მონაცემი) და გაარკვიოს, ხომ არ არის ცნობილი მათთვის, ბოლო დროს სად მუშაობს იგი, საცხოვრებელი ადგილის მისამართის დასადგენად მიმართოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და სხვ. ზემოაღნიშნული საფუძვლით კრედიტორისათვის სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების უფლება აღმასრულებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მიღებულმა ზომებმა არავითარი შედეგი არ გამოიღო. თუ გამოცხადებულია მოვალის ძებნა (იხ. კანონის 30-ე მუხლი), ამავე კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესი არ გამოიყენება. დაბოლოს, კანონის ეს ქვეპუნქტი ხარვეზს შეიცავს იმ

მხრივ, რომ მის შინაარსში მხოლოდ ფიზიკურ პირებზეა საუბარი, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი უნდა გავრცელდეს იურიდიულ პირებზეც.

კანონის ამავე პუნქტის თანახმად, სააღსრულებო საბუთის დაბრუნების საფუძველია მოვალის კუთვნილი ქონების შესახებ ინფორმაციის მიღების შეუძლებლობა (მაგალითად, ფული-სა და სხვა ფასეულობების შესახებ, რომლებიც ასახულია ანგარიშზე და ანაბარზე, ან განთავსებულია შესანახად ბანკში ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში).

დ) მოცემული სამართლებრივი ნორმის გამოყენების დროს, რომელიც განმტკიცებულია 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “გ” ქვეპუნქტში, წარმოიშობა საკითხი, თუ კონკრეტულად კრედიტორის რომელი მოქმედება/უმოქმედობა შეიძლება ჩაითვალოს სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების შემაფერხებლად და რაში უნდა გამოვლინდეს ამგვარი მოქმედება ან უმოქმედობა პრაქტიკაში. საეჭვოა, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი მოქმედებების დაწვრილებითი ჩამონათვალის დასახელება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, კერძოდ, ამ მოქმედებებს უნდა მივაკუთვნოთ არასაპატიო მიზეზით კრედიტორის გამოუცხადებლობა მისთვის ქონების გადაცემისას, კრედიტორის მიერ იმ მოქმედებების შესრულებაზე უარის თქმა, რომლებიც აუცილებელია მოვალის მიერ სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად და სხვა.

სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების დროს აღმასრულებელი ადგენს ამის შესახებ შესაბამის აქტს, რომელსაც ამტკიცებს ბიუროს უფროსი.

კანონის ხარვეზია ის, რომ იგი არ ითვალისწინებს სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების სამართლებრივ შედეგებს. ამგვარი შედეგების განსაზღვრა ჩვენ შეგვიძლია

მოვახდინოთ კანონის ანალიზის საფუძველზე, კერძოდ კრედიტორისათვის სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნება არ წარმოადგენს აღნიშნული დოკუმენტის აღსასრულებლად ხელახლა წარდგენის დამაბრკოლებელ ფაქტორს. **სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისაგან იგი სწორედ იმით განსხვავდება, რომ კრედიტორი ინარჩუნებს სააღსრულებო წარმოების ხელახლა დაწყების უფლებას.** მაგრამ კრედიტორს ამის განხორციელება შეუძლია აღსრულების ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, რომელიც მისთვის სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნების მომენტიდან გამოითვლება ხელახლა (თავიდან).

კრედიტორისათვის სააღსრულებო დოკუმენტის დაბრუნებით სააღსრულებო წარმოება მთავრდება აღსრულების გარეშე.

3. მოქმედი სააღსრულებო კანონმდებლობით, კრედიტორისათვის სააღსრულებო საბუთის დაბრუნების შემთხვევაში, კრედიტორის მიერ განეული აღსრულების ხარჯების არც სრულად და არც ნაწილობრივ დაბრუნება გათვალისწინებული არ არის.

### **აღსრულების შეწყვეტისა და სააღსრულებო საბუთის უკან დაბრუნების მართლზომიერების სასამართლო კონტროლი**

აღსრულების შეწყვეტაც და სააღსრულებო საბუთის უკან დაბრუნებაც მართლზომიერად ე.ი. კანონის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, აღნიშნული მოქმედებების განხორციელებამ მხარეთა უფლებების ხელყოფა რომ არ გამოიწვიოს.

მაგალითად, მოვალე შესაძლოა უთითებდეს აღსრულების ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე, რაც იწვევს კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს, ხოლო აღმასრულებელმა შესაძლოა უარი თქვას უსაფუძვლობის გამო

მოვალის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის მოტივით აღსრულების შეწყვეტის თაობაზე, ვინაიდან უსაფუძვლო შუამდგომლობის დაკმაყოფილება შელახავს კრედიტორის უფლებებს. თავის მხრივ, არამართლზომიერი უარი არღვევს მოვალის უფლებებს. მსგავს შემთხვევებში, როდესაც არ არის ერთმნიშვნელოვანი და სადავოა ანუ ეჭვს იწვევს აღსრულების შეწყვეტის ან სააღსრულებო საბუთის დაბრუნების მართლზომიერების საკითხი, საბოლოო გადანაცვეტილებას, იღებს სასამართლო. ასეთ დროს, აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს კანონის მე-18 მუხლით დადგენილი 1 თვიანი ვადა.

კანონი განსაზღვრავს იმ სუბიექტების წრესაც, რომელთაც აღსრულების შეწყვეტის ან სააღსრულებო საბუთის დაბრუნების<sup>33</sup> შესახებ საკითხის საეჭვოობისას (სადავოობისას) აქვს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

---

33 უფრო მართებული იქნებოდა, თუ კანონში მიეთითებოდა არა სააღსრულებო საბუთის დაბრუნების შესახებ, არამედ აღსრულების დამთავრების შესახებ.

## მუხლი 36. აღსრულების შეჩერება და მისი ვადები

1. გარემოება, რომელიც აფერხებს სააღსრულებო მოქმედების შესრულებას, თავისი ხასიათითა და შინაარსით იმგვარია, რომ მისი წარმოშობისას შეუძლებელია განვსაზღვროთ, როდის შეწყვეტს იგი არსებობას. ამ შემთხვევაში სააღსრულებო მოქმედებათა შესრულება არ შეიძლება გადაიდოს, ვინაიდან შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების ახალი დღე. ამიტომ წარმოიშობა სააღსრულებო წარმოების შეჩერების აუცილებლობა. სააღსრულებო წარმოების შეჩერება არის სასამართლოს მიერ სააღსრულებო მოქმედებების დროებითი (ამასთან, განუსაზღვრელი ვადით) შეწყვეტა, რაც, როგორც წესი, გამოწვეულია ობიექტური (ე.ი. სასამართლოსგან, აღმასრულებლისა და მხარეთაგან დამოუკიდებელი) გარემოებებით, რომლებიც აფერხებენ სააღსრულებო წარმოების შემდგომ მსვლელობას და რომელთა მიმართ შეუძლებელია განისაზღვროს, თუ როდის აღმოიფხვრებიან ისინი და როდის გაჩნდება სააღსრულებო წარმოების განახლების შესაძლებლობა.

იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ, რომლებიც საფუძვლად დაედო წარმოების შეჩერებას, იგი შეიძლება განახლდეს.

სააღსრულებო წარმოების შეჩერება არსებითად განსხვავდება სააღსრულებო მოქმედებათა და იძულებითი აღსრულების ღონისძიებათა გადადებისაგან, კერძოდ:

1) სააღსრულებო წარმოება ჩერდება განუსაზღვრელი ვადით, მაშინ როცა სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების გადადების დროს, აღმასრულებელი ყოველთვის ვალდებულია ზუსტად განსაზღვროს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ახალი დრო;

2) სააღსრულებო წარმოების შეჩერება განპირობებულია გარემოებებით, რომლებიც არ არის დამოკიდებული სასამართლოს, აღმასრულებლის და მხარეთა ნებაზე, სააღსრულებო მოქმედებათა გადადება კი, როგორც წესი, გამოწვეულია სუბიექტური ხასიათის მიზეზებით;

3) იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ, რომლებიც სააღსრულებო წარმოების შეჩერებას დაედო საფუძვლად, სააღსრულებო წარმოება უნდა განახლდეს. გადადების შემდეგ კი, განახლება არ ხდება. სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების გადადების შემთხვევაში, აღმასრულებელი ნიშნავს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ახალ დროს. შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლებისათვის კი სასამართლომ აუცილებლად სპეციალური განჩინება უნდა გამოიტანოს;

4) კანონი განსაზღვრავს სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძვლებს. რაც შეეხება გადადებას, კანონში გადადების საფუძვლების სანიმუშო ჩამონათვალიც კი არ არის მოცემული;

5) კანონში საუბარია სააღსრულებო წარმოების შეჩერებაზე, მაგრამ არა სააღსრულებო მოქმედების შესრულების და იძულებითი ღონისძიებების აღსრულების გადადებაზე;

6) სააღსრულებო წარმოება შეიძლება შეჩერდეს როგორც სრულად ისე ნაწილობრივ. მსგავს მიდგომას ვერ გამოვიყენებთ გადადების მიმართ;

7) თუ დროის მონაკვეთით ვიმსჯელებთ, შეჩერება ყოველთვის უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ვიდრე გადადება.

კანონის მიხედვით, სააღსრულებო წარმოების შეჩერებას ადგილი აქვს ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლებიც ყოველთვის აფერხებენ აღსრულების შემდგომ მსვლელობას. ეს გარემოებები აღმასრულებელს კრედიტორისა და მოვალის უფლებების სათანადოდ დაცვის საშუალებას არ აძლევს.

სწორედ ამიტომ უნდა შეჩერდეს სააღსრულებო წარმოება მანამ, სანამ ისინი არ იქნება აცილებული.

მოვალის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობის (განცხადების) შეტანა, ანდა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე საჩივრის შეტანა, ანდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელ იმ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანა, რომელთა საფუძველზეც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, ან საქმის განახლების წესით ამ აქტების გადახედვის შესახებ განცხადების შეტანა, მოქმედი კანონით, სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველი არ არის.

2. 36-ე მუხლში ჩამოთვლილია საფუძველები, რომელთა არსებობის დროსაც სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს სააღსრულებო წარმოება, კერძოდ:

ა) აღსრულების შეჩერების საფუძველია იურიდიული პირის ლიკვიდაცია. კანონმდებელს აქ უზუსტობა აქვს დაშვებული და ნაცვლად ლიკვიდაციისა უნდა ეწეროს რეორგანიზაცია, ვინაიდან ლიკვიდაციისას იურიდიული პირი წყვეტს არსებობას მისი უფლება-მოვალეობების უფლებამონაცვლეზე გადასვლის გარეშე.

აღნიშნული გარემოება სააღსრულებო წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძველია, თუ სასამართლოს მიერ დადგენილი სამართალურთიერთობა უშვებს უფლებამონაცვლეობას. თუ სადავო სამართალურთიერთობა არ უშვებს უფლებამონაცვლეობას, მაშინ სააღსრულებო წარმოება (აღსრულება) წყდება (იხილეთ 34-ე მუხლის კომენტარი).

ფაკულტატურია განსახილველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული სააღსრულებო წარმოე-



ბის შეჩერების საფუძველი. აღნიშნული საფუძველი ფართოდ უნდა განიმარტოს. კერძოდ, მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალების გარდა, სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველს წარმოადგენს, აგრეთვე, ისეთი გარემოება, როგორც მათი გარდაცვლილად გამოცხადებაა.

უფლებამონაცვლეობა დაიშვება ქონებრივი სამართალურთ-იერთობების უმრავლესობაში. სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სხვა პირზე არ დაიშვება კრედიტორის პიროვნებასთან განუყოფლად დაკავშირებული უფლებების გადასვლა, მაგალითად, ასეთია ალიმენტების შესახებ და სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები და სხვა.

აღსრულება არ შეიძლება შეჩერდეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად მოვალის აღიარებისას. ასეთ დროს უფლებამონაცვლეობა საერთოდ არ დგება. ამიტომ იმ მოთხოვნის ხასიათს, რომელზეც მიმდინარეობს (ხორციელდება) სააღსრულებო წარმოება, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

ბ) აღსრულების სავალდებულო შეჩერების საფუძველების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. მაგალითად, საომარ მოქმედებებში, საქართველოს შეიარაღებული ძალების, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი სხვა საჯაროსო ნაწილებისა და სამხედრო ფორმირებების შემადგენლობაში მოვალის მონაწილეობის ფაქტი, სააღსრულებო წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძველია. **თუ ასეთ პირობებში აღმოჩნდა და იმყოფება კრედიტორი და არა მოვალე, მაშინ სააღსრულებო წარმოება, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეჩერდეს, თუ კრედიტორი მიმართავს ამის შესახებ სასამართლოს.** სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ კრედიტორის შუამდგომლობა სასამართლოში წერილობითი ფორმით უნდა

იქნეს შეტანილი. განსახილველი ნორმა უნდა განივრცოს. კერძოდ, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს სააღსრულებო წარმოება მოვალის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის, აგრეთვე საომარი კონფლიქტების პირობებში დავალებათა შესრულების შემთხვევაში, ან იმ კრედიტორის თხოვნით, რომელიც მონაწილეობს საომარ მოქმედებებში ან საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში დავალებათა შესრულებაში, აგრეთვე საომარი (სამხედრო) კონფლიქტების პირობებში;

გ) იმ შემთხვევებში, როცა სააღსრულებო წარმოება აღძრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილების საფუძველზე, ასეთ დადგენილებაზე საჩივრის შეტანა იწვევს სააღსრულებო წარმოების სავალდებულო შეჩერებას.

36-ე მუხლის „გ“ პუნქტში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელ ორგანოში შეტანილ საჩივარზეა საუბარი. უნდა განვმარტოთ, რომ სააღსრულებო წარმოება სავალდებულო წესით უნდა შეჩერდეს იმ ორგანოების ან თანამდებობის პირების მოქმედებებზე საჩივრის სასამართლოში შეტანის შემთხვევაში, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საქმეები.

დ) აღწერის სიიდან ქონების გათავისუფლების (ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების) შესახებ სარჩელის წარდგენა, როგორც სააღსრულებო წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძველი (სავალდებულო პირობა სააღსრულებო წარმოების შეჩერებისა) გათვალისწინებულია კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (აქვე განვმარტავთ, რომ ამ სარჩელს ზემოაღნიშნული ორი სახელწოდება გააჩნია. შესაბამისად,

ორივე არსებული სახელწოდების გამოყენებაა შესაძლებელი). აღნიშნულ ქვეპუნქტში დაზუსტებულია, თუ სახელდობრ რომელი ქონების შესახებ არის საუბარი, კერძოდ: სააღსრულებო წარმოება სავალდებულო წესით უნდა შეჩერდეს ყადაღისაგან იმ ქონების გათავისუფლების (აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის) შესახებ სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში, რომელზეც სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მიქცეულია გადახდევინება. უფრო უკეთესი იქნებოდა დასახელებული ქვეპუნქტი ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: "... ყადაღისაგან იმ ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის სასამართლოს მიერ წარმოებაში მიღებით, რომელზეც მიქცეულია გადახდევინება „სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე“. ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის სასამართლოში დადგენილი წესის დარღვევით წარდგენა არ იწვევს სამოქალაქო საქმის წარმოების აღდგრას (იხ. სსსკ-ის 186-ე მუხლი) და შესაბამისად, არც უნდა გამოიწვიოს სააღსრულებო წარმოების შეჩერება;

ე) მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ იმ სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერება, რომლის საფუძველზეც გაიცა სააღსრულებო დოკუმენტი, შეუძლიათ მხოლოდ იმ სასამართლოებს, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვთ საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ გამოტანილი სასამართლო აქტების (სასამართლო დადგენილებების) აღსრულების შეჩერების უფლება.

სსსკ-ის 432-ე მუხლის თანახმად, საქმის განახლების სტადიაზე სასამართლოს შეუძლია განმცხადებლის შუამდგომლობით თავისი განჩინებით დროებით (იგულისხმება წარმოების დამთავრებამდე) შეაჩეროს გადანყვეტილების აღსრულება. სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებას აჩერებს მა-

შინ, როცა ასეთი შეჩერების შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი იძლევა მეორე მხარისათვის შესაძლო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიებს, ანუ იძლევა შეგებებულ, შემხვედრ უზრუნველყოფას, სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე ფულადი თანხის შეტანის გზით, სადავო თანხის ოდენობით, ანდა, იძლევა საბანკო გარანტიას, თავდებობას ან სხვაგვარ ფინანსურ უზრუნველყოფას იმავე თანხაზე. დასახელებული ნორმით გადანყვეტილების აღსრულების შეჩერების საკითხის გადანყვეტა სასამართლოს შეხედულებაზე დამოკიდებული და აღნიშნული საკითხის გადანყვეტისას სასამართლო უმთავრესად ხელმძღვანელობს განცხადების საფუძვლიანობით, ანუ სასამართლო აფასებს განცხადების დასაბუთებულობას და მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს მოთხოვნას, თუ გადანყვეტილების აღსრულების შეუჩერებლობით შეილახება მხარის პატივსადავები ინტერესი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უარს ეტყვის მოთხოვნას დააკმაყოფილებაზე. ამავე ნორმით დადგენილია ისიც, რომ საქმის წარმოების შეჩერების მომთხოვნმა პირმა შუამდგომლობა შესაბამისი გარანტიის წარდგენით უნდა გაამყაროს, რითაც დაცული იქნება იმ მხარის ინტერესი, რომლის სასარგებლოდაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადანყვეტილება.

სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერების ან აღსრულების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება (ამასთან, კანონით არ არის განსაზღვრული, თუ შუამდგომლობის სასამართლოში აღძვრიდან რა ვადაში გამოაქვს მას ეს განჩინება). განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს განჩინებათა გასაჩივრებისათვის საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესებით. განჩინების ასლები ეგზავნებათ

საქმის მონაწილე პირებს. ამრიგად, სასამართლოს სსსკ-ის 432-ე<sup>34</sup> მუხლის მიხედვით, შეუძლია შეაჩეროს სასამართლო აქტის აღსრულება, თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერებას მხარეთა ურთიერთსანაცვლო უფლებებისა და მოვალეობების დაბალანსების უზრუნველყოფის მიზნით. სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერების გაუქმების შესახებ გამოიტანება განჩინება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ სასამართლოს, რომელიც იხილავს განცხადებას საქმის განახლების შესახებ, უფლება აქვს შეაჩეროს არა მხოლოდ გადაწყვეტილების, არამედ სასამართლოს განჩინებების აღსრულება, მაგალითად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება, რომლითაც გაუქმდა ქვემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილება და გამოტანილ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ასევე განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, განჩინება მორიგების დამტკიცების შესახებ.

ამასთან, მოსამართლეს არა აქვს უფლება შეაჩეროს საერთო იურისდიქციის სასამართლო აქტის (გადაწყვეტილების ან განჩინების) აღსრულება, რომელიც კანონის თანახმად, ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არის მიქცეული (იხ. სსს-ის 270-ე მუხლი). ეს დანაწესი ლოგიკური და სწორია, ვინაიდან გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება კანონის იმპერატიული მითითების საფუძველზე, რომელიც არ შეიძლე-

34 საქმის განახლების წესით აღსრულების შეჩერება, მრავალი ნიშნით განსხვავდება სარჩელის უზრუნველყოფის წესით აღსრულების შეჩერებისაგან. ერთ-ერთი ნიშანია ის, რომ საქმის განახლებისას აღსრულების შეჩერება შეუძლია ნებისმიერ მხარეს, ვის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, მაშინ როცა, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანი არის მოსარჩელეს ინტერესების დაცვა მოპასუხის ქონების შენარჩუნებით.

ბა შეიცვალოს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს შეხედულებით.

სასამართლოს მიერ ქონების დაყადაღება არ არის აღსრულების პროცესში აღნიშნული ქონების იძულებითი რეალიზაციის ხელშემშლელი გარემოება. ამ წესიდან გამონაკლისს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად დადებული ყადაღა აჩერებს აღსრულებას პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე.

არ შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება, თუ ის უკვე აღსრულებულია. ასეთი გადაწყვეტილების (სასამართლო აქტის) შეჩერების შესახებ განჩინება უსაგნოა, ამიტომ ის სასამართლო თუ მოსამართლე, რომელსაც აქვს სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერების უფლება, მანამ, სანამ მიიღებს მისი შეჩერების შესახებ განჩინებას, უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სასამართლო აქტი არ არის აღსრულებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსში პირდაპირი წესით არ არის მითითებული, თუ რა დროით შეიძლება შეაჩეროს სასამართლომ სასამართლო აქტის აღსრულება. სსსკ-ის LII თავში მოცემული სამართლებრივი ნორმების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სასამართლო აქტის აღსრულება ჩერდება საქმის განახლების წესით წარმოების დამთავრებამდე. წარმოების დამთავრებაში იგულისხმება განახლების წესით განცხადების განმხილველი სასამართლოს მიერ განჩინების მიღება საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ვ) განსახილველ მუხლში ჩამოთვლილი სააღსრულებო წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძველთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სააღსრულებო წარმოება შეიძლება შეჩერდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, სააღსრულებო წარმოების სავალდებულო შეჩერების საფუძველია სასამართლოს მიერ მოვალის გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმის წარმოების აღძვრის ფაქტი (იხ. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

მაგალითი: სასამართლოს გადაწყვეტილება კრედიტორის სასარგებლოდ მოვალისათვის თანხის დაკისრების შესახებ შევიდა კანონიერ ძალაში და კრედიტორს გადაეცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცელი წარმოდგენილი იქნა აღსასრულებლად.

იმდენად, რამდენადაც მოვალეს არ გააჩნდა ფულადი თანხა და სასამართლოს გადაწყვეტილება დიდი ხნის განმავლობაში არ აღსრულდა, მხარეებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს მორიგების დამტკიცებისა და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მორიგების პირობების მიხედვით, მოპასუხე ნებაყოფლობით კისრულობდა მოსარჩელისათვის ერთ-ერთი უძრავი ქონების გადაცემის ვალდებულებას. ეს ქონება უკვე დაყადაღებული იყო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო წარმოების ფარგლებში ამ საქმეზე.

სასამართლოს განჩინებით მორიგების დამტკიცებაზე მხარეებს უარი ეთქვათ. უარი მოტივირებული იქნა იმით, რომ მხარეებმა არ წარადგინეს სათანადო მტკიცებულებები მოპასუხის (მოვალის) საკუთრების უფლების დასადასტურებლად

მის მიერ მორიგების საფუძველზე გასასხვისებელ უძრავ ქონებაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, დაცულია თუ არა მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის წესი. მოთხოვნა მიეკუთვნება მესამე რიგს. საქმე ისაა, რომ მორიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და სხვა ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს და არ უნდა არღვევდეს სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. დასახელებულ დებულებებთან მორიგების შესაბამისობის შესახებ სასამართლოს დასკვნები დასაბუთებულია.

გარდა ამისა, მორიგების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღებამდე, იმავე სასამართლოს განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული განცხადება გადახდისუუნარობის შესახებ, რითაც აღიძრა (გაიხსნა) მოპასუხის გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ საქმე.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია, რომ სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების და შესაბამისად, მოვალის გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ საქმის წარმოების აღძვრის შემთხვევაში იძულებითი აღსრულება, ე.ი. დანყებული სააღსრულებო წარმოება და მოვალის იმ ქონების რეალიზაცია, რომელზეც მიქცეულია გადახდევინება, ჩერდება გაკოტრების სასამართლოს მიერ საკითხის არსებითად განხილვამდე.

რადგან სასამართლოში დასამტკიცებლად წარდგენილი მორიგება მიმართული იყო სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული ქონებრივი გადასახდელის საგნის შეცვლისაკენ, რომლის აღსრულებაც უნდა შეჩერებულიყო, სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა ზემოთხსენებული მოთხოვნებით.



განვმარტავთ, რომ მსგავს შემთხვევებში, მოვალის უძრავი ქონების ერთ-ერთი კრედიტორისათვის გადაცემის შესახებ მორიგების აქტის დამტკიცება მიმართულია კანონმდებლობით დადგენილი წესების და აკრძალვებისათვის გვერდის ავლისაკენ და არღვევს მოვალის სხვა კრედიტორების უფლებებს.

საფუძვლიანია სასამართლოს მითითება იმაზეც, რომ საქმეში არ არსებობს სათანადო მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მორიგების აქტით გასხვისებული უძრავი ქონების კონკრეტული ობიექტების მოპასუხისადმი (მოვალისადმი) საკუთრების უფლებით კუთვნილების ფაქტს.

ასეთი გარემოებების არსებობის დროს კი, სასამართლოს მიერ მორიგების დამტკიცება და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა არ იქნებოდა კანონმდებლობისა და საქმის მასალების შესაბამისი გადაწყვეტილება.

### **სააღსრულებო წარმოების შეჩერების ვადები**

1. სააღსრულებო წარმოების შეჩერების ვადები განისაზღვრება შეჩერების თითოეული საფუძვლისათვის ცალ-ცალკე (ინდივიდუალურად). შეჩერების ყველა საფუძვლისათვის საერთო წესის დადგენა დაუშვებელია, რადგან სააღსრულებო წარმოების განახლების შესაძლებლობის გაჩენა იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი საფუძვლით იქნა იგი შეჩერებული.

შეჩერების ყველა საფუძვლის მიმართ თავიდანვე იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ როდის აღმოიფხვრებიან სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებები, შეუძლებელია იმის გამო, რომ ეს გარემოებები სხვადასხვაგვარია. ფაქტების სპეციფიკა, რომელთა დადგომითაც შეჩერებული სააღსრულებო წარმოება უნდა განახლდეს, განისაზღვრება იმ გარემოებების თავისებურებებით და სპეციფიკით,

რომლებიც საფუძვლად დაედო მის შეჩერებას.

ასე მაგალითად, თუ სააღსრულებო წარმოება შეჩერებული იყო მოვალის გარდაცვალების გამო, მაშინ იგი უნდა შეჩერდეს გარდაცვლილის უფლებამონაცვლეების დადგენამდე. მხოლოდ მათი დადგენის შემდეგ აღმოიფხვრება სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებები და ნათელი გახდება, თუ კონკრეტულად ვინ უნდა შეასრულოს სააღსრულებო დოკუმენტი.

ზოგადი წესის მიხედვით, შეჩერებული სააღსრულებო წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ, რომლებიც საფუძვლად დაედო მის შეჩერებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სააღსრულებო წარმოების შეჩერება ხორციელდება დასახელებულ გარემოებათა აღმოფხვრამდე (მაგალითად, უფლებამონაცვლის დადგენამდე, ქმედუუნარო მოვალისათვის მეურვის დანიშვნამდე და ა.შ.).

შეჩერებულ სააღსრულებო წარმოებაზე სააღსრულებო მოქმედებები არ სრულდება. ამ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ სააღსრულებო წარმოება კრედიტორის განცხადებით ან აღმასრულებლის ინიციატივით იმ სასამართლოს მიერ განახლდება, რომელმაც იგი შეაჩერა. სააღსრულებო წარმოების განახლებით განახლდება ხანდაზმულობის ვადების დენაც.

2. კანონის 36-ე მუხლის გამოყენებისას აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მასში სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძვლები დეტალურად და დანვრილებით არის გადმოცემული. ამიტომ მაგალითად, მოვალის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობის (საჩივრის) შეტანა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე საჩივრის შეტანა, რომლის საფუძველზეც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი,

ან განცხადების შეტანა ამ და სხვა სასამართლო აქტების გადასინჯვის შესახებ საქმის განახლების წესით, მოქმედი კანონით არ წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველს.

იურიდიული პირის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოება განახლდება მისი უფლებამონაცვლის განსაზღვრის შემდეგ, როდესაც სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში (რომლიდანაც აღსრულების სტადიაზე მოხდა წინამორბედი იურიდიული პირის გასვლა), დასაშვებია უფლებამონაცვლეობა.

სააღსრულებო წარმოება შეჩერდება:

1) მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალების ან გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში, მათი უფლებამონაცვლების დადგენამდე;

2) უგზოუკვლოდ დაკარგულად მოვალის აღიარების შემთხვევაში – სასამართლოს მიერ განსაზღვრული იმ კანონისმიერი მემკვიდრისათვის მისი ქონების გადაცემამდე, რომელმაც უნდა მართოს უგზო-უკვლოდ დაკარგული აღიარებული მოვალის ქონება;

3) ქმედუუნაროდ მოვალის ცნობის შემთხვევაში – მისთვის მეურვის დანიშვნამდე;

4) კრედიტორის ან მოვალის განვევით სამხედრო სამსახურში ყოფნის შემთხვევაში – ამ სამსახურიდან გათავისუფლებამდე ან კონტრაქტით სამხედრო სამსახურის დაწყებამდე;

5) ხანგრძლივ მივლინებაში მოვალის ყოფნის შემთხვევაში – მივლინებიდან დაბრუნებამდე;

6) სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებაში მოვალის ყოფნის შემთხვევაში – ამ დაწესებულებიდან მის გამონერამდე;

7) მოვალის ძებნის შემთხვევაში – მისი ძებნის დასრულებამდე;

8) სააღსრულებო მოქმედებების, სააღსრულებო დოკუმენტის, სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს იმ აქტის გასაჩივრების შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც ის არის გაცემული – საკითხის არსებითად განხილვის დამთავრებამდე;

9) აღმასრულებლის აცილებაზე უარის გასაჩივრების შემთხვევაში – სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვამდე;

10) სხვა შემთხვევებში – იმ გარემოებათა შეწყვეტამდე, რომლებიც საფუძვლად დაედო სააღსრულებო წარმოების შეჩერებას.

36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სააღსრულებო წარმოება შეჩერდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მაგალითად, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის 21-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლომ წარმოებაში მიიღო მოვალის მიმართ აღძრული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება, მაშინ სააღსრულებო წარმოება უნდა შეჩერდეს სასამართლოს მიერ ამ განცხადების არსებითად განხილვამდე (ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე) მიუხედავად კრედიტორის მოთხოვნების ხასიათისა. აღსრულებას აჩერებს მოვალის მიმართ კრედიტორის მხოლოდ ქონებრივი მოთხოვნები, რომელთა მიმართაც სასამართლოს მიერ აღძრულია გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმე. ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონით გათვალისწინებული წესით. აქვე საინტერესოა ერთი საკითხი: თუკი კრედიტორს გააჩნია გადახდისუუნარო მოვალის მიმართ უზრუნველყოფილი მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იმ მესამე პირის

ქონებით, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის პირადი მოვალე, შესძლებს თუ არა კრედიტორი თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას გადახდისუუნარობის ფარგლებს მიღმა არსებული ანუ ჩვეულებრივი სამოქალაქო სააღსრულებო წარმოების ფარგლებში. ჩვენი აზრით ეს სრულიად შესაძლებელია. კრედიტორს უფლება აქვს მიმართოს აღსრულების პროცედურას, მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის პროცედურის დაწყების მიუხედავად. ასეთ დროს აღსრულება არ უნდა შეჩერდეს. ჩადახდისუუნარობის პროცედურა სამოქალაქო სააღსრულებო წარმოებაზე გავლენას ვერ მოახდენს. საქმე იმაშია, რომ აღსრულების შეჩერებისას ხდება მოვალის ქონების მიმართ ერთი რომელიმე კრედიტორის დაკმაყოფილების გამორიცხვა და ეს ქონება უნდა განანიღდეს გადახდისუუნარობის სამართლის პრინციპების დაცვით გაკოტრების კრედიტორებზე. ხოლო როდესაც ამათუიმ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია მესამე პირის ქონებით, რომელიც არ არის პირადი მოვალე, ასეთი პირის ქონებაზე გადახდევენების მიქცევა არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს სხვა კრედიტორთა უფლებებზე. მაშასადამე, გადახდისუუნარობის საქმის დაწყებისას სამოქალაქო სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ ინსტიტუტის მიზანია მოვალის ქონების შენარჩუნება გაკოტრების კრედიტორთა სასარგებლოდ.

3) 36-ე მუხლის ნაკლი ის არის, რომ არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც სააღსრულებო წარმოების განახლების მოთხოვნის უფლება აქვთ და ასევე არ განსაზღვრავს სააღსრულებო წარმოების განახლებაზე უფლებამოსილ სასამართლოს. მიგვაჩნია, რომ იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ, რომლებიც საფუძვლად დაედო აღსრულების შეჩერებას, სააღსრულებო წარმოება უნდა განახლდეს იმ სასამართ-

ლოს მიერ, რომელმაც იგი შეაჩერა (რომელმაც გამოიტანა აღსრულების შეჩერების განჩინება), კრედიტორის ან აღმასრულებლის განცხადებით.

### **სააღსრულებო წარმოების შეჩერების ფაკულტატიური საფუძვლები**

1) კანონი ადგენს სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველთა ამომწურავ ჩამონათვალს. მათგან ერთი ნაწილი იწვევს წარმოების შეჩერების ვალდებულებას (სავალდებულო შეჩერება), მეორე ნაწილი – **აღმასრულებელს აძლევს ფაკულტატიური ანუ არასავალდებულო შეჩერების უფლებას.**

ამრიგად, საფუძვლებისა და მიხედვით, კანონი სააღსრულებო წარმოების შეჩერებას ყოფს ორ სახედ: სავალდებულო და ფაკულტატიური შეჩერების საფუძვლებად. სააღსრულებო წარმოების სავალდებულო შეჩერებას ადგილი აქვს ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლებიც ყოველთვის აფერხებენ, აბრკოლებენ მის შემდგომ მსვლელობას, განვითარებას. ამ გერამოებათა არსებობა ყოველთვის ხელს უშლის აღმასრულებელს სათანადოდ დაიცვას კრედიტორის ან მოვალის უფლებები, სწორედ ამიტომ, სააღსრულებო წარმოება უნდა შეჩერდეს მანამდე, სანამ ეს გარემოებები არ აღმოიფხვრება.

სააღსრულებო წარმოების ფაკულტატიური შეჩერების საფუძვლებმა კი, საქმის კონკრეტულ გარემოებებისა და მიხედვით, შეიძლება, არც კი შეაფერხონ სხვადასხვა სააღსრულებო მოქმედების წარმოება. აქედან გამომდინარე, ასეთი გარემოებების არსებობის დროს აღმასრულებელს ყოველთვის როდი აქვს წართმეული სააღსრულებო წარმოებაში მხარეთა უფლებების სათანადოდ დაცვის შესაძლებლობა.

2) 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში<sup>35</sup> ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობის დროს აღმასრულებელს უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული შეაჩეროს სააღსრულებო წარმოება. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, სააღსრულებო წარმოების ფაკულტატიური წესით შეჩერების საფუძვლების წრე ძალზედ შეზღუდულია კანონით და მომავალში საფიქრებელია ამ საფუძველთა ჩამონათვალის გაფართოება. ამასთან, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ სააღსრულებო წარმოების მომწესრიგებელი ნორმები საპროცესო ნორმებია და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილის გარდა, კანონის, კერძოდ კი 30-ე, სსსკ-ის მე-7 და 280-ე მუხლების ანალოგიით მათზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლით დადგენილი საფუძვლები.

3) კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული შემთხვევა სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორის მიერ დისპოზიციური უფლებების განხორციელების ერთ-ერთი გამოხატულებაა. კრედიტორი სააღსრულებო წარმოებაში ის ფიგურაა, რომლის განცხადებითაც იწყება აღსრულება, აღიძრება საქმე და რომლის სასარგებლოდაც ხდება საერთოდ აღსრულება. კრედიტორი, კანონით მისთვის მინიჭებული მთელი რიგი უფლებების (უფლებამოსილების) განხორციელებით გავ-

35 კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № 1/2/596, რომლითაც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მეორე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კოტროლის გარეშე.

ლენას ახდენს სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობაზე (იხ. მაგალითად კანონის 34-ე მუხლის კომენტარი). სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორისათვის მინიჭებულ დისპოზიციურ უფლებამოსილებათაგან უმნიშვნელოვანესია მისი უფლება მოითხოვოს აღსრულების შეჩერება. ასეთ შემთხვევაში კანონით დადგენილია აღსრულების შეჩერების ვადა – არაუმეტეს სამი თვისა, რომლის გასვლის შემდეგაც, თუ კრედიტორი არ მოითხოვს შეჩერებული სააღსრულებო წარმოების განახლებას (გაგრძელებას), აღმასრულებელი დაუბრუნებს მას სააღსრულებო ფურცელს. კანონით არ არის განსაზღვრული ასეთი მოქმედების სამართლებრივი შედეგები. სააღსრულებო ფურცლის დაბრუნების შემთხვევაში, ჩვენის აზრით უნდა დადგეს შემდეგი სამართლებრივი შედეგები: 1) აღსრულების ხანდაზმულობა არ წყდება; 2) აღსრულებისათვის მიღებული ყველა ღონისძიება უნდა გაუქმდეს; 3) გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ შემთხვევებში დაუშვებელია აღსრულების შეწყვეტა (ვინაიდან არ გვაქვს 34-ე მუხლით დადგენილი საფუძვლები), კრედიტორს არ ერთმევა უფლება კვლავ წარადგინოს გადასახდევენებლად სააღსრულებო ფურცელი, თუ გასული არ არის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა.

4. განსახილველი ნორმის (36-ე მუხლის მე-2 პუნქტი) „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევაში სააღსრულებო წარმოება შეიძლება შეჩერდეს აღმასრულებლის მიერ, როგორც თავისი ინიციატივით, ისე მხარეთა შუამდგომლობით, ე.ი. განცხადებით. ასეთ დროს სასამართლომ უნდა განიხილოს სააღსრულებო წარმოების შეჩერების საკითხი. საქმე ისაა, რომ სასამართლოს ან სხვა ორგანოს, აღმასრულებელი დოკუმენტის განმარტების მოთხოვნით შეიძლება მიმართონ მხარეებმაც (იხ. კანონის 27-ე მუხლის კომენტარი). აღმასრულებ-



ელს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე უფლება აქვს დააკმაყოფილოს მხარეთა შუამდგომლობა. ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ კანონში საუბარია აღსრულების შეჩერების შესახებ განმარტების მოთხოვნით მხოლოდ სასამართლოსათვის აღმასრულებლის მიმართვის შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია და ამ ნორმის მოქმედება უნდა გავავრცელოთ ასევე მაგალითად არბიტრაჟებზეც და სხვა ორგანოებზე. შესაბამისად, უფრო სწორი იქნებოდა შემდეგი დებულება: სააღსრულებო წარმოება შეიძლება შეჩერდეს, თუ აღმასრულებელი მიმართავს სასამართლოს ან სააღსრულებო დოკუმენტის გამცემ სხვა ორგანოს, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების ან სხვა იმ აქტის (აღსრულების ქვემდებარე აქტები) განმარტების შესახებ განცხადებით, რომელიც აღსრულების საფუძველია. არაზუსტია ასევე, კანონის ის დებულება, რომლის თანახმადაც აღსრულება ჩერდება ასეთ შემთხვევებში “სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადით, ვინაიდან არსად არ არის დადგენილი აღსასრულებელი აქტის განმარტების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა. ამიტომ უფრო სწორი ფორმულირება იქნებოდა, თუ მიეთითებოდა, რომ ასეთ შემთხვევაში აღსრულება ჩერდება აღსასრულებელი დოკუმენტის განმარტების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

5. კანონის 30-ე მუხლით განსაზღვრულია ასევე მოვალის ძეხვის წესი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის ანალოგიით ასეთ შემთხვევაში უნდა შეჩერდეს სააღსრულებო წარმოება. სპეციფიკა ასეთ დროს არის ის, რომ სააღსრულებო წარმოებას ამ საფუძვლით აჩერებს სასამართლო (და არა

აღმასრულებელი) ფაკულტატური წესით მოვალის ძეგნის შესახებ განჩინებით.

6. 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საფუძველთაგან ერთ-ერთის არსებობის დროს, საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ, შეჩერდეს თუ არ შეჩერდეს სააღსრულებო წარმოება, დამოკიდებულია აღმასრულებელის შეხედულებაზე. აღმასრულებელმა უნდა გაითვალისწინოს გადახდევინების ხასიათი, აღსრულების ღონისძიებები, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული მოცემულ შემთხვევაში და კონკრეტული სააღსრულებო წარმოების სხვა თავისებურებები. ამასთან, კრედიტორის მოთხოვნით აღსრულების შეჩერების შემთხვევაში, აღმასრულებელი შებოჭილია მისი ნებით.

როდესაც აღსრულებას სასამართლო აჩერებს, საერთო სასამართლოებმა სააღსრულებო წარმოებათა კანონის შესაბამისად, შესაძლებელია მიიღონ სააღსრულებო ფურცლის შეჩერების ან შეჩერებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება. სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ შეჩერებას არ ითვალისწინებს კანონი (36-ე მუხლი), შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო ვალდებულია თანაბრად დაიცვას კრედიტორისა და მოვალის ინტერესები, არ შექმნას პრეცედენტი, რომ მოხდეს კრედიტორის ერთიანი მოთხოვნის დანაწევრება სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ შეჩერების გზით; აღნიშნული აღსრულების პროცესს უქმნის საფრთხეს, განსაკუთრებით, უზრუნველყოფილი მოთხოვნის აღსრულების შემთხვევაში, როდესაც ჯერ უზრუნველყოფილი მოთხოვნის ნაწილი უნდა აღსრულდეს, ხოლო ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის მეორე ნაწილი – კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ კრედიტორის მოთხოვნა ამ ნაწილშიც დასაბუთებული აღმოჩნდება, შეუძლე-

ბელი იქნება იპოთეკის საგნის ხელმეორედ რეალიზაცია (სსკ-ის 306<sup>5</sup>-ე მუხლის მე-5 ნაწილი და სააღსრულებო წარმოებათა კანონის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტი). კრედიტორისა და მოვალის ინტერესების ბალანსის შესანარჩუნებლად, სასამართლომ უნდა განმარტოს, იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემდეგ, თუკი ამონაგები თანხიდან დარჩება გარკვეული ნაწილი და დაუბრუნდება მოვალეს, როგორ იქნება დაცული კრედიტორის ინტერესი, რომლის მოთხოვნის ნაწილი ფორმალურ-იურიდიულად კვლავ უზრუნველყოფილ მოთხოვნად დარჩება, თუმცა, რეალურად არ იარსებებს იპოთეკის საგანი, რადგან იგი რეალიზებული იქნება. ასეთ შემთხვევაში კრედიტორის წინაშე შესასრულებელი ვალდებულება იურიდიულ ფიქციად რჩება და დამოკიდებული ხდება მხოლოდ მოვალის კეთილ ნებასა და მატერიალურ შესაძლებლობაზე. შექმნილი სამართლებრივი ჩიხიდან გამოსავალი შესაძლებელია იყოს სასამართლოს მიერ სააღსრულებო წარმოებათა კანონის 82<sup>1</sup>-ე მუხლის უფრო ფართოდ განმარტება. სასამართლომ განჩინების სამოტივაციო ნაწილში შესაძლებელია მსჯელობა განავითაროს, ხოლო შემდეგ სარეზოლუციო ნაწილით დაადგინოს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილში, დაიწყოს სააღსრულებო ფურცლის აღსრულება. იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად, კანონით გათვალისწინებული ხარჯებისა და საფასურის დაფარვის შემდეგ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, აუქციონის შედეგად ამონაგები დარჩენილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაიკავებს იგივე კრედიტორის უზრუნველყოფილი მოთხოვნის მეორე ნაწილის აღსასრულებლად, სხვა კრედიტორისათვის განკუთვნილ ადგილს. სააღსრულებო ბიურო ყადაღას დაადებს მას და განათავსებს საკუთარ სადეპოზიტო ანგარიშზე. დაყადაღებული თანხა

სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე იმ ნაწილში, რომელზეც შეჩერებულია სააღსრულებო ფურცლის მოქმედება (უზენაესი სასამართლოს განმარტება საქმეზე №ას-786-743-2015 24/09, 2015 წ.).

## **მუხლი 37. (ამოღებულია)**

## **მუხლი 38. აღსრულების საფასური**

1.კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს და ცალ-ცალკე აწესრიგებს აღსრულების საფასურსა და აღსრულების ხარჯებს. კანონის 38-ე მუხლით განსაზღვრულია აღსრულების საფასურის სამართლებრივი დანიშნულება, კერძოდ, საფასურიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი (დღგ-ს გამოკლებით) სრულად ხმარდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიზნებისა და ამოცანების შესრულებას (სააღსრულებო წარმოების განვითარებას). აღსრულების ეროვნული ბიუროს კონკრეტული მიზნები და ამოცანები კი განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წ. 30 სექტემბრის №220 ბრძანებით „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“. ამავე დებულების მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, აღსრულების საფასური აღსრულების ეროვნული ბიუროს ქონებას შეადგენს და აღსრულების ეროვნული ბიუროს დაფინანსების წყაროა. 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აღსრულების წინასწარი საფასური აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსრულების მიზნით განეული მომსახურების სავალდებულო გადასახდელს წარმოადგენს. ამასთან, აღსრულების პროცესის დაწყება კრედიტორის ნებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, აღსრულების დაწყებამდე კრედიტორს არ შეიძლება შეეზღუდოს აღსრულების მოთხოვნაზე უარის თქმისა და წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის დაბრუნების შესაძლებლობა. წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასური კრედიტორისათვის დამატებით ფი-

ნანსურ ტვირთად არ უნდა იქცეს. კრედიტორი რისკის ქვეშ არ უნდა დადგეს აღნიშნული საფასურის გადახდის მომენტიდან. საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების დაწყებისათვის საჭირო ხარჯების მომჩივნისათვის დაკისრება სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის ნამდვილი არსის დარღვევად მიიჩნია.

როგორც ითქვა, აღსრულების საფასური აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განეული მომსახურებისათვის დადგენილი სავალდებულო გადასახდელია. რა იგულისხმება მომსახურებაში? აღსასრულებელი აქტის აღსასრულებლად სააღსრულებო მოქმედების შესრულება თუ რაიმე სხვა მომსახურება?

2. საფასურის გადახდის ოდენობასა და წესს კანონი განსხვავებულად ადგენს იმისდა მიხედვით, თუ რა კატეგორიის საქმეზე ხორციელდება აღსრულება. კერძოდ, კანონის თანახმად, აღსრულების საფასურს ავანსად (წინასწარ) იხდის კრედიტორი. კანონი არ ითვალისწინებს საფასურის გადახდას, კრედიტორის მიერ ნებაყოფლობითი წესით, რადგან სწორედ შესაბამის სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტია იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველი (38-ე მუხლის მე-7 პუნქტი), ამდენად, სააღსრულებო მოქმედებების (აღსრულების) დასაწყებად აუცილებელია (სავალდებულოა) საფასურის გადახდა კრედიტორის მიერ. აღსრულების საფასურის წინასწარ გადახდის მიზანია სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების უზრუნველყოფა. აღსრულების საფასური შეიტანება შესაბამისი სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე. კანონი ადგენს აღსრულების საფასურის ისეთ ოდენობას, რაც საკმარი-

სია შესაბამისი ხარჯების ან მათი ნაწილის გასანევად (საწარმოებლად). რაც ხება კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ მოქმედებებს, მათი შესრულების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო ბიუჯეტი (იხ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლი). ამდენად, ამ კატეგორიის საქმეებზე კრედიტორი საფასურს წინასწარ არ იხდის.

3. სააღსრულებო მოქმედებათა დასრულების დროს აღსრულების საფასური სრულად უბრუნდება კრედიტორს ძირითად მოთხოვნასთან ერთად. კრედიტორისათვის მის მიერ წინასწარ გადახდილი აღსრულების საფასურის (ფულადი თანხის) დაბრუნების დროს, აღმასრულებელი ადგენს ოქმს (იხ. კანონის 29-ე მუხლი). ოქმს არ სჭირდება სააღსრულებო ბიუროს უფროსის მხრიდან დამტკიცება.

აღსრულების საფასური საგადასახადო კოდექსის, „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მიხედვით არ წარმოადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სახელმწიფო ბაჟს, არამედ წარმოადგენს აღსასრულებელი დადგენილებების (აქტების) იძულებითი აღსრულების პროცესში მოვალის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული ხასიათის საჯარიმო სანქციას. ასეთივე მიდგომაა სასამართლო პრაქტიკაშიც. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საქმეზე №ას-786-743-2015 24/09, 2015 წ. აღნიშნავს, რომ აღსრულების ხარჯი პირველ რიგში იმ შემთხვევაში იფარება, უკეთეს მოთხოვნა არასრულად ან ეტაპობრივად არის დაკმაყოფილებული, ხოლო შემდეგ იფარება აღსრულების საფასური და აღსასრულებელი მოთხოვნა ამოღებული თანხის პროპორციულად.

აღსრულების საფასურის 7%-იანი განაკვეთი თავისი არსით ატარებს არა უფლებააღდგენითი სანქციის ხასიათს, რომლითაც ხდება მოვალის მიერ აღსრულების ხარჯების იძულებითი ანაზღაურების ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა, არამედ მოვალის მიმართ გამოყენებული საჯარიმო ხასიათის სანქციას, რომლითაც დამატებითი გადახდის ვალდებულება ეკისრება მოვალეს, ამ ვალდებულებას ინვესს მოვალის მიერ სააღსრულებო წესების დარღვევა.

აღსრულების საფასური უნდა პასუხობდეს მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული ჯარიმებისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას.

ამ სანქციის გამოყენება უნდა განხორციელდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებათა გათვალისწინებით. აღსრულების საფასურის გადახდევინების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემის ხანდაზმულობა, კერძოდ, ადმინისტრაციული სახდელის დადებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ვადის გადაცილება.

ერთი მხრივ, აღსრულების საფასურის გადახდევინების მომწესრიგებელი ნორმები არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი იმდენად, რამდენადაც ისინი თავისი ფორმალური განუსაზღვრელობის გამო იმ ნაწილში, რომელიც ეხება აღსრულების საფასურის გადახდისაგან მოვალის გათავისუფლების საფუძვლებს, უშვებს მის გამოყენებას მოვალისათვის იმ შესაძლებლობის უზრუნველყოფის გარეშე, რომ სათანადოდ დაამტკიცოს, რომ სააღსრულებო დოკუმენტის



აღსრულების დადგენილი ვადების დარღვევა, რომელიც (სააღსრულებო დოკუმენტი) ავალდებულებს მას გადასცეს კრედიტორს გადახდევინებული თანხა (აღსანიშნავია, რომ კანონის 1131-ე მუხლით დაწესებულია მოსაკრებელი სწორედ „თანხის გადახდევინებაზე“), გამონვეულია განსაკუთრებული, ობიექტურად აუცდენელი გარემოებებით და სხვა გაუთვალისწინებელი (მოულოდნელი), დაუძლეველი ძალით (დაბრკოლებით), რომლებიც მის მიერ ისეთი მზრუნველობისა და წინდახედულების გამოჩენის დროსაც კი, როგორც მას მოეთხოვებოდა, კანონიდან გამომდინარე ვალდებულებათა სათანადოდ შესრულების მიზნით, მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა.

აღსრულების საფასურის ოდენობა და მისი გადახდის წესი იუსტიციის სამინისტრომ უნდა განსაზღვროს. კანონის გარდამავალი დებულებების (მუხლი 1131) მიხედვით, აღსრულების საფასურის ოდენობა განისაზღვრება ამოღებული თანხის 7%-ით. მოვალისაგან საფასური ამოიღება აღსასრულებელ მოთხოვნასთან ერთად. მოთხოვნის არასრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში საფასური იანგარიშება ფაქტობრივად ამოღებული თანხიდან. ამასთან, კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ დაუყოვნებლივ და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აღსასრულებელ გადაწყვეტილებებზე აღსრულების საფასური არ გადაიხდევინება.

აღსრულების საფასურის გადახდევინება ხდება სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის დადგენილ ვადაში სააღსრულებო დოკუმენტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, რომელსაც მოვალე გადაიხდის აღმასრულებლის მიერ გადახდევინებული თანხის ან მოვალის ქონების ღირებულების 7%-ის ოდენობით.

მეორე მხრივ, აღსრულების საფასურის მომწესრიგებელი ნორმები არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას იმდენად, რამდენადაც კანონმდებელს უფლება აქვს დაადგინოს სააღსრულებო დოკუმენტის შეუსრულებლობისათვის სანქცია, ხოლო ამ ნორმებით დადგენილი გადასახდელის ოდენობა, მოცულობა (გადახდევინებული თანხის 7%), წარმოადგენს მხოლოდ მის დასაშვებ მაქსიმუმს, ზედა ზღვარს და ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათის, მიყენებული ზიანის ოდენობის (მოცულობის), სამართალდამრღვევის ბრალის ხარისხის, მისი ქონებრივი მდგომარეობის და სხვა არსებითი გარემოების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს აღსრულების საფასურის ოდენობაზე, სადავო შემთხვევაში შეიძლება შეამციროს სასამართლომ.

სხვაგვარად რომ ითქვას, აღსრულების საფასური საჯარო-მო სანქციაა და ის შეიძლება გადახდევინებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ იქნება მოვალის მიერ სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობითი წესით შეუსრულებლობის პატივსადები მიზეზები. აღსრულების საფასურის ოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს მოვალის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათის გათვალისწინებით და არ უნდა აღემატებოდეს გადახდევინებული თანხის 7%-ს.

ამრიგად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ნორმები გამოიყენება აღსრულების საფასურის გადახდევინების დროს, რამდენადაც აღსრულების საფასური წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის ზომას. შესაბამისად, მისი დაკისრების დროს აღმასრულებელმა უნდა გაითვალისწინოს ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ მოთხოვნის მოვალის მიერ შეუსრულებლობის პატივსადები მიზეზები, გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს აღსრულების სა-

ფასურის ოდენობაზე, აგრეთვე ადმინისტრაციული სახდელის დადებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ვადის გადაცილება.

მაგალითად, მოვალემ ნებაყოფლობით შეასრულა მოთხოვნა გონივრულ ვადებში კრედიტორისათვის პროდუქციის მიწოდების გზით. სააღსრულებო დოკუმენტის ნებაყოფლობით შესრულების არსებითი გამორკვევა-შეფასება სადავო შემთხვევაში სასამართლოს მოვალეობაა. თუკი მოვალემ ყველა ზომა მიიღო სააღსრულებო დოკუმენტის სათანადოდ შესასრულებლად, აღარ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოვალის მიერ სასამართლო აქტის შესრულების ვადის გადაცილების გამო, მისთვის აღსრულების საფასურის სრული მოცულობით დაკისრების საფუძველი არსებობს. რამდენადაც, ასეთ დროს მოვალე თავს არ არიდებს სააღსრულებო დოკუმენტის შესრულებას, იგი ყველა ზომას მიმართავს დავალიანების დასაფარად. ასეთ შემთხვევაში მოვალის მიერ შესრულების დადგენილი ვადების დარღვევა შეიძლება მიჩნეულ იქნეს პატივისადადებლად, თუ გამოწვეულია განსაკუთრებული, ობიექტურად აუცდენელი გარემოებებით და სხვა გაუთვალისწინებელი (მოულოდნელი), დაუძლეველი ძალით (დაბრკოლებით), რომლებიც მის მიერ ისეთი მზრუნველობისა და წინდახედულობის გამოჩენის დროსაც კი, რომელიც მას მოეთხოვებოდა ვალდებულებათა შესრულების მიზნით, მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. ასეთ დროს შეიძლება მოვალე საერთოდ გათავისუფლდეს აღსრულების საფასურის გადახდისაგან.

აღმასრულებელმა უნდა გამოიკვლიოს მოვალის მიერ გადანიშნული ვადაში (დროულად) შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ საკითხი, აგრეთვე, გაითვალისწინოს სახდელის ინდივიდუალიზაციისა და სამართლიანობის პრინციპები.

ასევე, უნდა გავითვალისწინოთ მოვალის მიერ დავალიანების ნაწილობრივი დაფარვის ფაქტი. აღმასრულებელმა უნდა გაითვალისწინოს და გამოიკვლიოს ისეთი გარემოებები, როგორც არის: მოვალის ბრალის ხარისხი, მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, მისი ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ზიანის მოცულობა, აგრეთვე აღსრულების საფასურის გადახდევინებისათვის აუცილებელი სხვა არსებითი პირობა.

აღსრულების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული წესები, ასევე, გამოიყენება არაქონებრივი ხასიათის სააღსრულებო დოკუმენტის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც.

იმ სასამართლო აქტის ან სხვა ორგანოს აქტის გაუქმების გამო სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც გაიცა სააღსრულებო დოკუმენტი, მიყენებული ზიანის მოცულობა, აგრეთვე იმ დოკუმენტის გაუქმების გამო სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, რომელიც კანონის თანახმად სააღსრულებო დოკუმენტს წარმოადგენს, აღსრულების საფასური უნდა დაუბრუნდეს მოვალეს.

აღსრულების საფასურის თანხიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე თანხების ჩარიცხვისა და გამოყენების წესი განისაზღვრება ნორმატიული აქტით.

### **სააღსრულებო მოქმედებათა შესასრულებლად გადახდილი აღსრულების საფასურის ანაზღაურების წესი**

სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯების (საფასურის) გადახდა ეკისრება მოვალეს (იხ. განსახილველი მუხლის მე-5 პუნქტი).

აქედან გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევები: აღსრულების შეწყვეტის (მუხლი 34-ე) და სააღსრულებო საბუთის დაბრუნების დროს (მუხლი 35-ე) კრედიტორის მიერ წინასწარ გადახდილი საფასური უკან არ დაბრუნდება, ე.ი. მსგავს შემთხვევებში სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯების (საფასურის) გადახდა ეკისრება კრედიტორს. 38-ე მუხლი ისეა ჩამოყალიბებული, რომ კრედიტორისათვის საფასურის უკან დაბრუნების საკითხში არავითარ გამონაკლისს არ ადგენს აღსრულების შეწყვეტისას, რაც ამ ნორმის ნაკლად მიგვაჩნია. მხედველობაში გვაქვს მასში მითითებულ 34-ე მუხლით გათვალისწინებულ აღსრულების შეწყვეტის ყველა შემთხვევაზე აღნიშნული ნორმის უპირობოდ, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე გავრცელება. მასში არ არის გათვალისწინებული 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის სპეციფიკა, კერძოდ, მიგვაჩნია, რომ იმ გადანაცვტილების გაუქმების შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, კრედიტორს უნდა დაუბრუნდეს უკან მის მიერ წინასწარ გადახდილი საფასური, შესაბამისად, ასეთ დროს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯები უნდა ანაზღაურდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

საფასურის (ხარჯების) დაკისრება (გადახდევინება), მათი ანაზღაურება ბიუჯეტის ხარჯზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ ორგანოს ან პირისათვის ანაზღაურება, რომელთაც ეს საფასური (ხარჯები) გასწიეს, წარმოებს აღმასრულებლის შესაბამისი ოქმის საფუძველზე, რომელიც უნდა დაამტკიცოს ბიუროს უფროსმა. აღნიშნული ოქმის ასლები ეგზავნება მხარეებს. ოქმი (აღმასრულებლის მოქმედება) შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილი წესით შესაბამის სასამართლოში. გამონაკლისია 38-ე მუხლის მე-10

პუნქტით განსაზღვრული კატეგორიის საქმეებზე საფასურის ანაზღაურების წესი. მოცემულ შემთხვევაში ეს არის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ან/და გადაცემის შესახებ საქმეები. მოცემული კატეგორიის საქმეებზე ანაზღაურება ხდება სასამართლოში კრედიტორის მიერ სარჩელის წარდგენის გზით. მსგავსი პროცედურის დასაბუთებულობა, რომელიც განსხვავდება საფასურის (ხარჯების) ანაზღაურების ზოგადი, ანუ საერთო წესისაგან, რაც ითვალისწინებს ანაზღაურებას აღმასრულებლის ოქმის საფუძველზე, ეჭვს იწვევს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვალისაგან საფასურის (ხარჯების) გადახდევინების საერთო წესის დადგენა.

### მუხლი 39. აღსრულების ხარჯები

მოქმედი სააღსრულებო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯების ცნებას. სააღსრულებო კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯებია ამ მოქმედებათა ორგანიზაციასა და შესრულებაზე დახარჯული სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე მხარეთა და სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა პირთა სახსრები.

39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომელიც, ამჟამად გაუქმებულია, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2008 წ. 30 სექტემბერს მიღებულია ბრძანება №223, რომელიც დღესაც მოქმედებს და რომლითაც განსაზღვრულია აღსრულების ხარჯების სახეობები, კერძოდ, სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯებს მიეკუთვნება სახსრები, რომლებიც დახარჯულია:

- 1) ყადაღის რეგისტრაციასა და ნივთის შეფასებაზე;
- 2) ნივთის (იგულისხმება მოვალის ქონება) შენახვასა და ტრანსპორტირებაზე (გადატანა-გადაზიდვაზე). აქვე შეიძლება დავამატოთ მოვალის ქონების რეალიზაციაზე დახარჯული სახსრები;
- 3) საჯაროდ გამოცხადებაზე;
- 4) კარების ან საცავის გასახსნელად მოწვეული პირისათვის ხარჯების ანაზღაურებაზე. აქ იგულისხმება დამსწრე პირებისათვის ხარჯების ანაზღაურება;
- 5) საბანკო მომსახურებისა და კონვერტაციის ხარჯები;
- 6) საფოსტო ხარჯები. მაგალითად კრედიტორისათვის მოვალისაგან ამოღებული (გადახდევინებული) თანხების

ფოსტით გადაგზავნის ხარჯები.

მინისტრის აღნიშნული ბრძანება, ერთი შეხედვით, ამომწურავად არის ჩამოყალიბებული. სინამდვილეში სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯების ჩამონათვალი ღიაა. აღსრულების ხარჯები მოიცავს იმ სახსრებსაც, რომლებიც დახარჯულია სხვა იმ აუცილებელ სააღსრულებო მოქმედებებზე, რომლებიც შესრულებულია სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების პროცესში. მაგალითად, აღსრულების ხარჯებს შეიძლება მივაკუთვნოთ საკანცელარიო საქონლის შესაძენად (საყიდლად) დახარჯული ფულადი სახსრები, წარმომადგენელთა მომსახურების ანაზღაურებაზე დახარჯული სახსრები, აგრეთვე სახსრები, რომლებიც დახარჯულია თარჯიმანთა, დამსწრეთა, სპეციალისტების და სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებაში დადგენილი წესით ჩაბმულ სხვა პირთა შრომის (სამუშაოს) ანაზღაურებაზე; მოვალის, მისი ქონების ძებნაზე ან იმ ბავშვის ძებნაზე, რომელიც მოვალეს ჩამოერთვა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების ხარჯებისათვის გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, მხარეთა და სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა პირთა სახსრები.



## მუსლი 39<sup>1</sup>. თანხის დაბრუნება

მოცემული ნორმის განმარტებისას პასუხი უნდა გაეცეს იმ კითხვას: ვინ იგულისხმება ნორმით გათვალისწინებული პირის კატეგორიაში, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თავისი კუთვნილი თანხა, რომელ თანხებზეა საუბარი. პირის კატეგორიაში იგულისხმება როგორც კრედიტორი, ისე მოვალე, ე.ი. სააღსრულებო წარმოების მხარეები. რაც შეეხება თანხას, აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, შესაძლოა განთავსებული იყოს დასახელებული სუბიექტების თანხა სხვადასხვა საფუძვლით. სახელდობრ, ეს შეიძლება იყოს ნამეტი თანხა, რომელიც დარჩა მოვალის ქონების რეალიზაციის შემდეგ და რომელიც მოვალეს უნდა გადაეცეს, ან ზედმეტად გადახდილი საფასური, რომელიც ექვემდებარება კრედიტორისათვის დაბრუნებას და სხვა. თუკი სააღსრულებო წარმოების რომელიმე მხარე არ განახორციელებს თანხის დაბრუნების უფლებას ნორმით გათვალისწინებულ ვადაში, თანხა რჩება აღსრულების ეროვნულ ბიუროს. ამის შემდეგ თანხის გამოთხოვა დაუშვებელია. თანხის დაბრუნებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა (არა ვადის დინება) იწყება აღსრულების ეროვნული ბიუროს შეტყობინების მიღებიდან. ვადა კი დენას იწყებს შეტყობინების მიღების მომდევნო დღიდან.

## მუხლი 40. მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება

1. განსახილველი მუხლი განსაზღვრავს მოვალის მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადების ზოგად წესს. მოვალის ცალკეული სახის ქონების დაყადაღების თავისებურებანი წესრიგდება კანონის სხვა ნორმებით. სააღსრულებო წარმოების დასაწყის სტადიაზევე აღმასრულებელმა უნდა მიიღოს ზომები ქონებაზე ყადაღის დასადაღად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახეზეა აუცილებელი შემთხვევები, ე.ი. გადაუდებელი შემთხვევები, როცა არსებობს ქონების გადამალვის, მისი განადგურების, სამომხმარებლო თვისებების დაკარგვის და ა.შ. რეალური საფრთხე.

2. მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს, თუ რა მოქმედებებისაგან შედგება მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება, კერძოდ, ეს არის ქონების აღწერა, მისი განკარგვის აკრძალვის გამოცხადება, ხოლო როცა ეს აუცილებელია – ქონების გამოყენების (ქონებით სარგებლობის) უფლების შეზღუდვა, ქონების ამოღება ან შესანახად გადაცემა. **ეს ნიშნავს, რომ დაყადაღების სავალდებულო შემადგენელი კომპონენტია ქონების განკარგვის აკრძალვა, ფაკულტატური წესით კი, შეიძლება შეიზღუდოს მოვალის უფლება, ისარგებლოს ქონებით.** ფაკულტატური მოქმედებაა ქონების ამოღებაც. შესაბამისად, მოვალის ქონების დაყადაღება შეიძლება დაფიქსირდეს სხვადასხვა დოკუმენტით: ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტით, ქონების ამოღების აქტით და ა.შ. ქონებით სარგებლობის შეზღუდვის სახეებს, მოცულობას (ოდენობას) და ვადებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს აღმასრულებელი ქონების თვისებების, მესაკუთრის ან მფლობელისათვის მისი მნიშვნელობის, სამეურნეო, საყო-

ფაცხოვრებო ან სხვა დანიშნულებით ქონების გამოყენების<sup>36</sup> და სხვა ფაქტორის გათვალისწინებით. თუკი, მაგალითად, მოვალის უძრავი ქონების დაყადაღებისას საკმარისია საჯარო რეესტრისადმი მიმართვა ქონების დაყადაღების მიზნით (რომელშიც იურიდიულად ფიქსირდება უძრავი ქონების განკარგვის აკრძალვა), მოძრავი ქონების დაყადაღებისას აუცილებელია აღწერისა და დაყადაღების აქტის შედგენა, რათა დაფიქსირდეს დაყადაღებული ქონების ინდივიდუალური ნიშნები და ფაქტობრივად გამოირიცხოს მისი გასხვისება, დამალვა და სხვა. ნაღდი სახით ფულის აღმოჩენისთანავე დაუყოვნებლივ დგება მისი ამოღების აქტი. ნებისმიერ შემთხვევაში, დაყადაღებული ქონების მიმართ მოვალის უფლებათა თუ რა სახით და რა მოცულობით შეზღუდვაზე შეაჩერა არჩევანი აღმასრულებელმა, მან უნდა აღნიშნოს ამის შესახებ ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში.

უნდა აღინეროს მოვალის იმ ოდენობის ქონება, რაც აუცილებელია კრედიტორისათვის მიკუთვნებული თანხის, აღსრულების საფასურის და აღსრულების ხარჯების დასაფარად. აღმასრულებელს უფლება აქვს დალუქოს აღსაწერი საგნები მათი დაცულობის უზრუნველყოფის მიზნით. განხორციელებული მოქმედებების შესახებ აღწერის აქტში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

ქონების აღწერა წარმოებს მოვალის ან მისი წარმომადგენლის და ორი დამსწრის თანდასწრებით. მოვალის წარმომადგენლის და დამსწრეთა მონაწილეობა გათვალისწინებულია კანონის მე-15, მე-17, მე-18<sup>1</sup> და 48-ე მუხლებით. ქონების აღწერას შეიძლება ესწრებოდეს კრედიტორი ან მისი წარმომადგენელი.

36 ე.ი. ქონების გამოყენების ხასიათის.

თუ აღწერის წარმოების დროს არ იმყოფება მოვალე ან მისი წარმომადგენელი, მაშინ აღწერა წარმოებს მოვალის ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრის თანდასწრებით, ხოლო ამ უკანასკნელთა არყოფნის დროს კანონის მე-17 მუხლის მე-9 პუნქტში მითითებულ პირთა: შსს-ს ტერიტორიული ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

მოვალე ორგანიზაციის ქონების აღწერა წარმოებს ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა თანდასწრებით. მოვალე ორგანიზაციის წარმომადგენელს ხელთ უნდა ჰქონდეს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები და სათანადოდ გაფორმებული უფლებამოსილება.

თუ მოვალის ქონების აღწერის წარმოების დროს სხვა პირები განაცხადებენ ამ ქონებაზე თავის უფლებებს, ქონება მაინც შეიტანება აღწერის აქტში, ხოლო სხვა პირის პრეტენზიის შესახებ აღწერის აქტში კეთდება აღნიშვნა. ამასთან ერთად, აღმასრულებელი დაინტერესებულ პირს განუმარტავს მის უფლებას მიმართოს სასამართლოს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების (აღწერის სიიდან ამორიცხვის) სარჩელით, რის შესახებაც, აგრეთვე, აღწერის აქტში აღინიშნება.

აღწერის აქტის შედგენის დროს მოვალე აღჭურვილია გარკვეული უფლებებით თავისი ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით. მაგალითად აღწერის დროს, მოვალეს უფლება აქვს განუცხადოს აღმასრულებელს, თუ რომელ საგნებსა და ქონებაზე უნდა მიექცეს გადახდევინება პირველ რიგში<sup>37</sup>, მაგრამ საბოლოოდ, მოვალის ქონებაზე

37 ჩვენი აზრით, ეს წესი კანონის მე-40 მუხლში არასწორად არის დადგენილი, ვინაიდან დასახელებულ ნორმაში საუბარია მოვალის ქონების დაყადაღების წესზე, ხოლო მოვალის ზემოაღნიშნული უფლება მოვალის ქონების რეალიზაციის ეტაპზე უნდა ხორციელდებოდეს და არა ყადაღის დადების ეტაპზე.

გადახდევინების მიქცევის რიგითობას აღმასრულებელი განსაზღვრავს, უწინარეს ყოვლისა სააღსრულებო კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემდეგ კი, ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით (ამაში იგულისხმება ქონების მდგომარეობა, ქონების ლიკვიდურობა და ღირებულება და სხვა). ამასთან, აღმასრულებელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ასეთი განცხადება, თუ ეს არ აფერხებს, არ აბრკოლებს გადანყვეტილების აღსრულებას.

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევის რაიმე სპეციალურ რიგითობას კანონი არ ითვალისწინებს. ასეთი რიგითობა რომც ყოფილიყო დადგენილი, აღმასრულებლის მიერ გადახდევინების მიქცევა იმ ქონებაზე, რომელზეც მოვალე რიგითობის შესახებ დებულებათა საწინააღმდეგოდ მიუთითებდა, როგორც პირველ რიგში გადახდევინებამისაქცევი ობიექტზე, არ ჩაითვლებოდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად. აღმასრულებელი მაინც უფლებამოსილი და ვალდებულიც იქნებოდა რიგითობის წესის დაცვის გარეშე მიქცია გადახდევინება მოვალის მიერ მითითებულ ქონებაზე.

3. მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აღმასრულებელმა ქონების აღწერის დროს უნდა გამოაცხადოს მისი განკარგვის აკრძალვის შესახებ. ასეთი განკარგულება უნდა გამოეცხადოს როგორც მოვალეს, ქონების მასთან დატოვების შემთხვევაში, ისე შემნახველსაც, აღწერილი ქონების შესანახად გადაცემის შემთხვევაში. ქონების განკარგვის აკრძალვის შესახებ კეთდება შესაბამისი აღნიშვნა ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში. ქონების განკარგვის აკრძალვაში უნდა ვიგულისხმოთ მისი გაყიდვის, გაცვლის, ჩუქების, რაიმე სხვა წესით გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის აკრძალვა.

თუ ეს აუცილებელია, აღმასრულებელს კანონით უფლება აქვს შეზღუდოს ქონებით სარგებლობის (ქონების გამოყენების) უფლებაც.

მოვალის ან ქონების შემნახველის მიერ აღმასრულებლის აკრძალვის დარღვევა (დაყადაღებული ქონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის შესახებ მოთხოვნათა შეუსრულებლობა) ქონების განკარგვასთან მიმართებაში ან მოვალის იმ ქონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვის დაუცველობა, რომელსაც ყადაღა ადევს, იწვევს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და სამართლებრივ შედეგებს: კერძოდ, გარიგების ბათილობას, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (დასახ. მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები).

**4. ყადაღის გამოყენების მიზანია მოვალის იმ ქონების დაცულობის უზრუნველყოფა, რომელიც ექვემდებარება შემდგომში კრედიტორისათვის გადაცემას (ნატურით) ან შემდგომში რეალიზაციას; მოვალის კუთვნილ და მოვალესთან ან სხვა პირებთან მყოფ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულება.**

5. მე-40 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებულია დაყადაღებული ქონების ამოღების წესზე. დაყადაღებული ქონების ამოღებას და სარეალიზაციოდ მის გადაცემას აწარმოებს აღმასრულებელი. თუმცა კანონი არ განსაზღვრავს, დაყადაღებიდან თუ რა ვადაში უნდა განახორციელოს აღმასრულებელმა აღნიშნული მოქმედება, რაც კანონის ხარვეზს წარმოადგენს. თუ სახეზეა კონკრეტული გარემოებები, აღმასრულებელს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების დროს უფლება აქვს ერთდროულად, ქონებაზე ყადაღის დადებასთან ერთად, ამოიღოს ყველა ქონება ან ცალკეული საგნები. მალე-

ფუჭებადი ნივთების და სხვა ქონების ამოღება და სარეალ-იზაციოდ გადაცემა ხდება დაუყოვნებლივ.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი დაყადაღებული ქონების ამოღების გამო შესრულებული სააღსრულებო მოქმედების გაფორმების წესის თაობაზე. მიგვაჩნია, რომ ისევე, როგორც ქონების აღწერისა და დაყადაღების წარმოების დროს, უნდა შედგეს დაყადაღებული ქონების ამოღების შესახებ აქტი. მოცემული აქტი უნდა შედგეს დამსწრეთა თანდასწრებით და ხელმოწერილი იქნეს მათ მიერ.

დაყადაღებული ამოღებული ქონების აღრიცხვა ხდება შესაბამის აქტში (ოქმში).

განსახილველი მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილია ქონების მხოლოდ ნაწილი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს მოვალის ქონების აღწერის წარმოების დროს, რომელზეც დადებულია ყადაღა და რომელიც ექვემდებარება სავალდებულო ამოღებას. ამ ჩამონათვალს უნდა დავუმატოთ ნებისმიერი ძვირფასი მეტალი, ძვირფასი ქვები, ძვირფასი მეტალებისაგან დამზადებული მონეტები, საკოლექციო ფულადი ნიშნები ლარებსა და უცხოურ ვალუტაში, აგრეთვე, ისტორიული ან მხატვრული ღირებულების მქონე ქონება.

ამოღებული ქონება უნდა აისახოს ქონების დაყადაღების შესახებ აქტში და ამ აქტის ასლთან ერთად, რომელსაც ამონებს უფროსი აღმასრულებელი ბეჭდით, ამოღების დღეს ჩაბარდეს (გადაეცეს) სპეციალურ შემნახველ საკანს. სპეციალური შემნახველი საკანი უნდა პასუხობდეს სპეციალისტების მიერ რეკომენდებულ აღნიშნული ქონების შენახვის პირობებს. ძირითადად ეს ეხება იმ ქონებას, რომელიც სპეციალურ შენახვას და დაცვას მოითხოვს. სხვა შემთხვევაში აღსრულების

ეროვნულ ბიუროსაც აქვს თავისი სანყოფიერი ამოღებული ნივთების შესანახად. მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისთვის კი გამოყოფილია სპეციალური სადგომი.

6. ფულადი თანხა ლარებსა და უცხოურ ვალუტაში, ნებისმიერი სახის ძვირადღირებული ლითონი და ძვირადღირებული ქვები, ოქროს, ვერცხლის, პლატინის და პლატინის ჯგუფის ლითონების ძვირფასი ქვების და მარგალიტის საიუველირო და სხვა ნაკეთობანი, აგრეთვე ასეთი ნაკეთობების ცალკეული ნაწილი და ნატეხი, რომელიც კი აღმოჩნდება მოვალის ქონების აღწერის დროს და რომელსაც ადევს ყადაღა, ექვემდებარება სავალდებულო ამოღებას.

დაბოლოს, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად. ამასთან, ქონებაზე ყადაღის წესების დარღვევა, რამაც ქონების გასხვისება გამოიწვია, წარმოადგენს საალსრულებო ბიუროს მიერ კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანის ანაზღაურების საფუძველს.<sup>38</sup>

---

38 უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №ბს-105-100(2კ-05) 2006 წლის 17 მაისი.



## **მუხლი 40<sup>1</sup>. მოვალის მოძრავი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება**

ნორმის I-ლი პუნქტით გათვალისწინებულია როგორც სააღსრულებო წარმოების მოვალის ინტერესების დაცვა, ისე რეგისტრირებული მოგირავნის უფლებების დაცვა. ნებისმიერ შემთხვევაში, ნორმის მოწესრიგება ვრცელდება მოძრავ ნივთზე, თუკი აღსრულება ხორციელდება თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე. კერძოდ. დასახელებული ნორმა აღსრულების ეროვნულ ბიუროს დისკრეციას ანიჭებს მოვალის მოძრავი ქონება ყადაღისაგან გაათავისუფლოს, თუკი აღსრულება მიმდინარეობს არაუზრუნველყოფილი კრედიტორის სასარგებლოდ. დისკრეციის გამოყენების საფუძველია მოვალის მიერ მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დაფარვა იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე. ამასთან, ყადაღის მოხსნა გავლენას ვერ მოახდენს მოძრავ ქონებაზე არსებულ რეგისტრირებულ გირავნობაზე. ასეთი გირავნობა შეიძლება წარმოშობილი იყოს როგორც კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან, ისე საჯარო სამართლებრივი ურთიერთობიდან. ამ უკანასკნელში იგულისხმება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა. შესაბამისად, ყადაღის მოხსნის მიუხედავად, მოგირავნის სასარგებლოდ დარეგისტრირებული გირავნობა, ძალას ინარჩუნებს.

როდესაც აღსასრულებელია სასამართლო გადაწყვეტილება მოვალის (გადასახადის გადამხდელის) საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული, დაყადაღებული ქონების რეალიზაციის მიზნით, ეს არ შეუშლის ხელს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, გამოიყენოს დისკრეცია და ყადაღისაგან გაათავისუფლოს მოძრავი ქონება იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ქონე-

ბაზე არ არის რეგისტრირებული გირავნობის უფლება სხვა მოგირავნის სასარგებლოდ და მოვალე დაფარავს მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას ამ ქონებაზე იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადებამდე (მე-2 პუნქტი). დასახელებული წესით მოძრავი ქონების, როგორც გირავნობის საგნის, ყადაღისაგან გათავისუფლება იწვევს საგადასახადო გირავნობის / იპოთეკის გაუქმებას.

## **მუხლი 41. (ამოღებულია)**

## **მუხლი 42. მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა**

ინფორმაციის მიღება აღმასრულებელს შეუძლია მარტოდენ თავად ბანკში ან სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში.

კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული წესი იმის შესახებ, რომ მოვალემ აღმასრულებელს ამ უკანასკნელის მოთხოვნისამებრ უნდა წარუდგინოს ინფორმაცია თავისი იმ ქონების შესახებ, რომელიც ამ მუხლშია ჩამოთვლილი, არ გამორიცხავს აღმასრულებლის შესაძლებლობას, უშუალოდ მოვალისაგან მოითხოვოს მოვალის ქონების შესახებ სხვა ინფორმაციაც (მაგალითად, იურიდიულ პირს მოსთხოვოს ბოლო საანგარიშო პერიოდის ბუღალტრული ბალანსი და მისი თითოეული მუხლის გაშიფვრა, ანუ სრული ინფორმაცია).

როგორც ცნობილია, ქონების ცნება, მოიცავს ნივთებსა და ქონებრივ მოთხოვნებს (უფლებებს). მოვალეს ევალება აღმასრულებელს წარუდგინოს ინფორმაცია სხვა პირთა მიმართ თავისი მოთხოვნების და უფლებების არსებობის შესახებ, ამ უფლებებით სარგებლობის (მათი გამოყენების) შესახებ. საინტერესოა, მოვალეს ეკისრება თუ არა ყველა მოთხოვნისა და უფლების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, თუ უკვე წარდგენილი ინფორმაცია სრულიად საკმარისია კრედიტორის დასაკმაყოფილებლად. მიგვაჩნია, რომ მოვალეს ინფორმაციის წარდგენა უნდა მოეთხოვოს თავისი დავალიანების ფარგლებში (დავალიანების ოდენობის გათვალისწინებით). როდესაც უფლებების შესახებ ინფორმაციაზეა საუბარი, მხადველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ასევე განსაკუთრებული და სხვა სახის უფლებები ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე,

რომლებიც თანამედროვე ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ქონებად მიიჩნევა და რომელთა გამოყენების შედეგად შესაძლოა პირი იღებდეს შემოსავალს. ამიტომ, მათ შესახებ ინფორმაცია უნდა წარედგინოს აღმასრულებელს. საკუთარი უფლებებისა და ქონების შესახებ ინფორმაციის წარდგენის თაობაზე აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, სააღსრულებო კანონმდებლობის დარღვევაა, რაც იწვევს მოვალისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

ქონების შესახებ ინფორმაციის (აღმასრულებლის მოთხოვნაზე პასუხის) წარსადგენად, ზოგადი წესით, მოვალეს ვადა გონივრულობის პრინციპის გათალისწინებით უნდა დაუწესდეს. ვადა მოთხოვნის რეალურად შესრულების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს). ამგვარი ვადის სახით კანონი აწესებს არაუმეტეს 5 დღიან მონაკვეთს. ამ ვადის, როგორც საპროცესო ვადის დინება იწყება აღმასრულებლის მოთხოვნის მოვალის მიერ მიღების დღის მომდევნო დღიდან. სამწუხაროდ, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი არაფერს ამბობს 5 დღიანი ვადის დინების დაწყების დროის შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ვადა საპროცესო ვადაა, ამ ვადის დინება იწყება სწორედ აღმასრულებლის მოთხოვნის მოვალის მიერ მიღების დღის მომდევნო დღიდან. ამიტომ მიზანშეწონილია სააღსრულებო წარმოების მასალებში მოიპოვებოდეს მოვალისათვის მოთხოვნის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება ( ხელწერილი, ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინება, გზავნილი და სხვა).

კანონით არ არის დადგენილი 5 დღიანი ვადის გაშვების შედეგებიც, მაგრამ ცხადია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია საპატიო მიზეზების გამო, ამის შესახებ უნდა ეცნობოს აღმასრულებელს და მიეთ-

ითოს შეუსრულებლობის საპატიო მიზეზებზეც. აღმასრულებლის მოთხოვნისამებრ ინფორმაციის წარდგენისას ადრესატს უნდა ახსოვდეს, რომ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, აღმასრულებლის მოთხოვნა ნებისმიერი პირისა და ორგანოსათვის არის სავალდებულო საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. თავისი ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი და მოთხოვნილი ინფორმაცია, დოკუმენტები და მათი ასლი აღმასრულებელს გადაეცემა უსასყიდლოდ და კანონით დადგენილ ვადაში.

მოვალის ქონების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება აღმასრულებელს სრულიად სხვადასხვა წყაროდან აქვს, კერძოდ: თავად მოვალისაგან, კრედიტორისაგან, მოვალის ადგილსამყოფელზე გასვლისა და ქონების დათვალიერების გზით, სახელმწიფოს ორგანოებისაგან ან ბანკებისაგან ინფორმაციის მიღების გზით, მათთვის მოვალის ქონების არსებობის შესახებ შეკითხვისა თუ მიმართვის გაგზავნის გზით და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუკი დებიტორული დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტი (ინფორმაცია) არ არსებობს ან არ არის საკმარისი, აღმასრულებელი მიმართავს მოვალის დებიტორებს და ავალდებულებს მოვალის დებიტორებს, წარადგინონ დებიტორული დავალიანების დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით დამონმებული ასლები. აღმასრულებელი უფლებამოსილია სასამართლო აქტის (სასამართლოს თანხმობის) გარეშე გამოითხოვოს მოვალის ანაბრების ან ანგარიშების შესახებ ინფორმაცია. მართალია, ამგვარი ინფორმაცია საბანკო საიდუმლოებას წარმოადგენს, მაგრამ აღსრულების ფარგლებში ამ ინფორმაციის გამოთხოვა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, თუკი აღმასრულებლის მოქმედება შეესაბამება სამართლიანობის მოთხოვნებსა და სტანდარტებს, ადეკვატურია, თანა-

ზომადია და აუცილებელია კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დასაცავად. სასამართლო აქტის აღსრულების პროცესში, აღმასრულებელი უფლებამოსილია ბანკისაგან, სხვა საკრედიტო დაწესებულებისაგან მოითხოვოს და მიიღოს მოვალის ანაბრებისა და ანგარიშების შესახებ ინფორმაცია იმ ფარგლებში, იმ მოცულობით, რაც საჭიროა სააღსრულებო დოკუმენტის აღსასრულებლად და აღსასრულებელი სასამართლო აქტით განსაზღვრულ ფარგლებში.

ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ აღმასრულებლის მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იყოს. მოთხოვნაში (მიმართვაში) უნდა აისახოს სააღსრულებო წარმოების, ანუ სააღსრულებო საქმის შესახებ ინფორმაცია (საქმის ნომერი, წარმოების დაწყების თარიღი, მიეთითოს სააღსრულებო ფურცლის შესახებ), მოვალის დასახელება, სახელი და გვარი, გადასახდელი თანხის მოცულობა და ა.შ.

არსებობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანომ აღმასრულებელს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის საინდენტიფიკაციო ნომრის, საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სხვა სახის ანგარიშების, ამგვარი ანგარიშების ნომრების, ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულების შესახებ, რომლებშიც გახსნილი აქვს მოვალეს ანგარიშები. ლარსა და უცხოურ ვალუტაში ფულადი სახსრების ოდენობისა და ანგარიშზე მოძრაობის შესახებ (ან ბანკსა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციაში არსებული მოვალის სხვა ნივთების

### **მუხლი 43. (ამოღებულია)**

### **მუხლი 44. ყადაღის საგანი**

განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტი განამტკიცებს სამართლებრივ პრეზუმფციას: იგულისხმება, რომ ნივთები, (იგულისხმება მოძრავი ნივთები), რომლებსაც პოულობენ მოვალესთან, მას ეკუთვნის. შესაბამისად, მოცემული ნორმის თანახმად, ნებისმიერი მოძრავი ნივთი, რომელიც კი მოვალესთან იმყოფება და მასთან აღმოჩნდება, ექვემდებარება დაყადაღებას. გამონაკლისი დადგენილია 45-ე მუხლში ჩამოთვლილი ქონების მიმართ.

აღნიშნული ნივთების მოვალისადმი კუთვნილების პრეზუმფცია შეიძლება სადაო გახადოს მესამე პირმა, ნივთის ნამდვილობა მესაკუთრემ. ასეთ შემთხვევაში ამ უკანასკნელმა სარჩელი თავისი უფლებების დაცვის შესახებ უნდა აღძრას კანონის 32-ე მუხლით დადგენილი წესით.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 44-ე და 45-ე მუხლების სწორად გაგებისათვის მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის განჩინებაში<sup>39</sup> განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 45-ე მუხლების სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ორი ნორმა ერთობლივად განსაზღვრავს არა ყადაღის დადების მოცულობას, არამედ იმას, თუ რომელი მოძრავი ნივთები ექვემდებარება დაყადაღებას და რომელი არა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს აღმასრულებლის ზოგად უფლებამოსილებას, მოახდინ-

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 2 ივლისის განჩინება NN<sup>2</sup>/9/645

ნოს მოვალის ქონების დაყადაღება (მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი, 25-ე მუხლის მე-9 პუნქტი). ამავე დროს კანონი ცალ-ცალკე განსაზღვრავს მოძრავ ნივთებზე (თავი IX) მოთხოვნებსა (თავი X) და უძრავ ნივთებზე (თავი XI) აღსრულებასთან დაკავშირებულ აღსრულების პროცედურებს. სადავო ნორმა შეეხება მხოლოდ მოძრავ ნივთებზე აღსრულებას, ის, არა თუ არ ადგენს მოსარჩელის მთელი ქონების დაყადაღების საფუძველს, არამედ მისი რეგულირების ქვეშ არც კი ექცევა უძრავ ნივთებსა და მოთხოვნებზე აღსრულების პროცესის მონესრიგება, რაც, თავისთავად, გამორიცხავს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სადავო ნორმის განმარტების სისწორეს. ამკარაა, რომ აღსასრულებელი ქონების მოცულობა არ არის შეზღუდული მხოლოდ მოძრავი ნივთებით. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად, სამართლებრივი ვალდებულების შესრულების მიზნით, აღმასრულებელი უფლებამოსილია, დააყადაღოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება, ასევე – მოთხოვნები. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სადავო ნორმის მიზანია იმ მოძრავი ნივთების სახეობის განსაზღვრა, რომელიც დაყადაღებას ექვემდებარება და არა მოვალის ვალდებულებისა და დასაყადაღებელი ქონების მოცულობის ურთიერთმიმართების დადგენა.



## **მუხლი 45. ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება**

1. ნორმით გათვალისწინებული ქონების გარდა, გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ ქონებაზე. გადახდევინებას დაუქვემდებარებელი ქონების ჩამონათვალი არ განისაზღვრება მხოლოდ მოცემული ნორმით. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, სააღსრულებო იმუნიტეტით დაცული ქონება კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. კანონის მიღებამდე, იმ ქონების სახეობების ჩამონათვალი, რომელზეც დაუშვებელი იყო გადახდევინების მიქცევა, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით (1964 წ. რედაქცია) განისაზღვრებოდა. აღსრულებას დაუქვემდებარებელი ქონების სახეობების ჩამონათვალი დაკონკრეტებულია აგრეთვე კანონის მე-2<sup>1</sup> მუხლში და სხვა კანონებში.

განსახილველი ნორმის და ქონებრივი იმუნიტეტის განმსაზღვრელი სხვა ნორმების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ დაუშვებელია იმ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოვალე ფიზიკურ პირს, ხოლო ზოგჯერ – მოვალე იურიდიულ პირს, ე.ი. სააღსრულებო იმუნიტეტით შეიძლება დაცული იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ფიზიკური პირის მიმართ მოქმედებს მოვალე ფიზიკური პირის და მისი ოჯახის წევრების მინიმალური ქონების ხელშეუხებლობის პრინციპი. ამიტომ, თუ სადაო გახდა ფიზიკური პირისათვის ქონებრივი იმუნიტეტის მიმნიჭებული დებულებების განმარტების საკითხი, სასამართლოს მართებს სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპით იხელმძღვანელოს.

2. ზემოთ ჩამოთვლილი ქონების გარდა, სააღსრულებო

დოკუმენტების საფუძველზე დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა ფულად თანხებზეც, რომლებიც გადახდილია:

1) ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, აგრეთვე იმ პირთათვის ზიანის ასანაზღაურებლად, რომლებმაც განიცადეს ზიანი მარჩენალის დაკარგვის შედეგად.

2) იმ პირთათვის, რომელთაც მიიღეს დასახიჩრება: დაჭრა, ტრამვა, კონტუზია მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს და მათი ოჯახის წევრებისათვის აღნიშნულ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში.

3) ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, მრავალშვილიანი დედებისათვის; მარტოხელა მამის ან დედისათვის; არასრულწლოვანი ბავშვების შესანახად მათი მშობლების ძებნის პერიოდში; პენსიონერთა და I ჯგუფის ინვალიდთათვის მათ მოსავლელად; დაზარალებულთათვის დამატებით კვებაზე, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობაზე, პროთეზირებაზე და მათ მოსავლელ ხარჯებზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში; საალიმენტო ვალდებულებებზე;

4) შრომის მავნეპირობებიანი სამუშაოსათვის, ან ექსტრემალურ სიტუაციებში მუშაობისათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებმაც განიცადეს აეს-ზე ავარიის კატასტროფის შედეგად რადიაციის ზემოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

5) ორგანიზაციისათვის ბავშვის დაბადებასთან, ნათესავების გარდაცვალებასთან, ქორწინების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე გასასვლელ დახმარებაზე, რომელიც გადახდილია მუშაკის გათავისუფლების დროს.

6) იურიდიული პირის (ორგანიზაციის) იმ ქონების ჩამონათვალი, რომელზეც დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა

სააღსრულებო დოკუმენტის საფუძველზე, განისაზღვრება კანონით. მაგალითად, 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “დ” ქვე-პუნქტი შეიძლება გავავრცელოთ კოოპერატივებზე, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობაშია გავრცელებული. კოოპერატივის ვალების გამო გადახდევინება შეიძლება მიექცეს მის კუთვნილ ქონებაზე, თუ მას არ გააჩნია დავალიანების გასასტუმრებლად საკმარისი ფულადი თანხა, გარდა 45-ე მუხლში ჩამოთვლილი ქონებისა.

ღვთისმსახურების დანიშნულების მოძრავ და უძრავ ქონებაზე დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა კრედიტორთა პრეტენზიის საფუძველზე.

4. განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ჩვეულებრივი პირადი მოხმარების ნივთები არ უნდა გავიგოთ ფართო მნიშვნელობით, კერძოდ მათში უნდა ვიგულისხმოთ ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა, გარდა ძვირფასეულობისა და ფუფუნების სხვა საგნებისა.

რაც ეხება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ ნივთებს, აქ კანონი აკონკრეტებს, რომ მათში იგულისხმება არა ნებისმიერი ქონება, რომელიც კი აუცილებელია პროფესიული საქმიანობისათვის, არამედ მხოლოდ პირადი მოხმარების საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისათვის თავისი პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად.

საკვები პროდუქტების და ფულადი თანხის იმ რაოდენობაზე, რომელზეც დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა, მითითებულია განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტში. აღნიშნულ ნორმაში მითითებულ მოვალის ოჯახის წევრებსა და მოვალესთან მცხოვრებ პირებში უნდა მოვიანროთ მოვალის კმაყოფაზე (მოვალის რჩენაზე) მყოფი პირე-

ბიკ. ამასთან კანონი რაიმე განსხვავებულ წესს არ ადგენს შრომისუუნარო მოვალის, მისი ოჯახის შრომისუუნარო წევრების და მასთან ერთად მცხოვრები სხვა შრომისუუნარო პირებისათვის. კერძოდ, კანონი არ ზრდის აღნიშნულ ნორმაში მითითებული ნივთების, თუ ფულადი თანხის ოდენობას, რომლიდანაც დაუშვებელია გადახდევინება.

რაც ეხება სანვავს, მასში იგულისხმება სანვავი, რომელიც აუცილებელია მოვალის ოჯახისათვის თავისი ყოველდღიური საჭმლის მოსამზადებლად და გათბობის სეზონის განმავლობაში თავისი საცხოვრებელი ფართის გასათბობად.

ბუნდოვანია განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმადაც დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა წვრილფეხა საქონელზე შეზღუდული რაოდენობით. გაუგებარია, რას ნარმოადგენს შეზღუდული რაოდენობა. საჭირო იყო კანონმდებელს დაეკონკრეტებინა ეს ნორმა. როგორც ჩანს, „შეზღუდული რაოდენობა“ არის შეფასებითი კატეგორია და დავის შემთხვევაში უნდა განსაზღვროს სასამართლო.

განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში კი ჩამოთვლილია აღსრულებას დაუქვემდებარებელი და იმ პირების კუთვნილი ქონების ჩამონათვალი, რომლებიც მისდევენ სოფლის მეურნეობას. მაგალითად, ასეთია სანაშენე, მენველი და მუშა პირუტყვი, ბოცვრები, ფრინველი, ფუტკარი, რომლებიც გამოიყენება ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამენარმეო საქმიანობის განხორციელებასთან, აგრეთვე სამეურნეო შენობა-ნაგებობანი, პირუტყვის შესანახად აუცილებელი საკვები, მორიგი თესვისათვის აუცილებელი თესლი.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია გადახდევინების მიქცევა

სატრანსპორტო საშუალებებზე და მოვალე ფიზიკური პირი-სათვის აუცილებელ სხვა ქონებაზე, რომელიც მას ესაჭიროება ინვალიდობის გამო, პრიზებზე, სახელმწიფო ჯილდოებზე, საპატიო და სამახსოვრო ნიშნებზე, რომლებითაც დაჯილდოვებულია მოვალე ფიზიკური პირი.

## **მუხლი 46. (ამოღებულია)**

## **მუხლი 47. ყადაღადადებული ქონების შეფასება**

კანონის 47-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, მოვალის ქონების შეფასება, ნებისმიერ შემთხვევაში საბაზრო ფასებით ხდება. ზოგადი წესით, ფასი უნდა შეესაბამებოდეს სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების დღეს არსებულ საბაზრო ფასს, გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც შეფასება წარმოებს რეგულირებადი ფასებით. თუკი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია, მისი საბაზრო ღირებულება დაფიქსირდება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში. შესაბამისად, აღმასრულებელი მარტოოდონ აღნიშნავს საბაზრო ღირებულებას ქონების აღწერის ეტაპზე.

თუ ქონების შეფასება სპეციალურ ცოდნას მოითხოვს ანდა მხარე (კრედიტორი ან მოვალე) სადავოს ხდის აღმასრულებლის მიერ ქონების აღწერის აქტში დაფიქსირებულ შეფასებას, მაშინ ქონების ღირებულების განსაზღვრისათვის აღმასრულებელი ნიშნავს სპეციალისტს (ან სპეციალიზირებულ ორგანიზაციას). კანონის თანახმად, ეს შეიძლება იყოს ექსპერტი ან აუდიტი.

ქონების შეფასების განხორციელების საფუძველია სააღსრულებო ორგანოს გადანყვეტილება, რომელიც უნდა გაფორმდეს დადგენილი წესით.

2. ქონების შესაფასებლად და რეალიზაციისათვის შიდა და გარე ბაზრებზე საქმიანობას ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებენ სპეციალიზირებული ორგანიზაციები, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ისტორიული, მხატვრული ღირებულების ნაკეთობების, ძვირფასი ქვების, საი-

უველირო ნაკეთობების (ამ ნაკეთობათა ნატეხის), ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული მონეტების, აგრეთვე ისტორიული ან მხატვრული ღირებულების მქონე სხვა ქონების ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება სპეციალისტების ან სპეციალიზირებული ორგანიზაციების მიერ.

დაყადაღებული იმ ფასიანი ქაღალდების ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომლებზეც უნდა მიექცეს გადახდევინება, ფასიანი ქაღალდების შეფასების დროს აღმასრულებელმა სავალდებულო წესით უნდა დანიშნოს სპეციალისტი, რომელიც ადგენს შესაბამის დასკვნას წერილობითი სახით. სარეალიზაციოდ ფასიანი ქაღალდების გადაცემის მომენტამდე ასეთი ფასიანი ქაღალდების შეფასების შესახებ ინფორმაცია უნდა ეცნობოს მოვალესა და კრედიტორს.

აქციებზე გადახდევინების მიქცევის დროს, რომლებთანაც გარიგებები რეგულარულად ხორციელდება საფონდო ბაზარზე, მათი საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მათზე მოთხოვნისა (მოთხოვნილებისა) და შეთავაზების ფასი (აქციების კოტირება).

თუ შესაბამისი სააქციო საზოგადოების აქციებთან დაკავშირებით უშუალოდ ასეთ აქციებზე გადახდევინების მიქცევის წინ გარიგებები არ დადებულა ანდა აღინიშნებოდა აღნიშნულ აქციათა კურსის მკვეთრი ვარდნა, კერძოდ, კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით, აღმასრულებელმა უნდა დანიშნოს სპეციალისტი. აქციათა საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით სპეციალისტი ინიშნება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა მოვალე ან კრედიტორი სადავოს ხდიან აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ აქციათა ღირებულების შეფასებას. ამ შემთხვევაში აქციათა შეფასების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა ფაქტორი, რომელიც გავლენას

ახდენს აქციათა რეალურ საბაზრო ღირებულებაზე, მათ შორის, ამ სააქციო საზოგადოების წმინდა აქტივების მოცულობა, მათი ოდენობა, რომელმაც გამოუშვა აქციები, საქმიანობის შემოსავლიანობა და სხვა.

ისეთ შემთხვევაში, როცა გადახდევინების მიქცევა ხდება ორგანიზაციის (იურიდიული პირის) ქონებაზე, აუცილებელია სპეციალისტის მონაწილეობა მოვალის დებიტორული დავალიანების შეფასების განხორციელების დროს.

მითითებული ქონების გარდა, სპეციალისტის მონაწილეობა აუცილებელია უძრავი ქონების, ნედლეულის, მასალების, მონყობილობების, აქციზური საქონლის და სხვა ქონების შეფასების დროს, რომლის ღირებულების განსაზღვრისთვისაც აუცილებელია სპეციალური ცოდნა.

სავალდებულო შეფასებას ექვემდებარება ჩამორთმეული და დაყადაღებული ქონება, რომელიც განკუთვნილია რეალიზაციისათვის. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქონების შესაფასებლად მოიწვევა სპეციალისტი (სპეციალიზებული ორგანიზაცია).

5. აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას – როგორც აღმასრულებლის, ისე სპეციალისტის მიერ განხორციელებული შეფასება უნდა ეცნობოთ მხარეებს. სააღსრულებო წარმოების მასალებში უნდა იყოს წერილობითი დადასტურება ქონების შეფასების (შეფასების განხორციელების) შედეგების მხარეთათვის შეტყობინების შესახებ. თუ მხარეები არ ეთანხმებიან შეფასებას, მაშინ შესაძლებელია ქონება განმეორებითი შეფასდეს შემდეგი წესის შესაბამისად: მხარემ, რომელიც სადაოს ხდის აღმასრულებლის მიერ განხორციელებულ ქონების შეფასებას, თვითონ უნდა გასწიოს სპეციალისტის დანიშვნის ხარჯები.



## მუხლი 48. ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტი

1. ქონების აღწერის აქტს კანონი ყადაღის დადების აქტსაც უწოდებს (განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის 1-ლი წინადადება). რაიმე ნიმუში თუ დადგენილი ფორმა აქტისა, კანონით არ არის შემოღებული (დანესებული).

ქონების აღწერის აქტის შინაარსი კანონში სრულყოფილი სახით არ არის ჩამოყალიბებული, კერძოდ, მასში უნდა მიეთითოს ყველაფერთან ერთად, იმ პირთა სახელი და გვარი, რომლებიც აქტის შედგენას ესწრებიან (დამსწრე პირები).

2. განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის “ე” ქვეპუნქტი მიუთითებს აქტში შეტანილი თითოეული საგნის თუ რა განმასხვავებელი ნიშანი უნდა აღინიშნოს მასში. ჩამოთვლილის გარდა, აქტში შეიძლება მიეთითოს საგნების სხვა ისეთი განმასხვავებელი ნიშნები, როგორც არის ფერი, მეტრაჟი, ცვეთის ხარისხი და სხვა.

3. აქტში უნდა მიეთითოს ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც ქონება გადაცემული იქნება სარეალიზაციოდ.

4. ქონების აღწერის აქტში უნდა მიეთითოს არა მხოლოდ აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების წესი (იხ. 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის “ი” ქვეპუნქტი), არამედ გასაჩივრების ვადა. ხოლო მოვალეს ან ქონების შემნახველს დამატებით აგრეთვე უნდა განემარტოს პასუხისმგებლობის საკითხი ქონების შეცვლისათვის.

5. განსახილველი მუხლის 1-ლი პუნქტის “კ” ქვეპუნქტში მიითითებული აღმასრულებლის განმარტებების გარდა, ქონების აღწერის აქტში უნდა მიეთითოს კრედიტორის, მოვალის, აღწერის დამსწრე პირების შენიშვნებსა და განცხადებებზე აღმასრულებლის განკარგულებების თაობაზე.

6. აღწერის აქტში აგრეთვე ჩამოთვლილი უნდა იქნეს ის საგნები და მიეთითოს მათი ღირებულება, საიდენტიფიკაციო ნიშნები (მარკა, გამოშვების თარიღი და ა.შ.), რომლებიც დარჩა მოვალესთან, აგრეთვე ჩამოთვლილი უნდა იქნეს სხვა ქონებაც, მათ შორის ის ქონებაც, რომელიც იმყოფება მოვალისა და სხვა პირთა საერთო საკუთრებაში, რომელზეც ყადაღა დადებული არ ყოფილა.

7. ქონების აღწერის აქტს ხელს აწერს აღმასრულებელი, დამსწრეები, ქონების შემნახველი, აგრეთვე კრედიტორი, მოვალე და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ქონებაზე ყადაღის დადებას.

ქონების აღწერის აქტი დგება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება აღმასრულებლის წარმოებაში, ხოლო მეორე ეძლევა მოვალეს, რომელმაც აღნიშნული უნდა დაადასტუროს აქტის პირველ ეგზემპლარზე ხელმოწერით.

ისეთ შემთხვევებში, როცა აღწერილი ქონება გადაეცა შესაძლებად არა მოვალეს, არამედ სხვა პირს, აღწერის აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ბარდება ქონების შემნახველს, მეორე – მოვალეს და მესამე რჩება სააღსრულებო წარმოებაში. სამ ეგზემპლარად დგება ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტი აგრეთვე ქონების ჩამორთმევისას ანდა ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების დროს, რომელთაგან ერთი ჩაბარდება მოვალეს, მეორე უნდა გაეგზავნოს ეკონომიკის სამინისტროს (ზოგჯერ საფინანსო ორგანოებს), მესამე რჩება აღმასრულებლის წარმოებაში.

### **ქონების შენახვა**

კანონის 48-ე მუხლშიც და სხვა ნორმებშიც, გვხვდება ქონების შენახვის ინსტიტუტი და ქონების შემნახველი. იქიდან

გამომდინარე, რომ ქონების შენახვის ინსტიტუტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სააღსრულებო წარმოებაში, ხოლო ამ ინსტიტუტის დეტალურად (ცალკე ნორმით) მოწესრიგება არ არსებობს სააღსრულებო წარმოებათა კანონმდებლობაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასზე ყურადღების სპეციალურად გამახვილება, კერძოდ:

1. ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში შესრულებული ხელმოწერით (ხელწერილით) მოვალის ქონება შესანახად გადაეცემა მოვალეს ან აღმასრულებლის მიერ დანიშნულ სხვა პირებს (ტექსტში შემდგომში შემნახველი).

შემნახველს უფლება აქვს გამოიყენოს ეს ქონება, ისარგებლოს ამ ქონებით, თუ ქონების თვისებებიდან გამომდინარე ქონებით სარგებლობა არ გამოიწვევს ქონების განადგურებას ან მისი ღირებულების შემცირებას.

2. შემნახველი, თუ ასეთს არ წარმოადგენს თავად მოვალე, ან მისი ოჯახის წევრი (ხოლო თუ შემნახველი არის მოვალე ორგანიზაცია – მისი მუშაკი, თანამშრომელი), შენახვისათვის იღებს შესაბამის გასამრჯელოს. შემნახველს აგრეთვე აუნაზღაურდება ქონების შესანახად მის მიერ განეული აუცილებელი ხარჯები ამ ქონების გამოყენებით ფაქტობრივად მიღებული სარგებლის ან უპირატესობის გამოკლებით.

3. შესანახად გადაცემული მოვალის ქონების გაფლანგვის, გასხვისების, გადამალვის, გამოცვლის, ან სხვისთვის უკანონოდ გადაცემის შემთხვევაში, შემნახველი, მიყენებული ზარალისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის გარდა, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ზემოთ მითითებული შესანახად ქონების გადაცემის ზოგადი წესების გარდა, არსებობს დაყადაღებული და ამოღებული

ქონების შესანახად გადაცემის და შენახვის განხორციელების წესის მომწესრიგებელი მთელი რიგი სპეციალური დებულებებიც.

მაგალითად, დაყადაღებული ქონება შეიძლება დატოვონ დაყადაღების ადგილზე ქონების მესაკუთრის, მოვალის ან მესამე პირთა სურვილის მიუხედავად, თუ აღმასრულებელს აქვს საფუძველი მიიჩნიოს, რომ ქონების გადაადგილებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაზიანება, ღირებულების შემცირება, აგრეთვე როდესაც აღმასრულებელს ან შემნახველს ობიექტურ მიზეზთა გამო არ აქვთ ამ ქონების გადაადგილების (სხვაგან გადატანის) შესაძლებლობა.

ამ შემთხვევაში შემნახველს უფლება აქვს განახორციელოს დაყადაღებული ქონების დაცულობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ნებისმიერი კანონიერი მოქმედება. ამასთან, აღმასრულებელი ადგენს და აბარებს დაყადაღებული ქონების მესაკუთრეს, მოვალეს ან მესამე პირებს ოქმს დაყადაღებულ და შემნახველისათვის შესანახად გადაცემულ ქონებასთან შემნახველის დაუბრკოლებლად დაშვების რეჟიმის დაწესების შესახებ. ოქმში მიეთითება და ოქმით განისაზღვრება ამგვარი რეჟიმის ძირითადი პირობები.

დაყადაღებული ქონების მესაკუთრის, მოვალის, ან მესამე პირთა მიერ აღმასრულებლის ოქმის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ისინი პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დაყადაღებული და ამოღებული ქონების დაცულობის, აგრეთვე ქონების დაკარგვის (დაღუპვის), ქონების დანაკლისის ან დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება დაიდოს დაყადაღებული და ამოღებული ქონების შენახვის (მიბარების) და ქონებრივი დაზღვევის

ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ აღმასრულებელი მოვალესთან აღმოაჩენს სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ ქონებას, აღმასრულებელმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს, დაიბაროს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი გადანყვეტილების არსებითად მისაღებად აღმოჩენილ ნივთთან დაკავშირებით და მის მოსვლამდე უზრუნველყოს ასეთი ქონების დაცვა.

6. ისეთი ქონება, როგორიც არის ფულადი თანხა ლარებსა და უცხოურ ვალუტაში, ძვირფასი ლითონები და ძვირფასი ქვები, ოქროს, ვერცხლის, პლატინის და პლატინის ჯგუფის ლითონებისაგან, ძვირფასი ქვებისა და მარგალიტისაგან დამზადებული საიუველირო და სხვა ნაკეთობები, აგრეთვე ასეთი ნაკეთობების ცალკეული ნაწილი და ნატეხი, რომლებიც აღმოჩნდა მოვალის ქონების აღწერის დროს, რომლებსაც დაედო ყადაღა, ექვემდებარება სავალდებულო ამოღებას. კანონის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტში მოცემულია მხოლოდ ზოგადი ნორმა, რომლის თანახმადაც მოძრავი ნივთების კანონით დადგენილი წესით რეალიზაციამდე აღმასრულებელს უფლება აქვს, მოახდინოს ყადაღადადებული ნივთის (იგულისხმება მოძრავი ნივთი) ამოღება მოვალის მფლობელობიდან, თუმცა ამოღების კონკრეტული წესები და პროცედურა კანონში მოცემული არ არის. დასახელებული ამოღებული ქონება აისახება ქონების დაყაღების შესახებ აქტში და ამ აქტის ასლთან ერთად, რომელსაც ამონიშნავს ბეჭდით უფროსი აღმასრულებელი (ბიუროს უფროსი), ამოღების დღეს ბარდება სპეციალიზირებულ ორგანიზაციას ანდა საბანკო, საკრედიტო დაწესებულებას.

სპეციალიზირებულ ორგანიზაციას ანდა საკრედიტო დაწესებულებას უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ლიცენზია და პასუხობდ-

ნენ სპეციალისტების მიერ რეკომენდებულ ზემოთ მითითებული ქონების შენახვის პირობებს.

7. მოვალის ქონების აღწერის დროს აღმოჩენილი ფულადი თანხა ლარებსა და უცხოურ ვალუტაში, რომელთაც ადევთ ყადაღა, შეიტანება შესაბამისი სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე ამოღების დღესვე, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მათი შემდგომი გადარიცხვისათვის.

8. დაყადაღებული და ამოღებული ქონების შესანახად მოთავსება ისეთ მდგომარეობაში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მისი გაფუჭება და (ან) შემდგომი (შემდგომში) რეალიზაციის შეუძლებლობა, აკრძალული და დაუშვებელია. ამ შემთხვევაში აღმასრულებელმა მოვალის ხარჯზე გადაუდებლად უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მითითებული ქონების სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად, ანუ დაყადაღებული ქონების ისეთ მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ქონების დაცულობა.

თუ მოვალე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ამ ხარჯების ანაზღაურებაზე, ან თუ მოვალეს არ გააჩნია დაყადაღებული ქონების იმ მდგომარეობაში მოსაყვანად შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებისათვის აუცილებელი სახსრები, რაც უზრუნველყოფს მის დაცულობას, ამ სამუშაოების ხარჯები იფარება და ხორციელდება აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სააღსრულებო ბიუროების სადეპოზიტო ანგარიშების სახსრების ხარჯზე და შემდგომ ანაზღაურება ხდება დადგენილი წესით მოვალის ხარჯზე.

9. მალფუჭებადი საქონელი, აგრეთვე ისეთი საქონელი, რომელიც მოითხოვს შენახვის სპეციალურ პირობებს, რო-

მელთაც ედება ყადაღა, ექვემდებარება ამოღებას ყადაღის დადების დღესვე, მათი ხარისხი მოწმდება შესაბამისი ორგანიზაციების მიერ და გადაიცემა სარეალიზაციოდ, ე.ი. მითითებული საქონელი შენახვას არ ექვემდებარება.

10. აღმასრულებლის და სხვა პირების დაშვება დაყადაღებულ ქონებასთან შესაძლებელია მხოლოდ შემნახველის თანდასწრებით. მისი არყოფნის შემთხვევაში ქონებასთან დაშვება ნებადართულია უფროსი აღმასრულებლის (ბიუროს უფროსის) და ორი დამსწრის მონაწილეობით.

## ავტორთა შესახებ

**შალვა ქურდაძე** – 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 2003 წელს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1999 წლიდან 2001 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნოტარიატის განყოფილებაში. იგი 2000 წლიდან დღემდე უძღვება ლექცია-სემინარებს სხვადასხვა უნივერსიტეტებში. 2005 წლიდან არჩეულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასიტენტ-პროფესორად. 2007 წლიდან 2009 წლის ჩათვლით გახლდათ საბანკო-საფინანსო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი და ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. 2009 წლიდან არჩეულ იქნა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად. 2010 წლიდან არის გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და კერძო სამართლის კათედრის გამგე, 2014 წლიდან კი – პროფესორი. 2011 წლიდან პარალელურად არჩეულ იქნა თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად. 2012 წლიდან დღემდე მუშაობს „კავკასიის ადვოკატთა სკოლა CLS“-ის სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატთა სკოლის ხელძღვანელის თანამდებობაზე. 2014 წლიდან ის გახლავთ სამართლის მეცნიერთა კავშირის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. შალვა ქურდაძე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი. 2001 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. იგი გახლავთ რამდენიმე სახელძღვანელოსა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი, მათ შორის ეუთოს მიერ გამოყოფილი საერთაშორისო გრანტით დაფინანსებული ნაშრომის. ჩატარებული აქვს არაერთი ტრენინგი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის. ეწევა საექსპერტო საქმიანობას. ის გახლდათ ასევე სამეცნიერო ჟურნალ „ცხოვრება და კანონის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. 2015 წლიდან არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „სამართალი და მსოფლიოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ფლობს რუსულ და გერმანულ ენებს.

ყავს მეუღლე და ორი შვილი.



**გიორგი ქურდაძე** – 2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის თსუ იურიდიული ფაკულტეტი. არის იმავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი კერძო სამართლის მიმართულებით. 2006 წელს მუშაობდა ქ. რუსთავის მერიის იურისტად. 2007-2016 წლებში მუშაობდა მოსამართლის თანაშემწედ. 2017 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. 2017 წლის ოქტომბრიდან კითხულობს ლექცია-სემინარებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე. 2018 წლიდან არის ა(ა)იპ სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი. გახლავთ რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაციისა და ერთი სახელმძღვანელოს თანაავტორი.

ყავს მეუღლე და 3 შვილი.

**ნინო ხუნაშვილი** – 2007 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიულ ფაკულტეტი. 2009 წლიდან იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი კერძო სამართლის მიმართულებით. 2010-11 წწ. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე, 2011-2012 სასწავლო წელს კი გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე. 2012 წლიდან კონკურსის წესით არჩეულ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი. 2013 წელს მუშაობდა ამავე ასოციაციის თავმჯდომარის თანაშემწედ. არის რესპუბლიკური ოლიმპიადის გამარჯვებული უცხო ენაში (ინგლისური ენა). კემბრიჯის უნივერსიტეტისაგან საერთაშორისო გამოცდების შედეგად მიღებული აქვს ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო დოკუმენტი 2002 წელს. 2015 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. 2015 წლიდან არის თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის, ხოლო 2016 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2014 წლიდან არის ა(ა)იპ სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი.

ყავს მეუღლე და ორი შვილი.

**ზურაბ ჭყონია** – 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ის 2010 წლიდან კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა დროს: საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის უნივერსიტეტის, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტების და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე. 2011 წლიდან არჩეულ იქნა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორის თანამდებობაზე კერძო სამართლის მიმართულებით. 2016 წელს პროფესიული ნიშნით არჩეულ იქნა ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად კერძო სამართლის მიმართულებით. 2017 წლიდან გახლავთ ასევე თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი. 2015 წლიდან დღემდე არის ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი და ამავე ინსტიტუტის სამართლის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი.

ზურაბ ჭყონია გახლავთ ათამდე სამეცნიერო სტატიის ავტორი და მონაწილეობა აქვს მიღებული 5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. მუშაობს სადოქტორო თემაზე „სასამართლოს როლი სააღსრულებო წარმოებაში“.

ზურაბ ჭყონია 1992-1993 წლებში და შემდგომ 1995-2001 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2001 წლიდან დღემდე ეწევა საადვოკატო საქმიანობას. 2005-2006 წლებში მუშაობდა შსს სსიპ სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2006 წლიდან დღემდე არის იურიდიული ფირმა „ჭყონია და კომპანია“ დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი. 2009-2010 წლებში პარალელურად გახლდათ მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი „რეგისტას“ არბიტრი. 2014 წლის აპრილიდან დღემდე არის ა(ა)იპ „სამართლის მეცნიერთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე. 2012 წლიდან დღემდე არის „კავკასიის ადვოკატთა სკოლა CLS“-ის დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი. ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით.

ყავს მეუღლე და ორი შვილი.

**Shalva Qurdadze Giorgi Qurdadze**  
**Nino Khunashvili Zurab Chkonia**

# Comments on the Law of Georgia on Enforcement Proceedings

## Part One

The present work defines those norms of the law of Georgia on Enforcement Proceedings which regulate general conditions of complying with the actions of enforcement activities, legislative condition of participants in enforcement, basics and peculiarities of using measures of forceful execution and peculiarities. Court practice is analyzed as well which involves decisions of common courts of Georgia as well as those of the constitutional court and the European Court of Human Rights regarding key issues of enforcement/execution. Together with court practice, the work is enriched by the practice of enforcement bodies used in it.

The book is intended for executives, lawyers, attorneys, students of the legal faculty, instructors of high legislative training institutions as well as any individual interested in the issue of execution.

### **CHIEF EDITOR:**

Doctor of Juridical Sciences, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Emeritus  
**Roman Shengelia**

### **EDITOR:**

Doctor of Law, professor **David Sukhitashvili**

### **REVIEWERS:**

Doctor of Law, Professor **Valeri Khrustal**  
Doctor of Law, Professor **Zurab Dzierishvili**

ნაშრომის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია  
სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკის ვებგვერდზე  
[www.library.court.ge](http://www.library.court.ge)